




ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში

I ტომი

დიდი ტერორი კავკასიის
პატარა რესპუბლიკაში



ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში

გამოცემა ორ ტომად

ტომი I

დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში

ტომი II

დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში

შემდგენლები:

მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვერი

თბილისი 2015

ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში

ტომი I

დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში

შემდგენლები

მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვეჩი

დიდი ტერორის ისტორიოგრაფიაში პირველად, საქართველოს მაგალითზე, გამოკვლეულია შინსახკომის მიერ წარმოებული სამი ძირითადი მასობრივი ოპერაცია: № 00447 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ოპერაცია („კულაკური“), „ნაციონალური ხაზის“ ოპერაციები და სოციალური წმენდა („მილიციის“ სამეული). ამასთან, გამოკვლევის ცენტრშია ტერორის სპეციფიკა საქართველოში: სადამსჯელო უფლებამოსილების ნაწილის ცენტრიდან პერიფერიისთვის გადაცემამ გამოიწვია ელიტის მასიური გასამართლება საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის მიერ. ეს იყო არასასამართლო ინსტანცია, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა რიგითი საბჭოთა მოქალაქეების დაჩქარებული წესით გასამართლება, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ხელისუფლებასთან და არც მოსახლეობის პრივილეგიებულ ფენას მიეკუთვნებოდნენ. ამასთანავე, ვლინდება საოცარი მსგავსება არაკონსტიტუციურ არასასამართლო ორგანოებსა (სამეულები, ორეულები) და ისეთ კანონიერ სასამართლო ინსტანციას შორის, როგორცაა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია. საქართველოში მიმდინარე დიდი ტერორის კიდევ ერთი სპეციფიკური მახასიათებელი მდგომარეობს ნაციონალური დიასპორების საოცრად „რბილ“ დასჯაში, გერმანელების გამოკლებით. ექვსი გამოქვეყნებული ინტერვიუ, რომელიც დიდი ტერორის მსხვერპლთა შთამომავლებთან არის ჩანერილი, ქალაქ თბილისთან ახლოს მდებარე სოფელ ხაშმში, ავლენს იმ პიროვნულ შიშსა და ჭრილობებს, რომლებიც 1937-1938 წლებში დიდი ტერორის განხორციელებამ გამოიწვია საქართველოში. ამ სოფელში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, მოსახლეობის უმრავლესობის მშობლები, ნათესავები და ახლობლები იქნენ რეპრესირებულნი.

პროექტის ხელმძღვანელი: ომარ თუშურაშვილი, მარკ იუნგე
პროექტის კოორდინატორი: დავით ალავერდაშვილი
თარგმანი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი
კორექტურა: ირმა ლალიძე, ლია კერესელიძე
ინფორმაციის მოძიების ჯგუფი: ლალი ეხვია, ეკატერინე კუხალაშვილი,
ვიქტორია ხავთასი, ვანო ჯახუა, დოდო ბალათურია
მონაცემთა ბაზების კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გიორგი მეცხოვრიშვილი, გიორგი ბაბუცაშვილი
ტექნიკური უზრუნველყოფა: მერი ბარბაქაძე
ვარეკანის იდეა (ძალის მანქანა): მ. იუნგე
ვარეკანის დიზაინი: ივან პროხოროვი

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი..... | 8 |
| წინათქმა (ომარ თუშურაშვილი)..... | 9 |
| თოვლქვეშ (მარკ იუნგე, ოლივერ რაისნერი, ბერნდ ბონგერი)..... | 10 |
| 1. „დიდი წმენდა“ – უხერხული თემა..... | 10 |
| 2. წყაროთა ბაზა: მდგომარეობა და სირთულეები..... | 22 |
| 3. შინსახკომის მასობრივი ოპერაციები 1937-1938 წწ. | 26 |
| შინსახკომის მასობრივი ოპერაციები (მარკ იუნგე)..... | 31 |
| 1. „კულაკური“ ოპერაცია..... | 31 |
| 2. ნაციონალური ოპერაციები..... | 32 |
| 3. მილიციის სამეული..... | 36 |
| სტატისტიკა | |
| „კულაკური“, „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულები: მონაცემთა ბაზები (მარკ იუნგე)..... | 38 |
| შინსახკომის მასობრივი ოპერაციების რაოდენობრივი ანალიზი (მარკ იუნგე)..... | 43 |
| 2. რეპრესიების ინტენსივობის ხარისხი..... | 51 |
| 3. 1937 და 1938 წლების შედარება..... | 53 |
| 4. მასობრივი ოპერაციები საქართველოში სსრკ-ის სხვა რეგიონებთან შედარებით..... | 55 |
| 5. პოლიტიკური „სტაბილურობა“..... | 61 |
| მასობრივი ოპერაციების ხარისხობრივი ანალიზი (მარკ იუნგე)..... | 63 |
| 1. სქესი..... | 63 |
| 2. ასაკი..... | 66 |
| 3. განათლება..... | 68 |
| 4. სოციალური მდგომარეობა..... | 71 |
| 5. სოციალური წარმოშობა..... | 72 |
| 6. პოლიტიკური წარსული..... | 74 |
| 7. რელიგიური ორგანიზაციები..... | 77 |
| 8. პოლიტიკური და სოციალური „სამარისებური“ სიჩუმე..... | 80 |
| სპეციფიკა | |
| „ნაციონალური“ ოპერაციები საქართველოში (ლევან ავალიშვილი)..... | 82 |
| 1. წყაროები..... | 82 |
| 2. „ნაციონალური“ ოპერაციები და „დიდი ორეული“..... | 86 |
| 3. ი. მ. სოლოგუბოვ-სკობელევის საქმე..... | 90 |

| | |
|--------------------------------------------------------------|-----|
| 4. „ხარბინული“ ოპერაცია..... | 91 |
| 5. „გერმანული“ ოპერაცია | 93 |
| 6. „ბერძნული“ ოპერაცია | 96 |
| 7. „ირანული“ ოპერაცია..... | 98 |
| 8. სხვა „ნაციონალური“ ხაზები | 100 |
| 9. „ნაციონალური“ ოპერაციები და „ნაციონალური“ სამეული | 103 |
| 10. „ნაციონალურ“ ოპერაციათა თავისებურებანი საქართველოში..... | 107 |

სადამსჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაცია

| | |
|---------------------------------------------------------------------|-----|
| (<i>მარკ იუნგე, გიორგი კლდიაშვილი</i>)..... | 111 |
| 1. დიქტომია | 112 |
| 2. ელიტისა და „ქვედა ფენის“ აღრევა | 114 |
| 3. წინასწარი შერჩევა..... | 116 |
| 4. „თავთავების შეგროვება მკის შემდეგ“ | 120 |
| 6. ნესტორ არჩვაძის საქმე..... | 129 |
| 7. სამხედრო კოლეგიის „განტვირთვა“ „კულაკური“ სამეულის ხარჯზე..... | 130 |
| 8. მსჯავრდებულთა სოციალური შემადგენლობა..... | 133 |
| 9. მენშევიკების მსჯავრდება..... | 135 |
| 10. სასამართლოსა და არასასამართლო ორგანოების ურთიერთშენაცვლება..... | 137 |
| 11. წინასწარი ბრალდება და „კაბინეტური მკვლელობა“..... | 138 |
| 12. „ზემოდან“ კონტროლი..... | 145 |

ინტერვიუ

მასობრივი რეპრესიების მსხვერპლთა ნათესავების ჩვენებები

| | |
|------------------------------------------------------------------|-----|
| (<i>მარკ იუნგე, დალი კანდელაკი, ბერნდ ბონვერი</i>) | 149 |
| 1. სოფელი ხაშმი | 150 |
| 2. ალექსანდრე იოსების ძე გოდერძიშვილი (1930 – 2013)..... | 155 |
| 3. ნოშრევან ივანეს ძე ნაჩხატაშვილი (1930 წ. – 2014 წ.) | 159 |
| 4. გიორგი ნიკოლოზის ძე ქოქრაშვილი (1928)..... | 162 |
| 5. ნოშრევან ალექსანდრეს ძე ქოქრაშვილი (1930) | 167 |
| 6. მედიკო დავითის ასული ვარძელაშვილი-ნაჩხატაშვილი (1936 წ.)..... | 171 |
| 7. სოფიო მამულაშვილი (1963)..... | 173 |

| | |
|------------------------------------------------------------------------------|-----|
| მასობრივი რეპრესიები საქართველოში (<i>მარკ იუნგე, ბერნდ ბონვერი</i>) | 176 |
|------------------------------------------------------------------------------|-----|

დანართები

| | |
|-------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| მასობრივი ოპერაციები: სტატისტიკური მონაცემები (<i>მარკ იუნგე</i>) | 181 |
| 1. კრესიითი ცხრილი „კულაკური“ სამეულის საქმიანობის შესახებ ცხრილი № 1 | 187 |
| 2. სხდომების რიცხვი და რაოდენობა, მსჯავრდებულთა რაოდენობა და სასჯელის ზომა ცხრილი № 2-8..... | 190 |
| 3. მსჯავრდებულთა სოციალური წარმომავლობა და მდგომარეობა ცხრილი № 9-25..... | 211 |

| | |
|------------------------------------------------------------------------------|-----|
| 4. მსჯავრდებულთა სქესი და ასაკი ცხრილი 26-33..... | 244 |
| 5. კონტინგენტის ტრანსფერის პროცედურა ოპერაციათა შორის ცხრილი № 34-38..... | 249 |
| 6. შერეული კონტინგენტის სოციალური შემადგენლობა ცხრილები № 39-41 | 266 |
| 7. „კულაკური“ სამეულის პერსონალური შემადგენლობა ცხრილი № 42..... | 270 |
| ცხრილების ნუმერაცია..... | 272 |
| წყაროები და ლიტერატურა..... | 276 |
| ავტორები..... | 289 |
| მადლობა | 291 |

შესავალი

ინდივიდუუმები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ერები ქმნიან თავიანთი წარსულის კომპაქტურ სახეებს. ყველაზე შესანიშნავი ამ სახეებში ისაა, რომ ისინი, საჭირო დოკუმენტების არსებობის პირობებში, ექვემდებარებიან კრიტიკას და შესწორებას.

კურტ ფლაში. სიმართლის მხარეს. 2014

წინათქმა

წინამდებარე პუბლიკაცია, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, ეძღვნება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ მონაკვეთს. საუბარია 1937-1938 წლების მასობრივ სტალინურ რეპრესიებზე. წიგნი ქართულ-გერმანული ერთობლივი კვლევითი პროექტის შედეგია. მის განხორციელებას ყველაზე აქტიურად მხარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივმა დაუჭირა. არქივი არ ზღუდავდა ისტორიკოსების თავისუფლებას და არ ცდილობდა კვლევის შინაარსზე, სტრუქტურაზე, სამუშაოს მეთოდებსა და შედეგებზე გავლენის მოხდენას. არქივის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ცდილობს, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს მათი ფონდები, რის შედეგადაც პროექტის მონაწილეთათვის რაიმე განსაკუთრებული პრივილეგიები საჭიროებას არ წარმოადგენდა. თანმიმდევრულად და უპირობოდ, საბჭოთა დოგმასთან კავშირი არქივის კედლებში წყდება, რომლის მიხედვითაც ისტორია წარმოადგენს პოლიტიკის მხოლოდ გამოხატულებას, ხოლო ისტორიკოსი – სახელმწიფოს იდეოლოგიურ მსახურს.

აქედან გამომდინარე, ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა, ყოველგვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტაბუს გარეშე, 1930-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესასწავლად უნიკალური შესაძლებლობა მიიღეს.

მიღებული შედეგები წარმოადგენს აუცილებელ ნაბიჯს მთლიანად საბჭოთა ისტორიის კრიტიკული გააზრების გზაზე. ასევე ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს მათი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის მიმართ თვითკრიტიკული დამოკიდებულების კუთხით. ქართველი და გერმანელი ისტორიკოსები, რომლებიც პროექტში მონაწილეობდნენ, არ ირწმუნებიან, რომ მათ აქვთ მონოპოლიური სიმართლე წარსულის შესახებ. ისინი შესრულებულ სამუშაოს, პირველ რიგში, როგორც შემდგომი დისკუსიისა და დიალოგის საფუძველს განიხილავენ.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგები ყოველთვის არ გამოხატავს შსს არქივის თანამშრომელთა თვალსაზრისს. პირიქით, ცალკეული თავების ავტორთა დასკვნები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ჩვენი კოლექტივისა და ქართველი ისტორიკოსების აზრს. მიუხედავად ამისა, არქივის კოლექტივი შესრულებულ სამუშაოს განიხილავს, როგორც პირველ ნაბიჯს საბჭოთა საქართველოს ახლო წარსულის რთული, მრავალმხრივი და საინტერესო ისტორიის შესწავლის გზაზე.

ამრიგად, დასკვნები, რომლებიც პუბლიკაციაშია მოცემული, ყოველთვის არ ემთხვევა მისი ყველა ავტორისა და გამომცემლის შეხედულებებს. მიუხედავად ამისა, ისინი მიიჩნევენ და იმედოვნებენ, რომ შეძლეს ეჩვენებინათ ნიმუში ისტორიისადმი არააკვიატებული და ღია დამოკიდებულებისა. საქართველოს ახალი გეოპოლიტიკური ორიენტაციის პირობებში ასეთი მიდგომა ამჟამად ისე აქტუალურია, როგორც არასდროს.

თოვლქვეშ

საქმე მასში როდია, საქმე ჩვენშია.
ნადეჟდა მანდელშტამი

მოგვეცით საშუალება, ჩამოვიდეთ ჩვენი
კვარცხლბეკებიდან და მოვიხსნათ ეკლიანი გვირგვინები.

რადოსლავ სიკორსკი

„თოვლქვეშ“ – ასე ეწოდება რუსი მხატვრის, ილია კაბაკოვის მიერ 2004-2006 წლებში შექმნილი სურათების, აკვარელისა და ჩანახატების კრებულს. ნაწარმოებთა უმრავლესობის გამაერთიანებელი თემა დათოვლილი ყამირია, რომელზეც აქა-იქ პირი დაულიათ ცხელ, სისხლისმღვრელ ჭრილობებს – მოგონებებს სტალინური წარსულის შესახებ, რომლებიც ხშირად სავსეა მდუმარე ადამიანთა სახეებით. წარსულის ეს ცივი თოვლი საქართველოში თითქმის ხელუხლებელია, განსაკუთრებით თუ ეს ეხება ელიტისა და რიგითი მოსახლეობის 1936-1938 წლების „დიდ წმენდას“.

1. „დიდი წმენდა“ – უხერხული თემა

თუ საქართველო, ეს ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, დიდი ტერორის მოვლენებთან დაკავშირებით ისტორიკოსთა მხედველობის არეში ხვდება, ძირითადად – როგორც საბჭოთა კავშირის არაერთი ხელმძღვანელის სამშობლო. მათ შორის პირველ ადგილს, უდავოდ, იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, გვარად ჯუღაშვილი იკავებს, რომელიც ქვეყნიერებას საქართველოს ქალაქ გორში მოევიდნა. სტალინის მიდრეკილებას ძალადობისკენ ზოგიერთი ავტორი მისი ეროვნულ-კულტურული ფესვებით ხსნის, რაც უსაფუძვლოა¹. ისინი წერენ სტალინის „კრიმინალური ენერჯის“ შესახებ, მის „არქაულ წარმოდგენებზე მეგობრობასთან, ერთგულებასა და ლალატთან“ დაკავშირებით, აგრეთვე მის „ცბიერებაზე“ და მისი ხასიათის ამ თვისებებს „ქართული“ წარსულით ხსნიან, სადაც ძალადობა წარმართავდა ადამიანებს შორის ურთიერთობის სტრუქტურებს, რაშიც გულისხმობდნენ სისხლის ალების ჩვეულებას, ყაჩაღობისკენ მიდრეკილებასა და ურთიერთ-

1. Baberowski J. Zivilisation der Gewalt. Die kulturellen Ursprünge des Stalinismus. Berlin, 2005. С. 62; Он же: Der rote Terror. Die Geschichte des Stalinismus. München, 2004. გვ. 204-208; Suny, R. Beyond Psychohistory. Young Stalin in Georgia//Slavic Review. 50. 1991. გვ. 48-58. ეს დახასიათება, ძირითადად, ეყრდნობა სტალინის სიყრმის მეგობრის, მენშევიკ იოსებ ირემაშვილის მოგონებებს. იხ.: Iremaschwili, J.: Stalin und die Tragödie Georgiens, Berlin 1932 (საქართველოში წიგნი 2006 წელს გამოქვეყნდა შოთა ბადრიძის წინასიტყვაობით). <http://www.dobrudscha.de/stalirema1.htm> (31.01.2011). См. также: Trotzky L. Stalin. An Appraisal of the Man and his Influence. London, 1940//<http://www.marxists.org/archive/trotsky/1940/xx/stalin/ch01.htm> (31.01.2013); Sebag Montefiore S. Young Stalin. London, 2007; Service R. Stalin. A Biography. London, 2004.; Smith E. E. The Young Stalin. The Early Years of an Elusive Revolutionary. London, 1968. ისტორიოგრაფიის ანალიზი ამის შესახებ იხ.: Galy A. Adapting to Russia's changing approaches to its past: the Western historiography of Stalin and Stalinism: http://academia.edu.documents.s3.amazonaws.com/1757304/Newcastle2010.Final_version_article..pdf (31.10.2013).

ბების „რიტუალურ“ გარკვევას ძალის გამოყენებით².

სტალინის შემდეგ „ქართულ“ თემატიკაში მეორე ადგილს მყარად იკავებს მისივე „მარჯვენა ხელი“, სსრკ შინაგან საქმეთა განთქმული სახალხო კომისარი ლავრენტი პავლეს ძე ბერია. სოხუმის მკვიდრი, ის 20-იან წლებში კავკასიაში, საბჭოთა საიდუმლო პოლიციის – „ჩეკას“ ორგანოებში მსახურობდა. 1926 წელს ბერია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ხელმძღვანელობდა, ხოლო 1931 წელს, 32 წლისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. 1938 წლის 24 ნოემბერს ლ. პ. ბერიამ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის თანამდებობაზე ნ. ი. ეჟოვი შეცვალა³.

რაც შეეხება საქართველოში გატარებულ წლებს, ბერიას იგონებენ როგორც ცნობილ პროპაგანდისტს, ცივ პოლიტიკოსსა და ეფექტიან ადმინისტრატორს, რომელიც, როგორც ჩანს, აპოლიტიკური იყო და, შესაბამისად, იდეოლოგიურად არც ერთ შიდაპარტიულ დაჯგუფებას არ ემხრობოდა. მან კარგად უწყობდა, როგორ მოეპოვებინა სტალინის ნდობა, რაც, თავის მხრივ, დიდ უფლებებს ანიჭებდა ოჯახური მინათმოქმედების, უპირატესად აგრარული რესპუბლიკის დამორჩილებისა და მართვის საქმეში⁴.

თუმცა, როდესაც სტალინისა და ბერიას შესახებ საუბრისას ლაპარაკი ჩამოვარდება 1930-იანი წლების საქართველოზე, აღმოჩნდება, რომ ჩვენს ხელთ არსებული ცნობები ამ საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ უწინდებურად გასაოცრად ბუნდოვანია⁵. არ არსებობს რეპრესიების ადეკვატური სურათი საქართველოს მიმართ, რომელიც ასახავდა მის სპეციფიკას. თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიებაში“, რომელიც 1984 წელსაა გადაღებული და მხოლოდ 1987 წელს აჩვენეს, ეს მდგომარეობა ზედმინდებით ზუსტადაა ასახული. ბერია და სტალინი ერთიან სახეს ქმნიან ფილმში. მისი შინაარსი, უპირატესად, განპირობებულია საბჭოთა კავშირში არსებულ დიქტატურაზე მსჯელობებით და სტალინის კულტზე საქართველოში. ფილმის ავტორები სვამენ კითხვებს: როგორ შეიძლება მომხდარიყო მსგავსი რამ? რა პირადი პასუხისმგებლობა აქვს მომხდარზე ცალკე აღებულ ადამიანს, მისი შთამომავლების ჩათვლით?⁶. იმავდროულად, დებატები სტალინისადმი და მისი მემკვიდრეობ-

2. Baberowski. Der rote Terror. S. 16, 73, 140, 205.

3. Der Fall Berija. Protokoll einer Abrechnung. Das Plenum des ZK der KPdSU, Juli 1953. Stenographischer Bericht / Соц. V. Knoll, L. Kölm. Köln, Berlin, 1993; Knight Amy W. Beria. Stalin's first lieutenant. Princeton, 1993; Beria S. L. Beria, my father. Inside Stalin's Kremlin. London, 2001.

4. ლ. ბერიას ხელისუფლებაში დაწინაურებასა და მისი ხასიათის შესახებ, იხ. 1918-1921 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის ნაციონალ-დემოკრატიების ყოფილი დეპუტატისა და ლიტერატორის მოგონებები, რომელიც მან 1954 წელს ჩაწერა: გ. ქიქოძე – თანამედროვის ჩანაწერები, თბილისი, 2003, გვ. 82-84. მათ თანახმად, სერგო ორჯონიკიძე ლ. ბერიას ახასიათებდა როგორც „პატარა აზუფს“ და ძლიერ არ ენდობოდა მას. საქართველოს აგრარული თავისებურების ერთადერთი სტრუქტურულ-ისტორიული გამოკვლევა ეკუთვნის გეოგრაფ რევაზ გაჩეჩილაძეს, იხ.: Gachechiladze, R. New Georgia. Space, society, politics. London, 1995 (Changing Eastern Europe Series). ასევე სანტერესოა მის მიერ განხორციელებული მცდელობა – მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორია ფართო ისტორიულ კონტექსტში იქნას განხილული გეოპოლიტიკის, სტრუქტურული ისტორიისა და მიკროისტორიის ერთიან ჭრილში. იხ.: რ. გაჩეჩილაძე. ჩემი XX საუკუნე. წინა საუკუნის საქართველო მსოფლიო გეოპოლიტიკისა და ისტორიის კონტექსტში. I ტომი, თბილისი, 2008, გვ. 273-291. ამავე თემაზე ასევე იხ.: ა. დაუშვილი. სოციალური ბრძოლის ფორმები XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში (მუშათა გაფიცვები). კლიო (საისტორიო აღმანახი), 2000, № 8, გვ. 184-206; რ. გ. კოჭლამაზაშვილი. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები ქართულ სოფელში (1917-1937 წწ.) (ავტორეფერატი), თბილისი, 1983.

5. იხ. მაგალითად: Cornell S. E. Autonomy as a source of conflict: Caucasian conflicts in theoretical perspective//World Politics. 2002. № 2. 54. გვ. 245-276; თურქები და მესხელები. თურქი-მესხელები: ინტეგრაცია? რეპატრაცია? ემიგრაცია// ტ. ტრიერის და ა. ხანჭინის რედაქციით. სანკტ-პეტერბურგი, 2007.

6. ლ. ანისკი. რეცენზია თენგიზ აბულაძის ფილმზე „მონანიება“. კრებული „კინოგლობუსი – 1987 წლის ოცი

ისადმი დამოკიდებულების შესახებ გრძელდება, ისინი იქცნენ განხეთქილების ვაშლად მთელს თაობებს, პოლიტიკურ ბანაკებს, ქალაქებსა და სოფლებს შორის. ფილმი, თავის მხრივ, წარმოადგენს საჩვენებელ რეფლექსიას თემაზე საბჭოთა წარსულის დაძლევის შესახებ.

საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ თვალსაზრისს სტალინური რეპრესიების პრობლემაზე, რომელიც დომინირებდა მთავრობისა და პრეზიდენტის შეცვლამდე 2013-2014 წწ., ჩვენი აზრით, გამოხატავს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს. ეროვნული მუზეუმი, მისი ექსპონატები ასახავს საქართველოს მთელ საბჭოთა ისტორიას, „ტოტალიტარიზმისგან საბოლოოდ განთავისუფლებამდე 2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად“⁷. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს განცხადება ატარებს არა იმდენად ანალიტიკურ, რამდენადაც პოლიტიკურ-პოლემიკურ ხასიათს. დღეს, როგორც არ უნდა დახასიათდეს არეულ-დარეული სიტუაცია საქართველოში, 1990 წლის ბოლოდან იგი უკვე აღარ იყო „ტოტალიტარული“. უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა ინტერპრეტაციას აძლევენ მუზეუმის თანამშრომლები საქართველოს ისტორიას, დაწყებულს 1921 წლიდან: მუზეუმის სახელწოდების შესაბამისად, მასში წარმოდგენილია დაუცველი მსხვერპლი ქვეყნის ისტორია, რომელმაც უცხო ტომთა ბატონობის შედეგად დიდი ადამიანური დანაკარგები განიცადა. საოცარია, რომ ნაკლები ყურადღება ეთმობა 1930-იან წლებს, სტალინური ტერორის კულმინაციით. ამ დისბალანსის ახსნის მცდელობა იმით, რომ მუზეუმის ექსპოზიცია, ძირითადად, 1921 წლის მოვლენებს ეძღვნება, გასათვალისწინებელია, თუმცა ნაკლებად დამაჯერებელი, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩრდილში რჩება საქართველოს გასაბჭოებისა და ამ წლებში ბერიას ხროვის მიერ განხორციელებული შიდა ოკუპაციის ურთიერთქმედებისა და გავლენის პროცესი. არ განიხილება საკითხი იმის შესახებ, რომ უშუალოდ ხრუშჩოვის დრომდე ქართული საზოგადოების გასაბჭოება ატარებდა შეზღუდულ ხასიათს და შესაბამისად, არ ასახავდა ნონკონფორმისტულ და ოპოზიციურ ქცევებს, ისევე როგორც რეჟიმისადმი შეუთანხმებლობის მთელი სპექტრი თვით წინააღმდეგობის განევამდე⁸. იმავედროულად გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს მრავალეროვან მოსახლეობას შორის იყო არა მხოლოდ მსხვერპლი, არამედ იყვნენ ჯალათებიც – დიდი ტერორის ნებაყოფლობითი მომხრეები და თანამონაწილეები, რომლებიც ცდილობდნენ, გამოეყენებინათ „წმენდის“ ექსტრაორდინალური სიტუაცია თავიანთი დაჯგუფებებისა და რეგიონების ინტერესებისთვის. და მაინც, ეს მუზეუმი ინვესტს დამსახურებულ ინტერესს, თუ მოვახდენთ აბსტრაგირებას მისი აშკარა მისწრა-

ფილმი“. ფილმი 1984 წელსაა გადაღებული, ოღონდ არა კინოსტუდია „ქართული ფილმისთვის“, რომელიც მოსკოვის მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა, არამედ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიისთვის. იხ.: Christensen, J. Tengiz Abuladze's repentance and the Georgian Nationalist Cause//Slavic Review. 50. 1991. pp. 163-175; Blunk H. Die Geburt eines Spielfilms aus dem Geist einer postmodernen Ästhetik. Tengiz Abuladzes "Die reue" (Georgien/UdSSR 1984)// Deutsche Studien. Vierteljahreshefte. 30. 1993. № 119, S. 219-239.

7. ფორმულირება ეკუთვნის მუზეუმის ხელმძღვანელობას, გამოითქვა 2009 წლის ექსკურსიის დროს, რომელშიც წინამდებარე წიგნის ავტორებიც მონაწილეობდნენ. ამ გამოფენის ისტორიული ანალიზის აღწერა, როგორც ეს თავის დროზე ოკუპირებული ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მუზეუმების ექსპოზიციებისთვის გაკეთდა, ჯერ კიდევ არ გაკეთებულა. იხ.: Avro, V. Occupied Identities: National Narratives in the Baltic Museums of Occupation//Journal of Baltic Studies. 42. 2011. Nr. 2. C. 189-211.

8. ტერმინოლოგიის საკითხისათვის, იხ.: Kershaw, I. Der NS-Staat. Geschichtsinterpretationen und Kontroversen im Überblick. Hamburg 1999. C. 67; Kershaw I. Popular Opinion and Political Dissens in the Third Reich. Bavaria 1933-1945. Oxford 1983. C. 374-376; Beyrau D. Im Dschungel der Macht. Intellektuelle Professionen unter Stalin und Hitler. Göttingen, 2000. C. 10. ტერმინ „წინააღმდეგობის“ შესაბამისობის შესახებ კრიტიკული განხილვისთვის იხ.: Plum, G. Widerstand und Resistenz//Das Dritte Reich. Herrschaftsstruktur und Geschichte / Hrsg. M. Broszat, H. Möller. München, 1983. C. 263-264.

ფებისგან – გამოვიდეს საქართველოს დღევანდელი ეროვნული იდეის გამომხატველად. დოკუმენტები რეპრესიების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია სამუზეუმო ექსპოზიციებში, შთამბეჭდავად მონიშნავს შეუზღუდავ სახელმწიფოებრივ ძალადობას.

სერიოზული დაურწმუნებლობის დემონსტრირებაა ასევე მეთოდები, რომელთა საშუალებით საქართველო ცდილობს გაიაზროს და „გადახარშოს“ თავისი საბჭოთა წარსული. 2010 წელს, შუალამისას, ქ. გორში ფარულად აიღეს 1951 წელს აღმართული სტალინის უზარმაზარი ძეგლი, რომელიც მის უკან მდებარე ქალაქის მერიასა და ახლომდებარე სტალინის სახლ-მუზეუმთან ერთად, სტალინური არქიტექტურის მხატვრულ კომპლექსსა და ბელადის თაყვანისცემის კულტს ქმნიდა. ამ ქმედებამ სათავე დაუდო საზოგადოებრივი მეხსიერებიდან სტალინის გაძევებას კერპებთან ბრძოლის მანერით, რაც ასევე ნიშნავდა მისწრაფებას, განედევნათ საზოგადოებრივი სივრციდან ქვეყნის უახლესი ისტორიის კრიტიკული გააზრების ყველა მცდელობა⁹. ასევე დაგეგმილი იყო სტალინის მონუმენტური სახლ-მუზეუმის გადაკეთებაც, რომელიც არქიტექტურულად ვენეციურ დოჟთა სასახლეს ჩამოჰგავდა. მუზეუმის აშენება 1951 წელს გადაწყდა, ხოლო 1957 წელს, სკკპ XX ყრილობის ჩატარებისთანავე, იგი ოფიციალურად გამოცხადდა სტალინის მუზეუმად. მუზეუმის ექსპოზიცია მოდიფიცირებული იყო 1970-იან წლებში, ხოლო სსრკ-ის დაშლის შემდეგ მის შემადგენლობაში გაჩნდა რეპრესიებისა და მათი მსხვერპლისადმი მიძღვნილი დამატებითი სტენდები.

2012 წელს გორის საკრებულოს დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გამოფენისთვის შეენარჩუნებინათ მე-20 საუკუნის 70-იანი წლების კონცეფცია, შეიტანეს მხოლოდ ძალზე მცირე ცვლილებები. ზუსტად ასევე, 2010 წელს საკრებულოს მოთხოვნით მოხსნილი სტალინის ბრინჯაოს ძეგლი, ახლა უკვე საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, კვლავ უნდა დაიდგას – ამჯერად იმ სახლის წინ მდებარე ბულვარში, სადაც სტალინი დაიბადა (სტალინის გამზირი), რომელიც ჯერ კიდევ 1937 წელს კლასიკური სტილის ტაძრად გადაკეთდა¹⁰. ალტერნატიული ვარიანტის სახით, შემოთავაზებულია ძეგლის დაბრუნება მის პირვანდელ ადგილზე, ხოლო იმავდროულად მისი კვარცხლბეკი უნდა გადაკეთდეს დიდ მემორიალურ დაფად საქართველოსა და მთლიანად სსრკ-ში მასობრივი რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, მით უმეტეს, რომ ქ. გორის რკინიგზის სადგურისა და სახლ-მუზეუმის წინ და თვით სახლ-მუზეუმშიც უნდადებურად დგას სტალინის ძეგლები, თუმცა არა ასეთი დიდი და უფრო „ადამიანური“. რაც შეეხება სტალინის მუზეუმს, ცხადია, უფრო აზრიანი იქნებოდა, 1957 წელს დაცული საგამოფენო კონცეფციის გათვალისწინებით, სრულად აღედგინათ 1970-იანი წლების საგამოფენო კონცეფცია, ამით სტალინის მუზეუმი გადაიქცეოდა ჭეშმარიტი ისტორიულ მტკიცებულებად. აშკარად არ ღირს, რომ სტალინიზმის გასააზრებლად ამ დრომდე განხორციელებული მცდელობების მოკრძალებული შედეგები „ჩაინერგოს“ ძველ სამუზეუმო გამოფენაში. ეს საქმიანობა უნდა გახდეს სტალინიზმის შესწავლის დამოუკიდებელი სამეცნიერო ქართული ცენტრის საგანი, რომლის ერთ-ერთ სამუშაო ობიექტად ასევე გახდებოდა მსოფლიოში ერთადერთი სტალინის მუზეუმი. ყველა ეს დისკუსია და გეგმა ნათლად მიგვითითებს, რომ ქართული საზოგადოების მიერ საბჭოთა წარსულის, განსაკუთრებით სტალინური

9. Andronikashvili Z. Denkmalkultur in Georgien / Geisteswissenschaftliche Zentren Berlin. Bericht über das Forschungsjahr 2008. Berlin, 2009. S. 73-83.

10. Culture Ministry: Stalin Statue, Removed Three Years Ago, Planned to Be Put in His Museum//Civil Georgia, Tbilisi/30 July 2013 (<http://civil.ge/eng/article.php?id=26319&search=>) (20.11.2013); Stalins Heimatstadt Gori erhält dessen Denkmal wieder//<http://de.ria.ru/society/20130730/266580114.html> (16.10.2013).

პერიოდის გააზრების პროცესი უაღრესად წინააღმდეგობრივია და დასრულებისგან შორსაა.

ასეა თუ ისე, არა მხოლოდ „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“, რომელიც სახელმწიფოს ხელმძღვანელობით დაარსდა, არამედ მთლიანად ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს 1930-იანი წლების რეპრესიების არა მხოლოდ სტალინისა და ბერიას ბიოგრაფიათა ჩრილში განხილვას. პირველ ადგილზეა რეპრესირებული ქართული ელიტა. ამასთან, საქართველო აქაც მხოლოდ მსხვერპლის როლშია. შემდგომი მიმოხილვა უფრო მკაფიო სურათს იძლევა საქართველოში მომხდარი რეპრესიების თავისებურებათა შესახებ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, გიორგი ანჩაბაძის „საქართველოს ისტორიაში“, ძირითადად, გამოყოფილია ქართული ეროვნული ინტელიგენციის რეპრესიები: „საქართველო იყო სსრკ-ის ერთ-ერთი იმ რეგიონთაგანი, სადაც განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა რეპრესირების მანქანა [...]. რეპრესირებულთა შორის იყვნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ქართული კულტურის ისეთი შესანიშნავი მოღვაწენი, როგორებიც გახლავთ მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, პოეტები – ტიცციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, რეჟისორი სანდრო ახმეტელი, მეცნიერ-ფილოლოგი გრიგოლ წერეთელი, ღირიჟორი ევგენი მიქელაძე და მრავალი სხვა“¹¹.

ამ დროს, გ. ანჩაბაძე არ ახსენებს საქართველოს პარტიულ-საბჭოთა ფუნქციური ელიტის მიმართ განხორციელებულ მასშტაბურ რეპრესიებს. ასეთი მიდგომა გეზს აძლევს თემის ინტერნაციონალურ ისტორიოგრაფიასაც. მაგალითად, ამერიკელი ისტორიკოსი რონალდ სუნი წერს: „1936-1937 წლებში, ე.წ. დიდი წმენდის დროს, ტერორის მსხვერპლი გახდა ურიცხვი ქართველი მწერალი, მხატვარი და მეცნიერი, მასწავლებელთა თითქმის მთელი კორპუსი და უნივერსიტეტის მრავალი სტუდენტი. ერი თავმოკვეთილი იყო“¹². სტრუქტურულ-ისტორიულ მიმართებაში რ. სუნი უფრო შორს მიდის: „საქართველო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, 1928 წლიდან 1953 წლამდე უფრო საფუძვლიანად გარდაიქმნა, ვიდრე მისი სამიათასწლოვანი ისტორიის ნებისმიერ სხვა ანალოგიურ პერიოდში“¹³.

რეპრესიები ისეთი ცნობილი ქართველი ბოლშევიკების მიმართ, როგორებიც იყვნენ მამია ორახელაშვილი, ლავრენტი ქართველიშვილი, ლევან ლოლობერიძე, სამსონ მამულია, მიხეილ კახიანი, მიხეილ ოკუჯავა, ზუდუ მდივანი, შალვა ელიავა და სხვები, პირველად მოხსენიებულ იქნენ ქართველ ისტორიკოსთა სხვა შრომებში¹⁴.

პირველი, შედარებით სერიოზული კვლევა დიდი ტერორის მსხვერპლთა შესახებ საქართველოში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლის, ალექსანდრე დაუშვილის მიერ

11. http://www.parliament.ge/pages/archive_en/history/ (12.10.2013). კომისია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხების შესახებ მოქმედებს ამ მოსაზრების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც რეპრესიები აფხაზი ინტელიგენციის მიმართ 1937 წელს თითქოსდა იყო გამოწვევის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიაში, რომლებიც ყველა დანარჩენ შემთხვევაში არ განიცდიდნენ რაიმე დისკრიმინაციას. იხ.: http://www.parliament.ge/files/613_8103_569858_recomendat_7_06_2006.pdf (07.01.2013). და მაინც, სხვა შემთხვევაში ანჩაბაძე ყველა თავისი ოჯახის ისტორიას. იხ.: Anchabadze G. Mass Terror in the USSR: The Story of One Family//Caucasus Analytical Digest. 01.12.2010. № 22 <http://www.css.ethz.ch/publications/pdfs/CAD-22-13-16.pdf> (11.01.2014).

12. Götz R., Halbach U. Politisches Lexikon GUS. München, 1992. C. 90. იხ.: Suny R. The Making of the Georgian Nation. Indiana, 1994. C. 272. ასევე, იხ.: ა. სონდულაშვილი, ინტელიგენცია და პოლიტიკა მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში//კლიო (საისტორიო აღმანახი). 2000. № 8. გვ. 158-183.

13. Suny. The Making... გვ. 280.

14. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბახტაძე, საქართველოს ისტორია. ნაწილი 2. (http://www.gumer.info/bibliotek_Buks/History/Vachn/33.php) (16.10.2013).

1997 წელს გამოქვეყნდა¹⁵. წიგნის სახელწოდებიდან გამომდინარე, ავტორმა მასობრივი რეპრესიები ქ. თბილისის სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივების მაგალითზე შეისწავლა. თუმცა მონოგრაფიის პირველ ნაწილში უპირატესად საუბარია ბოლშევიკების მოდერნიზებულ მცდელობებზე საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ფორმით, წვრილი კუსტარული წარმოების საფაბრიკო კოლექტივებად ტრანსფორმაციაზე, არაკვალიფიციური სამუშაო ძალის სოფლებიდან დედაქალაქში მიგრაციაზე, აგრეთვე მძიმე მრეწველობის საწარმოთა გამაჩანაგებელ მშენებლობებზე და დაკანონებული სახელმძღვანელო იდეოლოგიის სახით მარქსიზმ-ლენინიზმის დამყარებისათვის ბრძოლაზე. რეპრესიებზე წიგნის მხოლოდ მეორე ნაწილშია საუბარი. თუმცა ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას პარტიული ელიტისა და საწარმოთა მმართველი პერსონალის მიმართ განხორციელებულ რეპრესიებზე ამახვილებს, საწარმოს მუშები კი მის მიერ მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები. ავტორისთვის, მისივე მტკიცებით, მეტად მნიშვნელოვანი იყო, აღენერა „დევის კლიმატის“ ზოგადი ნიშნები, ასევე მათეზღარობა და „თვითნებური“ რეპრესიები. შედეგად, არ არის დიფერენციულად განხილული, განსხვავდებოდა თუ არა რეპრესიები ელიტის მიმართ, და თუ განსხვავდებოდა, როგორი იყო სხვაობა უბრალო მოსახლეობის ან ეთნიკური ჯგუფების დევნასთან შედარებით. ამრიგად, ეს კვლევა ამტკიცებს ტრადიციულ შეხედულებას, რომლის თანახმად დიდი ტერორი უპირატესად მიმართული იყო ელიტის წინააღმდეგ¹⁶. წყაროები, რომლებიც ა. დაუშვილმა გამოიყენა, მხოლოდ პარტიული არქივის მასალები და ქართული პარტიული გაზეთი „კომუნისტი“ა. ავტორი, პრაქტიკულად, არ ეყრდნობა მეორად ლიტერატურას, ხოლო ის პუბლიკაციები, რომლებიც მოხსენიებული აქვს, დანერვილია საბჭოთა პერიოდში, უპირატესად წამყვანი (ქართველი) ბოლშევიკების მიერ. მან არ გამოიყენა თანამედროვე დასავლური ან რუსული კვლევები. მთლიანობაში მონოგრაფია კონცეპტუალურად ჩამორჩება ტოტალიტარიზმის საკითხებისადმი მიძღვნილ 1950-იანი წლების შრომებსაც კი¹⁷.

საქართველოს ისტორიის ახალი, მიმოხილვითი სახის კვლევების თანახმად, რეპრესიებს ემსხვერპლა არა მხოლოდ ელიტა, არამედ მთელი ქართული საზოგადოება, თუმცა ეს დებულება შემდეგ აღარ ვრცელდება¹⁸. ერთადერთი გამონაკლისია გეოგრაფ რევაზ

15. ა. დაუშვილი. თბილისი, 1937. მასობრივი რეპრესიები თბილისის სამრეწველო-შრომით კოლექტივებში. თბილისი, 2010, გვ. 130-137.

16. კავკასიის სხვა რეგიონებთან მიმართებაში ასევე აღინიშნება მასობრივი რეპრესიების შესახებ კვლევათა სიმცირე. შედარებით უკეთაა შესწავლილი ელიტის რეპრესიათა საკითხი, რომელთა ფარგლებშიც შინაპრობის მიერ განხორციელებული მასობრივი ოპერაციები გაკვრით მოიხსენიება. აზერბაიჯანის შემთხვევაში, აუცილებელია ვახსენოთ ი.ბაბეროვსკის მონოგრაფია: Baberowski J. “Der Feind ist überall”. Stalinismusim Kaukasus. Berlin, 2003, ხოლო სომხეთის შემთხვევაში: Melkonian E. Repressions in 1930s Soviet Armenia//Caucasus Analytical Digest. 22. 2010. გვ.6-8; Manukian A. [Political repressions in Armenia in 1920-1953].Yerevan, 1999 (სომხურ ენაზე). აზერბაიჯანის უბრალო მოსახლეობის მიმართ განხორციელებული რეპრესიები განხილულია ნაშრომში: Ismailov E. 1937.“Great Terror” in Azerbaijan//Caucasus Analytical Digest. 22. 2010. გვ. 9-12.

17. ამ ფონზე არსებითად გამოიყოფა ვენდი გოლდმანის მონოგრაფია, რომელიც „რევიზიონისტიული“ ტრადიციის მიხედვითაა დანერვილი. მასში ავტორი განიხილავს მშრომელთა კოლექტივებისა და პროფესიული კავშირების კვლევას და ცდილობს „რეპრესიათა“ სოციალური დინამიკის გამოვლენას. იხ.: Goldman W. Z. Terror and Democracy in the Age of Stalin. The Social Dynamics of Repression.Cambridge, 2007.

18. Asatiani N., Janelidze O. History of Georgia. From Ancient Times to the Present Day. Tbilisi, 2009. გვ. 387. ა. სონღულაშვილის პუბლიკაცია წარმოადგენს მსჯელობას მორალის სულისკვეთებით, გარდაქმნის პერიოდის ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით. იხ.: ა.სონღულაშვილი. საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის პრობლემები. კლიო (საისტორიო აღმანახი). 2000. № 9. გვ. 109-136. დღესდღეობით ერთადერთი ზოგადი განხილვა საქართველოს მთელი საბჭოთა პერიოდის შესახებ 1921-1990 წლებში მოცემულია ნაშრომში:

ა. დაუშვილი, მ. ნათმელაძე. საქართველოს უახლესი ისტორია.

გაჩეჩილაძის ნიგნი „ჩემი მე-20 საუკუნე“, რომელიც გეოპოლიტიკურ ჭრილშია დაწერილი და შევსებულია ავტორის მოგონებებით. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რეპრესიები შეეხო მოსახლეობის ყველა ფენას და პირად მაგალითად მოყავს საკუთარი ბიძის – რევაზის შემთხვევა. ეს უკანასკნელი სამშენებლო ობიექტს ხელმძღვანელობდა და დააპატიმრეს 1937 წლის 4 სექტემბერს¹⁹.

თავის მხრივ, მოვლენების თვითმხილველი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი გერონტი ქიქოძე 1954 წლის ფარულ ჩანაწერებში 1937 წლის „თეთრი“²⁰ ტერორის შესახებ წერდა: „გასამართლებულ უპარტიოთა რაოდენობა ბევრად მეტი იყო. იშვიათად თუ ჰქონდა რომელიმე მათგანს თუნდაც ბუნდოვანი წარმოდგენა შიდაპარტიულ ბრძოლაზე და ისინი ყველა, უდავოდ, ლოიალურად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს. მრავალი უპარტიო მოქალაქე დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ამა თუ იმ მიზეზით გამოიწვიეს თბილისის ტრიუმფირატის, ან ადგილობრივი რწმუნებულების ეჭვი, ან იმიტომ, რომ ვინმე დამსმენმა ისურვა მათი ბინის, ან თანამდებობის ხელში ჩაგდება“²¹.

საქართველოში 1930-იანი წლების რეპრესიების შესახებ ინფორმაციის „პირველი ხელიდან“ აკუმულირების მისწრაფება დამახასიათებელია იმ საგამომცემლო პროგრამებისთვის, რომელთა ფარგლებშიც ადგილი აქვს მცდელობებს, რომ შეგროვდეს და გამოქვეყნდეს ეპოქის ჯერ კიდევ ცოცხალ თანამედროვეთა მოწმობები. მსგავსი „მემუარული“ ლიტერატურის ერთ-ერთ პირველ ნაწარმოებს, რომელიც 1937 წლის მოვლენებს ეძღვნება, მიხეილ მგალობლიშვილის (1902-1977) ჩანაწერები წარმოადგენს. მისი ავტორის შემთხვევაში საქმე გვაქვს ფუნქციური საბჭოთა ელიტის საშუალო ფენის წარმომადგენელთან. მ. მგალობლიშვილი კულტურის სფეროში მუშაობდა, თავდაპირველად – პროფკავშირის საკლუბო მოძრაობაში²². 1972 წელს დაწერილი და პირველად 1990 წელს გამოქვეყნებული მისი მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ასახავს რეპრესიების აღქმასა და ცოდნას იმ ადამიანის მიერ, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი იყო შიდა, ფართო საზოგადოებისთვის ფარული ინფორმაცია. ისინი ასევე მოიცავს ცნობებს იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც იგი პატიმრობასა და გადასახლებაში შეხვდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1954 წელს, გადასახლებისა და რეაბილიტაციის შემდეგ, მ. მგალობლიშვილი სკკპ წევრი გახდა და მუშაობა განაგრძო კულტურის მართვის ორგანოებში. მისი პირადი მოსაზრებები, როგორც სხვა – პარტიის ყოფილი წევრების – აზრები, რომლებიც ასევე გაუბედურდნენ, როგორც ჩანს, მთლიანად აიხსნება სტალინის პიროვნების კულტის ხრუშჩოვისეული კრიტიკით. მ. მგალობლიშვილი აღნიშნავს ქართველების მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ვიატსკის ბანაკებში. და თუმცა მემუარების ავტორი ავლენს მკვეთრად გამოხატულ ეთნიკურ ცნობიერებას, იგი არ განიხილავს საქართველოს, როგორც სტალინური ტერორით განსაკუთრებით დაზარალებულ მსხვერპლს, მისი მოგონებები მთლიანობაში საბჭოთა კავშირის ისტორიას ეძღვნება. სიფრთხილისა თუ საკუთარი რწმენის მიზეზით, იგი თავს იკავებს 1937-1938 წლების რეპრესიების შეფასებისგან.

19. რ. გაჩეჩილაძე. ჩემი XX საუკუნე. წინა საუკუნის საქართველო მსოფლიო გეოპოლიტიკის და ისტორიის კონტექსტში. I ტომი. თბილისი, 2008. სსრკ-ში მასობრივი რეპრესიების შესახებ იხ. გვ. 292-300, საქართველოში – გვ. 298-299.

20. გ. ქიქოძის განსახლვრება.

21. Kikodze. Notes of a Contemporary Man. P. 89.

22. ავტორმა თავისი ხელით დაწერა მოგონებები 1972 წელს, 107 გვერდზე, მაგრამ შიშის გამო ამის შესახებ არავის ეუბნებოდა. მისი ჩანაწერები მხოლოდ 16 წლის შემდეგ გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (4, 11, 18.03. 1988). იხ.: მ. მგალობლიშვილი. 1937 – რეპრესირებულის მოგონებები (მ. ანთაძის წინასიტყვაობით ავტორის ცხოვრების შესახებ). თბილისი, 1990.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოაქვეყნა მასალები გეოლოგ გრიგოლ ვაშაძის (1901-1990) პირადი არქივიდან. ქ. ჭიათურის მკვიდრი, სოციალ-ფედერალისტი გ. ვაშაძე მიეკუთვნებოდა საქართველოს მთავარ ინტელექტუალურ დინებას. 1924 წელს მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყებაში, რომელიც ჩაახშეს. მისი პირადი არქივი მოიცავს საქართველოში „სოციალიზმის ძლევა მოსილი სვლის“ პერიოდთან დაკავშირებულ საკუთარ შენიშვნებსა და ლიტერატურულ ნაშრომებს²³. გ. ვაშაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს 20-30-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. მამამისი – მღვდელი ბესარიონ ვაშაძე 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა, რომლის დღიურიც, სამწუხაროდ, უკვალოდ გაქრა. შემორჩენილია მისი მოკლე მიმოწერა პატიმარ მამასთან (საქმე №№ 27-44, ასევე გეოლოგის პირადი უბის წიგნაკები (საქმეები №№ 53-57, 68), რომლებიც მოიცავს მონაცემებს 1937-38 წლების რეპრესიების შესახებ ქ. ქუთაისში. მთლიანობაში ეს არის ომამდელი წლების ავთენტური დღიურის ჩანაწერები, რომელთა ნაწილიც მოგვიანებით – 1952-1980 წლებშია გაკეთებული. რეპრესიებზე საუბრისას გ. ვაშაძე მსხვერპლთა შორის მოიხსენიებს მათ, ვინც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. როგორც პოლიტიკური მოვლენების ანგაჟირებული თანამედროვე, იგი სინანულს გამოთქვამს, რომ კომუნიზმი – რელიგიად, სტალინი კი ღვთის მსგავს ბელადად იქცა.

1980-იანი წლების შუა პერიოდში ასევე გამოქვეყნდა 1938-1952 წლებში საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივნისა და ლავრენტი ბერიას შემცვლელის, კანდიდ ჩარკვიანის მემუარები. იგი, როგორც „კულაკური“ სამეულის წევრი, დიდი ტერორის დასკვნით სტალიანზე მონაწილეობდა მასობრივ რეპრესიებში. თავის მოგონებებსა და შვილთან საუბრებში ჩარკვიანმა შეძლო საკმაოდ დანვრილებით გადმოეცა თავისი პოლიტიკური კარიერის უამრავი წვრილმანი, მაგრამ 1937-1938 წლების რეპრესიებს ერთი სიტყვითაც არ ეხება²⁴. გელა ჩარკვიანი მემუარების წინასიტყვაობაში მამას ახასიათებს, როგორც „ჭეშმარიტ ჰუმანისტს“, რომელიც შესაძლებლობების ფარგლებში ყოველთვის აკეთებდა მხოლოდ კარგს. მის საუბრებში მამასთან, ძირითადად, დომინირებს პარტიული იერარქიის თვალსაზრისი, რომელიც ჩარკვიანის გადაყენების შემდეგ განიცდიდა შიშს თავისი სიცოცხლის გამო. შედეგად „სტალინის პიროვნების კულტის“ ხრუშჩოვისეული კონცეფცია აქ მოწონებულია, როგორც დიდი ხნის ნანატრი სტრატეგია, რომელმაც პარტიულ ნომენკლატურას შიშის ტვირთი მოხსნა. საუბრებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ჩარკვიანის მცდელობები საქართველოს კულტურული თვითმყოფადობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ხოლო როდესაც საქმე ეხება ჩარკვიანის სტალინისადმი დამოკიდებულებაზე, აღწერილია მათი სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მამა-შვილ ჩარკვიანების საუბრებში გამოხატულია როგორც ერთ-ერთი რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ფორმალური კავშირები მოსკოვურ ცენტრთან. მთლიანად ჩარკვიანის მოგონებები ასახავს გარდაქმნის პერიოდის საქართველოსთვის დამახასიათებელ ნარატივს „ქართული სულის, ქართველობის შესანარჩუნებლად და დასაცავად“. მაგრამ აქვე, ერთი ამოსუნთქვით, ჩარკვიანი კატეგორიულად უარყოფს აფხაზეთის

23. გრიგოლ ვაშაძის პირადი არქივი. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი, 2009. (<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000562/New%20Microsoft%20Word%20Document.pdf> – 15.07.2013) 1937-1941 წწ. პერიოდის აღწერა იხ. გვ. 127-133. (<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000562/New%20Microsoft%20Word%20Document.pdf> – 15.07.2013).

24. კ. ჩარკვიანი. განცდილი და ნააზრევი. წიგნი პირველი. თბილისი, 1985; რეპრინტი „განცდილი და ნააზრევი, 1906-1994. მოგონებები. შემდგენელი ზ. ჯიბლაძე, თბილისი, 2004; გ. ჩარკვიანი. ინტერვიუ მამასთან. კანდიდ ჩარკვიანი სტალინის, ბერიასა და გვიანდელი სტალინური ეპოქის საქართველოს შესახებ. თბილისი, 2013.

„გაქართველებას“ 1930-1940-იან წლებში, რასაც მძაფრად აკრიტიკებდნენ აფხაზები 1980-იანი წლების დასასრულს²⁵. მისი აზრით, შეცდომას უშვებდა მხოლოდ სტალინი და მისი უახლოესი გარემოცვა, რომლებმაც მოახდინეს მთელი ხალხების, მაგალითად, თურქი მესხების დეპორტაცია. მაგრამ აქაც არ იყო საუბარი საქართველოს პირველი პირის რაიმე პასუხისმგებლობაზე დანაშაულთა გამო.

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთკავკასიური ბიურო და გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების კავშირის საერთაშორისო განყოფილება (DVV Internationas), დაწყებული 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან, ხელს უწყობენ საქართველოს საბჭოთა წარსულის შესასწავლად და გასააზრებლად მიმართულ მოღვაწეობას. ისინი ერთობლივად მონაწილეობდნენ ქართული პარტნიორი ორგანიზაციის Soviet Research Laboratory (SovLab) შექმნაში, რომელიც მონოდებული იყო, გამხდარიყო სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალა უახლეს ისტორიულ წარსულთან ურთიერთობაში.

SovLab-ის და DVV-International-ის მრავალრიცხოვანი პროექტებიდან უნდა აღინიშნოს წიგნი, მიძღვნილი 13 რეპრესირებული ქალის ბედისადმი, რომლებსაც თავად ყვებიან²⁶. მათგან ოთხი 1936-1938 წლების დიდი წმენდის მსხვერპლი იყო. ასე, მაგალითად, მინადორა ტოროშელიძე, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, შემდეგ კი განათლების სახალხო კომისრის მალაქია ტოროშელიძის მეუღლე, 1936 წელს სსრკ შინსახკომთან არსებული საგანგებო სათათბიროს გადაწყვეტილებით გადაასახლეს ყაზახეთში 5 წლით. მთლიანობაში იგი 14 წელიწადი იჯდა, ვინაიდან შემდგომ ისევ დააპატიმრეს. საგანგებო სათათბიროს განაჩენი ასევე მიძიმედ აისახა სკულპტორ რაისა აბრამია-მიქაძის ცხოვრებაზე. მას მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში 8 წლით, თბილისში დაბრუნდა მხოლოდ 1947 წელს. ლარისა ქრისტოვსკაია 1937 წელს „კულაკურმა“ სამეულმა გაასამართლა და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ბანაკებში, სადაც მან სრულად მოიხადა სასჯელი²⁷. ამავე სამეულმა 1938 წელს 8 წლით გააგზავნა ალათი მესხია შრომა-გასწორების ბანაკში, სადაც, როგორც მისი ქალიშვილი იტყობინება, ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა²⁸. ტოროშელიძე, მიქაძე და მესხია რეპრესირებულნი იყვნენ, როგორც „სამშობლოს მოღალატეთა ცოლები“. ქალებს დღემდე ვერ გაუგიათ, რის გამო იყვნენ მსჯავრდებულნი. ერთადერთ ახსნას წარმოადგენს მთარული შტამპი იმ დროს გამეფებული თვითნებობის შესახებ. მთლიანად, გამომცემლის სიტყვებით, ძალზე ძნელია ქალების დაყოლიება, რომ საჯაროდ რამე თქვან. ქალებს ამ დრომდე ეშინიათ იმ პრობლემების, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ, თუ ღიად ისაუბ-

25. საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ აკაკი მგელაძემ თავისი ხედავა აფხაზეთის პრობლემის შესახებ დაასაბუთა 1952 წლის 4 დეკემბრის სრულიად საიდუმლო წერილში სტალინისადმი. იგი ამართლებდა აფხაზური სკოლების გაქართულებას მათი მუშაობის ცუდი მაჩვენებლებით. იხ.: <http://www.pseudology.org/Menshevik/MgeladzeAI.htm> (03.01.2014). ქართველი მგელაძე ხელმძღვანელობდა აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციას 1943 წლიდან 1952 წლამდე. იხ.: აფხაზეთი საბჭოთა ეპოქაში. გვ. 66, 81-87 (პირველი „აფხაზური“ წერილი 25.02.1947 წ.).

26. იხ. დაკარგული ისტორია. მესხიერება რეპრესირებული ქალების შესახებ/ა. მარგველაშვილი, ირაკლი ხვადაგიანი, გიორგი შაიშმელაშვილი, დავით გოგიშვილი. თბილისი, 2012. წიგნის მიხედვით გადაღებულია დოკუმენტური ფილმი, მასვე მიეძღვნა მოძრავი გამოფენა, რომელიც ასევე ექსპონირებული იყო გორში, სტალინის მუზეუმში. იხ.: ფილმი სუბტიტრები ინგლისურ ენაზე: <http://www.youtube.com/watch?v=WfkrfKY-3E8>.

27. საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის („კულაკური“ სამეული) სხდომის ოქმი № 34. 15.10.37// საქართველოს შსს არქივი, I განყოფილება. ფ. 8. საქმე 37 394. ტომი 1. ფ. 23.

28. საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის („კულაკური“ სამეული) სხდომის ოქმი № 6222.02.38// საქართველოს შსს არქივი, I განყოფილება. ფ. 8. ტომი 2. საქმე 38 446. ფ. 39.

რებენ წარსულზე და მათ მიერ გადატანილ ტანჯვაზე²⁹.

ამ ყველა სხვა მხრივ მნიშვნელოვანი და საყურადღებო წიგნის ნაკლი, რაც ხშირია ხოლმე მსგავსი გამოცემების დროს, ისაა, რომ პირველ რიგში მისი გვერდები დაეთმო ქალებს, რომლებიც საქართველოს ქალაქური ელიტის „უმაღლეს“ წრებს წარმოადგენდნენ. რეპრესირებული სოფლის მოსახლეობისა და ქალაქური პროლეტარიატის ძირითადი მასა უწინდებურად „დამუნჯებული“ და დროის დისტანციის სულ უფრო გაზრდის მიზეზით, ასეთად დარჩება სამუდამოდ.

DVV-ს და SovLab-ის კიდევ ერთ პროექტს წარმოადგენს საქართველოში სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა მასობრივი სამარხების მოძიება და თემატიზაცია. საქართველო რჩება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ერთ-ერთ იშვიათ რესპუბლიკად, სადაც ამ დრომდე ჯერ კიდევ არ გამოუვლენიათ საბჭოთა პერიოდის მასობრივი სამარხები. პროექტი, რომელიც 2012 წელს დაიწყო, ხორციელდება სახელწოდებით Soviet Era Mass Graves in Georgia (1921-1952).

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთკავკასიის ბიურო, საერთაშორისო ფონდ „მემორიალთან“ ერთად, ასევე მხარს უჭერდა 18 ადამიანის მოგონებების შეკრებასა და გამოქვეყნებას – ესენი არიან საქართველოს რეპრესირებულ მოქალაქეთა შვილები, რომელთა დედებიც 1937-1946 წლებში სამშობლოს მოღალატეთა ცოლებისთვის განკუთვნილ ბანაკ „ალჟირში“ (სამშობლოს მოღალატეთა ცოლების აკმოლინსკის ბანაკი) იხდიდნენ სასჯელს.

ამ „ბავშვურ“ მოგონებებში საუბარია მამების დაპატიმრებაზე, დედებთან განშორებაზე, მათ გაჭირვებულ ცხოვრებაზე ბანაკებში, ასევე დისკრიმინაციის საკუთარ გამოცდილებაზე, რაც წლების განმავლობაში გრძელდებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან მათ, როგორც „ხალხის მტრების ნათესავთა“ მიმართ. ეს 18 მაგალითი, რომელიც სსრკ-ში არსებული დაახლოებით 18.000 შემთხვევის მცირე ნაწილს შეადგენს, ნათლად ავლენს იმის მექანიზმთა მთელ სპექტრს, თუ როგორ უმკლავდებოდნენ ვითარებას „ხალხის მტრების“ შვილები, განსაკუთრებით ბრალისა და ბრალეულობის საკითხებთან მიმართებაში. მათგან ზოგმა უარი თქვა საკუთარ დედაზე, სხვებმა კი „მტრული საქმიანობისთვის“ ბრალი მამებს დააკისრეს. თუმცა, ყველა რეპრესირებულთა შვილმა შეძლო მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში პროფესიული კარიერის გაკეთება. ზოგი მათგანი ალკკ, ან სკკპ წევრი გახდა, რათა რეჟიმის მიმართ გაზრდილი ლოიალობით საზოგადოებრივი დაღისგან გათავისუფლებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოგონებები 2005 წელს ჩაინერა და 2008 წელს გამოქვეყნდა, მკითხველი მათ სტრუქტურულ-კრიტიკულ ანალიზს ვერ იპოვის³⁰. ამდენად, წარმოშობის წყაროთა ბაზის გაფართოებასთან ერთად, აუცილებელია საერთაშორისო კვლევით დისკურსში უფრო ინტენსიური ჩართულობა, ვინაიდან მოგონებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების მქონე წყაროს სათანადო დონეზე ანალიზი თანამედროვე თეორიული და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებას მოითხოვს³¹.

29. ავტორები მაღლობას უძღვნიან მათიას კლინგენბერგს წიგნის მიმოხილვისთვის.

30. “Alžiris“ pat'imarta port'ret'ebi – st'alinizmis ist'oriidan – Portraits of the prisoners of ALZHIR: History of Stalinism / Coct. N. Ležava, N. Bekišvili, Tbilisi: Heinrich Böll Stiftung South Caucasus Regional Office, 2008 (გამოქვეყნებულია მხოლოდ ქართულ ენაზე არსენ როგინსკის წინასიტყვაობით, რომელიც ეძღვნება „სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლებისათვის განკუთვნილი ბანაკის ისტორიას (გვ. 9-23). იხ. აგრეთვე რეფლექსიის მაღალი ხარისხის მქონე განათლებული ქალის მოგონებები, რომელიც არ შედიოდა საბჭოთა ელიტის რიცხვში: ლ. ქავთარაძე. 28 წელი გულაგში. თბილისი, 2008. გვ. 59. ცოტა ხნის წინ ნინო ციხისთავმა გამოაქვეყნა ლუკა ციხისთავის წერილი გულაგიდან. იხ.: წერილები ოჯახს (1937-1957)/ შემდგ. ნ.ციხისთავი. თბილისი, 2011.

31. მხოლოდ ისტორიკოსი გიორგი მაისურაძე, ბერლინის „ლიტერატურისა და კულტურის გამოკვლევის ცენტრის“

ყველა გამოკითხული პირი განათლებული, ნაწილობრივ ბურჟუაზიული ოჯახიდან იყო და მოგვიანებით მათი უმრავლესობა თავად გახდა ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი. თუმცა, ბოლო ათი წლის განმავლობაში განხორციელდა უბრალო მოსახლეობის ჩანერაც, მაგალითად, პუბლიკაციური პროექტის – „ქალების მეხსიერების“ ფარგლებში³². ამ შემთხვევაში საუბარია ინტერვიუზე, რომლის ცენტრშიც ხშირად აღმოჩნდება საკუთარი (დიდი) ოჯახის ისტორია, ან ცალკეული ეთნოსისაც კი. თავის მხრივ, ინტერვიუები ავლენს, მე-20 საუკუნის მოვლენებიდან რას და როგორ „იგონებენ“ ადამიანები თანამედროვე გარდამავალ საზოგადოებაში, საკუთარი ტრადიციების შენარჩუნების ინტერესით. განსაკუთრებით საინტერესოა ყურადღების გამახვილება საკუთარ ტრადიციებზე (მათ შორის „მოგონილზე“), რომლებსაც იცავენ ყოველდღიური სირთულეების მიუხედავად – კონკრეტული მიზნის გარეშე და დიდი ყოყმანით. ეს მოგონებები მეტად შინაარსიანია იმ მხრივ, თუ „რა“ და „როგორ“ აგონდებათ, განსაკუთრებით აღსანიშნავია „კოდის მონაცვლეობა“ – კოდური კომუტაცია ისტორიის ოფიციალურ ვერსიასა და მის კერძო, პირად ვერსიებს შორის³³.

პირად მოგონებებში მკაფიოდ ჭარბობს უსამართლობის ტრავმული გამოცდილება. გამოკითხულნი, როგორც წესი, იხსენებენ, თუ როგორ დაუპატიმრეს მშობლები, იგონებენ ასევე პაემანს დედასთან და მშობელთა დაპატიმრების შედეგებს მათ ცხოვრებაში, რაც არაა გასაკვირი³⁴. რეპრესიების მიზეზების ლოგიკური ახსნა და მათ შესახებ შეკითხვებზე პასუხის გაცემა განსაკუთრებით რთულია. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ თაობების ცვლის მიუხედავად, უწინდებურად მოქმედებს მრავალწლიანი ტაბუ პასუხის მოძებნაზე.

(Zentrum für Literatur- und Kulturforschung) თანამშრომელი, პროექტის „ფორსირებული მოდერნიზაციის აპორიები: ნაციონალური ფიგურაციები საბჭოთა იმპერიაში“ (Aporien forciertier Modernisierung: Figurationen des Nationalen im Sowjetimperium) ფარგლებში (პროექტის ხელმძღვანელი ფრანცისკა ტუნ-ხოენშტაინი) სწავლობს რეპრეზენტაციის ნაციონალური ქართული ფორმების ურთიერთდამოკიდებულებას მულტინაციონალურ საბჭოთა სახელმწიფოში. პროექტის აღწერა იხ.: <http://www.zfl.gwz-berlin.de/forschung/europaeische-kulturgeschichte/aporien/> (31.01.2013). მისი საჭურნალო სტატიები ასევე ხასიათდება ანალიტიკური გაჯერებით საჯარო დებატების დროს საქართველოს საბჭოთა წარსულის შესახებ და წარმოადგენენ უპირატესად ახალ, პროდასავლურ და ლიბერალურად განწყობილ უმცირესობას ქართული საზოგადოების შემადგენლობაში. იხ.: Die geschlossene Gesellschaft und ihre Hüter//ცხელი შოკოლადი, 46. 2009. გვ. 84-92; Die Rückkehr des Mittelalters//ცხელი შოკოლადი. 47. 2009. გვ. 90-104; Der Akzent Stalins und die Apokalypse der georgischen Sprache//ცხელი შოკოლადი. 48. 2009. გვ. 94-104; Patriotismus als Religion//Cxeli ok'oladi. 49. 2009. გვ. 86-96; Gemeinschaft und Gesellschaft//ცხელი შოკოლადი. 50. 2009. გვ. 90-98; Vom Pantheon zum Pantheon//ცხელი შოკოლადი. 53. 2009. გვ. 88-96. ცოტა ხნის წინ ეს სტატიები გამოქვეყნდა ნიგნის ფორმატში: გ.მაისურაძე. ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები. თბილისი, 2011.

32. იხ.: გ. ძონენიძე. თუშური ქრონიკები. მენშევიკური პერიოდი – სამანელები, თბილისი, 2004. ნიგნში აღწერილია საქართველოს მთიანი რეგიონის – თუშეთისა და მისი ვაინახური მოსახლეობის – ქისტების ისტორია, რომლებიც ჩეჩნებს მიეკუთვნებიან. ისინი 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებაში იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს კი შექმნეს ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის საბრძოლო ჯგუფი. ასევე იხ.: მ.ბერიძე. პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან. მესხეთი და მესხები. 1918-1944, თბილისი, 2004. ამ პროექტის კოორდინატორია ქალბატონი მარინა თაბუკაშვილი, რომელიც ღია საზოგადოება „საქართველოს“ მხარდაჭერით ხორციელდება და ქალთა საზოგადოება TASO-ს ხელმძღვანელობს, ასევე ფონდთან არსებული მოგონებათა კვლევის ცენტრი. იხ.: <http://taso.org.ge/cgi-bin/index.pl?l=2> ინგლისურ ენაზე: Georgian Narratives. A Century and Beyond / Tabukashvili (Comp.-ed.). M. თბილისი, 2013.

33. რაც შეეხება ამ განსხვავებას, საქართველოსთვის გვიან საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით იხ. Jones St. Old Ghosts and New Chains. Ethnicity and Memory in the Georgian Republic//Memory, History, and Opposition under State Socialism / Ed. by R. S. Watson. Santa Fe, 1994. P. 149-165.

34. პოლიტიკური საქართველო. XX საუკუნე/შემდგ. ბ.ცარახოვა. თბილისი, 2004. იხ.: ოსი ირინა გაზავეას მოგონებები (გვ. 57-58); გერმანელის, მაია გრესელის (გვ. 75), სომეხი მარგო კამენჯიანი-სასუნიაის (გვ. 120), ქართველი ჯულიეტა ფარულავას (გვ. 208).

გამოკითხულნი ზოგჯერ მეტ-ნაკლებად ღიად სვამენ კითხვას მათ უბედურებაში დამნაშავე პასუხისმგებელი პირის შესახებ. მაგალითად, 44 წლის აფხაზმა ქალბატონმა განაცხადა: „მოხუცები ამბობდნენ, რომ ჩვენს გადასახლებაში (აფხაზეთიდან შუა აზიაში, რისი მიზეზიც მეზობელ თურქეთში ნათესავების ცხოვრება გახდა) სტალინი იმდენად დამნაშავეა არააა, რამდენადაც ბერია“³⁵. განსაკუთრებით მწვავე გამოცდილებას გვიზიარებს ერთი ოსი ქალბატონი: მამამისის საფლავი იმ მიზნით გაასწორეს მიწასთან, რომ გარდაცვლილი აფხაზეთის ხელმძღვანელის, ნესტორ ლაკობას ერთ-ერთი თანამებრძოლი იყო, რომელიც სიკვდილის შემდეგ, 1937 წელს, „ერის მტრად“ გამოაცხადეს. ქალბატონის დედა გადაასახლეს. შინ დაბრუნების შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა. „ვერც წარმოიდგენთ, თუ რა გადავიტანეთ ბავშვობაში“, – თქვა მან³⁶.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ტერორის მსხვერპლთა უმრავლესობა საქართველოს სსრ-ში ერთმნიშვნელოვნად ქართული წარმოშობის იყო, ეს ციტატა ნათლად მიუთითებს, რომ ნაციონალური უმცირესობებიც არ იყვნენ დაცულნი რეპრესიებისაგან, ხოლო სახელმწიფო მოხელის მიერ ათვალწუნებულის მიმართ პოლიტიკური ლოიალობა დაზარალებულის თვალში ხშირად ეთნიკურ ნიშნებს ატარებდა და შესაბამისად, ასეთი რეპრესიები მათ მიერ აღიქმებოდა, როგორც „ეთნიკური წმენდა“³⁷.

რეპრესიებთან ერთად, ოჯახის წევრები და სიკვდილს გადარჩენილი რეპრესირებულები საზოგადოების მიერ დაღდასმულნი იყვნენ, ამიტომ მათთვის განცდილის შესახებ დღესაც კი რთულია საუბარი.

მიუხედავად ამისა, დღეისათვის ჭარბობს მოგონებები თანამედროვე ისტორიის უახლესი პერიოდისა და 90-იანი წლების კრიზისის შესახებ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოყვა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბოლო დროის ტრაგიკულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო რეპრესიებისა და მეორე მსოფლიო ომის ტრავმული გამოცდილების შესახებ მოგონებების განდევნას. გარდა ამისა, სტალინური რეპრესიების მსხვერპლნი ათწლეულების განმავლობაში იყვნენ დარჩენილნი საკუთარი თავის ანაბრად, რადგან 80-იანი წლების ბოლომდე – საჯაროობის პოლიტიკამდე, ამ თემის განხილვა შეუძლებელი იყო. საქართველოში ეს პროცესი მხოლოდ ახლა იწყება³⁸.

სამწუხაროდ, პრაქტიკულად არ არსებობს სამეცნიერო კვლევები, რომლებიც აღწერს საქართველოს სხვადასხვა მხარეში მომხდარი რეპრესიული აქციების თავისებურებებს და შეისწავლის რეგიონებში განხორციელებულ დევნას. ერთ-ერთი ემიგრანტის მიერ ჯერ კიდევ 1959 წელს გამოქვეყნდა სტატია აჭარის პარტიული ხელმძღვანელობის მიმართ განხორციელებული ტერორის შესახებ³⁹. აჭარა 1878 წლამდე ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო, ამ დროს მისი ქართველი მოსახლეობა გაამუხულმანეს. თვით აჭარაში არაერთი მცდელობა განხორციელდა 1937 წლის რეპრესიების შესასწავლად. მაგალითად, ოსიკო გვარიშვილმა 1937 წელს დახვრეტილი მამის ხსოვნის უკვდავსაყოფად წიგნი გამოსცა.

35. პოლიტიკური საქართველო. XX საუკუნე. გვ. 13.

36. იქვე. გვ. 57.

37. Blauvelt T. K. Abkhazia. Patronage and Power in the Stalin Era//Nationalities Papers. 35. 2007. № 2. P. 203-232.

38. ფსიქოლოგ-კლინიცისტი იანა ჯავახიშვილი უკვე რამდენიმე წელია ინტერვიუს იღებს 1937-1938 წწ. რეპრესიების მსხვერპლთა ოჯახის წევრებისგან, რათა შეისწავლოს ტრავმატული გამოცდილების ტრანსლაციის ფორმები და ხერხები. სამწუხაროდ, მას ჯერ არ გამოუქვეყნებია თავისი კვლევის შედეგები, როგორც ამას უკვე ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ბალტიისპირეთში. იხ.: The Psychology of Extreme Traumatization. The Aftermath of Political Repression (Genocide and Resistance Research Centre of Lithuania) / Gailienė, Danutė (Ed.). Vilnius, 2005.

39. Hadjibeyli D. The 1937 Trials of Adzharian Leaders//Caucasian Review. 1959. № 8. P. 21-26.

მასში სხვა რეპრესირებულებიც არიან დასახელებულნი⁴⁰.

ექიმმა ავთანდილ ქურხულმა მოგონებების წიგნში „...და რომ გახსოვდეს“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საარქივო მასალებს ეყრდნობა და დღეს საქართველოს შსს არქივშია დაცული. წიგნი ლექსიკოგრაფიული ხასიათისაა და 1921-1953 წლების იმ პოლიტიკურ რეპრესიებს ეძღვნება, რომლებიც სამედიცინო პერსონალის მიმართ განხორციელდა. შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი დიქტატორული რეჟიმის დროს, რა იდეოლოგიურ პროპაგანდასაც არ უნდა ეწეოდეს ის, თვითნებობისგან საზოგადოების არც ერთი წევრი არ არის დაზღვეული. საქართველოში განხორციელებული რეპრესიების მსხვერპლ მედიკოსთა ჩამონათვალზე დაყრდნობითა და ერთეული შემთხვევების მაგალითზე, ქურხული გვარჯენებს იმდროინდელი სახელისუფლებო ორგანოების ფუნქციონირების მექანიზმებს. ამისათვის ის ფართოდ იყენებს როგორც შსს არქივში დაცულ საგამომძიებლო საქმეებს, ისე მის მიერ შეკრებილ დაზარალებულთა წერილობით მოგონებებს⁴¹.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, სერგეი შამბას ყურადღება, ძირითადად, აფხაზეთისკენაა მიმართული და ხაზს უსვამს იმ განსაკუთრებულ მსხვერპლს, რომელიც ამ ავტონომიურმა რესპუბლიკამ გაიღო. თუმცა მისი კვლევების ინტერესი, კოლეგა გ. ანჩაბაძისგან განსხვავებით, ძირითადად, პარტიული ელიტა და არა ინტელიგენცია⁴². ამასთან, ს. შამბა არ ითვალისწინებს საბჭოთა ელიტის პატრონაჟის კლანურ სისტემას. სტალინის ეპოქის ელიტის ეს სოციალ-სტრუქტურული თავისებურება, მათ შორის კავკასიაშიც, მხოლოდ დასავლელი ისტორიკოსების კვლევის შედეგია⁴³. ს. შამბა, თავის მხრივ, მიყვება საბჭოთა ტრადიციას და აფხაზეთის ისტორიას მხოლოდ პოლიტიკურ ისტორიად განიხილავს, იგი მას, თავის მხრივ, მწვავე პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად იყენებს.

2. წყაროთა ბაზა: მდგომარეობა და სირთულებები

საქართველოში დიდი ტერორის კვლევის პრაქტიკულად ხელუხლებელი ყამირის არსებობა, პირველ რიგში, საზოგადოების მოუმზადებლობით აიხსნება. მაგრამ სტალინიზმისა და მისი მასობრივი რეპრესიების მიმართ სერიოზული დაპირისპირებისადმი მოტივაციის არსებობის პირობებშიც კი სერიოზულ წინააღმდეგობას წარმოადგენს წყაროთა ბაზის პრობლემა. არა მხოლოდ ზემოთ წარმოდგენილი მემუარული ლიტერატურა და ინტერვიუები, არამედ მეხსიერების სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკა, მათ შორის ისტორიკოსთა შრომები, მწვავე და რთულად შესავსები ხარვეზის მქონეა, რისი მიზეზიც დიდი ტერორის პერიოდის იმ საარქივო დოკუმენტების უქონლობაა, რომელთაც შეეძლოთ მნიშვნელოვნად გაეფართოვებინათ და შეეცნათ არსებული ცოდნა. ამ დოკუმენტთა უმრავლესობა თბილისის 1991 წლის სამოქალაქო ომის დროს განადგურდა. საუბარია შინსახკომის ორგანოების დოკუმენტებისა და საბჭოთა პერიოდში გასამარ-

40. ო. მ. გვარიშვილი. სტალინი და ავბედიოი 1937 წელი. ბათუმი, 2000.

41. ავთანდილ ქურხული „...და რომ გახსოვდეს“, თბილისი, გამომცემლობა რეგთაიმი, 2004.

42. <http://www.kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1200511.html> (15.10.2013). უფრო დაწვრილებით ს. შამბას პოზიცია გადმოცემულია წინამდებარე წიგნის თავში „სადამსჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაცია“.

43. Blauvelt. Abkhazia. გვ. 203-232. იგორ მარჩუბას მიერ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, 16 თვის განმავლობაში აფხაზეთში დააპატიმრეს 2186 ადამიანი, მათგან დახვრიტეს 794. იხ.: აფხაზეთი საბჭოთა ეპოქაში. აფხაზური წერილები. 1947-1989. დოკუმენტების კრებული. ტომი 1./შემდგ. ი.რ.მარჩუბა. სოხუმი, 1994. გვ. 66.

თლებულ და შემდგომ რეაბილიტირებულთა სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობა, რომელშიც დაცული იყო რეაბილიტირებულთა საარქივო-საგამომძიებლო საქმეები, სამოქალაქო ომის დროს მთლიანად დაინვა. ზუსტად ასეთივე სავალალო ბედი ენია თბილისში მილიციის არქივს, რის შედეგადაც სამუდამოდ დაიკარგა უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია იმ სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციის მეთოდებისა და მექანიზმების შესახებ საქართველოში, რომლებიც დასახული იყო სკპ(ბ) ხელმძღვანელობის მიერ 1930-იან წლებში. მიუხედავად ამისა, გადარჩენილია დიდი რაოდენობის დოკუმენტური მასალა, მათ შორის ისინი, რომლებიც „დიდ წმენდას“ შეეხება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში⁴⁴. ქვემოთ მოყვანილია მათი მოკლე აღწერა.

საქართველოს შსს არქივი, I განყოფილება:

საქართველოს შსს არქივის I განყოფილებაში დაცულია საბჭოთა ისტორიის პერიოდის არარეაბილიტირებული პირების საგამომძიებლო საქმეები⁴⁵. საუბარია, ძირითადად, მილიციის ორგანოების მიერ აღძრულ საქმეებზე, ანუ სისხლის სამართლის დამნაშავეთა და ე.წ. დეკლასირებული ელემენტების (მარგინალების) საქმეებზე. საქმეთა აღნიშნული კომპლექსი სრულადაა შემონახული. მათ საფუძველზე შესაძლებელია სოციალურად მოტივირებული რეპრესიების სურათის აღდგენა.

რაც შეეხება „პოლიტიკური“ მუხლით აღძრულ საგამომძიებლო საქმეებს, გადარჩენილია მათი მეტად მწირე რაოდენობა, რადგან „პოლიტიკურ“ მსჯავრდებულთა უმრავლესობა რეაბილიტირებული იყო, ხოლო მათი საარქივო საქმეები კი – განადგურებულია. ამგვარად, გამოიკვეთა უჩვეულო სურათი: ისტორიკოსთა განკარგულებაში პრაქტიკულად არ არის პარტიული და საბჭოთა ფუნქციური ელიტის წარმომადგენლების, ისევე როგორც იმპერიის სამეფო კარის ელიტის წევრების წინააღმდეგ აღძრული საქმეები. ასევე დაკარგულია უბრალო, ან არაპრივილეგირებული მოსახლეობის დიდი ნაწილის საგამომძიებლო საქმეები: გლეხების, სოფლის მღვდლების, ბერების, მოლეებისა და მუშების, რომლებიც მასობრივი წესით გაასამართლეს და მათი რეაბილიტაციის პროცესი ჯერ კიდევ 50-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო.

საქართველოს შსს არქივის I განყოფილებაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტურ კომპლექსს ქმნის ე.წ. „დახვრეტილთა სიები“. მასში გაერთიანებულია განაჩენის სისრულეში მოყვანის ამსახველი არა მხოლოდ ფორმალური აქტები, არამედ თანდართული დოკუმენტებიც, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გაანალიზდეს „ხალხის მტრების“ გამოვლენის მექანიზმი, მსხვერპლის გადაცემა ერთი სადამსჯელო ინსტანციიდან მეორისთვის და ამ პროცედურების ამსახველი წვრილმანები, მათ შორის მითითებულია, თუ როგორ უნდა დაესაჯათ სიკვდილით მსხვერპლი – „მარჯვენა საფეთქელში გასროლით“⁴⁶.

რადგან შსს არქივის პირველ განყოფილებას ასევე გადაეცა „მილიციის“ არქივის საქმეთა კომპლექსი, მასში გაერთიანებულია აქტებისა და ბრძანებების კრებული, რომლებიც

44. საქართველოს შსს არქივი. I განყოფილების მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 72. E-mail: archive@mia.gov.ge. Web. site: http://archive.security.gov.ge/contact_eng.html. ამავე მისამართზე შეიძლება დაკავშირება არქივის სხვა განყოფილებებთან.

45. საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 6. პირველ განყოფილებაში საქმეები ინახება შემდეგი თანაფარდობით: 75% – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივი და 25% – მილიციის საქმეები.

46. საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12.

განკუთვნილი იყო მილიციის ორგანოებისთვის 1936-1938 წლებში⁴⁷. დირექტიული ხასიათის ეს წყაროები საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, თუ რა ზომით რეაგირებდა როგორც მოსკოვის, ასევე საქართველოს ხელმძღვანელობა ისეთ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სირთულეებზე, როგორებიცაა სპეკულაცია, ქურდობა, პროსტიტუცია, ხულიგნობა და სხვ. ამავე დროს, მილიციის მასალები აჩვენებს, რომ რეჟიმის მისწრაფება, გაეზარდა საზოგადოებაზე თავისი გავლენის ხარისხი, წარმოშობდა სერიოზულ სირთულეებს, რომელთა აღმოფხვრასაც ხელისუფლება საკუთარ მოვალეობად მიიჩნევდა, მათ შორის მასობრივი რეპრესიების გზით.

თუმცა სადამსჯელო ორგანოების ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებშიც 30-იანი წლების რეპრესიებია ასახული, 1937-1938 წლების დიდი ტერორის მასობრივი ოპერაციების ამსახველი დოკუმენტური მასალების შემორჩენილი კომპლექსი წარმოადგენს. პირველ რიგში, საუბარია საქართველოს სსრ შინსახკომის საგანგებო სამეულის, ე.წ. „კულაკური“ სამეულების ოქმებზე – სასამართლოსგარეშე განსაკუთრებულ ორგანოზე, რომელიც 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის ოქტომბრამდე მოქმედებდა. მან საქართველოში, სსრკ შინსახკომის № 00447 ოპერატიული ბრძანების – „კულაკების, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტების მიმართ“, 20.000-ზე მეტი ადამიანი გაასამართლა. ასევე შემონახულია შინსახკომის დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს ცნობებს ეთნიკური ნიშნით განხორციელებული ე.წ. ნაციონალური ოპერაციების შესახებ, რა დროსაც საქართველოში მასობრივად იდევნებოდნენ გერმანელები, პოლონელები, თურქები, ირანელები და სხვ., განსაკუთრებით – ე.წ. განსაკუთრებული (ნაციონალური) სამეულის ოქმები, რომლებიც თითქმის 500 მსჯავრდებულის შესახებაა მოყვანილი მონაცემები. ე.წ. „ალბომები“⁴⁸, ორეულების მიერ ნაციონალური ოპერაციების მსხვერპლთათვის მსჯავრის დადების შესახებ, რაც 1938 წლის სექტემბრამდე იყო მიღებული, საქართველოში დაკარგულია. სამაგიეროდ, შემონახულია ოქმები, რომლებიც მოიცავს ორეულების განაჩენებს ყოველი მსჯავრდებულის შემთხვევაში⁴⁹. ორეულის მიერ რეპრესირებული იყო დაახლოებით 1600 ადამიანი. ასევე ხელმისაწვდომია 1934-1938 წლების მილიციის სამეულების სხდომის ოქმები⁵⁰. ამ სამეულის მსხვერპლი გახდა 2200-ზე მეტი ადამიანი. თუმცა, ამ წყაროს არსებითი ხარვეზი აქვს – დაკარგულია 42 მნიშვნელოვანი ოქმი, კერძოდ 1937 წლის აპრილიდან 1938 წლის ივნისამდე (ოქმები

47. საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 98, 99, 112, 113. არქივში ასევე დაცულია 1920-1990 წწ. მასალები.

48. „ნაციონალური ხაზით“ ოპერაციების მსვლელობის დროს გამოიყენებოდა (შინსახკომის პრაქტიკაში პირველად) მსჯავრდების განსაკუთრებული, „ალბომები“ წესი: შინსახკომის სამმართველოების მუშაკები ადგილებზე, გამოძიების დამთავრებისას ადგენდნენ ცნობებს თითოეულ დაპატიმრებულზე წინადადებით განაჩენის შესახებ (დახვეტა ან ბანაკში პატიმრობა 5-10 წლით), ამ ცნობებს, დაკომპლექტებულს სპეციალურ სიებში („ალბომი“), ხელს აწერდნენ, რეკომენდებული ზომების მხარდაჭერით ან მათი კორექტირებით, შინსახკომის სამმართველოს უფროსი და ადგილობრივი პროკურორი, შემდეგ ალბომი იგზავნებოდა მოსკოვში, სადაც საბოლოო გადანყვებილებას იღებდნენ სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და პროკურორი. განაჩენებს აღასრულებდნენ ალბომების შინსახკომის ადგილობრივ სამმართველოებში დაბრუნების შემდეგ. მსჯავრდების ალბომური წესი მოქმედებდა 1938 წლის სექტემბრამდე. იხ.: ნ. ოხოტინი, ა. როგინსკი. შინსახკომის 1937-1938 წლების „გერმანული ოპერაციების ისტორიიდან. //რეპრესიები რუსეთის გერმანელების წინააღმდეგ. დასჯილი ხალხი. მოსკოვი, 1999. გვ. 39.

49. საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 92.

50. საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 9. 1935 წ. მაისამდე საუბარია ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მილიციის სამეულის ოქმებზე. შემდეგ თითოეულ კავკასიის რესპუბლიკაში შეიქმნა საკუთარი მილიციის სამეული.

№ 54/11-დან № 96-53-მდე). მაგრამ რამდენადაც არსებობს შესაბამისი საგამოძიებო საქმეები, დაკარგული მილიციის სამეულები ოქმები რთულად, მაგრამ მაინც ექვემდებარება აღდგენას⁵¹.

განსაკუთრებული ღირებულების მატარებელი სწორედ ამ სამი ტიპის „სამეულის“ ოქმების (კულაკური, განსაკუთრებული („ნაციონალური“) და მილიციის) „ქართული“ ნაწილია, რადგანაც მოიცავს ცეცხლის მიერ სრულად განადგურებული საარქივო-საგამოძიებო საქმეების მოკლე შინაარსს⁵².

საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება:

შსს არქივის მეორე განყოფილებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (ბოლშევიკების) ყოფილი არქივის დოკუმენტებია დაცული. მათგან რეპრესიების თემატიკის შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს „სრულიად საიდუმლო“ „განსაკუთრებული საქალაქები“. მათში, შინსახკომის მიმართ რესპუბლიკური ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი განკარგულებების ფორმატში, შემოკლებული სახით მოიპოვება რეპრესიების შესახებ მონაცემები, რომლებიც მოიცავს მითითებებს როგორც მასობრივი სადამსჯელო აქციების შესახებ, ასევე საქართველოს სახალხო კომისრების საბჭოს ჩინოვნიკების, პარტიული მდივნების, ფაბრიკების დირექტორებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეების საჩვენებელ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით⁵³. თუმცა „განსაკუთრებულ საქალაქებთან“ დიდი ნაკლი ისაა, რომ მათგან, როგორც წესი, ამოღებულია მასალები, რომლებიც თანდართული ჰქონდა ცენტრალური კომიტეტის სხდომების ოქმებს. სხვა მრავალრიცხოვან დოკუმენტში, „განსაკუთრებული საქალაქების“ გარდა, თითქმის არ არის ინფორმაცია რეპრესიების შესახებ, ან მათზე არაპირდაპირაა მითითებული. ამ დოკუმენტებში, უპირველეს ყოვლისა, არის მონაცემები საქართველოს ხელმძღვანელობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისტორიოგრაფიაში არსებობს მიდგომა, რომლის თანახმადაც უშუალო კავშირი იყო სოციალურ და სამეურნეო სირთულეებს შორის ადგილებზე და რეპრესიების განსაზღვრული მიზნობრივი ჯგუფების არჩევანს შორის.

კიდევ ერთი წყარო – შინსახკომის, მილიციისა და პროკურატურის პირველადი პარტიული უჯრედების სხდომის ოქმები – №1075 ფონდშია დაცული. თუმცა აქაც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, რეპრესიები გაკვირთაა ნახსენები და მსჯელობა ზედაპირულად ეხება მასობრივ ოპერაციებს⁵⁴. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საქმეები მწირ ინფორმაციას გვაძლევს.

რაც შეეხება თავად ჯალათთა ბიოგრაფიულ მონაცემებს, ისინი ცენტრალური კომიტეტის ყოფილ არქივშია დაცული, თუმცა არასრულად. საიდუმლო პოლიციის მრავალი თანამშრომელი რეგულარულად მოწმდებოდა პარტიული ორგანოების მიერ⁵⁵. მაგალითად, შემონახულია მასალები 1929 წელს შინსახკომის თანამშრომლების პარტიული წმენდის

51. თითოეულ საარქივო-საგამოძიებო საქმეში დევს სამეულის განაჩენის ოქმის ასლი მოცემული მსჯავრდებული პირის მიმართ.

52. „კულაკური“ სამეულის და „საგანგებო“ სამეულის („ნაციონალური ოპერაციები“) ოქმები დაცულია ფ. 9.

53. საქართველოს შსს არქივი. II განყოფილება. ფ. 14. განსაკუთრებული საქალაქები.

54. საქართველოს შსს არქივი. II განყოფილება. ფ. 1075.

55. საქართველოს შსს არქივი. II განყოფილება. ფ. 16. აღ. 18. ს. 27.

შესახებ⁵⁶. ყურადღებას იპყრობს შინსახკომის თანამშრომლების ბიოგრაფიები, რომლებიც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ მათი სოციალური წარმოშობის, სტატუსისა და საკუთარი ქმედებების თვითშეფასების თაობაზე. ასევე საინტერესოა პარტიული გამოძიების დოკუმენტები სადამსჯელო ორგანოების თანამშრომელთა შესახებ, ლ. ბერიას ხელისუფლებიდან ჩამოცილებისა და 1953 წელს მისი დახვრეტის შემდეგ⁵⁷.

საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი:

საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი სამოქალაქო ომის წლებში არ დაზარალებულა⁵⁸. რაც შეეხება რეპრესიის თემატიკას, ამ თვალსაზრისით ღირებულია სახელმწიფო პროკურატურის პირველი სპეცგანყოფილების დოკუმენტები. ამ განყოფილებას 1938 წლის ბოლოდან დაევალა საგამოძიებო საქმეების გადახედვა მსჯავრდებულთა ან მათი ნათესავებისგან შესაბამისი საჩივრის შემოსვლის შემდეგ⁵⁹. აქ ასევე დაცულია 1954 წელს შექმნილი სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის „ქართული“ კომისიის საქმეები⁶⁰.

3. შინსახკომის მასობრივი ოპერაციები 1937–1938 წწ.

ზემოაღწერილი ვითარება, საქართველოში 1937-1938 წლებში რეპრესიების დოკუმენტურ ბაზასთან დაკავშირებით, ნათლად ავლენს, რომ რესპუბლიკის ისტორიის ამ პერიოდის შესასწავლად ძირითად კომპლექსურ წყაროს სამი სხვადასხვა სამეულის ოქმები წარმოადგენს: „კულაკური“, განსაკუთრებული („ნაციონალური“) და მილიციის. სწორედ აღნიშნული დოკუმენტებია ჩვენი კვლევის ობიექტები. ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, სამეულთა აღნიშნული ოქმები საშუალებას იძლევა, კომპლექსურად იქნას შესწავლილი დიდი ტერორის ბირთვი, რომელიც სამი მასობრივი სადამსჯელო აქციის – კულაკურ-ნაციონალური ოპერაციებისა და მილიციის სამეულების სოციალურად მოტივირებული რეპრესიების ერთობლიობაა.

გარდა ამისა, შესაძლებელია როგორც ამ მასობრივი აქციების თავისებურებების გაანალიზება საბჭოთა ელიტის წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებთან შედარებით, ასევე მათი ურთიერთკავშირის შესწავლა⁶¹. ამასთან, მონაცემები რეპრესიების შესახებ „სტალინური სიების“⁶² საფუძველზე ასრულებს საკონტროლო მასალის როლს. საუბარია მსხვერპლთა სიებზე, რომლებიც მომზადებულია სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ, სადაც რეპრესიებისთვის განწირული ადამიანები განაწილებულნი არიან სსრკ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით. როგორც წესი, სიებში შეყავდათ საშუალო და უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ელიტის წარმომადგენლები, აგრეთვე „ყოფილები“,

56. საქართველოს შინსახკომის მუშაკთა პარტიული წმენდა საქართველოში 1929 წელს.//საქართველოს შსს არქივი. II განყოფილება. ფ. 16. აღ. 18. ს. 27.

57. საქართველოს შსს არქივი. II განყოფილება. ფ. 14. აღ. 3. ს. 124. ფ. 22-23.

58. არქივის თანამშრომლები, საკუთარი სიცოცხლის საფრთხის ფასად, ეწინააღმდეგებოდნენ შეიარაღებული ჯგუფების მიერ არქივის გატაცებას.

59. საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი. ფ. 498.

60. საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი. ფ. 633; ფ. 1275.

61. შინსახკომის სამი მასობრივი ოპერაციის მიმოხილვით აღწერა იხ. წინამდებარე გამოცემის თავში – „შინსახკომის მასობრივი ოპერაციები“.

62. იხ. ასევე წინამდებარე პუბლიკაციის თავი „სადამსჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაცია“.

„ძველი“ ელიტის წარმომადგენლები (უპირატესად კულტურის მოღვაწენი). ეს სიები, რომელთა 90%-ზე მეტი რეკომენდებული იყო დასახვრეტად, ვიზირებული იყო სტალინისა და პოლიტიბუროს წევრთა მიერ.

დოკუმენტების მეთოდოლოგიური ანალიზი, ძირითადად, საარქივო მასალის თავისებურებებით განისაზღვრება, კერძოდ – მისი მასობრივი წყაროს ხასიათით. ამგვარად, ჩვენ მიერ მეტწილად გამოიყენება პროსოპოგრაფიული მეთოდი – სამი მასობრივი ოპერაციისთვის („კულაკური“, „ნაციონალური“ და „მილიციის“) დამახასიათებელ მონაცემთა სამი ცალკეული ბანკის საფუძველზე, სისტემატურად მიიღება მხედველობაში და ანალიზირდება ისეთი მონაცემები, როგორებიცაა ასაკი, სქესი, საცხოვრებელი ადგილი და სხვა, ასევე სოციალური წარმოშობა და მსხვერპლთა აქტუალური სოციალური სტატუსი⁶³. ზუსტად ასეთი ინფორმაცია, რომელიც მონაცემთა ანალიზური ბანკის შედგენის ფარგლებშია მიღებული, გამოიყენება რეპრესიების დასახასიათებლად „სტალინური სიების“ საფუძველზე⁶⁴. წიგნის ის თავები და განყოფილებები, რომლებიც თემატურად ცდება მასობრივი რეპრესიების რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღწერას, ეფუძნება მონაცემებს, რომლებიც მიღებულია მასობრივი წყაროების ფართო დამუშავების შედეგად. ჩვენი მიზანია, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებისა და დიაგრამების საშუალებით, დავშორდეთ დიდი ტერორის ინტერპრეტაციისა და გააზრების სტერეოტიპულ ხასიათს, რათა საშუალება გვქონდეს შევაფასოთ ასევე სხვა, ხშირ შემთხვევაში დაშორიშორებული საარქივო მასალების სრული ერთობლიობა, როგორებიცაა ბრძანებები, დირექტივები, ანგარიშები და პოლიტიკური დადგენილებები.

ჩვენი პროექტის ფარგლებში შეისწავლება მხოლოდ საქართველო. ავტორები მოქმედებენ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის წინ მოხაზული ტრენდის ფარგლებში და რეგიონული თვალსაზრისით იკვლევენ დიდი ტერორის პერიოდის რეპრესიების გატარებასა და შედეგებს. ჩვენს განკარგულებაში არსებული საქართველოს სადამსჯელო ორგანოების დოკუმენტები ანალიზდება იმ კუთხით, თუ როგორ ხდებოდა სკ(ბ) ცკ-ის პოლიტიბუროსა და სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში დაგეგმილი და მართული მასობრივი ოპერაციების რეალიზება ადგილობრივი ორგანოების მიერ საშუალო და ქვედა დონეზე. ამასთან, მთავარი შეკითხვაა, თავისუფლად მოქმედებდნენ თუ არა სადამსჯელო ორგანოების თანამშრომლები, და თუ მოქმედებდნენ, როგორ იყენებდნენ ამ თავისუფლებას, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ დაპატიმრების, დაკითხვისა და მსჯავრის დადების დროს. მთლიანობაში, შინსახკომის მიერ ჩატარებული მასობრივი ოპერაციების კავკასიური „ოპერაციის“ თვალთახედვიდან განხილვამ შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო დიფერენცირებულ შეფასებებს მთლიანად საბჭოთა კავშირის მიმართ, რადგან შინსახკომის ყველაზე მასობრივი – № 00447 ბრძანების მიხედვით განხორციელებული ოპერაცია გამოირჩეოდა იმით, რომ მოსკოვის ცენტრმა სადამსჯელო უფლებამოსილება დიდწილად რეგიონულ ელიტებს გადასცა. სრულიად საკავშირო კონტექსტში საქართველოს „უკუჩართვა“ ხორციელდებოდა საქართველოში მომხდარი მასობრივი რეპრესიების სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში გატარებულ რეპრესიებთან შედარებით.

ცენტრის მიერ პერიფერიისთვის სადამსჯელო უფლებამოსილების დათმობის ფაქტი ამ თავისებურ საბჭოთა რესპუბლიკაში, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს მასობრივი რეპრე-

63. სამეულების საქმიანობის მონაცემთა ბაზა შეიქმნა საქართველოს შსს არქივის მიერ. იხ. აგრეთვე წინამდებარე პუბლიკაციის თავი „მონაცემთა ბაზები“.

64. მონაცემთა ბაზა „სტალინური სიების“ მიხედვით მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ, http://www.idfi.ge/archive/?cat=show_db&db_id=22&lang=en (13.01.2014) პროექტ „სტალინური სიები საქართველოში“ ფარგლებში. ასეთივე დასახელებით ახლო მომავალში გამოიცემა შესაბამისი წიგნი.

სიების შესახებ ახალი მონაცემების წყარო. საიდუმლო როდია, რომ საქართველო იყო რეგიონი, რომელიც ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ეთნოსური სირთულეებით. აქედან გამომდინარე, კვლევის დროს გამოვლინდა სსრკ-ის ძველისძველ „სლავურ“ ოლქებში მიმდინარე მასობრივი რეპრესიების საერთო სურათიდან გადახრა.

გარდა ამისა, საქართველოს ჰქონდა მყარი სოციალ-დემოკრატიული მენშევიკური ტრადიციები – იგი იყო რუსეთის იმპერიის ერთადერთი რეგიონი, სადაც მენშევიკებმა 1917 წელს დამფუძნებელთა კრების არჩევის დროს ხმათა მნიშვნელოვანი რაოდენობა მიიღეს და 1918 წელს შეძლეს დამოუკიდებელი მთავრობის შექმნა ნოე ჟორდანიას მეთაურობით, რომელიც სუვერენულ რესპუბლიკას 1921 წელს სსრკ-სთან შეერთებამდე ხელმძღვანელობდა. ამიტომ საკითხი დადგა ასე: როგორ აისახა საქართველოს ეს თავისებურებები მასობრივი რეპრესიების მიმდინარეობაზე? უპირველეს ყოვლისა, შესამოწმებელია ვარაუდი ადგილობრივი უფლებამოსილი ელიტის მიერ „მენშევიკური“ წარსულის გამოყენების შესახებ, რათა, აუცილებლობის შემთხვევაში, გასწორებოდნენ როგორც კომუნისტური პარტიის რიგებში მყოფ, ისე სხვა, მათთვის „მიუღებელ“ პირებს.

ფართოდ გავრცელებული ტერმინის – „ელიტის“ შემთხვევაში, საუბარია სამი სახის ელიტაზე: პირველ რიგში, ტრადიციული – რომელშიც შედიან რელიგიური და ტომის ბელადები, ყოფილი „კულაკები“, ვაჭრები, თავადები, მღვდლები, ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ასევე მეფის რუსეთის ფუნქციური ელიტა. მეორე – ესაა ფუნქციური საბჭოთა ელიტა – პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო. მესამეში შედიან დაბალი, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. გასათვალისწინებელია, რომ სსრკ-ის დროს მაღალი თანამდებობა და კარგი განათლება ხშირად არ „ემთხვეოდა“, ხელმძღვანელ პოსტებზე მყოფი პირები საშუალო განათლების, საერთოდ გაუნათლებელი, ან არასაკმარისი კვალიფიკაციის მქონენი იყვნენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ ელიტას. და პირიქით, „უბრალო“ მოსახლეობას მიეკუთვნებინ ის პირები, რომელთაც კარგი განათლება და მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია ჰქონდათ, მაგრამ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მიზეზთა გამო თითქმის არ სარგებლობდნენ პრივილეგიებითა და რესურსებით, რომლებსაც მხოლოდ სახელმწიფო ანაწილებდა.

პუბლიკაცია შედგება ორი ტომისაგან. პირველ ტომში გაანალიზებულია შინსახკომის მასობრივი ოპერაციები, ხოლო მეორე ტომში წარმოდგენილია არქივის დოკუმენტები, რომლებიც ახასიათებენ დიდი ტერორის რეპრესიებს საქართველოში.

პირველი ტომის პირველ კარში (სტატისტიკა) თავდაპირველად აღდგენილი იქნება ისეთი ძირითადი მახასიათებლები, როგორებიცაა რეპრესიების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები დიდი ტერორის სამი მასობრივი ოპერაციის ფარგლებში. ამის საფუძველია მონაცემთა სამი ზემოხსენებული ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია თითოეული ოპერაციის შესახებ შესაბამისი მონაცემების მიღება. რეპრესიების მონაცემთა ბაზა „სტალინური სიების“ საფუძველზე ათვლის წერტილის როლს ასრულებს.

რეპრესიების რაოდენობრივი პარამეტრების კვლევისას დადგინდება, თუ მსხვერპლთა რა რაოდენობა იყო მსჯავრდებული თითოეული ოპერაციის ფარგლებში და რამდენად მაღალი სასჯელი შეეფარდათ მათ. ამის შემდეგ, მიღებული მონაცემების საფუძველზე, მასობრივი ოპერაციები შედარდება ერთმანეთთან და – რათა საქართველო იზოლირებულიად არ იქნას განხილული – საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებთანაც. რაც შეეხება მონაცემთა ხარისხობრივ ანალიზს, კვლევის ცენტრში აღმოჩნდება მსხვერპლის სოციალური წარმოშობა და სტატუსი. გარდა ამისა, წარმოდგენილი იქნება სხვა დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემებიც, მაგალითად როგორიცაა მსხვერპლის განათლების დონე.

მეორე კარში (სპეციფიკა) წარმოდგენილია თემატურად მოწესრიგებული ანალიზი,

რომელიც მიმართული იქნება საქართველოში შინსახკომის მასობრივი ოპერაციების განხორციელების მახასიათებლების გამოკვლევისაკენ. თავდაპირველად დამტკიცდება საბჭოთა კავშირის მასშტაბთან შედარებით საქართველოში წარმოებული ნაციონალური ოპერაციების მცირე რიცხვი. ასევე ხაზი გაესმება რეპრესიების შედარებით „სირბილეს“, ანუ სიკვდილით დასჯის დაქვემდებარებულ როლს.

საქართველოს კიდევ ერთი თავისებურებაა „კულაკური“ სამეულის მიერ ელიტის ფართო დაგმობა, რომლის მიზნობრივ ჯგუფად, ტრადიციულად, მასობრივი ოპერაციების ე.წ. „ქვედა ფენა“ – უბრალო მოსახლეობა გამოდიოდა. თავი „სადამსჯელო უფლებამოსილებების რეგიონალიზაცია“ ეძღვნება ელიტისა და უბრალო მოსახლეობის შერევას „კულაკური“ სამეულის „კონტინგენტის“ სახით. ამასთან, ეს ფენომენი დაკავშირებულია შინსახკომის რეგიონული და ცენტრალური ორგანოების ადგილისა და როლის სტრუქტურულ ანალიზთან სსრკ-ის მთელი სადამსჯელო ბიუროკრატიის შემადგენლობაში.

ამ თვალსაზრისით, ავტორთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რეპრესიათა იერარქიზაციისა და ბიუროკრატიზაციის ხარისხი, სხვადასხვა სადამსჯელო სტრუქტურას შორის „შრომის განაწილების“ ფენომენი. ამასთან, საქართველოს თავისებურებები კვლავ განიხილება საერთო საკავშირო სტრუქტურულ ტრანსფორმაციათა ჩრილში, რეპრესიების განხორციელების ფარგლებში.

მესამე კარში (ინტერვიუ) სიტყვა ეძღვევთ მასობრივი ოპერაციების მსხვერპლთა ახლობლებს, რომლებიც „თემატურად ორიენტირებული“ ინტერვიუების ფარგლებში იგონებენ დიდი ტერორის წლებს. ეს ნაწილი წარმოადგენს ამ სახის გამოკითხვების პოტენციალის დემონსტრაციის ახალ, თუმცა კი შეზღუდულ მცდელობას. ფოკუსში მოქცეულია სოფლის გარემოს „უბრალო“ მოსახლეობა⁶⁵.

პირველი ტომის დანართში კომპაქტურად წარმოდგენილი და კომენტირებულია ცხრილები, რომლებიც გამოცემის ანალიტიკური ნაწილის საფუძელს ქმნის.

წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში ქვეყნდება დოკუმენტები, რომლებიც დახარისხებულია გარკვეული თემების მიხედვით. მათი მიზანია მასობრივი რეპრესიების ზოგად ისტორიულ კონტექსტში განხილვა. ამრიგად, გამოყენებული იქნება არა მხოლოდ შინსახკომის მასობრივი ოპერაციების ამსახველი დოკუმენტები, არამედ ის წყაროებიც, რომლებიც ასახავს ტერორის წინაისტორიას, ეკონომიკურ ვითარებას სოფელში, სსრკ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნებს, ელიტის წარმომადგენელთა დევნას და საბოლოო ჯამში, რეზილიტაციის პოლიტიკას.

წიგნის სათაური მიუთითებს ლ. პ. ბერიას განცხადებაზე, რომელიც მან საქართველოს კპ(ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების დროს, 1937 წლის 10 ივლისს გააკეთა. ამ კრებაზე სკპ(ბ) ცკ-ის 1937 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები იხილებოდა. კერძოდ, ბერიამ მოითხოვა: „აუცილებელია ბოლშევიკური წესრიგის დამყარება საკოლმეურნეო მიწის სწორად გამოყენების საქმეში“⁶⁶.

გარეყდის გრაფიკულ გაფორმებას საფუძვლად უდევს მხატვარ კონრად კლაპეკის ნამუშევარი „ხელისუფლების ნებელობა“ (Konrad Klapphech. Der Wille zur Macht. 1959).

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სტალინური

65. იხ. თავი „მასობრივი რეპრესიების მსხვერპლთა ჩვენებები“.

66. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში დოკუმენტი № 9 „სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს კპ(ბ) ცკ პირველი მდივნის, ლ.პ. ბერიას გამოსვლის შესახებ საქართველოს კპ(ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის შეკრებაზე „სკპ(ბ) ცკ 1937 წლის 10 ივლისის პლენუმის შესახებ“.

მასობრივი რეპრესიები საქართველოში 1937-1938 წწ. კავკასიის პერიფერიის პერსპექტივები“ შედეგს, რომელიც 2009-2014 წწ. განხორციელდა. პროექტის ფინანსური მხარდაჭერა „ფოლქსვაგენის“ ფონდს ეკუთვნის; ხელმძღვანელობდა გერმანიის ისტორიული ინსტიტუტი მოსკოვში და რურის უნივერსიტეტი ბოხუმში. პროექტის რეალიზაციაში მონაწილეობდნენ გერმანელი და ქართველი მეცნიერები (იხ. ცალკეულ თავთა ავტორები). გარდა მონაწილეებისა, რომლებიც პერსონალურად არიან მოხსენიებულნი წიგნის სარჩევში, საქართველოს შსს არქივის თანამშრომლებმა, დირექტორ ომარ თუშურაშვილის ხელმძღვანელობით, შეადგინეს შინსახკომის მასობრივი ოპერაციების მონაცემთა რამდენიმე ბაზა, რომლებიც მრავალჯერ იყო გამოყენებული წიგნის დაწერის დროს. პროექტს ხელმძღვანელობდა ბერნდ ბონვეჩი, რომელიც პასუხისმგებელია ხელნაწერის შინაარსობრივ და სტილისტურ რედაქტირებაზე. წიგნი რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა პროფ. ვლადიმერ ლუარსაბიშვილმა.

შინსახკომის მასობრივი ოპერაციები

1930-იანი წლების დასასრულს ტერმინით – შინსახკომის მასობრივი ოპერაციები – აღინიშნება სადამსჯელო ოპერაციები, რომლებიც საბჭოთა კავშირში 1937-1938 წლებში განხორციელდა. მათი არსებობა გასაიდუმლოებული იყო და საბჭოთა კავშირის დაშლამდე ფარულ მოვლენად რჩებოდა. მათ შესახებ, პრაქტიკულად, არავინ იცოდა, რადგან ოპერაციები სრულიად საიდუმლო ვითარებაში ხორციელდებოდა, დასრულების შემდეგ კი ტოტალურად იკრძალებოდა მათ შესახებ არსებული ინფორმაციისა და საარქივო წყაროების ხელმისაწვდომობა. ამ ოპერაციათა მსხვერპლნი ან დაიღუპნენ, ან არ მიეკუთვნებოდნენ საბჭოთა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც „წერდა“ და რომელმაც დატოვა მოგონებები. 1990-იანი წლების დასაწყისამდე საერთოდ არ იცოდნენ შინსახკომის მასობრივი ოპერაციების შესახებ, ვინაიდან არავინ იყო, რომ მოეთხრო მათ შესახებ⁶⁷. ქვემოთ მოყვანილია მათი მოკლე აღწერა:

1. „კულაკური“ ოპერაცია

მასობრივ ოპერაციათა შორის ყველაზე მასშტაბური იყო ე.წ. „კულაკური“ ოპერაცია, რომელიც სსრკ შინსახკომის № 000447 ოპერატიული ბრძანების საფუძველზე განხორციელდა. 1937 წლის 30 ივლისს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ნ.ი.ეჟოვის მიერ ხელმოწერილი ეს ბრძანება დაედო საფუძვლად რეპრესიული აქციის განხორციელებას ყოფილი „კულაკების“, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სხვა „ანტისაბჭოთა ელემენტების“ წინააღმდეგ, რომელიც ავრალურ სტილში ჩატარდა, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა ეპოქის კამპანიებისთვის. № 00447 ბრძანების შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე მ.პ.ფრინოვსკიმ. 1937 წლის 31 ივლისს ოპერაციის გეგმა სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ მოიწონა. იმავე დღეს ბრძანება № 00447 შესასრულებლად დაეგზავნა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისრებსა და შინსახკომის სამხარეო და საოლქო სამმართველოების უფროსებს.

ტერმინი „სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები“, პირველ რიგში, გულისხმობდა ბოლშევიკთა ყოფილ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, როგორებიც იყვნენ მენშევიკები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ანარქისტები და ა.შ. ასევე, მოიაზრებდა მღვდელმსახურებს, თეთრი არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, სამეფო ადმინისტრაციის მოსამსახურეებს. აქცია, მისი ძირითადი სამიზნე ჯგუფის სახელის მიხედვით, შინსახკომის თანამშრომლების ჟარგონსა და სადამსჯელო უწყების შიდა მიმონერაში „კულაკურ“ ოპერაციად იწოდ-

67. იმ მინიმალური მონაცემების შესახებ შინსახკომის მასობრივ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გარდაქმნამდე დანვრილებით იხ.: მ. იუნგე, რ. ბინერი. როგორ გახდა ტერორი „დიდი“. მოსკოვი, 2003. გვ. 10-12.

ებოდა. № 00447 ბრძანებით განხორციელებული ოპერაციის „კულაკურ“ ოპერაციად და, შესაბამისად, მის შესასრულებლად შექმნილი სამეულების „კულაკურ სამეულებად“ აღნიშვნა წინამდებარე გამოცემაში გამოიყენება გერმანელების, პოლონელებისა და სხვათა მიმართ გატარებული მასობრივი ოპერაციებისა (ეროვნული დიასპორების წინააღმდეგ მიმართული ე.წ. „ნაციონალური“ ხაზის ოპერაციები) და ასევე, „მილიციის“ სამეულისგან განსასხვავებლად.

ჩვენს ხელს არსებული ინფორმაციით, „კულაკური“ ოპერაციის მსვლელობისას, რომელიც 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა, მსჯავრი დაედო დაახლოებით 800 000 ადამიანს, მათგან თითქმის ნახევარს დახვრეტა მიესაჯა, დანარჩენებს – ხანგრძლივი ვადით პატიმრობა⁶⁸. განაჩენი ცხადდებოდა დაჩქარებული წესით, არასასამართლო ორგანოების მიერ, რომლებიც სამი ადამიანისგან შედგებოდა – ანუ სამეულები, რომლებიც საოლქო, სამხარეო⁶⁹ და რესპუბლიკური მასშტაბით იქმნებოდა. სამეულთა შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიოდნენ: შინსახკომის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, სკკპ(ბ) საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური კომიტეტის პირველი მდივანი და ადგილობრივი პროკურორი. თუმცა, საქართველოში, 1938 წლის ოქტომბრამდე, სამეულის შემადგენლობაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნაცვლად, რესპუბლიკის მილიციის უფროსი – შალვა წერეთელი იჯდა.

დღეისათვის, მკვლევარების მიერ სამეცნიერო ნაშრომებში, ძირითადად, გამოყენებულია ცენტრალურ არქივებში დაცული დოკუმენტები, რომლებიც ასევე მოიცავს მონაცემებს „კულაკური“ ოპერაციის ცენტრის, ანუ მოსკოვის მიერ ხელმძღვანელობის შესახებ⁷⁰. რაც შეეხება ამ ყველაზე მასშტაბური არასასამართლო სადამსჯელო აქციის ჩატარებას ადგილებზე, შესაბამისი კვლევები ჩატარდა უკრაინის, ალტაისა და მოსკოვის ოლქის კუნცევოს რაიონის მიმართ⁷¹.

2. „ნაციონალური“ ოპერაციები

„კულაკურ“ ოპერაციასთან ერთად, შინსახკომის ორგანოების მიერ, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, უცხოელთა – საბჭოთა კავშირში მცხოვრები მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებისა და ამ ქვეყნებში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მიმართ განხორციელდა კიდევ ერთი მასობრივი სადამსჯელო ოპერაცია. ე.წ. „ნაციონალური“ ოპერაციების (ეროვნებათა მიხედვით) დროს მსჯავრი დაედო დაახლოებით 350 000 ან სულაც 365 000 ადამიანს, მათგან დაახლოებით 80%-ს მიესაჯა დახვრეტა. არასასამართლო ორგანო, რომელსაც განაჩენი გამოჰქონდა, თავდაპირველად ე.წ. ორეული, ხოლო 1938 წლის 17 სექტემბრიდან – „ნაციონალური“ სამეული იყო. აღნიშნული ოპერაციები განხორციელდა

68. მ. იუნგე, გ. ბორდიუგოვი, რ. ბინერი. დიდი ტერორის ვერტიკალი. შინსახკომის № 00447 ბრძანების მიხედვით ოპერაციის ისტორია. მოსკოვი, 2008. გვ. 598.

69. ოლქს, რომელიც ნაციონალურ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს მოიცავდა, სსრკ-ში „მხარე“ ეწოდებოდა.

70. მ. იუნგე, გ. ბორდიუგოვი, რ. ბინერი. დიდი ტერორის ვერტიკალი; Gregory P. R. Terror by Quota. State security from Lenin to Stalin. An archival study. New Haven/London, 2009.

71. ა. ი. ვატლინი. რაიონული მასშტაბის ტერორი. შინსახკომის „მასობრივი ოპერაციები“ მოსკოვის ოლქის კუნცევოს რაიონში 1937-1938 წწ. მოსკოვი, 2004; მასობრივი რეპრესიები ალტაის მხარეში 1937-1938 წწ./ შემდგ. გ. დ. ჟდანოვა, ვ. რაზგონი, მ. იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2010; „მტრის გვამებით ხალხის საკეთილდღეოდ“. „კულაკური ოპერაცია“ უკრაინის სსრ-ში 1937-1941 წწ./შემდგ. მ. იუნგე, ს. ა. კოკინი, რ. ბინერი. ორ ტომად. მოსკოვი, 2010.

გერმანელების, პოლონელების, ლატვიელების, ბერძნების, თურქების, ირანელების, იაპონელების და სხვათა მიმართ⁷².

ორეულის შემადგენლობაში შედიოდნენ რესპუბლიკის, საოლქო ან სამხარეო პროკურორი და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, შინსახკომის საოლქო ან სამხარეო სამმართველოს უფროსი. „ნაციონალური“ სამეულის ტრიუმვირატი ადგილზე ყალიბდებოდა, როგორც ეს „კულაკური“ ოპერაციის შემთხვევაში მოხდა და მის შემადგენლობაში შედიოდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, შინსახკომის საოლქო ან სამხარეო სამმართველოს უფროსი, პროკურორი და რესპუბლიკური ცკ-ის, სკკპ(ბ)-ის სამხარეო ან საოლქო კომიტეტის მდივანი. *ორეულების* უმნიშვნელოვანესი ფორმალური განსხვავება *სამეულებისგან* ის იყო, რომ მათ არ შეეძლოთ მოსკოვში მდებარე ე.წ. უმაღლესი ორეულის წინასწარი სანქციის მიღების გარეშე საკუთარი განაჩენის აღსრულება. უმაღლესი ორეულის შემადგენლობაში იყვნენ თავმჯდომარე – სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ნ. ი. ეყოვი და ნევრი – სსრკ პროკურორი ა. ი. ვიშინსკი. ამ მიზნით იქმნებოდა ე.წ. „ალბომები“, რომლებიც, „კულაკური“ სამეულის მსგავსად, მოიცავდა მოკლე ცნობებს თითოეული დაპატიმრებულის შესახებ. ეს „ალბომები“ საგამოძიებო საქმეებთან ერთად იგზავნებოდა მოსკოვში, სადაც ე.წ. უმაღლესი ორეულის სანქცია უნდა მიეღოთ.

ორეულების „ნაციონალური“ სამეულებით შეცვლა განხორციელდა „განსაკუთრებული სამეულების შექმნის შესახებ სსრკ შინსახკომის № 00485 და სხვა ბრძანებების მიხედვით დაპატიმრებულთა საქმეების განსახილველად“ სსრკ შინსახკომის № 00606 ოპერატიული ბრძანების თანახმად, რომელსაც ხელი ნ. ი. ეყოვმა 1938 წლის 17 სექტემბერს მოაწერა⁷³. ბრძანების მე-10 პუნქტი, რომლის პროექტიც 1938 წლის 15 სექტემბერს სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა, ითვალისწინებდა რესპუბლიკებში, ოლქებსა და მხარეებში ე.წ. „განსაკუთრებული სამეულების“ ორგანიზებას, რომელსაც ჩვენ, აღრევის თავიდან აცილების მიზნით, „ნაციონალურ“ სამეულებს ვუწოდებთ. № 00606 ბრძანების მიზანი იყო სამეულების შექმნა, რათა მომხდარიყო „სსრკ შინსახკომის 1937 წლის № 22485, 00439, 00539 და 1938 წლის № 302, 326 ბრძანებების საფუძველზე დაპატიმრებულ პირთა საქმეების სწრაფი განხილვა“. ამგვარად, ეს ეხებოდა ყველა იმ ბრძანებასა და დირექტივას, რომლებიც *ნაციონალური ოპერაციების* ფარგლებში გამოიცა და პირველ რიგში, როგორც ეს მე-3 პუნქტიდან მომდინარეობდა, მიზნად ისახავდა დიდი რაოდენობით დაგროვილ იმ პირთა საგამოძიებო საქმეების ოპერატიულ განხილვას, რომლებიც ნაციონალური ხაზით მიმდინარე ოპერაციების დროს დააპატიმრეს მოსკოვში. ამგვარად, ამ ბრძანებაში, რომელიც მხოლოდ 1938 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გამოიცა, კატეგორიულად იყო ხაზგასმული, რომ ახლად შექმნილი სამეულები მხოლოდ

72. ა.სავინი. შინსახკომის ნაციონალური ოპერაციები 1937/1938//გამოცემათა ენციკლოპედია: დეპორტაცია, იძულებითი გასახლება და ეთნიკური წმენდა ევროპაში XX საუკუნეში/რედკოლ.: დ.ბრანდესი, ხ.ზუნდხაუსენი, შ.ტრიობსტი. მოსკოვი, 2013. გვ. 317-320. ციფრი 365 ავტორმა მოიყვანა სსრკ შინსახკომის I სპეცგანყოფილების ცნობის მიხედვით 1936 წლის 1 ოქტომბრიდან 1938 წლის 1 ნოემბრამდე დაპატიმრებულთა რაოდენობის შესახებ, სადაც აღნიშნულია: „დაპატიმრებულია შინსახკომის № 00485, 00593 და სხვა ბრძანებების შესაბამისად – 365 805 ადამიანი“. საბჭოთა სოფლის ტრაგედია. ტომი 5. წიგნი 2. გვ. 304). შემდეგ გვერდზე ნაჩვენებია მსჯავრდებულთა რაოდენობა 1938 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით: „შინსახკომის № 00485, 00593 ბრძანებების შესაბამისად – 235 122, № 00606 ბრძანების შესაბამისად – 93 137“ (გვ. 305). მსჯავრდებულთა საერთო ციფრი აქ შეადგენს 328 259-ს, რაც თითქმის 40 ათასით ნაკლებია დაპატიმრებულთა ზემოაღნიშნულ რაოდენობაზე, რაც სავსებით ლოგიკურია – საგანგებო სამეულები ჯერ ისევ „მუშაობდნენ“ 1938 წლის 17 ნოემბრამდე.

73. იხ. წინამდებარე გამოცემის დოკუმენტი № 46: „სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის № 00606 ბრძანება საგანგებო სამეულების შექმნის შესახებ სსრკ შინსახკომის 1938 წლის 17 სექტემბრის № 00485 და სხვ. ბრძანებების შესაბამისად დაპატიმრებულთა საქმეების განხილვისათვის“.

იმ პირთა საქმეებს განიხილავდნენ, რომლებიც 1938 წლის 1 აგვისტომდე იყვნენ დაპატიმრებულნი. ხოლო ყველა სხვა პირთა საქმე, რომლებიც აღნიშნული თარიღის შემდეგ დაპატიმრეს, განსახილველად უნდა გადასცემოდა სამხედრო ტრიბუნალებს, რკინიგზის, საოლქო სასამართლოებსა და სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას. ასევე აიკრძალა უცხოეთის მოქალაქეების წინააღმდეგ აღძრული საქმეების „ნაციონალური“ სამეულებსთვის მსჯავრის დადების მიზნით გაგზავნა. მსგავსი შემთხვევების შემონიშნა ევალებოდა სსრკ შინსახკომის მე-3 განყოფილებას, რომელსაც ეს საქმეები, დამუშავების შემდეგ, განსახილველად შესაბამისი სასამართლო ინსტანციებისთვის უნდა გადაეცა.

№ 00606 ბრძანების გაცემიდან ოთხი დღის შემდეგ, ლ. პ. ბერიამ, რომელიც იმ დროისთვის სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე იყო, ადგილებზე გაგზავნა დამატებითი ცირკულარი № 189, რომლის თანახმად კიდევ უფრო იზღუდებოდა *ეროვნული სამეულების* კომპეტენცია⁷⁴. მათი განსჯადობის სფეროდან გამოიყოფოდა პირთა სამი კატეგორია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი 1938 წლის 1 აგვისტომდე იყვნენ დაპატიმრებულნი, კერძოდ: ა) ინჟინრები, უმაღლესი სასწავლებელთა პედაგოგები, ექიმები და სხვ., ანუ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები; ბ) შინსახკომის ყოფილი თანამშრომლები, გ) წითელი არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაც სამხედრო წოდება ჰქონდათ. ამიერიდან, მათი საქმეები, აუცილებელი წესით, უნდა განეხილათ *სამხედრო ტრიბუნალებს, სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას ან სსრკ შინსახკომის განსაკუთრებულ სათათბიროს*.

რესპუბლიკური, საოლქო და სამხარეო ორეულები და მოსკოვის უმაღლესი ორეული გაუქმდა იმ მარტივი მიზეზით, რომ ეს სადამსჯელო ინსტანციები ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა – ისინი, მათთვის განსახილველად გადაცემული საქმეების დამუშავებისას მრავალ „ვინრო ადგილს“ ქმნიდნენ. განსაკუთრებული იყო კონტროლის პროცედურა, რომელიც დიდძალ დროს მოითხოვდა, ვინაიდან ადგილებზე „მომზადებული“ საქმეები ექვემდებარებოდა გადახედვას მოსკოვის შინსახკომის ცენტრალური აპარატის მიერ, რომლის შედეგსაც ხელმოწერით ადასტურებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და სსრკ პროკურორი. მაგალითად, იმ პირთა რიცხვმა, რომელთა საქმეებიც 1937 წლის ივლისიდან 1938 წლის სექტემბრამდე მოსკოვურ ცენტრში მხოლოდ უკრაინიდან გადაიგზავნა, 61 683 ერთეული შეადგინა. „ნაციონალური“ სამეულების შექმნის შემთხვევაში საქმე ეხებოდა ოპერატიული არასასამართლო გასამართლების ამ ფორმის უპირატესობის გამოყენებას არა მხოლოდ № 00447 ბრძანების რეალიზაციის ინტერესებში „კულაკების, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტების“ („*კულაკური სამეულები*“), ან სადამსჯელო აქციებისთვის „სოციალურად საშიში ელემენტების“ მიმართ („*მილიციის სამეულები*“), არამედ უკვე ნაციონალური ოპერაციების უსწრაფესად დასრულებისთვის. სამეულთა სამსჯავროს ძირითადი უპირატესობა ის იყო, რომ განაჩენის გამოტანა და სისრულეში მოყვანა ადგილზე ხდებოდა. სწორედ, საგამოძიებო საქმეების მხოლოდ მათი განხილვა-აღსრულების შემდგომ მოსკოვისათვის გადაგზავნის დროში „განერილი“ და „დალაგებული“ კონტროლის პროცედურა იძლეოდა უამრავი დროისა და სამუშაო რესურსის ეკონომიის საშუალებას, განსაკუთრებით – შინსახკომის ცენტრალურ აპარატთან მიმართებაში. ამით მოსკოვი, ისევე როგორც „*კულაკური*“ და „*მილიციის*“ სამეულების შემთხვევაში, შინსახკომის ადგილობრივ ორგანოებს, პროკურატურასა და რესპუბ-

74. იხ.: წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში დოკუმენტი № 47 „სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლ. პ. ბერიას ცირკულარი „სსრკ შინსახკომის 1938 წლის 21 სექტემბრის № 00606 ბრძანების გაამოყენების განმარტების შესახებ“.

ლიკურ, საოლქო და სამხარეო პარტიულ ხელმძღვანელობას, ადამიანთა სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სრულ უფლებამოსილებას გადასცემდა. ცენტრის ინტერესების საპირისპიროდ, ძალაუფლების „ბოროტად გამოყენებისთვის“ ხელის შეშლას მოსკოვი იმედოვნებდა შემოღებული შეზღუდვებით, პირველ რიგში, იმის ხარჯზე, რომ *ნაციონალური სამეულები* სამსჯავროზე გადაიციმოდნენ ადრე დაპატიმრებულ პირთა საქმეები. კვალიფიციური სპეციალისტების, შინსახკომის თანამშრომლებისა და სამხედრო მოსამსახურეების ამორიცხვა *ნაციონალური სამეულები* სადამსჯელო კომპეტენციიდან უნდა გამხდარიყო კონტროლის გარანტი ამ პერსონალური ჯგუფების რეპრესირებისთვის (როგორც *ორეულები* შემთხვევაში), მათი გასამართლების შედეგად „ნორმალური“ საბჭოთა სამართალწარმოების ორგანოების მიერ.

1938 წლის 17 სექტემბრის № 00606 ბრძანების მოთხოვნები აღსრულდა საქართველოშიც. ბრძანების თანახმად, შეიქმნა „*ნაციონალური*“ სამეული, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი. „*ნაციონალური*“ სამეულის თავმჯდომარე გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი სერგო გოგლიძე, ხოლო წევრები – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი და რესპუბლიკის პროკურორი ილარიონ ტალახაძე. ამის შედეგად, ქართული „*ნაციონალური*“ სამეული პირადი შემადგენლობით თავდაპირველად განსხვავდებოდა საქართველოს სსრ შინსახკომის „*კულაკური*“ სამეულისგან, რაც იმდროინდელი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისთვის არ იყო დამახასიათებელი. ტრადიციული წესრიგი საქართველოში მხოლოდ 1938 წლის 9 ოქტომბერს აღდგა, როდესაც რესპუბლიკის მილიციის უფროსი შალვა წერეთელი შეიცვალა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნით – კანდიდ ჩარკვიანით, როგორც „*კულაკური*“ სამეულის მუდმივი წევრით.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის უცნობია საქართველოს სსრ ორეულის როგორც პერსონალური შემადგენლობა, ისე მისი მუშაობის რეჟიმი. საქართველოში მისი არსებობაც კი ვერ დასტურდება დოკუმენტებით, თუმცა არსებობს შესაბამისი არაპირდაპირი სამხილები⁷⁵.

ისტორიკოსები ნელა, მაგრამ განუხრელად ავსებენ და სრულყოფენ ნაციონალური ოპერაციების შესახებ ჩვენს წარმოდგენებს⁷⁶. უკვე გამოქვეყნებულია პირველი რეგი-

75. *ორეულის* და „*ნაციონალური*“ სამეულის საქმიანობის შესახებ იხ. თავი „ნაციონალური ოპერაციები საქართველოში“.

76. ნ. ოხოტინი, ა. როგინსკი. შინსახკომის „გერმანული ოპერაციის“ ისტორიიდან 1937-1938 წწ.//დასჯილი ხალხი. რეპრესიები რუსეთის გერმანელების მიერ/შემდგ. ი. ლ. შჩერბატოვა. მოსკოვი, 1999. გვ. 35-74; ნ. ვ. პეტროვი, ა.ბ.როგინსკი. შინსახკომის პოლონური ოპერაცია 1937-1938 წწ.//რეპრესიები პოლონელების და პოლონელი მოქალაქეების წინააღმდეგ/ა.ე.გურიანოვას რედაქციით. მოსკოვი, 1997. გვ. 22-43; ი.ჯუხა. ბერძნული ოპერაცია. ისტორია სსრ-ში ბერძნების წინააღმდეგ რეპრესიების შესახებ. სანკტ-პეტერბურგი, 2006; Martin T. The Affirmative Action Empire: Nations and Nationalism in the Soviet Union, 1923-1939. Ithaca, 2001; Dönninghaus V. Minderheiten in Bedrängnis. Sowjetische Politik gegenüber Deutschen, Polen und anderen Diaspora-Nationalitäten 1917-1938. München, 2009; ა.ი.სავინი. მენონიტები, როგორც რეპრესიების სამიზნე ჯგუფი 1920-იანი წლების ბოლოსა და 1930-იან წლებში//ეთნოკონფესია საბჭოთა სახელმწიფოში. ციმბირის მენონიტები 1920-1930-იან წლებში. ემიგრაცია და რეპრესიები/შემდგ. ა. ი. სავინი. ნოვოსიბირსკი, 2009. გვ. 7-55; Naimark N. Stalin's Genocides. Princeton, Oxford, 2010; Польщата Україна утридцятих – сороковихроках ХХ століття. Невідомі документи з архівів спеціальних служб//Великий терор. Польська операція 1937-1938 / Редкол. Е. Беднарек, В. В'ятрович, С. Кокін. Т. 8. Ч. 2. Варшава, Київ, 2010; ა. სავინი. სტალინიზმის ეთნიზაცია. „ნაციონალური“ და „კულაკური“ ოპერაციები. შედარებითი ასპექტი. //რუსეთი XXI. 2012. № 3. გვ. 40-61. ა. ვატლინი. „ოპ, უწმინდურობა“. შინსახკომის გერმანული ოპერაცია მოსკოვში და მოსკოვის ოლქში 1936-1941 წწ. მოსკოვი, 2012.

ონული და ცალკეული ნაციონალური ჯგუფებისადმი მიძღვნილი კვლევები, თუმცა არა საქართველოსთან მიმართებაში⁷⁷.

3. „მილიციის“ სამეული

ფართომასშტაბიანი რეპრესიების კიდევ ერთი შემადგენელი, რომელიც არასასამართლო სადამსჯელო ინსტანციების მიერ ხორციელდებოდა, იყო შინსახკომის მესამე და უკანასკნელი მასობრივი ოპერაცია, სადაც მთავარი როლი ე.წ. „მილიციის“ სამეულებმა შეასრულეს. მილიციის სამეულები, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, 1935 წლის მაისში შეიქმნა. მათ უნდა „განეხილათ საქმეები სისხლის სამართლის, დეკლასირებული ელემენტებისა და საპასპორტო წესების ბოროტად დამრღვევების შესახებ“. მაგრამ უკრაინაში „მილიციის“ სამეული რესპუბლიკურ დონეზე ჯერ კიდევ 1931 წლიდან მოქმედებდა, საქართველოში კი – 1935 წლამდე „მოღვაწეობდა“. მის მიერ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობის შესახებ მონაცემები არასანდო და ურთიერთსაპირისპიროა. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, ამ სამეულებმა 1937-1938 წლებში, როგორც ჩანს, არანაკლებ 420-450 ათასი ადამიანი გაასამართლეს, რომლებიც მიაკუთვნეს „სოციალურად მტრულ ელემენტებს“, ანუ მანანალებს, მათხოვრებს, ქურდებს, მეძავეებს, საპასპორტო რეჟიმის დამრღვევებს და ა.შ. პატიმრობის მაქსიმალური ვადა, რომლის მისჯაც „მილიციის“ სამეულებს შეეძლოთ, ბანაკში ხუთი წლით მოთავსებას შეადგენდა. „მილიციის“ სამეულებმა სწორედ 1937 წლის აგვისტოდან მოახდინეს თავიანთი რეპრესიული საქმიანობის ინტენსიფიცირება⁷⁸. როგორც წესი, სამეულის თავმჯდომარე შინსახკომის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე იყო, წევრები – საოლქო (სამხარეო) პროკურორი და მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს უფროსი ან მილიციის შესაბამისი განყოფილების უფროსი, რომელიც ამზადებდა საგამოძიებო საქმეებს „მილიციის“ სამეულის შესაბამის სხდომაზე განსახილველად. სამეულის მდივანი, რომელიც ასევე ესწრებოდა სხდომებს, სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ან მილიციის თანამშრომელი იყო⁷⁹.

„მილიციის“ სამეული საქართველოში შეუწყვეტილ მოქმედებდა 1934 წლიდან. მისი პირველი სხდომა ქ. თბილისში 1934 წლის 27 აგვისტოს გაიმართა. ეს სამეული შეიქმნა სამივე კავკასიური რესპუბლიკისთვის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის, თუმცა, უცნობია, რის საფუძველზე. მას შემდეგ, რაც 1936 წლის 5 დეკემბერს ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკა გაუქმდა, 1937 წელს თითოეულ საბჭოთა კავკასიურ რესპუბლიკაში შეიქმნა საკუთარი „მილიციის“ სამეული. საქართველოში იგი 1937 წლის 3 იანვარს ამოქმედდა, ბოლო სხდომა კი 1938 წლის 22 ნოემბერს ჩატარდა⁸⁰.

77. იხ.: ლავინი. მენონიტები, როგორც მიზნობრივი ჯგუფი. გვ. 7-55; ვატლინი. „ოპ, უწმინდურობა“.

78. „მილიციის“ სამეულის მიერ მსჯავრდებულთა შესახებ იხ.: საბჭოთა სოფლის ტრაგედია. კოლექტივიზაცია და განკულაცია. დოკუმენტები და მასალები 5 ტომად. 1927-1939/შემდგ. ვ. დანილოვი, მ. კუდიუკინა, რ. მანინგი და სხვ. ტომი 5. წიგნი 2. 1938-1939. მოსკოვი, 2006. გვ. 556-557. მთლიანად „მილიციის“ სამეულის შესახებ: Ritter-sporn G. T. Extra-Judicial Repression and the Courts: Their Relationship in the 1930s//Reforming Justice in Russia, 1864-1996. Power, Culture, and the Limits of Legal Order / P. H. Solomon (Ed.). New York, 1997. გვ. 207-227; სტალინური გულაგის ისტორია. 1920 წლების დასასრულის – 1950-იანი წლების პირველი ნახევარი. მასობრივი რეპრესიები სსრკ-ში/შემდგ. ნ. ვერტი, ს. ვ. მირონენკო. ტომი 1. მოსკოვი, 2004. გვ. 259-260.

79. ერთ-ერთი „მილიციის“ სამეულის ოქმი გამოქვეყნებულია: მასობრივი რეპრესიები ალტაის მხარეში. გვ. 391-417. მასში ჩანს, რომ სამეულის თავმჯდომარე შეიძლება ასევე ყოფილიყო მუშურ-გლეხური მილიციის სამხარეო ან საოლქო სამმართველოს უფროსი.

80. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 3 იანვრის სხდომის ოქმი № 44/1//

ზოგადად, „მილიციის“ სამეულებს „მოღვაწეობის“ შესახებ ინფორმაცია მწირია⁸¹.

№00447 ბრძანებასთან ერთად, რომლის შესრულებაც XX საუკუნის ყველაზე მასობრივ ბიუროკრატიულად ორგანიზებულ დანაშაულებათა რიცხვს მიეკუთვნება, საბჭოთა კავშირში ტერორმა შეიძინა ახალი ხარისხი. „ნაციონალურ“ ოპერაციებსა და „მილიციის“ სამეულებს მიერ ჩატარებულ სოციალურ წმენდასთან ერთად, რომლებიც ცალკე ტარდებოდა, ის დიდ ტერორად გარდაიქმნა.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. I განყოფილება. ფ. 8. აღ. 37. ს. 344-06. ყუთი 117; საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1938 წლის 22 ნოემბრის სხდომის ოქმი № 113/70//საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი. I განყოფილება. ფ. 8. აღ. 37. ს. 360-06. „მილიციის“ სამეულების შესახებ იხილეთ ასევე თავები „მასობრივი ოპერაციები: რაოდენობრივი მაჩვენებლები“ და „მასობრივი ოპერაციები: ხარისხობრივი მაჩვენებლები“.

81. ნ. კუდენკო, ვ. რაზგინი, მ. იუნგე. მილიციის სამეული//მასობრივი რეპრესიები ალტაის მხარეში. გვ. 300-340; მ. იუნგე. № 00447 ბრძანების სოციალურ-ტექნოლოგიური ასპექტი//„მტრის გვამების მეშვეობით“. ტომი 2. გვ. 209-244. იხ. აგრეთვე: მ. იუნგე, რ. ბინერი. „სოციალურად ახლოდან“ „სოციალურად სახიფათო“ ელემენტამდე. დამნაშავენი და საბჭოთა საზოგადოების სოციალური წმენდა 1918-1938 წლებში.//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში: 1937-1938 წწ.. მასობრივი ოპერაცია № 00447 ბრძანების საფუძველზე/შემდგ. ბ. ბონევიჩი, მ. იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2009. გვ. 489-490.

სტატისტიკა

თხარე იქ, სადაც დგახარ.

სვენ ლინდკვისტი. 1978

მარკ იუნგე

„კულაკური“, „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულები: მონაცემთა ბაზები

აღნიშნულ გამოკვლევაში ცენტრალურ ადგილს იკავებს დიდი ტერორის პერიოდში შინსახკომის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული მასობრივი ოპერაციების სტატისტიკური ანალიზი⁸². პირველ რიგში, საუბარია „კულაკური“ ოპერაციის შესახებ, რომელიც „ყოფილი კულაკების, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების მიმართ“ ჩატარდა, ასევე – „ნაციონალური“ ოპერაციების შესახებ, რომლებიც გერმანელების, პოლონელების, იაპონელებისა და სხვათა წინააღმდეგ განხორციელდა, დაბოლოს – „მილიციის“ სამეულის მიერ „სოციალურად მავნე ელემენტების“ წინააღმდეგ გატარებული სადამსჯელო ღონისძიებების თაობაზე. საქართველოში შინსახკომის მიერ ჩატარებული ოპერაციების შემდგომ შესწავლას საფუძვლად უნდა დაედოს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ყველაზე უფრო რელევანტური იქნება მასობრივი ოპერაციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების თვალსაზრისით.

რაც შეეხება „კულაკური“ ოპერაციას, აღსანიშნავია საქართველოს შსს არქივის თანამშრომლების მრავალწლიანი მუშაობის შედეგად შექმნილი მონაცემთა ბაზა. „ნაციონალური“ ოპერაციებისთვის შეიქმნა დამატებითი მონაცემთა ბაზა, თუმცა მასში „მხოლოდ“ საქართველოს სსრ შინსახკომის „ნაციონალური“ სამეულის მიერ გასამართლებულ პირთა მონაცემები შედიოდა. ეს სამეული საქართველოში 1938 წლის 25 სექტემბრიდან 30 ოქტომბრამდე მოქმედებდა. მონაცემები ორეულთა რეპრესიული საქმიანობის შესახებ, „ნაციონალური“ ოპერაციის ფარგლებში, აღდგენილია ლევან ავალიშვილის მიერ⁸³. არქივში ასევე შეიქმნა ცალკე ბაზა „მილიციის“ სამეულის მსხვერპლთა შესახებ.

„კულაკური“ სამეულის მონაცემთა ბაზაში შესულია სამეულის სხდომის 122 ოქმი, 1937 წლის 11 აგვისტოდან 1938 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით⁸⁴. ეს ოქმები მოიცავს ინფორმაციას 21 000-ზე მეტი პირის შესახებ. „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთა ბაზას საფუძვლად დაედო 52 ოქმი, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას თითქმის 500 პირის

82. ავტორები მადლობას უხდებიან გალინა ჟდანოვას ნებართვისთვის, რომ ნაწილობრივ გამოიყენონ მისი სტატიის სქემები და ფორმულირებები, რომელიც მიძღვნილია ალტაის მხარეში რეპრესირებულების მონაცემთა ბაზის სტატისტიკური დამუშავებისთვის. იხ.: გ. დ. ჟდანოვა. № 00447 ბრძანების ალტაის მხარეში 1937 წლის ოქტომბერ – 1938 წლის მარტში რელიზაციის სტატისტიკური ანალიზი.//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში 1937-1938 წწ. მასობრივი ოპერაცია № 00447 ბრძანების საფუძვლზე/ შემდგ. მ. იუნგე, ბ. ბონევიჩი, რ. ბინერი. მოსკოვი, გვ. 718-745.

83. იხ. თავი „ნაციონალური“ ოპერაციები საქართველოში.

84. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის („კულაკური“ სამეული) სხდომების ოქმები// საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 8. ს. 37362-38446.

შესახებ⁸⁵. „მილიციის“ სამეულის მსხვერპლთა ბაზა შეიქმნა ამ სამეულის სხდომათა ოქმებისა და მსჯავრდებულთა საარქივო-საგამოძიებო საქმეების საფუძველზე⁸⁶. ეს სამეული 1934 წლის 14 აგვისტოდან 1938 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით მოქმედებდა. სულ შემონახულია „მილიციის“ სამეულის 113 სხდომის ოქმი. 1937 წლის აპრილიდან 1938 წლის ივნისამდე, კერძოდ № 54/11-დან № 96-53-მდე ძირითადად აღდგენილია სრულად შემონახული საგამოძიებო საქმეების საფუძველზე, რომლებშიც ასახულია ოქმებიდან ამონაწერები. სულ დამუშავებული იქნა ცნობები 2 200 ადამიანის შესახებ. შესაბამისად, სტატისტიკურ მონაცემებში „მილიციის“ სამეულების საქმიანობის შესახებ მითითებულია, თუ როდის და რომელ სხდომაზე შეიცვალა სამეულის დასახელება, ანუ სამეულს აღარ ეწოდებოდა „ამიერკავკასიის“, ოფიციალურად მოიხსენიებოდა როგორც „საქართველოს შინსახკომის სამეული“.

დიდი დროის მომცველი მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება ასევე იმიტომ იყო აუცილებელი, რომ საქართველოს სსრ შინსახკომის შიდა სტატისტიკა არ ინახება საქართველოს შსს არქივში⁸⁷.

„სტალინური“ სიებით გასამართლებულთა მონაცემთა ბაზა მოიცავს ინფორმაციას 3 671 პირის შესახებ, რომლებიც სიაში მოიხსენიებიან რეკვიზიტის – „საქართველოს სსრ“-ს ქვეშ. სიაში არსებული მწირი პირადი ინფორმაცია შევსებულია სასამართლო სხდომების მონაცემებითა და „კულაკური“ სამეულის ოქმებით. მონაცემთა ეს ბაზა შეადგინა საქართველოს შსს არქივმა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (თბილისი) დახმარებით. ბაზა ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის.

1. შაბლონები „კულაკური“, „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულების სადამსჯელო მოქმედებების შესახებ

შაბლონები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდებოდა ინფორმაციის ამოკრება „კულაკური“ და „ნაციონალური“ სამეულების სხდომათა ოქმებიდან, სრულიად იდენტურია. რაც შეეხება შაბლონებს, რომელთა მიხედვითაც ხდებოდა ინფორმაციის ამოკრება „მილიციის“ სამეულის სხდომათა ოქმებიდან, მცირედ განსხვავებულია რამდენიმე პუნქტის მიხედვით, ხოლო შაბლონები, რომელთა მიხედვითაც შეიქმნა „სტალინური“ სიების მონაცემთა ბაზა, თანხვედრაშია სამი ხსენებული მონაცემთა ბაზის ნიმუშებთან.

ყველა შაბლონი მოიცავს:

1. სამეულის სხდომის ოქმის საარქივო „ნარწერას“;

2. შესაბამისი სამეულის ავთენტურ აღნიშვნას. „კულაკური“ და „ნაციონალური“ სამეულები ოქმებში ერთნაირად აღინიშნება: „საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეული“. „კულაკური“ და „ნაციონალური“ სამეულების სხდომათა ოქმების განსხვავება შესაძლებელია მხოლოდ თარიღებისა და ნომრების მიხედვით. მაგალითად, „კულაკური“ სამეულის სხდომის ოქმების დანომვრა იწყება 1937 წლიდან, ხოლო „ნაციონალური“ სამე-

85. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის („ნაციონალური“ სამეული) სხდომების ოქმები// საქართველოს შსს არქივი. | განყოფილება. ფ. 8. ს. 38467-38471.

86. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის („მილიციის“ სამეული) სხდომათა ოქმები// საქართველოს შსს არქივი. | განყოფილება. ფ. 8. აღ. 34-38. ს. 291-360. „მილიციის“ სამეულის ოქმები სისტემატურად მუშავდებოდა მონაცემთა ბაზის შესადგენად ერთობლივი ქართულ-გერმანული პროექტის შესრულების დროს. პროექტს მხარს უჭერს „ფოლკსვაგენის“ ფონდი.

87. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ნინამდებარე გამოცემის შესავალი „თოვლქვეშ“.

ულის – 1938 წლიდან. გადაკვეთა აქ არ ხდება, რადგან „კულაკური“ სამეულის № 1-52 ოქმები (1937-1938 წლების 122 ოქმიდან) 1937 წლით, ხოლო „ნაციონალური“ სამეულის № 1-52 ოქმები, ანუ სხდომის ყველა ოქმი) 1938 წლით თარიღდება. 1936 წლის ბოლომდე „მილიციის“ სამეული სხდომებს „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის (ასფსრ) შინსახკომის სამეულის“ სახელით მართავდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ აღნიშნულ პერიოდამდე სამივე კავკასიური რესპუბლიკისთვის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) საერთო „მილიციის“ სამეული მოქმედებდა. 1937 წლიდან ამიერკავკასიის თითოეულ რესპუბლიკაში ცალკე „მილიციის“ სამეული შეიქმნა და საქართველოს „მილიციის“ სამეულსაც ისევე ეწოდა, როგორც „კულაკურ“ და „ნაციონალურ“ სამეულებს – „საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეული“. საქართველოს „მილიციის“ სამეულის ოქმები თავისებური დანომვრით გამოირჩევა: თავდაპირველად მითითებულია სამეულის სხდომების საერთო მიმდინარე ნომერი, დახრილი ხაზის შემდეგ კი მინიჭებული აქვს სამეულის სხდომის მიმდინარე წლიური ნომერი. მაგალითად, ჩანანერი „ოქმი № 98/55, 5 სექტემბერი 1938 წ.“ აღნიშნავს, რომ საუბარია სამეულის სხდომის ოქმებიდან 98-ე ოქმზე (დანყებული 1937 წლის იანვრიდან, ანუ საქართველოს მილიციის სამეულის შექმნიდან), რომელიც მიმდინარე, 1938 წელში, არის 55-ე.

3. შესაბამისი „სამეულის“ წევრები (სხდომის თავმჯდომარე, სამეულის წევრები, მდივანი). საქართველოში სამივე სამეულის წარმომადგენლები ყოველთვის იყვნენ რესპუბლიკის შინსახკომის ხელმძღვანელი პირები. „კულაკური“ და „ნაციონალური“ სამეულების შემთხვევაში, როგორც წესი, საუბარია რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის მდივანსა და პროკურორზე. თუმცა საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, ორივე სამეულის მუდმივი წევრი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის მილიციის უფროსი იყო. „კულაკური“ სამეულის მხოლოდ უკანასკნელ სამ სხდომაზე, 1938 წლის შემოდგომის მიწურულს, მოულოდნელად ჩნდება საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის გვარი. რაც შეეხება „მილიციის“ სამეულს, მის შემადგენლობაში არასდროს არ შედიოდა კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოლქო კომიტეტის/სამხარეო კომიტეტის მდივანი, მის ნაცვლად სამეულის წევრი იყო მილიციის მაღალი თანამდებობის პირი.

4. ე.წ. „მომხსენებლების“ სახელები, რომლებიც საგამოძიებო საქმის საფუძველზე ამზადებდნენ მოკლე ინფორმაციას ეჭვმიტანილის შესახებ. ინფორმაცია მოიცავდა ბიოგრაფიულ მონაცემებსა და საგამოძიებო მასალების მოკლე რეზიუმეს. „მომხსენებლების“, რომლებიც შინსახკომის თანამშრომლები იყვნენ, ამოცანა იყო ზეპირსიტყვიერად წარმოედგინათ საგამოძიებო საქმე. თუმცა, დღემდე არ არის დანამდვილებით ცნობილი, იღებდნენ თუ არა ისინი მომხსენებლები მონაწილეობას სამეულის სხდომებში. შესაძლოა „ძირითადი მომხსენებელი“ ცვლიდა ცალკეულ „მომხსენებლებს“, ან სხდომების უმრავლესობაზე საერთოდ არ იყვნენ ისინი. ამ შემთხვევაში, სამეულის მონაწილეები ვიზირებას ახდენდნენ უკვე გამზადებულ განაჩენებზე, რომლებიც სამეულის მდივნების მიერ წინასწარ იყო „შეთავაზებული“. სავარაუდოდ, ისინი არ განიხილავდნენ ცალკეულ საქმეებს, რადგან ერთ სხდომაზე ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ასეულ პირს ასამართლებდნენ.

5. ასევე მოყვანილია შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების, ან მილიციის შესაბამისი განყოფილების დასახელება, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამის საქმეზე ეწარმოებინა გამოძიება.

6. ბაზაში გულმოდგინედ და პედანტურადაა შეყვანილი და დამუშავებული მსჯავრდებულთა პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, სქესი, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა და განათლება.

აღნიშნულს მოსდევს მონაცემები პარტიული კუთვნილების, სამუშაო ადგილის, თანამდებობისა და პროფესიის შესახებ. რეკვიზიტში „სამუშაო ადგილი“ ასევე გათვალისწინებულია საქმიანობის ისეთი სახეები, როგორებიცაა „განსაზღვრული საქმიანობის გარეშე“, „მქდავები“, „სისხლის სამართლის დამნაშავეები“, „რეციდივისტები“.

7. აღსანიშნავია რეკვიზიტი „სოციალური მდგომარეობა“, რომელშიც სამი კლასიკური მდგომარეობიდან – მუშა, გლეხი და მოსამსახურე – ერთ-ერთი ეთითება. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ისეთი მონაცემებიც, როგორებიცაა: „განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის გარეშე“, „მღვდელმსახური“, „სექტანტი“ და ა.შ.

8. გარდა ამისა, თითოეული მსჯავრდებულის შემთხვევაში გამოვლენილია სოციალური მდგომარეობა და პოლიტიკური წარსული, მაგალითად: კულაკი, ვაჭარი, აზნაური, თეთრი არმიის ჯარისკაცი და ოფიცერი, მენშევიკი, ანარქისტი და სხვა პოლიტიკური დაჯგუფების წევრი.

9. ცალკე აღინიშნება დაპატიმრების თარიღი.

10. ასევე ცალკეა აღნიშნული: ნასამართლეობა, მათ შორის დაკავებისა და დაპატიმრების მითითებით.

11. ბრალდებები.

12. სამეულის განაჩენი და სასჯელის ზომა.

13. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის საფუძველზეც მოხდა განაჩენის გამოტანა

14. ბოლო რეკვიზიტია „შენიშვნა“. მასში ეთითება მსჯავრდებულის შესახებ არსებული სპეციფიკური ინფორმაცია.

„მილიციის“ სამეულის მიერ გასამართლებულ პირთა ამონაკრები ამ რეკვიზიტების გარდა მოიცავს მონაცემებს „ჯანმრთელობის მდგომარეობისა“ და „პატიმრის ადგილსამყოფლის“ (ანუ ადგილი, სადაც მსჯავრდებული იხდიდა სასჯელს) შესახებ.

აღნიშნული მონაცემთა ბაზის ყველაზე დიდი თავისებურება ისაა, რომ თითოეული გასამართლებულისთვის არსებობს არა მხოლოდ შევსებული შაბლონი, არამედ მონაცემთა გამოთხოვის დროს, ბაზის მომხმარებელი იღებს სამეულის სხდომის ოქმის ამონაწერსაც. ამგვარად, მყისიერად შეიძლება არა მხოლოდ ბაზაში არსებული მონაცემების გადამონმება, არამედ ადრე გაუთვალისწინებული დამატებითი ინფორმაციის ოპერატიულად მიღება⁸⁸.

2. შესწავლის კრიტერიუმები

მონაცემთა ბაზის საფუძველზე კვლევის ძირითადი მიზნები იყო შემდეგი:

– ვინ (მოსახლეობის რომელი ჯგუფები) გახდა საქართველოში შინსახკომის მასობრივი ოპერაციების მსხვერპლი;

– რომელი მაჩვენებლების მიხედვით ხდებოდა მსხვერპლის დაპატიმრება და გასამართლება;

– სასიკვდილო განაჩენისა და აღმკვეთი ღონისძიების განაჩენის თანაფარდობა რეპრესირებულთა სხვადასხვა ჯგუფში მასობრივი ოპერაციების ჩატარების სხვადასხვა პერიოდში;

– რომელი იყო რეპრესიების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდები და ციკლები;

– რომელი ჯგუფები (სოციალური, ასაკობრივი, ნაციონალური და სხვ.) განიცდიდნენ განსაკუთრებით მკაცრ დევნას და უსჯიდნენ ულმობელ განაჩენს;

88. სამეულის ოქმებიდან ამონარიდების მიღება ტექნიკურად შესაძლებელი გახდა შსს არქივის თანამშრომლის, ეკა კუხალაშვილის ხელშეწყობით.

– როგორი იყო რეპრესირებულთა სოციალური შემადგენლობა ზოგადად და ოპერატიული ბრძანებების რეალიზაციის სხვადასხვა პერიოდში;

– როგორი იყო რეპრესირებულთა წინა ნასამართლობის, საარჩევნო ხმის უფლების აღკვეთისა და პოლიტიკური წარსულის (კონტრრევოლუციური პარტიის წევრობა, თეთრების მოძრაობასა და ადგილობრივ გლეხთა აჯანყებაში მონაწილეობა) როლი;

– რა იყო საქართველოში შინსახკომის მიერ ჩატარებული მასობრივი ოპერაციების თავისებურება.

აღნიშნული კვლევის დროს გადაირჩა, განზოგადდა და გაანალიზდა სხვადასხვა პირის შესახებ არსებული მონაცემები, რომლებიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სხვადასხვა სამეულის მიერ იქნენ გასამართლებულნი შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- სქესი;
- ასაკი;
- დაბადების ადგილი;
- ეროვნება;
- განათლება;
- სოციალური წარმოშობა;
- სოციალური მდგომარეობა დაპატიმრების დროს;
- არსებული ნასამართლეობა;

– პოლიტიკური წარსული (პოლიტიკური პარტიის წევრობა, სამსახური მეფის, თეთრ არმიებში ან სადამსჯელო ორგანოებში);

- სასჯელის ზომა.

მონაცემთა ბაზები წარმოადგენს საფუძველს როგორც „კულაკური“ და „ნაციონალური“ ოპერაციების რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების, ისე „მილიციის“ სამეულის მიერ ჩატარებულ სოციალურ წმენდათა შესასწავლად.

შინსახკომის მასობრივი ოპერაციების

რაოდენობრივი ანალიზი

საქართველოში ჩატარებული „კულაკური“ ოპერაციების რაოდენობრივი ანალიზი დღემდე არასრულ ინფორმაციას ეფუძნებოდა. მკვლევართათვის ხელმისაწვდომი უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემები სსრკ შინსახკომის მიერ 1938 წლის მარტში მომზადდა. მათში მოყვანილი იყო როგორც დაპატიმრებულ და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა, რომელიც სამ ჯგუფად იყოფოდა (კულაკები, სისხლის სამართლის დამნაშავეები და „სხვა კონტრრევოლუციური ელემენტები“), ასევე პირველი (სასიკვდილო განაჩენი) და მეორე (თავისუფლების აღკვეთა) კატეგორიების მიხედვით მსჯავრდებულ პირთა ციფრები. სტატისტიკურ ცნობაში, რომელშიც მოყვანილი იყო მონაცემები საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის მიხედვით, ასევე აღინიშნებოდა საქართველოში მსჯავრდებულთა საერთო ციფრი – 11.204⁸⁹. ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში სწორედ საქართველოსთან მიმართებაში იყო საუბარი ძველი მონაცემების შესახებ, ვლინდება მათი შედარებით იმ მონაცემებთან, რომლებიც 1938 წლის იანვარში სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მე-8 ანგარიშში აღინიშნებოდა. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისგან განსხვავებით, 1938 წლის მარტისთვის მონაცემებით, საქართველოს მიმართებაში არსებული ციფრები არ შეცვლილა⁹⁰.

თუმცა, მეტად არაზუსტი აღმოჩნდა ასევე ციფრები რეპრესირებულთა შესახებაც, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლ. პ. ბერიას სასამართლო პროცესის დროს (18-23 დეკემბერი 1953 წ.) მოსკოველ კოლეგებს მიაწოდა. მაგალითად, ლ. ბერიას დამქაშისა და ნდობით აღჭურვილი პირის, ს. ა. გოგლიძის საბრალდებო მასალებში (იგი 1937-1938 წლებში – საქართველოს შსს სახალხო კომისარი, 1937 წლის 11 ნოემბრიდან კი საქართველოს შინსახკომის „კულაკური“ სამეულის თავმჯდომარე იყო) უფრო მაღალი ციფრებია მოყვანილი, ვიდრე ისინი, რომლებიც სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს ცნობაშია. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი სპეცგანყოფილების (სააღრიცხვო-სარეგისტრაციო) უფროსი ნ. კობალეიშვილი ცნობაში 1937-1938 წ.წ. საქართველოს შინსახკომის განსაკუთრებული (ანუ „კულაკური“) სამეულის მიერ მსჯავრდებულთა საერთო რიცხვად 12 382-ს უთითებს, რომელთაგან 6 767 ადამიანს სასჯელის უმაღლესი ზომა, ხოლო 5 590-ს – ბანაკებში თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. აღნიშნული მონაცემების თანახმად, 25 ადამიანი გათავისუფლებული იქნა პატიმრობიდან⁹¹. თუმცა გაურკვეველია, რომელ მონაცემებს ეფუძნება ეს ციფრები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხედველობაში მივიღებთ „კულაკური“ სამეულის მხოლოდ იმ სხდომებს, რომელთაც ს. გოგლიძე (1937 წლის 11 ნოემბრიდან) და არა საქართველოს შსს სახალხო კომისრის მოადგილე ა. ნ. რაფავა თავმჯდომარეობდა, ნ.

89. იხ. ცხრილი 1. იქვე იხ. გრაფაში „დაპატიმრებულია/მსჯავრდებულია“: „არაუგვიანეს 01.03.1938 წ.“.

90. იქვე იხ. გრაფაში „დაპატიმრებულია/მსჯავრდებულია“: „არაუგვიანეს 01.03.1938 წ.“.

91. იხ. აღნიშნული გამოცემის მეორე ტომში: დოკუმენტი „საქართველოს სსრ შსს I სპეცგანყოფილების უფროსის, ნ. კობალეიშვილის 1953 წლის 18 დეკემბრის № 174 ცნობა ს. ა. გოგლიძის თავმჯდომარეობით გამართული საგანგებო სამეულის მიერ 1937-1938 წლებში მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ“.

კოპალეიშვილის მიერ მოყვანილი მონაცემები მეტად დაწეულია. ს. გოგლიძის თავმჯდომარეობით სამეულის მიერ გასამართლებულთა ზუსტი რიცხვი, რომელიც 48 სხდომის ოქმის მიხედვითაა დათვლილი, 13 326-ს შეადგენს, რომელთაგან 7 035 სასიკვდილო განაჩენი იყო⁹². ამგვარად, მონაცემებს შორის სხვაობა თითქმის 1000-ია, ხოლო სასჯელის უმაღლეს ზომამისჯილთა კი – 268. ნ. კოპალეიშვილის მიერ 1953 წლის 18 დეკემბრით დათარიღებულ ცნობაში მოყვანილი ციფრები ინტერპრეტაციას არ ექვემდებარება („1937-1938 წლებში ს. გოგლიძის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული სამეულის მიერ სასჯელის უმაღლეს ზომამისჯილთა ცნობა“). იქნებ, მასში მოყვანილია ს. გოგლიძის თავმჯდომარეობით მოქმედი „ნაციონალური“ და არა „კულაკური“ სამეულის საქმიანობის სტატისტიკა, რადგან ციფრები დაახლოებით ემთხვევა?⁹³.

შესაძლოა, ლ. ბერიას სასამართლოსთან დაკავშირებით, 1953 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიღო მითითება – მოსკოვში წარედგინა მონაცემები იმ პირთა რაოდენობის შესახებ, რომელთაც ს. გოგლიძის თავმჯდომარეობით დაედოთ მსჯავრი, რამეთუ ს. გოგლიძე იმ დროს ასევე ბრალდებული იყო. ნაკლებად სარწმუნოა იმის ვარაუდი, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამეულის ყოფილი წევრის – ა. ნ. რაფავას დასაცავად აგზავნიდა მოსკოვში არაზუსტ მონაცემებს. ა. რაფავა 1951 წელს ე.წ. „მეგრელთა საქმის“ („მეგრელთა ნაციონალისტური ჯგუფის“ საქმე) ფარგლებში დააპატიმრეს, თუმცა სტალინის გარდაცვალებისა და „მეგრელთა საქმის“ შეწყვეტის შემდეგ, 1953 წლის 10 აპრილს გაათავისუფლეს და მისი რეაბილიტაციაც მოახდინეს. თუმცა, 1953 წლის 17 ივლისს კვლავ აიყვანეს, ამჯერად ლ. ბერიას ყველა (პოტენციური) მხარდამჭერის მოშორების მიზნით. ა. რაფავა „მარშლის“ საქმეში ბრალდებულის სტატუსით გადიოდა. საბოლოოდ, იგი სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ გასამართლდა როგორც „ბერიას ხელმძღვანელობით არსებული მთავრობის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების“ წევრი, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა და დაიხვრიტა⁹⁴.

დღეისათვის გაურკვეველია, რატომ აღმოჩნდა შეცდომა ლ. ბერიას პროცესზე (დააპატიმრეს 1953 წლის 26 ივნისს) წარმოდგენილ ცნობაში და რატომ არ ასახავს ის მსჯავრდებულთა ზუსტ რაოდენობას, რომელთაც *სამეულმა* ს. გოგლიძის თავმჯდომარეობით დასდო მსჯავრი, მით უფრო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გააჩნდა *სამეულების* მიერ ჩატარებული სხდომების სრული კომპლექტი. მოსკოვში გაგზავნილ მონაცემებში ასევე განცვიფრებას იწვევს „კულაკური“ და „ნაციონალური“ *სამეულების* ერთნაირი აღნიშვნა. ვითარების გარკვევას, სამწუხაროდ, ხელს ვერ უწყობს ვერც ა. რაფავას წინააღმდეგ ჩატარებული სასამართლო პროცესის მასალები, რომელიც ქ. თბილისში 1955 წლის სექტემბერში ჩატარდა. ისინი ან განადგურდა, ან რუსეთში ინახება (სმოლენსკში ან მოსკოვში).

საქართველოს სსრ შინსახკომის „კულაკური“ *სამეულის* მიერ მსჯავრდებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ *სამეულის* ყველა ოქმის დაწვრილებით დამუშავების შედეგად, რაც საქართველოს შსს არქივის თანამშრომლების მიერ იქნა

92. იხ. ცხრილი 42.

93. იხ. აღნიშნული გამოცემის მეორე ტომში: დოკუმენტი „საქართველოს სსრ შსს I სპეცგანყოფილების უფროსის, ნ. კოპალეიშვილის 1953 წლის 18 დეკემბრის №174 ცნობა ს. ა. გოგლიძის თავმჯდომარეობით გამართული საგანგებო სამეულის მიერ 1937-1938 წლებში მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ“; ცხრილი 5.

94. ნ. ვ. პეტროვი, კ. ვ. სკორკინი. ვინ ხელმძღვანელობდა შინსახკომს. 1934-1941. ცნობარი. მოსკოვი, 1999. გვ. 354-355.

განხორციელებული. მონაცემთა ბაზის შექმნის საფუძველზე, მათ რეპრესირებულთა ზუსტი ციფრები გამოავლინეს, რომელიც დღემდე არსებულ მონაცემებზე მნიშვნელოვნად მაღალია. ირკვევა, რომ მოძველებული სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც სსრკ შინსახკომის სპეცგანყოფილების 1938 წლის ნიმუშის გამოთვლაშია მოყვანილი, თითქმის ორჯერ მცირეა ახალ ციფრებთან შედარებით. როგორც აღვნიშნეთ, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა, 1938 წლის მარტის თვის მონაცემებით, „მხოლოდ“ 11 204 იყო, რომელთაგან 4 975-ს სასჯელის უმაღლესი ზომა, ხოლო 6 229-ს – თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ⁹⁵. საქართველოს შინსახკომის „კულაკური“ სამეულის ოქმების თანახმად, პასუხისგებაში მიცემული იქნა 21 107 პირი. მათ შორის იყვნენ გათავისუფლებულებიც, რომელთა საქმეებიც დამატებითი გამოძიებისთვის გადაიცა, ან სასამართლო და არასასამართლო ორგანოებს გადაეგზავნათ. მათი რიცხვი 989 იყო. შესაბამისად, ირკვევა, რომ საქართველოში „კულაკურმა“ სამეულმა 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის 11 ოქტომბრამდე სხვადასხვა განაჩენი 21 107 – 989 ადამიანს გამოუტანა, რომელთაგან 10 563 სიკვდილით დაისაჯა, ხოლო 9 555-ს – ბანაკებში 8 ან 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ბანაკებში მაქსიმალური ვადით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა 9 237 (97%) პირს, ხოლო 8 წლით – 318-ს (3.3%) მიესაჯა⁹⁶. სიკვდილით დასჯისა და ბანაკებში თავისუფლების აღკვეთის განაჩენებს შორის თანაფარდობა დაახლოებით 1:1 იყო, თუმცა უმაღლესი ზომის მისჯა 5%-ით მაღალი იყო (ზუსტი თანაფარდობა 1.1:0.9 (53%:48%). გამოთვლების დროს ჩვენ ყოველთვის ვსარგებლობდით 21 107 პირის კრებსითი ციფრით, რომელთა მიმართებაშიც „კულაკური“ სამეულის მიერ ესა თუ ის განაჩენი ან გადანყვეტილება იქნა გამოტანილი.

ეს მონაცემები – მხოლოდ მე-2 კატეგორიით მსჯავრდებულ პირთა რაოდენობის შესახებ – შეიძლება გადამონმდეს უნიკალური სტატისტიკური ცნობის დახმარებით, რომელიც საქართველოს შსს არქივში ინახება. მასობრივი ოპერაციების დასრულებისთანავე, „კულაკური“ სამეულის ყოფილმა მდივანმა, ა. კ. მოროზოვმა, რომელიც იმავდროულად საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს სააღრიცხვო-სარეგისტრაციო მე-8 სამმართველოს (1938 წლის გაზაფხულზე I სპეცგანყოფილება ეწოდა) უფროსი იყო, შეადგინა ცნობა იმის თაობაზე, თუ რამდენი პირი იყო მსჯავრდებული მე-2 კატეგორიის ფარგლებში განაჩენის სიმძიმის მიხედვით. თუმცა მოროზოვის ცნობაში, იმ მონაცემთაგან განსხვავებით, რომლებიც „კულაკური“ სამეულის ოქმების დამუშავების შედეგადაა მიღებული, მე-2 კატეგორიით მსჯავრდებულ პირთა რიცხვმა არა 9 555, არამედ 10 369 შეადგინა. ამრიგად, სხვაობა 814-ია.⁹⁷ სავარაუდოა, რომ მოროზოვმა თავის ცნობაში გააერთიანა როგორც „კულაკური“, ასევე „ნაციონალური“ სამეულების მიერ მე-2 კატეგორიის მიხედვით მსჯავრდებულთა რაოდენობა, მით უმეტეს, რომ საქართველოში ორივე სამეული ერთნაირად იწოდებოდა – „საგანგებო სამეული“. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ სხვაობა სამეულის ოქმების საფუძველზე მიღებულ და მოროზოვის მონაცემებს შორის 434-მდე შემცირდება, რამდენადაც 380 ადამიანი გამოაკლდება, რომლებიც, თანახმად მისი ოქმებისა, „ნაციონალურმა“ სამეულმა მე-2 კატეგორიით გაასამართლა⁹⁸. მაგრამ ამის შედეგად მნიშვნელოვნად არ შემცირებულა შეუსაბამობა. ასე, მოროზოვის ცნობაში მითი-

95. იქვე.

96. იხ. ცხრილი 2.

97. „ცნობა საქართველოს სსრ შინსახკომის ყოფილი საგანგებო სამეულის მიერ 1937-1938 წლების პერიოდში (არაუგვიანეს 1938 წლის ბოლოში) II კატეგორიის მიხედვით მსჯავრდებულთა შესახებ“. იხ. აგრეთვე ცხრილი 2.

98. 9555 (II კატეგორია, „კულაკური“ სამეული)+380 (II კატეგორია, „ნაციონალური“ სამეული)=9935 (გაანგარიშება სამეულების სხდომების ოქმების საფუძველზე). იხ.: ცხრილები 2, 5.

თებულის, რომ ბანაკებში 10 წლის ვადით პატიმრობა მიესაჯა 8766 ადამიანს. მაგრამ სამე-
ულების ოქმების საფუძველზე დაანგარიშებით ვიღებთ შემდეგ ციფრებს: 9237 ადამიანს
„კულაკური“ სამეულის მიერ მიესაჯა შრომა-გასწორების ბანაკებში 10 წლით პატიმრობა,
ხოლო „ნაციონალური“ სამეულის მიერ 10 წლით პატიმრობამისჯილებთან ერთად ეს
რიცხვი იზრდება 9420-მდე. ახლა უკვე საუბარია მოროზოვის მონაცემთა მნიშვნელოვნად
გადაჭარბებაზე, 654 ადამიანით. გათავისუფლებულთა რაოდენობა, მოროზოვის ცნობით,
56-ს შეადგენს, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე ოქმების საფუძველზე მიღებული მონაცემი. ამ
დაანგარიშების მიხედვით, ორივე სამეულის მიერ გათავისუფლებული იყო მხოლოდ 25
ადამიანი. ასევე არ ემთხვევა სხვა სტატისტიკური მონაცემებიც.

რაც შეეხება საქართველოში „ნაციონალური“ ოპერაციების ჩატარებას, ორეულის
განაჩენების თანახმად, რომლებიც მოსკოვში უმაღლესი ორეულის მიერ მტკიცდებოდა,
რესპუბლიკაში 1937 წლის დეკემბრის ბოლოდან 1938 წლის 17 სექტემბრამდე მსჯავრდე-
ბული იქნა 1.624 ადამიანი, რომელთაგან 248-ს (15%) სიკვდილით დასჯა მიესაჯა⁹⁹. 1937
წლის დეკემბრამდე ორეული საქართველოში არ მოქმედებდა¹⁰⁰.

1938 წლის 25 სექტემბრამდე, როდესაც საქართველოში ორეულის ფუნქციების შესრუ-
ლება „ნაციონალურმა“ სამეულმა დაიწყო, 1938 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით, „ნაცი-
ონალური“ ოპერაციების ფარგლებში, დამატებით 495 ადამიანი იქნა გასამართლებული.
მათგან 119-ს (24%) სიკვდილით დასჯა მიესაჯა¹⁰¹. 380 ადამიანი მეორე კატეგორიით იქნა
გასამართლებული, მათგან 300-ს ბანაკებში 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა
მიესაჯა. 80 პირის საქმეთაგან ნაწილი დამატებით გამოსაძიებლად გადაიგზავნა (13
პირის), ნაწილი განსახილველად სხვა სასამართლოებს გადაეგზავნათ (სულ 19 პირის, მათ
შორის 2 პირის – სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას, 1 პირის – განსაკუთ-
რებულ სათათბიროს, 7 პირი გაათავისუფლეს, ხოლო 38 – სსრკ-დან გააძევეს). ამგვარად,
ორეულმა და „ნაციონალურმა“ სამეულმა ერთად საქართველოში 2 119 პირს დასდეს
მსჯავრი, რომელთაგან 367-ს (17%) სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

„ნაციონალური“ ოპერაციების ფარგლებში მსჯავრდებულ პირთა დათვლის სირთულე
განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 1938 წლის 17 სექტემბრიდან, რაც „ნაციონალური“
სამეულები შეიქმნა, ლიკვიდირებული იქნა შინსახკომის ოპერატიული ბრძანებებისა
გერმანელების, იაპონელების, პოლონელების, ხარბინელებისა და სხვათა განსაზღვრულ
არასასამართლო სადამსჯელო ინსტანციასთან, კერძოდ – ორეულთან. ამ მიზეზით, საქარ-
თველოში ორეულისა და „ნაციონალური სამეულის“ მიერ მსჯავრდებული მსხვერპლის
რაოდენობა „ნაციონალური ხაზებით“ მსჯავრდებულ მსხვერპლთა რიცხვს არ ემთხვევა.
„ნაციონალური“ ოპერაციების მსხვერპლად უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ ორეულისა და
„ნაციონალური“ სამეულის მიერ 1938 წლის 17 სექტემბრიდან მსჯავრდებული პირები,
არამედ ისინიც, რომლებიც 1938 წლის 17 სექტემბრიდან, № 00606 ბრძანებისა და № 189
ცირკულარის თანახმად იყვნენ ბრალდებულნი სსრკ-ის „ნორმალური“ სასამართლოების
მიერ, ანუ ისინი, ვინც დააპატიმრეს შინსახკომის „ნაციონალური“ ბრძანებების საფუძ-
ველზე 1938 წლის 1 აგვისტოდან და/ან იყვნენ სხვა ქვეყნების ქვეშევრდომები. გარდა
ამისა, 1938 წლის 17 სექტემბრის შემდეგ, „ნაციონალური“ სამეულის განსჯადობის მიღმა
აღმოჩნდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შინსახკომის ყოფილი თანამშრომ-

99. 2119-272-223=1624 (1 კატეგორია: 431-47-68=248). იხ. ცხრილი „ნაციონალური ოპერაციების“ სტატისტიკური
შედეგები საქართველოში 1937-1938 წლებში „თავში“ ნაციონალური ოპერაციები საქართველოში“.

100. იხ. თავი „ნაციონალური ოპერაციები“.

101. იხ. ცხრილი 5.

ლები და წითელი არმიის ყოფილი მოსამსახურეები, რომელთაც სამხედრო წოდება ჰქონდათ (იხ. ცირკულარი № 189)¹⁰². თუმცა რაიმე მონაცემი განაჩენთა რაოდენობის შესახებ, რომელიც გამოტანილი იქნა ამ კატეგორიის პირებთან მიმართებაში, არ არსებობს, ხოლო საგამოძიებო საქმეები, რომელთა საფუძველზეც მათი აღდგენა იქნებოდა შესაძლებელი, დამწვარია. ამგვარად, ციფრი 2.119, რომელიც „ნაციონალური“ ოპერაციის ფარგლებში (ორეულის მიერ – 1.624, „ნაციონალური“ სამეულის მიერ – 495) გასამართლდა, მხოლოდ ქვედა ნიშნულს გვიჩვენებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 1938 წლის 17 სექტემბრიდან საქართველოში „ნაციონალური“ სამეულის გარდა გასამართლებულთა რიცხვი, ალბათ, არ იქნება მაღალი.

დიდი ტერორის პერიოდში – 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის ნოემბრის ჩათვლით, საქართველოში, „მილიციის“ სამეულის მოქმედების რაოდენობრივი ანალიზი სრულად არ ჩატარებულა. ამის მიზეზი ისაა, რომ სამეულის მთელი რიგი სხდომების ცალკეული მონაცემების აღდგენა ვერ ხერხდება. როგორც აღვნიშნეთ, არ მოიპოვება „მილიციის“ სამეულის მოქმედების ერთ წელზე მეტი პერიოდის ამსახველი სხდომის ოქმები, ანუ 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის სექტემბრის ჩათვლით. მათი აღდგენის მცდელობა, რაც იმ საგამოძიებო საქმეების გადახედვით განხორციელდა, რომლებშიც სხდომების ამონაწერები იყო ჩაკრული, ასევე არასრული შედეგის მქონე აღმოჩნდა. მთელი რიგი სხდომების შემთხვევაში, მსჯავრდებულთა სრული რაოდენობისა და გასამართლების თარიღის დადგენა ვერ მოხერხდა. მაგალითად, უცნობია ექვსი სხდომის ჩატარების თარიღი: № 66/23 (1937 წლის აგვისტო), 69/26 (1937 წლის სექტემბერი), 74/31 (1937 წლის ოქტომბერი), 77/34 (1937 წლის დეკემბერი) და 86/43, 87/47 (1938 წლის მარტი). კიდევ ერთი სირთულე 1938 წლის ორი უკანასკნელის წინა სხდომის თარიღისა და დანომრის დადგენაში მდგომარეობს. 1938 წლის 3 ნოემბრის ოქმი № 112/69 წინ უძღვის 1938 წლის 21 ნოემბრის № 111/68 ოქმს.

აღნიშნულის შედეგად, „მილიციის“ სამეულის მიერ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა, დიდი ალბათობით, მიღებულ მონაცემებზე გაცილებით მაღალი უნდა იყოს, რამეთუ გაურკვეველი რჩება, თუ რა რაოდენობით მსხვერპლი იქნა ბრალდებული ცალკეულ სხდომებზე, რომელთა ოქმებიც არ მოიპოვება: № 65/22 (08.08.1937) – 80/37 (15.01.1938) და 82/39 (21.02.1938) – 96/53 (20.06.1938). ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ სამეულის აღნიშნულ სხდომებზე სულ მცირე იმდენი პირი გასამართლდა, რამდენიც ცხრილშია მოყვანილი¹⁰³. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, სსრკ შინსახკომის „მილიციის“ სამეულმა, დიდი ტერორის პერიოდში, მეორე კატეგორიის მიხედვით, 2.204 ადამიანს დასდო ბრალი.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს „მილიციის“ სამეული მოსკოვიდან მიღებულ ბრძანებებს არღვევდა: 1938 წლის 21 და 22 ნოემბერს მან ორი სხდომა ჩაატარა, რომლებზეც 106 პირს დაედო მსჯავრი, მაშინ როცა სსრკ სახალხო კომისართა კავშირისა და სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, „მილიციის“ სამეულები გაუქმებული იყო¹⁰⁴. შესაძლებელია, რომ ზემოაღნიშნული სამეულის

102. იხ. აღნიშნული გამოცემის მეორე ტომში: დოკუმენტი № 46 „სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის 1938 წლის 17 სექტემბრის ბრძანება № 00606“ საგანგებო სამეულების შექმნის შესახებ სსრკ შინსახკომის № 00485 და სხვა ბრძანებების შესაბამისად დაპატიმრებულთა საქმეების განსახილველად; იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში დოკუმენტი № 47 „სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ლ.პ. ბერიას 1938 წლის 21 სექტემბრის ცირკულარი „სსრკ შინსახკომის № 00606 ბრძანების გამოყენების განმარტების შესახებ“.

103. იხ. ცხრილი 7.

104. იხ. სახალხო კომისართა საბჭოსა და სკკპ(ბ) ცკ 1937 წლის 17 ნოემბრის დადგენილება „დაპატიმრებულების, საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიების წარმოების შესახებ“//მ. იუნგე, გ. ბორდიუგოვი, რ. ბინერი.

ბოლო ორი სხდომის (112/69, 111/68) „შეცდომით“ დათარიღება და დანომვრა იმ დაპატიმრებულთა ნაჩქარევად გასამართლების შედეგია, რომლებიც რეპრესიათა ბოლო ფაზაში დაგროვდნენ ციხეებში. ჯერჯერობით უცნობია, გააჩნდათ თუ არა ქართველ მილიციელებს საკუთარი კომპეტენციის გადამეტების ნებართვა.

სულ, არასასამართლო ინსტანციების მიერ (ორეული, „კულაკური“ „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულები) საქართველოში მასობრივი ოპერაციების ფარგლებში სულ მცირე 25.430 პირს დაედო მსჯავრი, რომელთაგან 43%-ს (10.930 პირი) სიკვდილით დასჯა, ხოლო 52%-ს (13.263 პირი) ბანაკებში თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. დამატებით 1.237 ადამიანს (5%) ნაკლებად მძიმე განაჩენი გამოუტანეს. საქართველოს სსრ მოსახლეობის საერთო რაოდენობის 0.75% იქნა რეპრესირებული.

საქართველოს სსრ-ში ორეულის“, „კულაკური“, „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულების მიერ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა

| არასასამართლო ინსტანცია | სულ | I კატეგორიის მიხედვით ¹⁰⁵ | II კატეგორიის მიხედვით | % |
|-------------------------|--------------|--------------------------------------|------------------------|------------|
| „კულაკური“ სამეული | 21107 | 10563 | 9555+989 | 83 |
| ორეული | 1624 | 248 | 1376 | 6,4 |
| „ნაციონალური“ სამეული | 495 | 119 | 296+80 | 1,9 |
| „მილიციის“ სამეული | 2204 | 0 | 2036+168 | 8,7 |
| სულ | 25430 | 10930 | 13263+1237 | 100 |

1. ლიმიტები

რეპრესიების ლიმიტები მხოლოდ „კულაკური“ სამეულისთვის იყო განსაზღვრული. ვიდრე საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის სხდომათა ოქმების დამუშავების გზით მისი მსხვერპლის რეალური რაოდენობა დადგინდებოდა, არსებობდა ვარაუდი, რომ ისინი მნიშვნელოვნად მაღალი იქნებოდა იმასთან შედარებით, რომლებიც სსრკ შინსახკომის ცენტრალური აპარატის სტატისტიკაში იყო მოყვანილი. ვარაუდი ეფუძნებოდა ე.წ. ლიმიტებს პირველი და მეორე კატეგორიების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ შინსახკომის „კულაკური“ სამეულისთვის მოსკოვის მიერ იქნა მოწონებული. ეს ლიმიტები ასევე მოყვანილი იყო სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მიერ მომზადებულ სტატისტიკურ მონაცემებში, რომლებიც 1938 წლის იანვრისა და მარტის თვეებით თარიღდება¹⁰⁶. გარდა ამისა, ცნობილია სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს ორი დადგენილება, რომლებიც საქართველოსთვის დაწესებული ლიმიტების ოდენობას ზრდიდა¹⁰⁷. საქართველოსთვის მუდმივად მზარდი ლიმიტების

დიდი ტერორის ვერტიკალი. გვ. 426-429. CM.

105. აქ ყოველთვის გათვალისწინებულია იმათი რაოდენობაც, ვინც არ იყო მსჯავრდებული სამეულის მიერ ბანაკში ან ციხეში მოთავსებით, მაგრამ რომელთა მიმართაც მიღებული იყო გადაწყვეტილება განთავისუფლების, სხვა სასამართლო ინსტანციისთვის საქმის გადაცემის, გარკვეულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვისა და ა.შ. შესახებ.

106. იხ. ცხრილი 1. იხ.: გრაფაში „დაპატიმრებული/მსჯავრდებულია“: „არაუადრეს 01.03.1938“; „არაუგვიანეს 01.03.1938“.

107. იქვე. იხ.: გრაფაში „ლიმიტები“: „31.01.1938 პლუსი“ და „02.04.1938 პლუსი“.

საერთო ჯამი თითქმის 2-ჯერ აღემატებოდა მსჯავრდებულ პირთა რიცხვს, რომელიც სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს სტატისტიკაშია მოყვანილი (11.204 პირი). ჯამში, გაერთიანებულმა ლიმიტებმა 21.030 შეადგინა (I კატეგორია – 10.00, II კატეგორია – 11.030)¹⁰⁸.

საქართველოს სსრ შინსახკომისთვის ლიმიტების ზრდის შესახებ მონაცემები, რომლებიც სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს სტატისტიკაშია მოყვანილი, აღნიშნულის მიუხედავად, ზუსტი არ არის. ხშირ შემთხვევაში, უწინდებურად უცნობია დამატებითი ლიმიტის გამოყოფის ზუსტი ოდენობა და კონკრეტული თარიღი. ეს განსაკუთრებით 1937 წელს ეხება. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ლიმიტები, რომლებიც 1937 წლის 30 ივლისით დათარიღებულ № 00447 ბრძანებაშია დაფიქსირებული: 2.000 – პირველი და 3.000 – მეორე კატეგორიისთვის, სულ – 5.000. ამგვარად, მხოლოდ სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს 1938 წლის იანვრის ანგარიშზე დაყრდნობით, სადაც ასევე არის მონაცემები ლიმიტების ზოგადი რიცხვის შესახებ, შეიძლება დარწმუნებით დავასკვნათ, რომ 1937 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში ლიმიტები საქართველოსთვის რამდენჯერმე გაიზარდა. ლიმიტის საერთო ოდენობა 1937 წლის აგვისტო-დეკემბერში 5.000-დან 17.500-მდე გაიზარდა, მათ შორის პირველი კატეგორიისთვის – 2.000-დან 7.500-მდე, ხოლო მეორე კატეგორიისთვის – 3.000-დან 10.000-მდე¹⁰⁹. 1938 წელს სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს დადგენილებებით, დოკუმენტურად დასტურდება ლიმიტების ზრდის ორი შემთხვევა: 1938 წლის 31 იანვარს საქართველოს წარედგინა პირველი კატეგორიისთვის დამატებითი ლიმიტი 1.500 პირისთვის, ხოლო 1938 წლის 2 აპრილს – დამატებითი საერთო ლიმიტი 1.500 პირისთვის (პირველი კატეგორია 1.000, მეორე კატეგორია – 500). 1938 წლისთვის არ მოიპოვება დოკუმენტური მტკიცებულებები თებერვალში 530 პირისთვის მეორე კატეგორიაში მორიგი ლიმიტის წარსადგენად. სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს 1938 წლის მარტისთვის ანგარიშში მოყვანილია გაერთიანებული ლიმიტი საქართველოსთვის 1937-1938 წლებისთვის 19.530 პირის ოდენობით. თუ ამ რიცხვს დავუმატებთ 1938 წლის 2 აპრილის შემოხსენებულ ლიმიტს, მაშინ ჯამური ლიმიტი 21.030 პირისთვის იქნებოდა გამოყოფილი¹¹⁰.

მოსკოვის მიერ გამოყოფილი ლიმიტები, თუ ქართული დოკუმენტების მიხედვით ვიმსჯელებთ, აუცილებლად შესასრულებელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა და მათი ზედა ზღვარი გაზრდას არ ექვემდებარებოდა. ლიმიტის შემადგენლობაში, როგორც ჩანს, გათვალისწინებული იყო ყველა პირი, რომელთა საქმეებსაც *სამეულები* განიხილავდნენ. მათ შორის იყვნენ დაპატიმრებულებიც, რომელთა საქმეებიც *სამეულების* მიერ დამატებით გამოსაძიებლად ან განსახილველად სხვა სასამართლო და არასასამართლო სადამსჯელო ორგანოებისთვის გადაიგზავნა. ერთადერთ გამონაკლისს ის ბრალდებულები წარმოადგენდნენ, რომლებიც გაათავისუფლეს, ან ისინი, ვისი საქმეებიც მოიხსნა აღრიცხვიდან და გადაეგზავნა არქივს, ასევე გამოძიების მსვლელობისას გარდაცვლილებიც (60+6+1+2=77 პირი)¹¹¹. თუ ამ რიცხვს დათვლის დროს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გამოყოფილი ლიმიტების რაოდენობა და საქართველოს სსრ შინსახკომის „კულაკური“ *სამეულის* მიერ მსჯავრდებულთა რიცხვი თითქმის 100%-ით დაემთხვევა – სხვაობა 29 ადამიანს

108. იქვე. იხ.: გრაფაში „სულ 1937-1938“; „ლიმიტები“.

109. იქვე. იხ. გრაფაში „ლიმიტები“ 01.01.1938 წ“.

110. იქვე.

111. იხ. ცხრილი 2.

შეადგენს¹¹².

რაც შეეხება პირველ და მეორე კატეგორიებს შორის არსებულ თანაფარდობას, იქმნება შთაბეჭდილება, რომ № 00447 ბრძანებით გათვალისწინებულ კატეგორიებს შორის „გადა-
ნაცვლება“ უმნიშვნელოდ იყო დაცული. მაგალითად, სხვაობა პირველი კატეგორიის
ლიმიტსა და სასჯელის უმაღლეს ზომამისჯილ პირებს შორის საქართველოში მხოლოდ 6%
იყო¹¹³. აღნიშნული მოთხოვნისა და ლიმიტის წარდგენის მექანიზმით აიხსნება. როგორც
ნესი, მოთხოვნა I და II კატეგორიებზე ლიმიტების გამოყოფის შესახებ მოსკოვს ცალ-
ცალკე მიენოღებოდა, ან იგზავნებოდა მოთხოვნა ერთი რომელიმე კატეგორიისთვის
ლიმიტის გასაზრდელად. სტრუქტურულად ორივე შემთხვევას ერთ შედეგამდე მიყვავდით.
ამგვარად, ორივე კატეგორიისთვის რეპრესიის მკაცრი ზედა ზღვარი დგინდებოდა,
რომელიც მოსკოვის მიერ მონმდებოდა და, გადამეტების შემთხვევაში, ისჯებოდა¹¹⁴.

კომუნისტური პარტიის მონაწილეობა მასობრივ რეპრესიებში იმაზე იყო დამოკიდე-
ბული, თუ ვისგან მოდიოდა მოთხოვნა ლიმიტის გაზრდის შესახებ – საქართველოს სსრ
კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისგან, პირადად ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის
– ლ. პ. ბერიასგან, საქართველოს სსრ შინსახკომისგან, თუ ორივე სტრუქტურისგან ერთად
ან პარალელურად. არასრული ინფორმაციის არსებობის მიზეზით, საქართველოში სახელი-
სუფლებო სტრუქტურების იერარქიის შესახებ შეკითხვაზე ნაწილობრივი პასუხი შესაძლე-
ბელია გაიცეს მხოლოდ ერთი მაგალითის საფუძველზე. 1938 წლის 2 აპრილს მოთხოვნილი
მორიგი ლიმიტის შემთხვევაში, ეჭვგარეშეა, რომ სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის
პოლიტბიურომ ლიმიტი დაამტკიცა საქართველოს სსრ სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის
მოთხოვნის საფუძველზე; ამასთანავე, ნათელია, რომ ლიმიტი უცვლელი დარჩა. თუმცა ამ
მოთხოვნის ისტორიის კვლევა ვერ ხერხდება: არც სხვადასხვა პარტიული ორგანოს მიერ
შემონახულ მასალებში, არც საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მოსკოვთან
წარმოებულ მიმონერაში არ იძებნება რაიმე ინფორმაცია ამ ან სხვა მოთხოვნის შესახებ,
რომელიც საქართველოდან რუსეთში სხვადასხვა დროს გაიგზავნა. და მაინც, დიდი ალბა-
თობით, თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ საქართველოს სსრ შინსახ-
კომი, როდესაც *სამეულის* სამსჯავროზე გასატან მორიგ პირთა რაოდენობას წარადგენდა,
მჭიდროდ თანამშრომლობდა და შეთანხმებულად მოქმედებდა საქართველოს კომპარ-
ტიის ხელმძღვანელობასთან. ეს დასკვნა ეფუძნება არა მხოლოდ 1938 წლის 2 აპრილის
ლიმიტის ისტორიას, არამედ იმ გარემოებასაც, რომ „ჩეკისტებმა“ 1937 წლის 8 ივლისს
დანვრილებით აცნობეს ლ. ბერიას იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით ადამიანს და რომელი
„ხაზით“ (სახელმწიფო უშიშროებისა თუ მილიციის) უნდა განეცადათ რეპრესიები¹¹⁵. შეიძ-
ლება ისიც კი ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ლ. ბერიას მყარი პოზიციის გათვალის-
წინებით, პარტიულ სათავეში მდგომნი მტკიცედ ინარჩუნებდნენ საბოლოო გადაწყვე-
ტილების უფლებას ლიმიტების ზრდის მოთხოვნის შესახებ. გარდა ამისა, სსრკ-ის სხვა

112. 21 078 პირი, გასამართლებული „კულაკური“ *სამეულის* მიერ, გამოკლებული 77 გათავისუფლებული, გამოძიების დროს გარდაცვლილი მისთ. = 21 011. საერთო ლიმიტთან – 21 030 შედარებით გადახრა შეადგენს 29 პირს 921 030 – 21 001 = 29). იხ. ცხრილი 1.

113. იქვე.

114. უფრო დანვრილებით ლიმიტების გადამეტების პროცედურის შესახებ იხ.: მ. იუნგე. ლიმიტების გაზრდის მექანიზმები// „მტრის გვამებით ხალხის საკეთილდღეოდ“. „კულაკური ოპერაცია“ უკრაინის სსრ-ში. 1937-1941/ შემდგ. მ. იუნგე, ს. ა. კოკინი, რ. ბინერი და სხვ. ტომი 1. მოსკოვი, 2010. გვ. 137-152.

115. აღნიშნული გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 12 „შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ს. ა. გოგლიძის და [?] იურიევის 1937 წლის 8 ივლისის ცნობა № 110410 – საქართველოს კპ(ბ) ცკ პირველ მდივან ლ. პ. ბერიას აღრიცხვაზე აყვანილი კულაკების და სისხლის სამართლის დამნაშავეების შესახებ“.

რეგიონების შესწავლის შედეგად ცნობილია, რომ მოთხოვნა ლიმიტის ზრდის შესახებ პარტიული ორგანოებისა და შინსახკომის მიერ პარალელურად წარედგინებოდა მოსკოვს, ზოგჯერ – ერთობლივად¹¹⁶. მითი იმის თაობაზე, რომ დიდი ტერორის წლებში შინსახკომი პარტიას ექვემდებარებოდა – რაც 1956 წელს სკკპ-ს XX ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ იქნა ფორმულირებული-ქართული რეალობის ფონზეც კი ვერ უძლებს კრიტიკას¹¹⁷.

2. რეპრესიების ინტენსივობის ხარისხი

ისეთი მაჩვენებელი, როგორც რეპრესიების ინტენსივობის ხარისხია, ჩვენ მიერ გამოითვლება როგორც რეპრესირებულთა რაოდენობის თანაფარდობა მოსახლეობის საერთო რიცხვთან. თავის მხრივ, იგი საშუალებას იძლევა შეფასდეს ის ზარალი, რაც საქართველოს მასობრივი ოპერაციების მსვლელობისას მიადგა. ანალიზს მასობრივი ოპერაციებიდან ყველაზე მასშტაბური – „კულაკური“ ოპერაციით დავიწყებთ. საქართველოს სსრ მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან – 3.376.946 – „კულაკურმა“ სამეულმა 21.107 პირს (0.6%) დასდო მსჯავრი¹¹⁸. მათგან 0.31%-ს სასჯელის უმაღლესი ზომა, ხოლო 0.29%-ს – ბანაკებში თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, თანაფარდობა დაახლოებით 50%-50%-ზე იყო¹¹⁹. ეს ციფრები, თუ მათ მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, მეტად დაბალია, თუმცა დიფერენციალური ანალიზის ჩატარებისას უმნიშვნელოდ აღარ წარმოგვიდგება. ამგვარად, არსებობს საფუძველი, შევაფასოთ მსხვერპლთა რაოდენობა არა მოსახლეობის საერთო, არამედ მამრობითი სქესის მოსახლეობის რიცხვთან მიმართებაში, რადგან „კულაკური“ ოპერაციის მიმდინარეობისას რეპრესირებული იყო მხოლოდ 559 ქალი (რეპრესირებულთა საერთო რაოდენობის 3 %)¹²⁰. ამგვარად, რეპრესირებულების რიცხვის შეფარდებით საქართველოში მამრობითი სქესის მოსახლეობის რიცხვთან, რომელიც 1937 წლის აღწერის მიხედვით 1.682.592 შეადგენდა¹²¹, რეპრესიის ინტენსივობის ხარისხი ორჯერ გაიზარდება და 1.2%-ს შეადგენს (სიკვდილით დასჯა – 0.63%, ბანაკებში თავისუფლების აღკვეთა – 0.60 %). რეპრესიების ინტენსივობის ხარისხის შემდგომი ზრდა მოხდება რეპრესირებულთა რაოდენობის შეფარდებით მოსახლეობის გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებთან, განსაკუთრებით „კულაკური“ ოპერაციის ფარგლებში¹²². ჩვენი გამოთვლების მიხედვით, სამეულის მიერ რეპრესირებულთა 97% ასაკით 20-69 წლის იყო¹²³. თუ მოვიყვანთ 1937 წლის საბჭოთა მოსახლეობის საშუალო სტატისტიკურ მონაცემებს და გავითვალისწინებთ, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა დაახლოებით თანაბარი იყო, აღმოჩნდება, რომ საქართველოს მოსახლეობის 47% 20 წელზე უმცროსი და

116. მ. იუნგე. ლიმიტების გაზრდის მექანიზმი// მ. იუნგე, გ. ბორდიუგოვი, რ. ბინერი. დიდი ტერორის ვერტიკალი. შინსახკომის № 00447 ბრძანების შესაბამისი ოპერაციის ისტორია. მოსკოვი, 2008. გვ. 141-150.

117. ნ. ს. ხრუშჩოვი. ნიკიტა ხრუშჩოვის მემუარები// ისტორიის საკითხები. 1992. № 2-3. გვ. 94.

118. სტატისტიკური მონაცემები საქართველოს სსრ მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მოცემულია: ვ. ბ. ჟირომსკაია, ი. ნ. კისელიოვი, ი. ა. პოლიაკოვი. ნახევარი საუკუნე გრიფით „საიდუმლო“. მოსახლეობის 1937 წლის საკავშირო აღწერა. მოსკოვი. 1996. გვ. 41; მოსახლეობის 1937 წლის საკავშირო აღწერა. ზოგადი შედეგები. დოკუმენტების კრებული/მემდგ. ვ.ბ. ჟირომსკაია, ი.ა. აპოლიაკოვი. მოსკოვი. 2007. გვ. 41.

119. იხ. აგრეთვე ცხრილი 1.

120. იქვე. იხ. ცხრილი 24.

121. ჟირომსკაია. ნახევარი საუკუნე გრიფით „საიდუმლო“. გვ. 53.

122. იხ. ცხრილები 30 და 33.

123. 2 035 000/21 078 = 96,5%

69 წელზე უფროსი იყო¹²⁴. ამის შედეგად, რეპრესიების ინტენსივობის ხარისხი, რომელიც მოსახლეობის გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის მიმართაა გამოთვლილი – კერძოდ, 20-დან 69 წლამდე (53%), თითქმის 2-ჯერ გაიზარდა¹²⁵ და 2.3%-ს მიაღწევს¹²⁶. გარდა ამისა, ამ გამოთვლებში აისახა მონაცემები მხოლოდ ერთ-ერთი მასობრივი ოპერაციის მსხვერპლთა შესახებ, სხვა ორი ოპერაციის („ნაციონალური ხაზითა“ და სოციალური წმენდა „მილიციის სამეულებით“) მსხვერპლთა გათვალისწინების გარეშე, ასევე პარტიულ-საბჭოთა ელიტის წარმომადგენელთა რაოდენობის, სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის, სამხედრო ტრიბუნალებისა და სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს მიერ რეპრესირებულთა გათვალისწინების გარეშე.

რაც შეეხება ორეულის, „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულების მიერ მსჯავრდებულ პირთა რიცხვს, მან მასობრივი ოპერაციების მსხვერპლთა საერთო რაოდენობასთან შედარებით „მხოლოდ“ 13% შეადგინა, შესაბამისად სტატისტიკურად ისეთი დიდი მნიშვნელობის მქონე არ არის, როგორც „კულაკური“ ოპერაციის შემთხვევა. „ნაციონალური“ ოპერაციების დროს მსჯავრდებულთა საერთო წილი, მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, 0.06%-ია¹²⁷. მიუხედავად ამისა, აქაც, „კულაკური“ სამეულის ანალოგიით, რეპრესიების ინტენსივობის ხარისხი ასევე არსებითად იზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალები საქართველოს სსრ შინსახკომის „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთა „მხოლოდ“ 5%-ს შეადგენდნენ¹²⁸. შედეგად, „ნაციონალური“ ოპერაციის ფარგლებში, რეპრესიების ინტენსივობის მაჩვენებელი შეიძლება 0.12%-მდე გაიზარდოს. ასევე „ნაციონალური“ ოპერაციის მსვლელობისას გასამართლებულ მამაკაცთა წილიც 20-დან 69 წლამდე ფარგლებში შეადგენს 96%-ს („კულაკური“ სამეულის მსხვერპლის მსგავსად), რაც კიდევ ერთი მაჩვენებლის გაორმაგების საფუძველს იძლევა – 0.12%-დან 0.24%-მდე.

რაც შეეხება მესამე მასობრივ ოპერაციას, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები არ გვიბძვებს გავზარდოთ რეპრესიების ინტენსივობის ხარისხის საწყისი მაჩვენებელი. ქალთა ნაწილი „მილიციის“ სამეულის მიერ მსჯავრდებულთა შორის – 11.2% – მეტად მაღალია იმისათვის, რომ გამოთვლისას მხოლოდ მამაკაცთა რაოდენობა იქნას გათვალისწინებული¹²⁹. გარდა ამისა, მსჯავრდებულთა შორის, 14-დან 19 წლამდე ჯგუფში მოზარდთა და ჭაბუკთა წილმა 23% შეადგინა. ამგვარად, 20-დან 69 წლამდე მსხვერპლის წილი „მხოლოდ“ 76.8% იყო („კულაკური“ სამეული – 95%, „ნაციონალური“ სამეული

124. ჟირომსკაია. ნახევარი საუკუნე გრიფით „საიდუმლო“. გვ. 65. აქ ჩვენ ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 20-დან 69 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წილი საქართველოში არ შეადგენს რეპრესირებულთა 100%-ს, გამოთვლისას კომპენსირებულია სსრკ მოსახლეობის სტრუქტურაში ქალთა რაოდენობის მეტობით, 1937 წლის მონაცემების მიხედვით. მაგრამ გაურკვევლობის ფაქტორი მაინც რჩება, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი მონაცემები არ არსებობს.

125. მამაკაცთა საერთო რაოდენობა 1 682 592 გამოკლებული 47,24 % = 887 735,5 – ზრდასრული მამაკაცების რაოდენობა 20-დან 69 წლამდე.

126. $20\ 118 \times 100 / 887\ 735,5 = 2,3\ %$.

127. 1624 (ორეული) + 495 („ნაციონალური“ სამეული) = $2119 \times 100 / 3\ 376\ 946 = 0,06\ %$. იხ. აგრეთვე წინამდებარე თავის ცხრილი „კულაკური“ სამეულის, ორეულის, „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულების მიერ მსჯავრდებულთა რაოდენობა საქართველოში“.

128. იხ. ცხრილი 28. ამასთან ვითვალისწინებთ, რომ ორეულის მიერ მსჯავრდებულთა ჯგუფი არსებითად არ განსხვავდება სქესისა და ასაკის მიხედვით „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთაგან.

129. იხ. ცხრილი 29.

– 96%)¹³⁰. ყველაზე ფრთხილი გამოთვლით, „მილიციის“ სამეულის მიერ ჩატარებული რეპრესიის ინტენსივობის ხარისხის მაჩვენებელი, რომელმაც 0.07% შეადგინა, შეიძლება გაზრდილი იქნას 0.2%-მდე (ციფრი 0.07 აქ არ შეიძლება გაორმაგდეს, როგორც ეს სხვა შემთხვევების დროს გაკეთდა, რის შედეგადაც მივიღებდით მაჩვენებელს 0.28%)¹³¹. ამის შედეგად, რეპრესიების ინტენსივობის ხარისხის გაერთიანებული მაჩვენებლები „ნაციონალური“ ოპერაციებისთვის და „მილიციის“ სამეულის სოციალური წმენდისთვის 0.44%-ს შეადგენს¹³².

ამგვარად, შინსახკომის სამივე მასობრივი ოპერაციის („კულაკური“ სამეული, ორეული, „ნაციონალური“ და „მილიციის“ სამეულები) ფარგლებში წარმოებული რეპრესიების ინტენსივობის ხარისხი 1937-1938 წლებში საქართველოში შეიძლება განისაზღვროს როგორც 2.74%¹³³. უნდა აღინიშნოს, რომ რეპრესირებულთა დიდი ნაწილი მოსახლეობის გარკვეულ სეგმენტს, კერძოდ, შრომისუნარიან მამაკაცებს მიეკუთვნებოდა. თუ ამ მაჩვენებელს დაუვმატებთ რეპრესიათა ინტენსივობის მაჩვენებელს ელიტის მიმართებაში, რომლებსაც ბრალი სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დასდო – 0.12% (910 პირი)¹³⁴, და ასევე გავითვალისწინებთ სამხედრო ტრიბუნალების, უმაღლესი სასამართლოს სპეციალური კოლეგიისა და განსაკუთრებული სათათბიროს მსხვერპლთა, ასევე პირებს, რომლებიც არამართლზომიერად გასამართლდნენ „ნორმალური“ სასამართლოების მიერ (მათი ზუსტი რაოდენობა ჩვენთვის უცნობია, რეპრესიათა ინტენსივობის დაახლოებითი ხარისხი მთლიანობაში შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც 0.14%), მაშინ მივიღებთ გაერთიანებულ შემზარავ მაჩვენებელს – არანაკლებ 3%, ამასთან მსხვერპლთა უმრავლესობა (90%-ზე მეტი) 20-69 წლის მამაკაცებმა შეადგინეს¹³⁵. რადგან ამ შემთხვევაში ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაზეა საუბარი, მაშინ ეს დაკლება შეიძლება დავახასიათოთ არა როგორც ადამიანური ტრაგედია, არამედ როგორც სამეურნეო დანაკლისიც.

3. 1937 და 1938 წლების შედარება

1937 წლის აგვისტო-დეკემბრის მოკლე პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ხანაა საქართველოს უახლეს ისტორიაში. მშვიდობიან დროს, მოკლე შუალედში, დაახლოებით ხუთნახევარი თვის განმავლობაში – 1937 წლის 11 აგვისტოდან თითქმის 7.000 (6.738) პირის მიმართ იქნა გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი (№ 00447 ბრძანების ფარგლებში). გარდა ამისა, დამატებით დაახლოებით 8.000 (7.943) პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა მაღალი სიკვდილიანობის მქონე შრომა-გასწორებით ბანაკებში. სულ, 1937 წელს საქართველოში „კულაკურმა“ სამეულმა 15.413 ადამიანს დასდო მსჯავრი. დაახლოებით 600 (587) პირის საქმე სამეულებმა განსახილველად გადასცეს განსაკუთრებულ (სსრკ

130. იხ. ცხრილი 32.

131. $2204 \text{ („მილიციის“ სამეული)} \times 100 / 3 \text{ } 376 \text{ } 946 = 0,07 \%$.

132. $0,24 + 0,23 = 0,47 \%$

133. $2,3 \%$ („კულაკური“ ოპერაცია) + $0,44 \%$ (ნაციონალური ოპერაციები, „მილიციის სამეული“) = $2,74\%$

134. ასევე მოცემულ შემთხვევაშიც ყველა საფუძველი არსებობს განმეორებით გავაორმაგოთ თავდაპირველი მაჩვენებელი 0,03% 0,12%-მდე.

135. 1937 წელს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაჩქარებული სხდომებით მსჯავრი დასდო საქართველოში 910 პირს. იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც მსჯავრი დასდო საგანგებო სათათბირომ, ჯერ არ არის დადგენილი. ასევე უცნობია, თუ რამდენი ადამიანი იყო უსამართლოდ მსჯავრდებული საქართველოში 1937-1938 წლებში „ნორმალური“ სასამართლოების მიერ.

უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, სამხედრო ტრიბუნალები, სსრკ უმაღლესი სასამართლოს სპეციალური კოლეგია და განსაკუთრებული სათათბირო), ან „ნორმალურ“ სასამართლოებს, რომელთა ფუნქციონირებაც ჯერ შესწავლილი არ არის. მხოლოდ 143 პირი, ანუ 15.413 საქმიდან 0.7%, რომლებიც 1937 წელს „კულაკურმა“ სამეულმა განიხილა, გათავისუფლებული იქნა, ან მათი საქმეები დამატებით გამოსაძიებლად გადაიგზავნა. ორი ადამიანი გამოძიების მსვლელობისას გარდაიცვალა.

რაც შეეხება რეპრესირებულთა რიცხვის „ნამატს“ № 00447 ბრძანების ლიმიტებთან შედარებით, 1937 წელს ის 3-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა. ოპერაციის დასაწყისში საქართველოს გამოეყო ლიმიტი პირველი და მეორე კატეგორიების მიხედვით 5.000 პირის ოდენობით. წლის ბოლოს, დამატებითი ლიმიტების წარდგენის შედეგად რეპრესირებული იქნა 15.413 ადამიანი. მსჯავრდებულთა წილი საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხვთან შედარებით 1937 წლის აგვისტო-სექტემბერში იყო 0.46% (პირველი კატეგორია – 0.2%, მეორე კატეგორია – 2.6%). ამგვარად, უმაღლეს ზომასა და შრომა-გასწორებით ბანაკებში განაჩენების თანაფარდობა იყო 0.85:1.

1938 წელს № 00447 ბრძანების თანახმად განხორციელებულ რეპრესიათა ინტენსივობა სსრკ-ში შემცირდა. მსგავსი სურათი იყო საქართველოშიც. 1938 წელს „კულაკურმა“ სამეულმა 1937 წელს გასამართლებულთა მესამედს დასდო მსჯავრი – 5.665 პირს (პირველი კატეგორიით – 3.796, მეორე კატეგორიით – 1.869). მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შეფარდებით, მსჯავრდებულთა წილმა 0.16% შეადგინა (პირველი კატეგორიით – 0.1%, მეორე კატეგორიით – 0.06). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამეულის მიერ 1938 წელს სასიკვდილო განაჩენით გასამართლებულთა რიცხვი გაიზარდა. აქ მოხდა არა მხოლოდ გარდატეხა განაჩენთან მიმართებაში, არამედ პირველი კატეგორიის განაჩენის გაორმაგება (1938 – 1:04; 1937 – 0.85:1). ამგვარად, 1938 წელი საქართველოში სიკვდილის მისჯის წელი იყო. თუმცა, საქართველომ აქაც გაიმეორა საერთო საკავშირო მიდრეკილება, რაც განსაკუთრებით გამოკვეთილად უკრაინაში მოხდა. საბჭოთა იმპერიის ამ დასავლურ გარეუბანში, საქართველოსგან განსხვავებით, 1938 წელს სამეულის განაჩენების 98% სასიკვდილო იყო (საქართველოში მხოლოდ 68%)¹³⁶.

რაოდენობრივ მიმართებაში საქართველოში განსაკუთრებით გამოიყოფა 1938 წლის მარტის თვე, რომლის განმავლობაშიც სამეულმა 1.811 განაჩენი გამოიტანა. მაგრამ თუ განვიხილავთ თვეებს სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენთა რაოდენობის მიხედვით, ყველაზე სისხლიანი 1938 წლის სექტემბერ-ოქტომბერია: 262 პირიდან 243 (92.7%) პირველი კატეგორიის მიხედვით გასამართლდა. 1938 წლის მარტში სასიკვდილო განაჩენის წილმა 62% (1.124 პირი) შეადგინა, 1938 წლის იანვარ-ივლისში – 65.6% (3.519 პირი)¹³⁷. 1938 წლის აგვისტოში საქართველოში „კულაკური“ სამეული არ მოქმედებდა.

სადამსჯელო ღონისძიებების სიმძიმის ცენტრი „ნაციონალური ხაზის“ ოპერაციების ფარგლებში, საქართველოში 1938 წელზე მოდის. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ორეულმა მოქმედება მხოლოდ 1937 წლის დეკემბრის ბოლო დღეებში დაიწყო და „პოლონური ხაზით“ ბრალი მხოლოდ 37 პირს დასდო¹³⁸. დანარჩენ 2080 ადამიანს მსჯავრი დაედო

136. იხ.: კრებსითი ცხრილი № 00447 ბრძანების უკრაინაში განხორციელების შესახებ//„მტრის გვამებით ხალხის საკეთილდღეოდ“. „კულაკური“ ოპერაცია უკრაინის სსრ-ში. 1937-1941 წწ.//შემდგ. მ. იუნგე, ს. ა. კოკინი, რ. ბინერი და სხვ. ტომი 2. მოსკოვი. 2010. გვ. 365-366; (379 600:1612 = 42,5%).

137. იხ. ცხრილი 2.

138. იხ. ცხრილი „საქართველოს ალბომური“ სიების სტატისტიკა № 00485 ბრძანების („პოლონური“ ოპერაცია) შესასრულებლად“, თავი „ნაციონალური ოპერაციები“.

1938 წელს¹³⁹.

საქართველოში დიდი ტერორის პერიოდში „მილიციის“ სამეული განსაკუთრებით აქტიურად ფუნქციონირებდა 1938 წელს, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ მისი მოქმედების შესახებ არსებული მონაცემები არასრულია. თუ 1937 წელს ამ სამეულმა 443 პირს დასდო მსჯავრი, 1938 წელს მსჯავრდებულთა რიცხვმა 1.761 შეადგინა, ანუ თითქმის 4-ჯერ მეტი¹⁴⁰.

4. მასობრივი ოპერაციები საქართველოში სსრკ-ის სხვა რეგიონებთან შედარებით

არის თუ არა საქართველო რეგიონი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა № 00447 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული რეპრესიების შედეგად? საქართველოსა და საბჭოთა კავშირის 6 სხვადასხვა რესპუბლიკაში, მხარეებსა და ოლქებში (უკრაინის სსრ, დასავლეთ ციმბირის მხარე, რომელიც 1937 წლის ოქტომბრის თვიდან ალტაის მხარისა და ნოვოროსიისკის, კალინინისა და ომსკის ოლქებად დაიყო, ასევე თათრეთისა და კარელიის ასსრ) ჩატარებული შედარებითი სტატისტიკური ანალიზი შემდეგ მონაცემებს იძლევა:

საქართველოში „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა საერთო რაოდენობა, № 00447 ბრძანებით განსაზღვრულ პირველად გამოყოფილ ლიმიტთან შედარებით, 4.2-ჯერ გაიზარდა, რაც ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს – 3.5 – მცირედ აღემატება¹⁴¹. რაც შეეხება პირველი კატეგორიით გასამართლებულ მსხვერპლთა რაოდენობის ზრდას, პირველი კატეგორიის პირველად ლიმიტთან შედარებით, საქართველო 5.3-ჯერ ზრდით რამდენადმე ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს – 5.7 (უკრაინის სსრ – მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა გაიზარდა 4.3-ჯერ, პირველი კატეგორიით მსჯავრდებულთა რიცხვი გაიზარდა 8.5-ჯერ; დასავლეთ ციმბირის მხარე – შესაბამისად 3.3-ჯერ და 6.6-ჯერ; კალინინის ოლქი – 2.5-ჯერ და 4.6-ჯერ; თათრეთის ასსრ – 2.5-ჯერ და 2.4-ჯერ; კარელიის ასსრ – 5.1-ჯერ და 6.4-ჯერ)¹⁴².

რაც შეეხება ომსკის ოლქს, სადაც მსხვერპლთა საერთო რაოდენობა 6.7-ჯერ გაიზარდა (№ 00447 ბრძანების ტექსტთან შედარებით), ხოლო სასჯელის უმაღლესი ზომის მისჯის კუთხით 15.4-ჯერ, საქართველოში რეპრესიების მაჩვენებლები გაცილებით დაბალი აღმოჩნდა, 63% (4,2:6.7x100) შეადგინა და, შესაბამისად, „მხოლოდ“ 34% (5,3:15.4 x 100) ომსკის მაჩვენებლებისგან¹⁴³.

საქართველოში რეპრესირებულთა საერთო რაოდენობის ზრდის შედარება ლიმიტებთან არსებულ ვითარებასთან უკრაინის მსგავსი იყო (4.2:4.3). თუმცა, პირველი კატეგორიით მსჯავრდებულთა რაოდენობის მიხედვით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება უკრაინას (5,3:8.5). თუ უკრაინაში რეპრესირებულთა დონეს 100%-ად მივიჩნევთ, მაშინ საქართველოს მაჩვენებელი 62.4%, ანუ 37.6%-ით დაბალი იქნება.

139. 1624 (ორეული) + 495 („ნაციონალური“ სამეული) – 37 (ორეული) = 2082

140. იხ. ცხრილი 8.

141. 1937 წლის 30 ივლისის № 00447 ბრძანების შესაბამისად პირველი ლიმიტი შეადგენდა 5000 ადამიანს (პირველი კატეგორია 2000; მეორე კატეგორია 3000). იხ. ცხრილი 1.

142. იხ.: № 00447 ბრძანების უკრაინაში შესრულების კრებლის ცხრილი//„მტრის გვამებით ხალხის კეთილდღეობისთვის“. ტომი 2. გვ. 355-392. იხ. აგრეთვე № 00447 ბრძანების სსრკ-ში შესრულების ცხრილი: № 00447 ბრძანების შესრულების კრებლის ცხრილი// დიდი ტერორის ვერტიკალი. გვ. 519-623; იხ. ცხრილი 1.

143. გამოთვლილია: იქვე.

თუკი შევაფასებთ რეპრესირებულთა გაერთიანებულ რიცხვს „კულაკური“ ოპერაციის მსვლელობისას მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებაში, მაშინ საქართველოს მაჩვენებელი – 0.6% უმნიშვნელოდ აღემატება საშუალო მაჩვენებელს, რაც ექვსი განხილული რეგიონისთვის 0.47% შეადგენს. სამაგიეროდ, ორ შუა რუსულ რეგიონთან შედარებით – თათრეთის ასსრ და კალინინის ასსრ, ასევე უკრაინა მისი 12 ოლქით, საქართველოში საზარელი სურათი იყო. როგორც მსხვერპლის გაერთიანებული რიცხვის, ისევე სიკვდილმისჯილთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საერთო რიცხვთან, საქართველო სამჯერ აღემატება თათრეთის ასსრ-ს (0.6%:0.20% და 0.31%:0.09%) და დაახლოებით 2-ჯერ კალინინის ოლქს (0.6%:0.32% და 0.31%:0.14%)¹⁴⁴. საქართველოს მაჩვენებლები თითქმის სამჯერ აჭარბებს უკრაინის მაჩვენებლებსაც (0.6%:0.43%)¹⁴⁵. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, ისევე როგორც თათრეთის ასსრ-ში, კალინინის, დონეცკის, ხარკოვისა და პოლტავის ოლქებში, ადგილი ჰქონდა შედარებით „დაბალანსებულ“ თანაფარდობას უმაღლეს ზომასა და ბანაკებში თავისუფლების აღკვეთას შორის¹⁴⁶. თუმცა ეს მტკიცება ზუსტია ერთი არსებითი პირობის გათვალისწინებით: უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოში მასობრივი ოპერაციების დაწყებისთანავე სიკვდილით დასჯა უფრო ხშირად გამოიყენებოდა, მაშინ როცა უკრაინაში 1937 წელს *სამეუღლები* მხოლოდ „ზომიერად“ უსჯიდნენ უმაღლეს ზომას. სამაგიეროდ, 1938 წელს *სამეუღლები* უკრაინაში პრაქტიკულად მხოლოდ პირველი კატეგორიის მიხედვით ასამართლებდნენ, ხოლო საქართველოში კურსის ეს ცვლილება ამდენად გამოხატული არ იყო.

თუ საქართველოს მხოლოდ დასავლეთ ციმბირის მხარეს, ომსკისა და კარელიის ოლქებს შევადარებთ, კვლავ ნათლად გამოიკვეთება რიცხვთა მთელი ფარდობითობა. საქართველო არსებითად, თითქმის მესამედით (0.6% : 0.94%) უთმობს ანალოგიური მაჩვენებლით (მსჯავრდებულთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საერთო რიცხვთან) ომსკის ოლქს, დასავლეთ ციმბირის მხარესა და კარელიის ასსრ-ს¹⁴⁷. სიკვდილმისჯილთა რაოდენობის შემთხვევაში ეს მიდრეკილება არსებითად ძლიერდება და საქართველო თითქმის ორჯერ „ჩამორჩება“ (0.31% : 0.65%)¹⁴⁸.

საქართველოს მთავარი თავისებურება ისაა, რომ ყველა სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით იგი საშუალოზე ნაკლები არ არის, ხოლო რიგ შემთხვევაში აღემატებოდა კიდევ მაგალითად, რეპრესირებულების რაოდენობის ზრდის მიხედვით პირველ ლიმიტებთან შედარებით (რომლებიც № 00447 ბრძანებით იყო განსაზღვრული), საქართველო ზუსტად შუაგულში მდებარეობს. რაც შეეხება რეპრესირებულთა საერთო რიცხვი თანაფარდობას მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან, საქართველო აჭარბებს შესადარებლად აღებული საბჭოთა კავშირის ექვსი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის მაჩვენებელს 0.13%-ით – თვალშისაცემია, მაგრამ არა მეტისმეტად.

ამის მიუხედავად, მიღებული ციფრების საფუძველზე დასკვნის გამოტანა ფრთხილად

144. გამოთვლილია; იქვე.

145. გამოთვლილია; იქვე.

146. ვ. ნ. ნიკოლსკი. „შინსახკომის კულაკური ოპერაცია უკრაინულ დონბასში 1937-1938 წლებში და მისი სტატისტიკური დამუშავება“//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში: 1937-1938 წწ. მასობრივი ოპერაციები № 00447 ბრძანების საფუძველზე//შემდგ. ბ. ბონევიჩი, მ. იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2009. გვ. 800; იხ. „კრებსითი ცხრილი უკრაინაში № 00447 ბრძანების შესრულების შესახებ“//„მტრის გვამებით ხალხის საკეთილდღეოდ“. ტომი 2. გვ. 366-370.

147. იქვე. გვ. 355-392; იხ. აგრეთვე „კრებსითი ცხრილი № 00447 ბრძანების შესრულებაზე“//მ. იუნგე, გ. ბორდიუგოვი, რ. ბინერი. დიდი ტერორის ვერტიკალი. გვ. 519-623. იხ. აგრეთვე ცხრილი 1.

148. გამოთვლილია; იქვე.

უნდა მოხდეს. საქართველოში მთლიანობაში მკვეთრად გამოხატული რეპრესიათა სტაბილური დონე მისი თვალნათლივი მიდრეკილებით ზრდისკენ იმის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, რომ საქართველოს რეპრესიული მაჩვენებლები დაგეგმილზე მაღალი იყო. კარელიასა და დასავლეთ ციმბირთან შედარებით, საქართველოში რეპრესიის გამაძლიერებელი ორი ფაქტორი არ არსებობდა. ჯერ ერთი, საქართველო, კარელიისა და დასავლეთ ციმბირისგან განსხვავებით, არ იყო გადასახლებისა და ბანაკებში თავისუფლების აღკვეთის კლასიკური რეგიონი. ის ოლქები და მხარეები, სადაც გადასახლებულები და პატიმრები მოსახლეობის მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენდნენ, რეპრესიების ზრდისა და მსჯავრდებულთა რაოდენობის მიხედვით ლიდერობს. მეორე, საქართველოს სსრ სადამსჯელო ორგანოებისა (შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველო, მილიცია და პროკურატურა) და საქართველოს კპ(ბ) ხელმძღვანელთა პირადი შემადგენლობა მაღალი სტაბილურობით ხასიათდებოდა (სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, მათ შორის უკრაინისა და ციმბირთან შედარებით). აქ არ იყვნენ „ვარიანები“ შინსახკომის გაგზავნილი ხელმძღვანელების სახით, რომლებიც ახალ ადგილზე ჩასვლისთანავე წინამორბედების „შეცდომების“ გამოსწორებას ცდილობდნენ, რისთვისაც ახალ ლიმიტებსა და დასჯას ითხოვდნენ და მოსახლეობის ახალი ჯგუფების რეპრესიებს იწყებდნენ. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ გ. ფ. გორბაჩი (თავდაპირველად შინსახკომის სამმართველოს დასავლეთ ციმბირის მხარის, შემდეგ კი ომსკის ოლქისა და შორეული აღმოსავლეთის მხარის შინსახკომის სამმართველოს უფროსი) და ა. ი. უსპენსკი (ორენბურგის ოლქის შინსახკომის სამმართველოს უფროსი და უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი). როგორც წესი, ახალ თანამდებობაზე მათი დანიშვნა მათ საქვეუწყებო რეგიონებში რეპრესიათა ციფრის ზრდას იწვევდა. გარდა ამისა, ორივე ხსენებული „ჩეკისტი“ საბჭოთა სამსახურში ყოფნის დროს განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა¹⁴⁹. სწორედ ა. უსპენსკის უკრაინის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად მუშაობის დროს იქნა მოთხოვნილი საზარელი დამატებითი ლიმიტები: თავდაპირველად 6.000 პირისთვის – 1938 წლის 31 იანვარს, ხოლო 1938 წლის 17 თებერვალს დამატებით 30.000-თვის¹⁵⁰. როდესაც გ. გორბაჩი, დიდი ტერორის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უღმობელი „ჩეკისტი“, 1937 წლის 23 ივლისს ომსკის ოლქის შინსახკომის ახალ უფროსად და „კულაკური“ სამეულის თავმჯდომარედ დაინიშნა, მან მალევე გამოავლინა „ბოლშევიკური სიფხიზლე“ და მასობრივი დაპატიმრებები ჩაატარა: „მიმდინარე წლის 1 აგვისტოს პირველი კატეგორიით სულ 3.008 ადამიანი დაპატიმრებული“. გ. გორბაჩის ქმედებებმა მოსკოვის პირდაპირი მხარდაჭერა მიიღო¹⁵¹. და ეს მაშინ, როდესაც № 00447 ბრძანების თანახმად, ომსკის ოლქისთვის

149. იხ.: მ. იუნგე, რ. ბინერი. „სოციალურად ახლოდან“ „სოციალურად სახიფათო“ ელემენტამდე. დამნაშავენი და საბჭოთა საზოგადოების სოციალური წმენდა 1918-1938 წწ.//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში: 1937-1938 წწ. მასობრივი ოპერაცია № 00447 ბრძანების საფუძველზე/ შემდგ. ბ.ბონევი, მ.იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2009. გვ. 489-490; მ. იუნგე, რ. ბინერი. № 00447 ბრძანების შესრულება. პირველი ფაზა//დიდი ტერორის ვერტიკალი. შინსახკომის № 00447 ბრძანების შესაბამისი ოპერაციის ისტორია. შემდგ. მ. იუნგე, რ. ბინერი, გ. ბორდიუგოვი. მოსკოვი. 2008. გვ. 143-144.

150. იხ.: მ.იუნგე, რ.ბინერი. კრებსითი ცხრილი № 00447 ბრძანების შესრულების შესახებ უკრაინაში//„მტრის გვამებით ხალხის საკეთილდღეოდ“. ტომი 2. 2010. გვ. 360-361.

151. იხ.: ლუბიანკა. სტალინი და შინსახკომის სახ.უშიშროების მთავარი სამმართველო. სტალინის არქივი. უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების დოკუმენტები. 1937-1938/ა.ნ. იაკოვლევის რედაქციით. მოსკოვი, 2004. გვ. 644. გორბაჩი 1937 წლის 23 ივლისს დაინიშნა შინსახკომის ომსკის სამმართველოს უფროსად, 1937 წლის 19 აგვისტოს გახდა დასავლეთ ციმბირის მხარის სამმართველოს უფროსი, 1937 წლის 1 ოქტომბრიდან 1938 წლის 13 ივნისამდე იყო ნოვოსიბირსკის სამმართველოს უფროსი. 1938 წლის 13 ივნისიდან 1938 წლის 28 ნოემბერს დაპატიმრებამდე იყო შორეული აღმოსავლეთის – ხაბაროვსკის მხარის სამმართველოს უფროსი. იხ.: ნ.ვ.პეტროვი,

პირველი კატეგორიისთვის ლიმიტი „მხოლოდ“ 1.000 იყო¹⁵². მაშასადამე, ეს ლიმიტი ჯერ კიდევ „კულაკური“ ოპერაციის დაწყებამდე, ე.წ. ოპერაციისწინა პერიოდში იყო ამონ-ურული. ოპერმდივანმა ომსკის ოლქის შინსახკომის სამმართველოდან შემოსულ შიფრდექ-შაზე ფანქრით მიანერა: „სახალხო კომისარი გორბაჩის ქმედებებს ინონებს“¹⁵³. 1937 წლის 15 აგვისტოს გ. გორბაჩმა ნ. ეჟოვის სახელზე კიდევ ერთი დეპეშა გააგზავნა, რომელშიც ლიმიტის მორიგ ზრდას ითხოვდა¹⁵⁴. დეპეშის ორიგინალის მარცხენა ველზე ხელითაა მიწერილი: „ამხ. ეჟოვს, თანახმა ვარ გაიზარდოს ლიმიტი 9 ათასამდე. ი. სტალინი“¹⁵⁵.

განსაზღვრული რეგიონების თავისებურებებისა და შინსახკომის ზოგიერთი ხელმძღვანელის პირად თვისებებს შორის დინამიკური ზემოქმედების სასარგებლოდ (როგორც ეს იყო ციმბირის (გადასახლების ადგილი) და უკრაინის (რეპრესიის სიმძიმის ცენტრის გადატანა 1938 წელს „ნაციონალისტებზე“) ისიც მიუთითებს, რომ შესაძარებლად მოყვანილ სხვა რეგიონებში (თათრეთის ასსრ), შინსახკომის ხელმძღვანელობის პერსონალური ცვლილება „სენსაციის“ გარეშე მიმდინარეობდა. არც 1937 წლის 26 ივლისს ა. მ. ლემასოვის დანიშვნამ თათრეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობაზე, ხოლო 1937 წლის 26 აგვისტოს თათრეთის საოლქო კომიტეტის სკპ(ბ) პირველი მდივნის თანამდებობაზე, არც ყაზანში ვ.ი.მიხაილოვის გამოჩენამ, რომელიც დანიშნაურდა ტულის საქალაქო განყოფილების შინსახკომის უფროსის თანამდებობიდან თათრეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობამდე, ავტონომიურ რესპუბლიკაში რეპრესიების მსგავსი ზრდა არ გამოიწვია¹⁵⁶.

საქართველოში პერსონალურმა მემკვიდრეობითობამ და სტაბილურმა ვითარებამ მეტი ხარისხით განსაზღვრა ვითარება, ვიდრე შესაძარებლად მოყვანილ რეგიონებში. აღნიშნული 1937 წლამდეა ძალაში. სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, მილიცია და სასამართლო ლ. პ. ბერიასა და მისი კლანის მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. „კულაკური“ სამეულის შემადგენლობაში პერსონალური ცვლილებები მხოლოდ მის ნდობით აღჭურვილ პირთა წრეში ხდებოდა. მას შემდეგ, რაც. ა. რაფავა თავმჯდომარის თანამდებობაზე ს. გოგლიძემ შეცვალა, მსჯავრდებულთა ციფრი თავდაპირველად უმნიშვნელოდ, შემდეგ კი თანმიმდევრულად იზრდებოდა¹⁵⁷. ა. რაფავას თავმჯდომარეობით, „კულაკურმა“ სამეულმა 1937 წლის 25 სექტემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით 2.917 ადამიანი (2.660+153+104) გაასამართლა. 1937 წლის 11 ნოემბრიდან სამეულის თავმჯდომარე ს. გოგლიძე იყო და ამ პერიოდში, კერძოდ 1937 წლის ნოემბერში 3.103 ადამიანი გასამართლდა (3.362-153-104). სიკვდილით დასჯის განაჩენის წილი შემოდგომის ორი თვის განმავლობაში თითქმის თანაბარი იყო და დაახლოებით 40% შეადგინა.

საქართველოში რეპრესიების პიკი შემდეგ თვეში – 1937 წლის დეკემბერში აღინიშნება.

კ.ვ. სკორკინი. ვინ ხელმძღვანელობდა შინსახკომს 1934-1941. ცნობარი. მოსკოვი, 1999. გვ. 151-152.

152. იხ. სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ნ. ი. ეჟოვის 1937 წლის 30 ივლისის ოპერატიული ბრძანება № 00447 „ყოფილი კულაკების, სისხლის სამართლის დამნაშავეების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების რეპრესირების ოპერაციის შესახებ“//„მტრის გვამებით ხალხის საკეთილდღეოდ“. ტომი 1. მოსკოვი. 2010. გვ. 99-115.

153. ა. ა. პეტრუშინი. „ჩვენ არ ვიცით დანდობა...“ ცნობილი, ნაკლებად ცნობილი და უცნობი მოვლენები ტიუმენის მხარის ისტორიიდან საკავშირო საგანგებო კომისიის, მთავარი პოლიტსამმართველოს, შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მასალების მიხედვით. ტიუმენი, 1999. გვ. 137.

154. ი. ფოფანოვი. დახვრეტა I კატეგორიით//„იზვესტია“. 1996. 3 აპრილი.

155. იქვე.

156. ა. სტეპანოვი. „კულაკური“ ოპერაცია თათრეთში//მ. იუნგე, მ. ბინერი. როგორ გახდა ტერორი „დიდი“. მოსკოვი. 2003. გვ. 306-313.

157. იხ. ცხრილი 2.

სამეულის თავმჯდომარე უწინდებურად ს. გოგლიძე იყო. ამ თვეში მსჯავრდებულთა საერთო რიცხვი უეცრად ორჯერ გაიზარდა და 6.083 შეადგინა. თუმცა მათი უმეტესი ნაწილი (58.4%) მეორე კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ნოვოსიბირსკის ოლქთან, ალტაის მხარესა და დონეცკის ოლქთან შედარებით (რომელთა მონაცემები თვეების მიხედვით ასევე ხელმისაწვდომია), საქართველოში სიმძიმის ცენტრის მეორე კატეგორიაზე გადანაცვლება უცნაურად გამოიყურება. ზემოაღნიშნულ რეგიონებში 1937 წლის დეკემბერში მეტწილად სასჯელის უმაღლეს ზომას უსჯიდნენ. მაგალითად, ნოვოსიბირსკის ოლქში *სამეულმა* 86%-ს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, ხოლო საქართველოში – „მხოლოდ“ 38%-ს¹⁵⁸. მაგრამ თათრეთის ასსრ-თან შედარება ავლენს რეგიონებს, რომლებშიც 1937 წლის ნოემბერ-დეკემბერში *სამეულებმა* განაჩენები უპირატესად მეორე კატეგორიისადმი მიკუთვნებით გამოიტანეს. 1937 წლის დეკემბერში თათრეთში მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ნამატმა 45% შეადგინა, ხოლო I კატეგორიის მიხედვით – 52% (მსჯავრდებულთა საერთო რიცხვი: ნოემბერში – 1.401, დეკემბერში – 2.561; უმაღლესი ზომა: ნოემბერში: 490, დეკემბერში – 1.022). ამგვარად, 1937 წლის დეკემბერში თათრეთის ასსრ-ში II კატეგორიას მიაკუთვნეს მსჯავრდებულთა 60%, ისევე როგორც საქართველოში¹⁵⁹.

1937 წლის ნოემბერ-დეკემბერში „*კულაკური*“ ოპერაციის ფარგლებში მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის რადიკალური ნამატი საბჭოთა კავშირის მრავალი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქისთვის იყო დამახასიათებელი, რაც არც საქართველოში და არც დასავლეთ ციმბირში არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ *სამეულების* შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებებით, ან როგორც ეს საქართველოში მოხდა, ს. გოგლიძის თავგამოდებით ახალ თანამდებობაზე. აღნიშნული ნამატი იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ნ. ი. ეჟოვის 1937 წლის 3 ნოემბრის № 49721 დირექტივის შედეგი, რომელშიც იგი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების შინსახკომების სამმართველოების ხელმძღვანელებისგან მასობრივი ოპერაციების ჩატარების დაჩქარებასა და 1937 წლის 15 დეკემბრისთვის დასრულებას მოითხოვდა¹⁶⁰. ამ დირექტივამ უშუალო ზემოქმედება იქონია № 00447 ბრძანებით განხორციელებული ოპერაციების მსვლელობაზე საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა, მათ შორის ჩვენ მიერ შესადარებლად მოყვანილ რეგიონებშიც, თუმცა საქართველოში დირექტივაზე რეაქციამ დაიგვიანა. გამონაკლისს მხოლოდ ომსკის ოლქი წარმოადგენდა. 1937 წლის დეკემბრის მონაცემები, წინა თვეებთან შედარებით, მეტად დაბალია. როგორც ჩანს, იმ დინამიკის გათვალისწინებით, რომელიც გ.გორბაჩის

158. გ. დ. ჟდანოვა. № 00447 ბრძანების რეალიზაციის სტატისტიკური ანალიზი ალტაის მხარეში 1937 წლის ოქტომბერ-1938 წლის მარტში// სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში: 1937-1938 წწ. მასობრივი ოპერაცია № 00447 ბრძანების საფუძველზე/შემდგ. ბ. ბონვენი, მ. იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2009; გვ. 723-724; ს. ა. პაპკოვი. შინსახკომის დასავლეთ ციმბირის მხარის – ნოვოსიბირსკის ოლქის სამმართველოს სამეულის განაჩენთა სტატისტიკა//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში: 1937-1938 წწ. მასობრივი ოპერაცია № 00447 ბრძანების საფუძველზე/შემდგ. ბ. ბონვენი, მ. იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2009; გვ. 740; ვ. ნ. ნიკოლსკი. „შინსახკომის „კულაკური“ ოპერაცია უკრაინულ დონბასში 1937-1938 წწ და მისი სტატისტიკური დამუშავება//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში: 1937-1938 წწ. მასობრივი ოპერაცია № 00447 ბრძანების საფუძველზე/შემდგ. ბ. ბონვენი, მ. იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2009; გვ. 800.

159. ა. სტეპანოვი. დახვერტა ლიმიტის მიხედვით. პოლიტიკური რეპრესიების ისტორიიდან „ეჟოვშინას“ წლებში თათრეთის ასსრ-ში“. ყაზანი, 1999. გვ. 93.

160. სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ნ.ი. ეჟოვის 1937 წლის 3 ნოემბრის დირექტივა № 49721 შინსახკომის ყველა სამმართველოს უფროსებს, მხარეებისა და ოლქების სახალხო კომისრებს „რეპრესიების გაძლიერების შესახებ“, გადაცემული უკრაინის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ი.მ.ლუპლევისკის მიერ შინსახკომის საოლქო სამმართველოების უფროსებისათვის 1937 წლის 4 ნოემბერს//„მტრის გვამებით ხალხის კეთილდღეობისთვის“. ტომი 1. გვ. 177-178.

საქმიანობის შედეგად უკვე 1937 წლის აგვისტოში განვითარდა და სექტემბერ-ნოემბერში რეპრესირებულთა თავბრუდამხვევი რაოდენობა განაპირობა, 1937 წლის დეკემბერში ომსკის „ჩეკისტებმა“ უბრალოდ ამონურეს ყველა შესაძლო „კონტინგენტი“. წლის ბოლო თვეს ომსკის ოლქის შინსახკომის სამმართველოს სამეულმა „მხოლოდ“ 1.226 პირი გაასამართლა (სექტემბერში – 4.628, ოქტომბერში – 5.812, ნოემბერში – 3.923), მათგან დაახლოებით ნახევარს – 51%-ს – სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა¹⁶¹.

პირველი შეჯამებით შეიძლება დავასკვნათ, რომ „კულაკური“ ოპერაციის შედეგად საქართველო, სხვა რეგიონებთან შედარებით, არც მეტად და არც ნაკლებად დაზარალებულია. უფრო საკვირველია, რამდენად ნათლად აისახა „კულაკური“ სამეულის მოქმედების შედეგებზე პირადი და პოლიტიკური მონაცვლეობა საქართველოში.

თუ შევეცდებით სხვა მასობრივი ოპერაციების შედარებას, ანუ „ნაციონალური“ ოპერაციები და „მილიციის“ სამეულის სოციალური წმენდა საქართველოში საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებთან შედარებით, მსგავსი შედარება მხოლოდ ნაწილობრივ იქნება შესაძლებელი, რადგან შედარებით სრული მონაცემები ჩვენ მხოლოდ უკრაინისა („ნაციონალური“ ოპერაციები) და ალტაის მხარის („მილიციის“ სამეული) შემთხვევაში გვაქვს.

უკრაინაში ორეულებსა და „ნაციონალურ“ სამეულებს 89.683 ადამიანი ემსხვერპლა¹⁶², რამაც მოსახლეობის საერთო რიცხვის 0.32% შეადგინა. საქართველოში „ნაციონალური“ ოპერაციების შედეგად მსჯავრი 2.119 პირს დასდეს, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 0.06% იყო. ამგვარად, საქართველოში მოსახლეობის საერთო რიცხვთან მიმართებაში 5.3-ჯერ მეტი ადამიანი გასამართლდა, ვიდრე უკრაინაში¹⁶³. სავარაუდოდ, „ნაციონალური“ ოპერაციები საქართველოში დაქვემდებარებულ როლს ასრულებდა¹⁶⁴.

მონაცემების შედარების შედეგი მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ საქართველოს შინსახკომის „მილიციის“ სამეულის ალტაის მხარისა და უკრაინის მსგავს მონაცემებთან, აჩვენებს შემდეგს: საქართველოში სამეულის მიერ 2.204 პირი გასამართლდა, ალტაის მხარეში – 5.054. ამგვარად, საქართველოში აბსოლუტურ ციფრებში 2-ჯერ ნაკლები „სოციალური“ უკლონისტი და მარგინალი გასამართლდა¹⁶⁵. ასევეა დევნის ინტენსივობაც, ანუ მსჯავრდებულთა რიცხვის თანაფარდობა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან საქართველოში საგრძნობლად დაბალი იყო ალტაის მხარესთან შედარებით – აქ ეს მაჩვენებელი 0.20% იყო, საქართველოში – მხოლოდ 0.07%, ანუ თითქმის 3-ჯერ ნაკლები¹⁶⁶. თუმცა ალტაის მხარის მაჩვენებელს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან მონაცემები მასში მოსახლეობის საერთო რაოდენობის შესახებ – 2.498.597 ადამიანი – ცნობილია 1939 წლის

161. ვ. მ. სამოსუდოვი. დიდი ტერორი ომსკის ირტიშისპირეთში, 1937-1938. ომსკი, 1998. გვ. 161.

162. თუ გავითვალისწინებთ „ნაციონალური ხაზით“ ჩატარებული ოპერაციების მსხვერპლთა რაოდენობას – 2 ათას ადამიანს უკრაინის სსრ-ის თითოეულ ოლქში, მოლდავეთის ასსრ-ის ჩათვლით, შესაბამისად, 1938 წლის 17 სექტემბრიდან „ნაციონალურმა სამეულებმა“ აქ მსჯავრი დაადეს დაახლოებით 28 ათას ადამიანს. თუ ამ 28 ათასს დავაჯამებთ ორეულების მსხვერპლთა ცნობილ რიცხვთან 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის 31 აგვისტომდე, მივიღებთ 89 683 ადამიანს. № 00447 ბრძანების შესაბამისად ჩატარებული ოპერაციის მსხვერპლი გახდა 121 994 ადამიანი. კრებულის მონაცემები უკრაინის სსრ შინსახკომის ორგანოების მიერ დაპატიმრებული და მსჯავრდებული შესახებ 1936 წლის 1 ოქტომბრიდან 1938 წლის 1 ივლისამდე//„მტრის გვამებით ხალხის კეთილდღეობისთვის“ ტომი 2. გვ. 149-154.

163. 1624 (ორეული) + 495 („ნაციონალური“ სამეული) = 2119 x 100/3 376 946 = 0,06 %.

164. იხ. თავი „ნაციონალური ოპერაციები“.

165. იხ.: ნ. კუდენკო, ვ. რაზგონი, მ. იუნგე. მილიციის სამეული//მასობრივი რეპრესიები ალტაის მხარეში/შემდგ. გ. დ. ჟდანოვა, ვ. რაზგონი, მ. იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2010. გვ. 393.

166. ალტაის მხარე: 5054 x 100/2 505 363 = 0,20 %. საქართველო: 2204 x 100/3376946 = 0,07 %.

საკავშირო აღწერით. ამ ციფრს, სულ მცირე, უნდა დაემატოს იმ პირთა რაოდენობაც, რომლებიც ალტაის მხარის შინსახკომის „კულაკური“ სამეულის მიერ იქნენ მსჯავრდებულნი, რათა 1937 წლისთვის უფრო რეალური ციფრი მივიღოთ – 2.505.363 ადამიანი¹⁶⁷. რაც შეეხება უკრაინას, მოლდოვას ჩათვლით, შესაბამისი მონაცემები მხოლოდ 1937 წლისთვის მოიპოვება. აქ „მილიციის“ სამეულმა ტერორის პირველ ფაზაში (1937 წლის აგვისტოდან) 57.264 პირს დასდო მსჯავრი, ანუ რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რიცხვის 0.20% -ს¹⁶⁸.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციალურად მოტივირებული რეპრესიები საქართველოში ნაკლებ როლს ასრულებდა, ვიდრე იმ რეგიონებში, რომლებიც შესაძარებლად მოვიყვანეთ. აღნიშნული დასკვნა იმითიც დასტურდება, რომ საქართველოში, ალტაის მხარესა და უკრაინასთან შედარებით, ასევე „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის შედარებით „მცირერიცხოვანი“ სისხლის სამართლის დამნაშავეები აღმოჩნდნენ, კერძოდ 436 პირი 21.078-დან (2.1%, რეპრესიების ინტენსივობა – 0.02%), ალტაის მხარეში – 14.876-დან 567 (3.8%, რეპრესიების ინტენსივობა – 0.02%, ანუ დაახლოებით ორჯერ მაღალი)¹⁶⁹. უკრაინაში 1937 წელს 83.122 პირიდან, რომელიც „კულაკური“ სამეულის მიერ იყო მსჯავრდებული, სისხლის სამართლის დამნაშავე 9.495 პირი იყო, ანუ 11.4% – საქართველოსთან შედარებით 5.4-ჯერ მაღალი. რაც შეეხება რეპრესიის ამ სახის ინტენსივობას უკრაინაში, მისი მაჩვენებელი იყო 0.03%, რაც 3-ჯერ მაღალია საქართველოს მაჩვენებელთან შედარებით¹⁷⁰.

5. პოლიტიკური „სტაბილურობა“

საქართველოს სსრ-ში დიდი ტერორის მასობრივი ოპერაციები განხილული უნდა იქნას, პირველ რიგში, რსფსრ-სა და უკრაინის სსრ-ის ცენტრალურ ოლქებთან შედარებით, რადგან საქართველოში არ იყო ის ორი ფაქტორი, რომლებმაც რეპრესიების მსხვერპლთა დიდი რაოდენობა განაპირობა – ჯერ ერთი, საქართველო არ იყო გადასახლებისა და თავისუფლების აღკვეთის ტრადიციული რეგიონი, მეორე – 1937-1938 წლებში საქართველოში ხელმძღვანელი კადრების ცვლილება არ აღინიშნებოდა¹⁷¹. ამავე დროს, რეპრესიული მაჩვენებლები საქართველოში მცირედ მაღალია რსფსრ-ის ცენტრალურ ოლქებთან შედარებით, ხოლო რეპრესიების ინტენსივობის ხარისხის მიხედვით საქართველო № 00447

167. 2 498 597 (1939 წ. აღწერა.) + 6766 („კულაკური“ სამეულის მიერ მსჯავრდებულები) = 2 505 363. იხ.: მოსახლეობის 1939 წლის საკავშირო აღწერა. ძირითადი შედეგები/შმდგ. ი.ა.პოლიაკოვი, ვ.ბ. ჟირომსკაია, ა.ა. იუსუპოვი, ი.ნ. კისელიოვი. მოსკოვი, 1992. გვერდი 23.

168. $57\,264 (\text{„მილიციის“ სამეული}) \times 100/28\,387\,609$ (უკრაინის მოსახლეობა) = 0,20 %. იხ.: მ. იუნგე, № 00447 ბრძანების სოციალურ-ტექნოლოგიური ასპექტები//„მტრის გვამებით ხალხის კეთილდღეობისთვის“. ტომი 2. გვ. 218.

169. იხ. ცხრილი 9. სისხლის სამართლის დამნაშავეთა რაოდენობა, რომელთაც ბრალი „კულაკურმა“ სამეულმა გამოუტანა, გამოთვლილია ყველა იმ ოქმის საფუძველზე, რომლებიც ნიშანდებულია ასოთი „У“. ამასთან, საუბარია საქმეებზე, რომლებიც სამეულს მილიციამ გადასცა. ის მცირერიცხოვანი სისხლის სამართლის დამნაშავენი, რომელთა საქმეებიც სამეულს უშუალოდ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ გადაეცა, ამ სტატისტიკაში გათვალისწინებული არ არიან. იხ.: გ.დ. ფდანოვა. სსრკ შინსახკომის № 00447 ბრძანების რეალიზაცია//მასობრივი რეპრესიები ალტაის მხარეში/შემდგ. გ.ს. ფდანოვა, ვ. რაზგონი, მ. იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2010. გვ. 12-28.

170. მ. იუნგე, № 00447 ბრძანების სოციალურ-ტექნოლოგიური ასპექტები. გვ. 218.

171. იხ.: „კრებითი ცხრილი № 00447 ბრძანების გატარების შესახებ უკრაინაში“//„მტრის გვამებით ხალხის კეთილდღეობისათვის“. ტომი 2. გვ. 366-370.

ბრძანების ფარგლებში მესამედით აღემატება უკრაინის მაჩვენებელს (საქართველო – 0.06%, უკრაინა – 0.42%)¹⁷². თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამავე მაჩვენებლით „ნაციონალური“ ოპერაციების პროცენტულობა საქართველოში გაცილებით დაბალია (საქართველო 0,06%, უკრაინა 0.32%). იგივეს თქმა შეიძლება სოციალურ წმენდასთან მიმართებაში – საქართველოს მაჩვენებელი ორი მესამედით დაბალია (66%-ით) ალტაის მხარესა და უკრაინასთან შედარებით.

თუ ამ შედეგების საფუძველზე საქართველოში ზოგადი ვითარების შეფასებას დავუბრუნდებით, აქ „კულაკური“ ოპერაციის სრული დომინირების მიზეზები, ალბათ, შედარებითი პოლიტიკურ-სოციალური სტაბილურობით უნდა აიხსნას. საქართველოში, რომელიც ლ. ბერიას კლანის ძლიერ ხელში იყო – რომელსაც მოსკოვში გავლენიანი მოკავშირეები ჰყავდა – რეპრესიებმა თანმიმდევრობითი და მეტად ხანგრძლივი სახე მიიღო. ამ კონტექსტში შესაძლებელიც კი გახდა „კულაკური“ სამეულის გამოყენება არასასამართლო ინსტანციად პარტიულ-საბჭოთა ელიტის გასამართლებისთვის¹⁷³.

172. დონეცკის და ხარკოვის/პოლტავის ოლქების შემთხვევაში საუბარია უკრაინის მოსაზღვრე ოლქებზე.

173. „კულაკური“ სამეულის გამოყენების შესახებ პარტიულ-საბჭოთა ელიტის გასასამართლებლად იხ. თავი „რეგიონალური სადამსჯელო უფლებამოსილებანი“.

მასობრივი ოპერაციების ხარისხობრივი ანალიზი

საქართველოში 1937-1938 წლებში განხორციელებული რეპრესიების ხარისხობრივი ანალიზი გულისხმობს შინსახკომის სამი მასობრივი ოპერაციის (№ 00447 ბრძანების შესაბამისად, „ნაციონალური“ ხაზით განხორციელებული ოპერაციები და სოციალური წმენდა) მსხვერპლთა სტატისტიკური მონაცემების შესწავლას და ინტერპრეტაციას. ეს მონაცემები დაჯგუფებულია სქესის, ასაკის, განათლების დონის, სოციალური მდგომარეობისა და სოციალური წარმომავლობის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური წარსულის შესახებ ცნობების, აგრეთვე სკპ(ბ) ან ალკკ წევრობის (მათ შორის წარსულში) მიხედვით. ანალიზის საფუძველს წარმოადგენს მონაცემთა შესაბამისი ბაზა. ყოველივე ამის უკან დგას ჩვენი მიზანი – შევეცადოთ უფრო უკეთ, ვიდრე უკვე ჩატარებული რაოდენობრივი ანალიზია, გამოვავლინოთ შესაძლო მოტივები, რომლებმაც ნააქეზეს საქართველოს სადამსჯელო ორგანოები ამა თუ იმ ადამიანის ან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების რეპრესიებისთვის. ამავე მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ მასობრივი ოპერაციების ერთმანეთთან შედარებას, რაც ასევე შესაძლებლობას მოგვცემს, უფრო მკაფიოდ გამოვავლინოთ შინსახკომის ცალკეული სადამსჯელო აქციის სპეციფიკა. საქართველოს შედარება საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონთან კავკასიის რესპუბლიკაში ტერორის თავისებურებების დასაზუსტებლად შესაძლებელია მხოლოდ ალტაის მხარესთან, ისიც მხოლოდ ზოგიერთი პუნქტის მიხედვით და მხოლოდ „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა მიმართ, რამდენადაც ვფლობთ შესაბამის მონაცემებს მხოლოდ № 00447 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული ოპერაციის შესახებ.

1. სქესი

მასობრივი ოპერაციების მსხვერპლთა სქესის მიხედვით განაწილების დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ მონაცემები, რომლებიც მიღებულია საქართველოს შსს არქივის მონაცემთა ბაზის დამუშავებისას.

21.107 პირიდან, რომლებიც „კულაკურმა“ სამეულმა 1937-1938 წლებში გაასამართლა, 20.548 (97%) მამაკაცი იყო, მათგან სიკვდილით დაისაჯა 10.407 (51%). ქალთა რაოდენობამ შეადგინა 559 (3%), დახვრიტეს 156 (30%).¹⁷⁴ გასამართლებულ მამაკაცთა ასაკი მერყეობს 14-დან 96 წლამდე, ქალების კი – 17-დან 75 წლამდე.¹⁷⁵

494 ადამიანიდან, რომლებიც „ნაციონალურმა“ სამეულმა გაასამართლა, 470 (95%) მამაკაცი იყო, მათგან 112 სიკვდილით დაისაჯა (24%); გასამართლდა 25 (5%) ქალი, სიკვდილით დაისაჯა 3 (12%).¹⁷⁶ მამაკაცთა ასაკი იყო 20-დან 84 წლამდე; ქალების – 17-დან 71 წლამდე.¹⁷⁷

„მილიციის“ სამეულს 2.205 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის – 1.956 (89%) მამაკაცი. მათგან ყველა, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, მეორე კატეგორიით იყო მსჯავრდე-

174. იხ. ცხრილი 26.

175. შესაბამისი მონაცემები მიღებულია „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

176. იხ. ცხრილი 28.

177. შესაბამისი მონაცემები მიღებულია „მილიციის“ სამეულის მსხვერპლთა მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ბული, აგრეთვე 249 (11%) ქალი, რომლებსაც მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა.¹⁷⁸ ამასთან, მამაკაცთა ასაკი 13-დან 78 წლამდე, ქალების კი 14-დან 58 წლამდე იყო.¹⁷⁹

შეიძლება გამოვიდეთ იმ დებულებიდან, რომ მსჯავრდებულთა შორის ქალების უაღრესად დაბალი წილი, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, წარმოადგენდა საკავშირო ტენდენციის გამოვლინებას. ასე, მაგალითად: ალტაის მხარეში, ისევე, როგორც საქართველოში, მამაკაცთა წილმა, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ „კულაკური“ ოპერაციის დროს, 97% შეადგინა, ქალების წილმა კი – 3%.¹⁸⁰ „ლენინგრადული მარტიროლოგის“ ავტორებმა თავის დროზე გამოაქვეყნეს მონაცემები ლენინგრადელთა შესახებ, რომლებსაც 1937-1938 წლებში შინსახკომის მასობრივი ოპერაციებისა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის რეპრესიების განურჩევლად მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა. ამ შემთხვევაში მამაკაცთა წილმა შეადგინა 95%-მდე, ქალების – 5%-მდე.¹⁸¹ მსგავსი სტატისტიკური მონაცემები ქ. მოსკოვის მიხედვით ასეთია: მამაკაცები – 19.903 (96%), ქალები – 858 (4%).¹⁸² გარდა ამისა, ყველგან, ისევე, როგორც საქართველოში, ქალების მიმართ იშვიათად გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი. ასე, მაგალითად, ალტაის მხარეში „კულაკურმა“ სამეულმა სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა ქალების მხოლოდ 25%-ს (მამაკაცებს შორის – 44%), ანუ დაახლოებით იმდენივეს, რამდენსაც კავკასიაში, სადაც დახვრეტილ ქალთა წილმა 30% შეადგინა.¹⁸³

მამაკაცები და ქალები, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ მასობრივი ოპერაციების დროს, როგორც წესი, ასევე განსხვავდებოდნენ ასაკითაც. „კულაკურმა“ სამეულმა საქართველოში მსჯავრი დასდო გაცილებით მეტ ჭაბუკს, ვიდრე ქალიშვილს. თუ მამაკაცთა შორის გასამართლებული იყო 14-დან 19 წლამდე 211 ჭაბუკი, ყველაზე ახალგაზრდა ქალიშვილების ასაკი იწყებოდა „მხოლოდ“ 17 წლიდან. ალტაის მხარეში სამეულმა მსჯავრი დასდო 16-დან 20 წლამდე 217 ჭაბუკს, მაშინ, როდესაც ყველაზე ახალგაზრდა მსჯავრდებული ქალის 21 წლის იყო.¹⁸⁴

გაღიზიანებულია ჟდანოვა (ალტაის მხარის საარქივო სამმართველო) ვარაუდობს, რომ ამის მიზეზი იყო, „[...] უწინარეს ყოვლისა სოციალური ხასიათის (რუსეთში მათ სერიოზულად არ აღიქვამდნენ პოლიტიკური თვალთახედვით, ქალთა დაბალი სოციალური სტატუსის გამო), შემდეგ კი წმინდა პრაგმატული (ბანაკების მთავარ სამმართველოში ესაჭიროებოდათ, ძირითადად, მუშა ძალა, ხოლო ქვეყანაში ფრთებს შლიდა ბრძოლა უპატრონობასთან)“.¹⁸⁵ ამრიგად, თუ სადამსჯელო ორგანოები მშვიდად აპატიმრებდნენ და ასამართლებდნენ მამაკაცებს – უპირატესად მრავალშვილიანი ოჯახის მარჩენალთ, ისინი არ აძლევდნენ თავს უფლებას, მოესპოთ ოჯახის მეორე ბურჯი, რათა ქვეყნისთვის არ მიეყენებინათ

178. იხ. ცხრილი 29.

179. შესაბამისი მონაცემები მიღებულია „მილიციის“ სამეულის მსხვერპლთა მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

180. გ.დ. ჟდანოვა № 00447 ბრძანების რეალიზაციის სტატისტიკური ანალიზი ალტაის მხარეში 1937 წლის ოქტომბერ-1938 წლის მარტში//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში: 1937-1938 წ.წ. მასობრივი ოპერაციები № 00447 ბრძანების საფუძველზე/ შემდგ. ბ. ბონევიჩი, მ. იუნგე, რ. ბინერი. მოსკოვი, 2009. გვ. 727.

181. ლენინგრადული მარტიროლოგი. 1937-1938. ტ. 3-5. სანკტ-პეტერბურგი, 1998, გვ. 587; 1999, გვ. 686. 2002, გვ. 639; იხ. აგრეთვე: ჟდანოვა გ.დ. სტატისტიკური ანალიზი. გვ. 727.

182. ბუტოვის პოლიგონი 1937-1938 წწ. გამოშვება 7. მოსკოვი, 2003. გვ. 302-311; გ. დ. ჟდანოვა სტატისტიკური ანალიზი. გვ. 727.

183. იქვე.

184. გ.დ. ჟდანოვა სტატისტიკური ანალიზი. გვ. 727. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ალტაის მხარის შემთხვევაში საუბარია არა აბსოლუტურ რიცხვებზე, არამედ სტატისტიკურ ამონაკრებზე.

185. იქვე.

ფინანსური ზარალი. სინამდვილეში, საქართველოში № 00447 ბრძანების მიხედვით გასამართლებული იყო მხოლოდ 60 ქალი, რომელთა ქმრებიც ასევე იყვნენ რეპრესირებულნი 1937-1938 წლებში. მაგრამ ასეთი „ღმობიერი“ დამოკიდებულება ქალებისადმი დამახასიათებელი იყო მხოლოდ რეპრესირებულთა ფართო მასების მიმართ, ხოლო საბჭოთა პარტიული ელიტის რეპრესირების შემთხვევაში, სადამსჯელო ორგანოები არ ავლენდნენ განსაკუთრებულ ლოიალობას ქალების მიმართ.¹⁸⁶ „სამშობლოს მოღალატეთა ცოლებს“ აპატიმრებდნენ ძალიან ხშირად, ხოლო მათი შვილები გარემოებათა სასიკეთო დამთხვევის შემთხვევაში აღმოჩნდებოდნენ ნათესავებთან ან ბავშვთა სახლებში, როგორც ეს მოხდა იური ლარინის, ნიკოლოზ ბუხარინის შვილის და მისი დედის, ანა ლარინას შემთხვევაში.¹⁸⁷ ქალები, რომლებსაც არ გააჩნდათ პოლიტიკური და სოციალური პრივილეგიები, უნდა დარჩენილიყვნენ თავისუფლებაზე და აენახლაურებინათ სახელმწიფოსთვის ტერორის მიერ მიყენებული არა მხოლოდ სოციალური, არამედ ეკონომიკური ზარალიც. სწორედ მათ, იმისათვის, რომ თავი დაეხსნათ სიკვდილისგან, ქანცგანყვეტამდე უნდა ემუშავათ კოლმეურნეობაში, ფაბრიკაში, ან უზრუნველყნოთ საკუთარი თავი და ბავშვები დამხმარე სამუშაოთი თუ ფიზიკური შრომით პირად მეურნეობაში. თუმცა დიდი ტერორის ასეთი სპეციფიკური „გენდერული“ შედეგების კვლევა ჯერ კიდევ ჩასატარებელია. სამაგიეროდ, რეპრესირებულთა შვილების ბედი, რომლებიც უმამოდ დარჩნენ, როდესაც მათზე თავისუფლებაზე დარჩენილი დედა ზრუნავდა, უკვე გახდა სხვადასხვა კვლევის საგანი, თუმცა ამ სახის პუბლიკაციები უპირატესად უმაღლესი საბჭოთა ელიტის ოჯახების ბავშვებისადმი მიძღვნილი.¹⁸⁸

სამწუხარო ირონია ისაა, რომ კომუნისტური საზოგადოება, რომელმაც თავის დროებზე მამაკაცისა და ქალის თანასწორობის შესახებ დაწერა ლოზუნგი, რეპრესირების მსვლელობის დროსაც განუხრელად გამოდიოდა, როგორც პატრიარქალური საზოგადოება. პატრიარქალური აზროვნების, დაბალი სოციალური სტატუსისა და ქალთა უმნიშვნელო პოლიტიკური როლის ნაზავი განსაკუთრებით მკაფიოდ ისახება „მილიციის“ სამეულის განაჩენების ანალიზის დროს. ამ არასასამართლო სადამსჯელო ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იყო საზოგადოების მასობრივ სოციალურ წმენდაზე საქართველოში, მსხვერპლთა შორის იყო საკმარისად ბევრი ქალი, კერძოდ, 11%, სხვა არასასამართლო ინსტანციებთან შედარებით („კულაკური“ სამეული – 3%; „ნაციონალური“ სამეული – 5%). „მილიციურ“ სამეულს, „კულაკური“ და „ნაციონალური“ სამეულებისგან განსხვავებით, რომლებიც თავიანთ მსხვერპლთ მინიმუმ 5 წელს და მეტს უსჯიდნენ, ჰქონდა საშუალება ქალების მიმართ გამოეტანა შედარებით რბილი განაჩენი თავისუფლების აღკვეთის შედარებით მოკლე პერიოდით, არაუმეტეს ხუთი წლისა. ასე, მაგალითად, მამაკაცთაგან, რომლებიც „მილიციის“ სამეულმა საქართველოში გაასამართლა, 60%-ს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, ანუ ისინი იღებდნენ მაქსიმალურად დასაშვებ ვადას. იმ პირთა წილი ქალთა შორის, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ ხუთი წელი, შეადგენდა 35%-ს, რაც დაახლოებით ნახევარი იყო, ვიდრე მამაკაცების შემთხვევაში. თუმცა „რბილი“ სამწლიანი ვადის მისჯისას ქალთა წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა: ამ ვადით განესაზღვრა სასჯელი

186. იხ. ცხრილი 27.

187. მ. იუნგე. შიში წარსულის წინაშე. ნი. ბუხარინის რეაბილიტაცია. ხრუშჩოვიდან გორბაჩოვამდე. მოსკოვი, 2003.

188. Sowjetjugend 1917-1941. Generation zwischen Revolution und Resignation / Hg. von C. Kuhr-Korolev, St. Plaggenborg, M. Wellmann. Essen, 2001; Kuhr C. Kinder von "Volksfeinden" als Opfer des stalinistischen Terrors 1936-1938//Stalinismus. Neue Forschungen und Konzepte / Hg. von St. Plaggenborg, Berlin, 1998. გვ. 391-418; Hedeler W. Sippenhaft im "Großen Terror" 1937/38. Das Akmolinsker Lager für Ehefrauen von Vaterlandsverrätern" (ALZIR) und seine deutschen Häftlinge//Jahrbuch für historische Kommunismusforschung 2005. გვ.81-101.

ქალების 33%-ს და მამაკაცთა 24%-ს. რაც შეეხება ორწლიან ვადას, მსჯავრდებულ მამაკაცთა წილმა შეადგინა ქალთა წილის მხოლოდ ნახევარი (15% ქალები, 8% მამაკაცები). ასევე, რეპრესირებულთა საერთო რაოდენობასთან შედარებით, გათავისუფლდა ორჯერ მეტი ქალი, ვიდრე მამაკაცი (ქალები – 0,8%, მამაკაცები – 0,4%). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალების მიმართ საქმე 4,6-ჯერ უფრო ხშირად მოხდა საქმის შეწყვეტა, ვიდრე მამაკაცების მიმართ (ქალები – მსხვერპლთა საერთო რიცხვის 3.2%, მამაკაცები – 0,7%).¹⁸⁹

2. ასაკი

„კულაკური“ ოპერაციის დროს საქართველოში მსჯავრდებულ პირთა უმრავლესობა – 75% – ყველაზე შრომისუნარიანი ასაკის – 20-დან 50 წლამდე იყო. ეს მაჩვენებელი ალტაის მხარეში 76%-ს უდრიდა. ასეთივე ტენდენცია აღინიშნება საქართველოში „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთა შემთხვევაშიც, მათ შორის 20-50 წლის ასაკის მსჯავრდებულები შეადგენდნენ 77%-ს. მიუხედავად თავისი, როგორც სამუშაო ძალის, თვალსაჩინო უტილიტარული ღირებულებისა, მათგან დაახლოებით ნახევარი დახვრიტეს. ამრიგად, ქართული მასალების მიხედვითაც საეჭვო ხდება არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება რეპრესიებით იაფი სამუშაო ძალის აკუმულირებას ცდილობდა.

ამასთან დაკავშირებით გაცეხას იწვევს შემდეგი ორი გარემოება. ჯერ ერთი, საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული „კულაკური“ სამეულის დოლაბებში აღმოჩნდა 14-დან 19 წლის ასაკამდე ახალგაზრდობის 211 წარმომადგენელი (ყველა მსჯავრდებულის ერთი პროცენტი), რაც მათ მიმართ გამოტანილი განაჩენების ფონზე სრულიადაც არ ტოვებს უმნიშვნელო რიცხვის შთაბეჭდილებას. მათგან 13% დაიხვრიტა. მეორეც, 69 წელზე მეტი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის იმ პირთა წილი, რომლებსაც „კულაკურმა“ სამეულმა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა, შეადგენს 69-ს, რაც თითქმის 30%-ით მეტია, ვიდრე სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენთა ზოგადი საშუალო მაჩვენებელი – 42%. დაპატიმრება ხანშიშესულთა უმრავლესობისთვის როგორც საქართველოში, ისე ალტაის მხარეში, სიკვდილით დასჯის ტოლფასი იყო. ეს გარემოება შეუძლებელია აიხსნას მხოლოდ უმჯობესი სელექციის კრიტერიუმით, რომლის მიხედვითაც „ჩეკისტები“ აპატიმრებდნენ და მკაცრად ასამართლებდნენ „განსაკუთრებით საშიშ“ მოხუცებს, რეაქციონერებს და კონსერვატორებს, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავიანთი ასაკის გამო.¹⁹⁰

რაც შეეხება საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულ „ნაციონალურ სამეულს“, მის მიერ გასამართლებულთა შორის ხანდაზმულ პირთა წილმა დაახლოებით 22% შეადგინა, რაც განსაკუთრებით არ განირჩევა მოსახლეობის სხვა ასაკობრივი ჯგუფებისგან. გ. დ. ყუდანოვა ვარაუდობს, რომ „რაც უფრო ასაკოვანი იყო მსჯავრდებული, მით ნაკლები სარგებელის მოტანა შეეძლო „კომუნიზმის დიადი მშენებლობისთვის“ და სისტემისთვის უფრო ხელსაყრელი იყო მისი თავიდან მოცილება“. ამით მკვლევარი ხაზს უსვამდა საზარელ პრაგმატულ მოტივს, რომელსაც, როგორც ჩანს, მართლაც ჰქონდა ადგილი № 00447 ბრძანების შესაბამისი ოპერაციის დროს.¹⁹¹

1937 წლის ნოემბრისა და დეკემბრის, აგრეთვე 1938 წლის მარტისა და ივნისის შედარება საშუალებას იძლევა დადასტურდეს „კულაკური“ სამეულის საქმიანობის სხვა ტენდენცი-

189. იხ. ცხრილი 26.

190. აუცილებელია სპეციალური გამოკვლევა ახალგაზრდების და ხანდაზმულების (69 წელზე მეტი) შესახებ.

191. იხ. ცხრილი 30.

ებიც. რაც შეეხება ახალგაზრდების რეპრესიების ხარისხს, ამ მხრივ ნოემბერი, დეკემბერი და მარტი, პრაქტიკულად, არ განსხვავდება ერთმანეთისგან. სამეულმა მოზარდთა გასამართლება მხოლოდ № 00447 ბრძანების შესაბამისი ოპერაციის დასასრულს, ანუ 1938 წლის ივნისში შეწყვიტა. მსჯავრდებულ 61-69 და უფრო მეტი ასაკის ხანდაზმულ ადამიანთა რაოდენობა მხოლოდ 1938 წლის ივნისში შემცირდა, ამასთან, სამეულის მსხვერპლთა შორის ამ თვეში აღარ იყვნენ 69 წელზე მეტი ასაკის ადამიანები. 1937 წლის ნოემბერში, დეკემბერში და 1938 წლის მარტში 61 წელზე მეტი ასაკის მსჯავრდებულ პირთა წილი დაახლოებით ერთნაირი დარჩა.

როგორც ჩანს, „კულაკური“ სამეულის უპირველესი ამოცანა იყო ახალგაზრდა თაობის, როგორც სსრკ-ში უაღრესად აქტიური ასაკობრივი ჯგუფის, სოციალური დისციპლინირება. ასე, „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის 31-დან 40 წლამდე ასაკის პირებმა შეადგინეს თითქმის მესამედი (32%), მათგან ნახევარზე მეტი (54%) სიკვდილით დაისაჯა. 20-30 წლის ასაკის მსხვერპლთა ჯგუფმა 16% შეადგინა, მათგან სამეულმა სასჯელის უმაღლესი ზომა 38%-ს მიუსაჯა. 31-დან 40 წლამდე ასაკის პირთა ჯგუფის წილმა „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთა შორის იგივე, 32% შეადგინა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენის პროცენტული მაჩვენებელი ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაბალი იყო – 20%. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს რეპრესიები „კულაკური“ და „ნაციონალური“ ოპერაციების მსვლელობისას ისეთი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ, როგორებიც იყვნენ 41-50-წლისანი. თუმცა მათი წილი მსჯავრდებულთა შორის ნაკლები იყო, ისინი შეადგენდნენ მსხვერპლის საერთო რაოდენობის მესამედზე ნაკლებს (შესაბამისად 26% და 28%), მათ შორის ასევე მაღალი იყო, 31-40-წლისანებთან შედარებით, სასჯელის უმაღლეს ზომამისჯილთა პროცენტული მაჩვენებელი (შესაბამისად 52% და 20%).

საგანგებო განხილვას იმსახურებს „მილიციის“ სამეული, რადგან, რიგი პარამეტრებით, სრულიად გასულია ინტერპრეტაციის საერთო ჩარჩოებიდან. 19 წლამდე ჩათვლით ასაკის ახალგაზრდების წილი – მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის თითქმის მეოთხედი (23%) – თავბრუდამხვევად მაღალი იყო („კულაკური“ სამეული – 1%). ამით საქართველოში განსაკუთრებულად მკვეთრად აისახა „ბიბლიური მასშტაბის“ (დევიდ შირერი) ექსტრემალური სოციალური უბედურების საშიში შედეგი, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა საზოგადოებას იძულებითი კოლექტივიზაციის და ინდუსტრიალიზაციის შედეგად. საუბარია ბავშვებზე და მოზარდებზე, რომლებიც დარჩნენ მშობლების მხრიდან სათანადო მზრუნველობის გარეშე, ან გახდნენ მიუსაფარნი. ახლა მათ მიიპყრეს სადამსჯელო ორგანოების ყურადღება თავიანთი წვრილმანი დამნაშავეობით, ხულიგნობითა და სხვა მარგინალური ქმედებებით. როგორც ცხადყოფს სრულიად არაადეკვატური სასჯელის გამოყენება ამ ასაკობრივი ჯგუფის 90% წარმომადგენლების მიმართ, თავისუფლების აღკვეთის სახით ორიდან ხუთ წლამდე, სახელმწიფო ესწრაფვოდა მასობრივი წესით მათ ბანაკებში გაგზავნას, რითაც თავის კიდევ ერთ სოციალურ პრობლემას წყვეტდა.

სტატისტიკურად ასევე გამოიყოფა 20-30 ასაკის ჯგუფი. სწორედ მათ შეადგინეს მსხვერპლთა თითქმის ნახევარი (48%), რომელთაც ბრალი დასდო „მილიციის“ სამეულმა („კულაკური“ სამეულის შემთხვევაში – 16%). მათი დიდი ნაწილის (დაახლოებით 70%) მიმართ „მილიციის“ სამეულს გამოჰქონდა, როგორც წესი, მაქსიმალურად დასაშვები განაჩენი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. მათგან 18% გასამართლებული იყო 3 წლით. აქ, ისევე, როგორც მოზარდების შემთხვევაში, აირეკლა აზრით სოციალურად უაღრესად აქტიური და ძალზე შესამჩნევი ასაკობრივი ჯგუფის საზოგადოებისგან იზოლაციის ნეგა-

ტიური ტენდენცია.¹⁹² საბჭოთა სახელმწიფომ ან ვერ შეძლო მათთვის ღირსეული მომავლის შეთავაზება, ან სისტემატურად შლიდა მათ ყველა პერსპექტივას.¹⁹³

თუ შინსახკომის მასობრივ ოპერაციებს საქართველოში რეპრესირებულთა ასაკობრივი სტრუქტურის თვალთახედვით განვიხილავთ, ისინი სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის ხანმოკლე მიღწევის მცდელობას წარმოადგენდნენ, ამასთან, სრულიად უგულვებელყოფილი იყო მავნე ეკონომიკური შედეგები. ასე, № 00447 ბრძანების მიხედვით ჩატარებული და „ნაციონალური“ ოპერაციების პრიორიტეტული მიზანი პოლიტიკური სტაბილურობის შექმნა იყო. „მილიციის სამეული პასუხს აგებდა სოციალურ სტაბილურობაზე, ამასთან, სადამსჯელო ინსტანციების კომპეტენციები ძალიან შესამჩნევად კვეთდა ერთმანეთს, როგორც ეს უკვე სისხლის სამართლის დამნაშავეთა მოხსენიების მაგალითიდან შინსახკომის № 00447 ოპერატიული ბრძანების სათაურში ჩანს. № 00447 ბრძანების მიხედვით ოპერაციის განსაზღვრა, როგორც „კულაკურის“, პრინციპში სრულად არ ასახავს მის არსს. გაცილებით მართებული იქნებოდა ოპერაციასაც და სამეულსაც ეწოდოს „კულაკურ-სისხლისსამართლებრივი“. ამით ხაზგასმული იქნებოდა შინსახკომის ამ მასობრივი სადამსჯელო აქციის სოციალური მიმართულება.

3. განათლება

საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული „კულაკური“ სამეულის მიერ მსჯავრდებულთა ორ მესამედზე მეტი, უფრო ზუსტად 68%, იყო მცირემცოდნე, ან ჰქონდა დაბალი განათლება. ამ კატეგორიის წილი საქართველოს „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის აღემატება შესაბამის კატეგორიას ალტაის მხარეში (62%). ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ წერა-კითხვის უცოდინარ მსჯავრდებულთა წილს – 7% (910 ადამიანი), წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა პროცენტული მაჩვენებელი სამეულის მსხვერპლთა შორის საქართველოში 75-მდე (8.100 ადამიანი) გაიზრდება. ამრიგად, ამიერკავკასიის მიმართაც დასტურდება მთელი საბჭოთა კავშირისთვის უნივერსალური წესი, რომლის მიხედვითაც „კულაკური“ ოპერაცია, ძირითადად არაპრივილეგირებული, უბრალო მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

უმაღლესი განათლების მქონე მსჯავრდებულთა წილი „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის საქართველოში 11-ჯერ აღემატებოდა ალტაის მხარის ანალოგიურ მაჩვენებელს. იმ დროს, როდესაც ამ პირთა წილი ალტაის მხარის შინსახკომის სამმართველოსთან არსებული „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის 1%-ს შეადგენდა, საქართველოში ეს მაჩვენებელი 11%-ს უტოლდება (11.690 ადამიანიდან, რომელთა შესახებაც გვაქვს მონაცემები განათლების შესახებ). „კულაკური“ სამეულის მიერ უმაღლესი განათლების მქონე პირთა განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით გასამართლების უმნიშვნელოვანესი მიზეზი ისაა, რომ სამეულმა თბილისში მიიღო სპეციალური ნებართვა – გამოეტანა განაჩენი საბჭოთა პარტიული ელიტის წარმომადგენელთა მიმართაც, რომელთა საქმეებს მანამდე, ტრადიციულად სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია იხილავდა.¹⁹⁴

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ეს გარემოება სრულად აიხსნას უჩვეულოდ დიდი

192. იხ. ცხრილი 32.

193. მძიმე სიტუაციის შესახებ, რომელშიც იმყოფებოდა სსრკ-ის ახალგაზრდობა 1920-იან – 1930-იანი წლების დასაწყისში იხ.: Wellmann M. Zwischen Militanz, Verzweiflung und Disziplinierung. Jugendliche Lebenswelten in Moskau, 1920 - 1930. Basel, 2005; Gorsuch A. E. Youth in revolutionary Russia. Enthusiasts, bohemians, delinquents. Bloomington, 2000.

194. იხ. თავი „სადამსჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაცია“.

სხვაობით უმაღლესი და დაბალი განათლების მქონე რეპრესირებულთა ჯგუფებს შორის. ასე, „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის საშუალო განათლების მქონე პირთა წილმა საქართველოში 20% შეადგინა მაშინ, როდესაც ალტაის მხარეში მათი წილი თითქმის ორჯერ მეტი (37%) იყო.¹⁹⁵ სავარაუდოა, რომ აქ დამატებითი როლი საქართველოს რეგიონულმა სპეციფიკამ ითამაშა, რომელიც 1937-1938 წლებში ქართული საზოგადოების განათლების დონის სერიოზულ რყევაში მდგომარეობს. ზუსტად ისევე, როგორც ალტაის მხარეში, განათლების დონე და მსჯავრის სიმკაცრე კორელაციაში იყო ერთმანეთთან: რაც უფრო დაბალი იყო ბრალდებულის განათლების დონე, მით უფრო იშვიათად გამოჰქონდა სამეულის სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენი. განათლების დონის მიხედვით სასიკვდილო განაჩენთა წილის შემცირების ეს ტენდენცია საქართველოში აშკარა იყო: უმაღლესი განათლების მქონე ბრალდებულ პირთა შორის სიკვდილით დასჯის წილმა შეადგინა 2/3-ზე მეტი (75%), ნერა-კითხვის უცოდინართა შორის, პირიქით, დაახლოებით 1/3 (39%).

1937 და 1938 წლების მონაცემების შედარების შედეგად გაირკვა, რომ ელიტის წარმომადგენელ მსჯავრდებულთა წილი 1938 წელს თითქმის ორჯერ აღემატებოდა 1937 წლის შესაბამის მაჩვენებელს (1937 წ. – 9%; 1938 წ. – 17%) და ეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „კულაკური“ ოპერაციის დროს რეპრესირებულთა საერთო რაოდენობა 1938 წელს თითქმის 2/3-ით ნაკლები იყო, ვიდრე 1937 წელს (1937 წ. – 15.413; 1938 წ. – 5.665). ნერა-კითხვის უცოდინართა და დაწყებითი განათლების მქონე პირთა წილი 1937 წლის საკმაოდ მაღალი – 75%-დან 1938 წელს 59%-მდე შემცირდა. შესაბამისად, სამეულის მიერ 1937 წელს მსჯავრდებულთა შორის საშუალო განათლება ჰქონდა კიდევ უფრო მცირე ნაწილს (18%), ვიდრე საშუალოდ 1937-1938 წლებში (20%). 1938 წელს მსჯავრდებულთა ამ ჯგუფის წილმა მცირედ გადააჭარბა საშუალო მაჩვენებელს და 23% შეადგინა. აუცილებელია გვახსოვდეს ისიც, რომ 1938 წელი საქართველოსთვის სიკვდილით დასჯის წლად იქცა. იმ პირთა წილი, რომლებსაც სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს, 1938 წელს 20%-ზე მეტით გაიზარდა 1937 წელთან შედარებით – 45%-დან 67%-მდე. ამის შედეგად, კავკასიის ეს რესპუბლიკა სასიკვდილო განაჩენის დომინირების საერთო-საკავშირო ტენდენციას შეესაბამებოდა, თუმცა საქართველო ძალიან ჩამორჩებოდა უკრაინას, სადაც სასიკვდილო განაჩენთა წილმა 1938 წელს თითქმის 100% (98%) შეადგინა.¹⁹⁶ საქართველო სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებისგან, მხარეებისა და ოლქებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ აქ 1938 წელს სასჯელის უმაღლესი ზომა უმაღლესი განათლების მქონე პირთა მიმართ დიდი მასშტაბით გამოიყენებოდა.

განსხვავება 1937 და 1938 წლებს შორის აიხსნება არა მხოლოდ საერთო-საკავშირო ტენდენციით – სადამსჯელო ზომების სიმძიმის ცენტრის გადატანით ისეთ „კონტინგენტზე“, როგორცაა „სხვა კონტრრევოლუციური ელემენტები“, – არამედ საქართველოს სპეციფიკითაც, რომელიც მდგომარეობდა „კულაკური“ სამეულის მიერ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის და პარტიული ელიტის წარმომადგენელთა ინტენსიურ ბრალდებაში (პარტიის წევრთა წილი სამეულის მსხვერპლთა შორის 1937 წელს შეადგენდა დაახლოებით 20%-ს, 1938 წელს – დაახლოებით 30%-ს). უმაღლესი და დაბალი განათლების მქონე სკპ(ბ) რეპრესირებულ წევრთა წილი 1938 წელს გაიზარდა

195. ჟდანოვა გ. დ. სტატისტიკური ანალიზი. გვ. 730-731.

196. რაც შეეხება უკრაინას, 1938 წლის მიმართ ჩვენ გვაქვს სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ 1938 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით. ვინაიდან უკრაინის ზოგიერთ ოლქში „კულაკური“ ოპერაცია გრძელდებოდა 1938 წლის ღრმა შემოდგომამდე, ეს რიცხვები, შესაბამისად, არასრულია. იხ. კრებვითი ცხრილი № 00447 ბრძანების განხორციელების შესახებ უკრაინაში.//მტრის გვამების მემკვიდრეობით ხალხის საკეთილდღეოდ/ შემდგ. მ. იუნგე, ს.ა. კოკინი, რ. ბინერი. ტომი 2. მოსკოვი, 2010. გვ. 365.

10%-ით (1937 წ. – 43%; 1938 წ. – 53%). ეს ჯგუფი გაიზარდა წერა-კითხვის უცოდინარ პარტიელთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე პარტიის წევრთა წილი დაახლოებით იგივე დარჩა.¹⁹⁷

„ნაციონალური“ სამეული, „კულაკურ“ სამეულთან შედარებით, ხასიათდებოდა რიგი გადახრებით და თავისებურებებით. 386 ადამიანიდან, რომელთა განათლების შესახებაც გვაქვს მონაცემები, 333-ს (87%) საერთოდ არ ჰქონდა განათლება, ან დაბალი განათლების იყო. ეს 19%-ით მეტი იყო, ვიდრე „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა მაჩვენებელი. ხოლო თუ განვიხილავთ მხოლოდ წერა-კითხვის უცოდინართა წილს, ეს მაჩვენებელი სამჯერ და უფრო მეტად მაღალი იქნება „ნაციონალური“ სამეულის შემთხვევაში („ნაციონალური“ სამეული – დაახლოებით 23%, „კულაკური“ სამეული – დაახლოებით 7%). შესაბამისად, „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთა შორის მხოლოდ 3%-ს (13 ადამიანი) ჰქონდა უმაღლესი განათლება, რაც შეფარდებით რიცხვებში შეადგენდა დაახლოებით მეოთხედ ნაწილს ამ ჯგუფის წილიდან იმ პირთა შორის, რომლებიც გასამართლდნენ „კულაკური“ სამეულის მიერ (11%). საშუალო განათლების მქონე პირთა პროცენტული მაჩვენებელი „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთა შორის (10%) „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა ანალოგიური ჯგუფის (20%) მხოლოდ ნახევარს შეადგენს. ამრიგად, „ნაციონალური“ სამეულის „კონტინგენტის“ ძირითად ბირთვს საქართველოში შეადგენდნენ ადამიანები დაბალი განათლებით და წერა-კითხვის უცოდინრები. ამ ტენდენციას ადასტურებს „ნაციონალური“ სამეულის მიერ სასჯელის უმაღლესი ზომის გაცელებით იშვიათად გამოყენება მთელი კონტინგენტის მიმართ. ასე მაგალითად, „კულაკური“ სამეულისგან განსხვავებით, უმაღლესი განათლების მქონე პირთა წილმა, რომელთაც სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს, აქ შეადგინა 54% (7 ადამიანი 13-დან). რაც შეეხება „კულაკურ“ სამეულს, აქ ანალოგიურმა მაჩვენებელმა 75%, ანუ 20%-ით უფრო მეტი შეადგინა. წერა-კითხვის უცოდინართა შემთხვევაში დახვრეტილთა წილი „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთა შორის 13%-მდე მცირდება, რაც 26%-ით, ანუ ორი მესამედით ნაკლებია, ვიდრე „კულაკური“ სამეულის შემთხვევაში.

მიღებული შედეგები მოწმობს რომ საქართველოს ეროვნულ დიასპორებს, რომლებიც შინსახკომის მიერ განხორციელებული ოპერაციების მთავარ სამიზნეს წარმოადგენდნენ „ნაციონალური“ ხაზით, უაღრესად დაბალი სოციალური სტატუსი ჰქონდათ. ამ მიზეზით მათ მიმართ რეპრესიები არ გამოიჩინოდა სიმკაცრით, რაც დამახასიათებელი იყო „კულაკური“ ოპერაციისთვის. დიასპორების წარმოქმნის დაბალი დონე, შერწყმული სასჯელთა შედარებით „სირბილესთან“, ირიბად მიუთითებს, რომ საქართველოს შინსახკომის ორგანოები არ ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას სამხედრო საფრთხეს და, შესაბამისად, ჯაშუშურ საქმიანობას უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ, ვინაიდან მსგავსი ბრალდებები ყოველთვის ახდენდა ფატალურ გავლენას განაჩენის სიმძიმეზე.¹⁹⁸

რაც შეეხება „მილიციურ“ სამეულს, ჩვენ გვაქვს მონაცემები მის მიერ მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტის (55%, 1.216 ადამიანი 2.205-დან) განათლების დონის შესახებ. მის მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა ერთმნიშვნელოვნად განეკუთვნებოდა საზოგადოების სოციალურად ქვედა ფენებს. მათგან 73% მცირემცოდნე, ან წერა-კითხვის უცოდ-

197. „კულაკური“ ოპერაციების მსხვერპლთა განათლების დონის ზოგადი შეფასების საკითხისათვის საქართველოს სსრ-ში, იხ. უპირველეს ყოვლისა ცხრილი № 9, რომელშიც მოყვანილია 1937-1938 წლების გაერთიანებული მონაცემები, შემდეგ ცხრილები № 10 და № 11, რომლებშიც მოყვანილია შესაბამისად 1937 და 1938 წლების სტატისტიკური მონაცემები.

198. იხ. ცხრილი № 24.

ინარი იყო. მხოლოდ 21%-ს ჰქონდა დაბალი განათლება, ან, ყოველ შემთხვევაში, შეეძლოთ დამაკმაყოფილებლად კითხვა და წერა. „მილიციის“ სამეულის მიერ გაუნათლებელთა და მცირემცოდნეთა ჯგუფის წარმომადგენელთა 80%-ის მიმართ გამოტანილი იყო მაქსიმალურად დასაშვები განაჩენი 5 წლით თავისუფლების აღკვეთის სახით.¹⁹⁹ სოციალური მარგინალებისთვის და გარეწრებისთვის, რომელთაც წართმეული ჰქონდათ ყველა პრივილეგია, აზრი არ ჰქონდა შეწყნარების იმედად ყოფნას, რაც უეჭველად მოწმობს, რომ დიდ ტერორს ავტორიტარული სოციალური შემადგენელი ჰქონდა.

ზოგადად და მთლიანად, მიუხედავად შინსახკომის მასობრივ ოპერაციებს შორის საქართველოში გამოვლენილი ყველა განსხვავებისა, დასტურდება დასკვნა, რომ სამივე ოპერაციის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა უბრალო, არაპრივილეგირებული მოსახლეობა, თუმცა სწორედ ის იყო მნიშვნელოვნად დაყოფილი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თავისებურებების შედეგად.

4. სოციალური მდგომარეობა

ანალიზის შედეგები რეპრესირებულთა სტატისტიკის ისეთი პარამეტრის მიხედვით, როგორცაა „განათლების დონე“, თანაფარდობაშია დასკვნებთან, რომლებიც მივიღეთ მსჯავრდებულთა აქტუალური სოციალური სტატუსის მაჩვენებლის განხილვის დროს. „კულაკური“ ოპერაციის მსვლელობისას შინსახკომის ორგანოების მიერ ქართული საზოგადოებიდან „ამოღებულ“ პირთა ძირითად ჯგუფს შეადგენდნენ მოსამსახურენი. „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის მათი წილი 1937-1938 წლებში თითქმის 70%-ს აღწევს. მოსამსახურენი საბჭოთა პირობებში ყოველთვის იყვნენ „სახელმწიფოს მსახურნი“. გამოწვევის არ წარმოადგენდნენ უკვე დიდი ხნის წინ ნაციონალიზირებული საწარმოები და ქარხნები, ან სასოფლო საბჭოს მუშაკები. „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის მუშათა წილმა შეადგინა 5% (532 ადამიანი), გლეხების – 27% (3.031).

დახვრეტილთა წილმა მოსამსახურეთა შორის შეადგინა 61%, რაც სიკვდილით დასჯილ გლეხებზე თითქმის ორჯერ მეტია, ხოლო მუშებზე – 15%-ით მეტი. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სიკვდილით დასჯა „სოციალურად ახლოს მდგომი“ მუშების შემთხვევაშიც ძალზე ინტენსიურად გამოიყენებოდა (47%). განსაკუთრებით მაღალი იყო სკპ(ბ) წევრთა წილი რეპრესირებულ მოსამსახურეთა შორის – 38%.

1937 და 1938 წლების შედარების დროს დასტურდება განათლებულ და მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირთა გაძლიერებული სელექციისა და ამოგდების ტენდენცია, რომელიც უკვე გამოვლენილი იყო ჩვენ მიერ მასობრივი ოპერაციების მსხვერპლთა განათლების დონის ანალიზის დროს. ასე მაგალითად, მსჯავრდებულ მოსამსახურეთა წილი 1937 წლის 56%-დან 1938 წელს 87%-მდე იზრდება, ანუ მთელი 30%-ით. „კულაკური“ სამეული 1938 წელს პრაქტიკულად არ სჯიდა მუშებს (3%) და გაასამართლა ასევე გაცილებით ნაკლები გლეხი (9%). სამაგიეროდ, მის მიერ მსჯავრდებულ პარტიის წევრთა კვოტა 1937 წლის 27%-დან 1938 წელს 34%-მდე – თითქმის 8%-ით გაიზარდა.²⁰⁰

მსხვერპლთა აქტუალური სოციალური სტატუსის მონაცემთა საფუძველზე კიდევ უფრო აშკარა ხდება „ნაციონალური“ სამეულის საქმიანობის მიმართულობის სპეციფიკა „კულაკურთან“ შედარებით, რაც უკვე აღნიშნული იყო ჩვენ მიერ „ნაციონალური“ ოპერაციების მსხვერპლთა განათლების დონის ანალიზის დროს. მოსამსახურეთა წილმა მის მსხვერპლს

199. იხ. ცხრილი № 25.

200. იხ. ცხრილები №№ 10-11, გრაფა „სოციალური მდგომარეობა“.

შორის ნახევარზე ნაკლები – 43% (130 ადამიანი) შეადგინა. სამაგიეროდ, რეპრესირებულ გლეხთა წილი – 42% (127 ადამიანი) – თითქმის გაუტოლდა მოსამსახურეთა წილს და მესამედით მეტი იყო (27%), ვიდრე გლეხების წილი „კულაკური“ სამეულის მსხვერპლს შორის. რაც შეეხება მუშებს, მათი წილი (14%, 43 ადამიანი) თითქმის სამჯერ მეტი იყო № 00447 ბრძანების მიხედვით ჩატარებული ოპერაციებით რეპრესირებულ მუშათა წილზე.

„ნაციონალური“ სამეულის მიერ სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ერთნაირად დაზარალებულნი გლეხები და მოსამსახურეები (ორივე ჯგუფში დახვრეტილთა წილმა 25% შეადგინა), რაც, თავის მხრივ, გაცილებით დაბალია „კულაკური“ სამეულის მიერ სასჯელის უმაღლეს ზომამისჯილ მოსამსახურეთა წილზე (60%) და გაცილებით ნაკლებია გლეხთა წილზე (32%), რომლებიც ამავე სამეულმა № 00447 ბრძანების შესაბამისად ჩატარებული ოპერაციების დროს დახვრიტა.

მოსამსახურეთა შედარებით დაბალი წილი „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთა შორის და დახვრეტილთა „მცირე“ პროცენტული მაჩვენებელი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ნაციონალური დიასპორების წარმომადგენლები, რომლებიც „ნაციონალური ხაზით“ ჩატარებული ოპერაციების დროს რეპრესირების მთავარი ობიექტები გახდნენ, გაცილებით სუსტად იყვნენ წარმოდგენილნი საბჭოთა სახელმწიფოს აპარატში, ვიდრე „კულაკური“ სამეულის „კონტინგენტები“ და მათ სერიოზული საფრთხის წყაროდ, როგორც ჩანს, გაცილებით ნაკლები ალბათობით განიხილავდნენ. შედეგად, დარტყმა მიადგათ არა მხოლოდ მოსამსახურეებს, არამედ, თანაბარი ზომით, გლეხებსაც. რეპრესირებულ მუშათა მაღალი რიცხვი, ერთი მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი „ხელსაყრელი“ სოციალური სტატუსიც კი არ აძლევდა ნაციონალურ უმცირესობებს დაცვის გარანტიას „ნაციონალური“ ოპერაციების დროს, მეორე მხრივ, ეს ფაქტი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ რეპრესირების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენდნენ მუშები ემიგრანტთა რიცხვიდან.²⁰¹

„მილიციის“ სამეულის მთავარი დარტყმა მიმართული იყო არა წვრილი სისხლის სამართლის დამნაშავეების წინააღმდეგ, რაც მოსალოდნელი იყო, არამედ „დეკლასირებული ელემენტების“ წინააღმდეგ, ისეთების, როგორებიც იყვნენ უსახლკარონი, ლატაკნი და ა.შ. 1.382 ადამიანიდან მათმა წილმა 75% შეადგინა. სრულიად ცხადია, რომ მილიციამ გამოიყენა სამართლებრივი განუკითხაობის სიტუაცია იმისთვის, რომ ბანაკებში გაეგზავნა მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლები, კონკრეტული დანაშაულის არარსებობის, ან მათი უმნიშვნელობის მიუხედავად. გლეხები, მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, რომელთა წილმაც „მილიციის“ სამეულის მიერ რეპრესირებულთა შორის შეადგინა 6%, აქ ასრულებდნენ დაქვემდებარებულ როლს.²⁰² ამრიგად, შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ მასობრივ ოპერაციებს ჰქონდა არა მხოლოდ წმინდა სოციალურ-პოლიტიკური მიზნები. მათი მეშვეობით სახელმწიფო ასევე ახორციელებდა აშკარად გამომხატულ სოციალურ-პოლიტიკურ მანიპულაციებს საზოგადოებაზე.

5. სოციალური წარმოშობა

დიდი ტერორის ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ ყველაზე საკამათოს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა პოტენციურ მსხვერპლთა სოციალური წარსული მათი დაპატიმრების გადაწყვეტი პირობა. თუ ეს ასეა, მაშინ დიდი ტერორის წლებში „ხალხის

201. იხ. ცხრილი № 24^a.

202. იხ. ცხრილი № 25.

მტრების“ პროსკრიპციონულ სიებში ადამიანის შეყვანის მთავარი კრიტერიუმი არა იმდენად მისი ინდივიდუალური ქცევა ან ლოიალობის ხარისხი იყო სტალინური რეჟიმის მიმართ, რამდენადაც მისი სოციალური წარმომავლობა.

ამ თეზისის საწინააღმდეგოს მოწმობს ის ფაქტი, რომ „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა ნახევარზე მეტი (54%) სოციალური წარმოშობის მიხედვით იყვნენ გლეხები, ანუ პირები, რომელთა სოციალური ფესვები ეჭვს არ იწვევდა. ეჭვი ჩნდება მსხვერპლის მეორე ნაწილის (46%) განხილვის დროს, სადაც თავმოყრილია ბოლშევიკების ყველა სოციალური მტერი: განკულაკებულები (25%), აზნაურები (8,1%), ხოჯები, ბეგები (1,6%), თავადები (1,5%), ყოფილი ვაჭრები (1,7%), მემჩანები (1,3%), ოფიცრები (5,2%), აგრეთვე სამეფო (მეფის) სადამსჯელო ორგანოების წარმომადგენლები, პოლიციელებისა და ჟანდარმების ჩათვლით (1,3%). თუ რეჟიმს განზრახული ჰქონდა ყველა ყოფილი „კულაკის“ დასჯა, დაპატიმრებულთა რაოდენობა უეჭველად მეტი უნდა ყოფილიყო. ანალოგიური მტკიცება შეიძლება „ყოფილთა“ სხვა კატეგორიების მიმართაც.

არსებული მონაცემები აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ სოციალური წარმომავლობა, როგორც წესი, არ იყო დაპატიმრების მთავარი მიზეზი, მაგრამ არასასურველი სოციალური წარსულის „დაღი“ ყოველთვის ნეგატიურად მოქმედებდა გამოძიების დროს სასჯელის ზომის სიმძიმის განსაზღვრაზე. უფრო მკაცრი განაჩენი გამოჰქონდათ წარსულში „დაღდასმულ“ პირთა მიმართ, როგორც ამას ითხოვდა „მტრის“ გამოვლენის და მოსპობის იდეოლოგიური ლოგიკა. ყოფილ ვაჭართა წილმა, რომელთაც „კულაკურმა“ სამეულმა საქართველოში სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა, შეადგინა „ზომიერი“ 45% – ისევე, როგორც გლეხთა შორის. „ყოფილი კულაკებიც“ კი, რომელთა შორის დახვრეტილთა წილმა 55% შეადგინა, არ იყვნენ ისე მკაცრად დასჯილნი, როგორც მოსალოდნელი იყო. თუმცა მკვეთრად გაიზარდა სასჯელის უმაღლეს ზომამისჯილთა წილი „ყოფილთა“ სხვა ჯგუფებს შორის. ასე მაგალითად, თავადაზნაურული წარმოშობის პირთა შორის მან უკვე 60% შეადგინა, ამასთან რეპრესირებულ თავადაზნაურთა დიდი რაოდენობა – 10.182-იდან 828 ადამიანი (8,1%), რომელთა შესახებ მოიპოვება სოციალური წარმომავლობის შესახებ მონაცემები, ქართულ საზოგადოებას წარმოგვიჩენს, როგორც სოციუმს წვრილაზნაურთა მაღალი წილით. რაც შეეხება მუსულმანურ ელიტას – ხოჯებსა და ბეგებს – მათ შორის დახვრეტილი იყო 66%. შემდეგ მზარდი მიმართულებით მოდიან რუსეთის ყოფილი იმპერიის მოხელეები (70%), მემჩანები და ოფიცრები (73-73%). ამ სასიკვდილო პირამიდის მწვერვალზე იმყოფებიან თავადები, მათ შორის დახვრეტილთა პროცენტული მაჩვენებელი (76%) „კულაკების“ შესაბამის მაჩვენებელს 20%-ით აღემატება.

რაც შეეხება „ნაციონალური“ სამეულის კონტინგენტს, ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, არასასურველი სოციალური წარმომავლობა არ თამაშობდა ისეთ ნეგატიურ როლს, როგორც „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა შორის. ჩვენ გვაქვს მხოლოდ 38%-ის (192 ადამიანი) შესაბამისი მონაცემები. გავიხსენებთ, რომ სოციალური წარმოშობა „კულაკური“ სამეულის ოქმებში დაფიქსირებულია შემთხვევათა თითქმის ნახევარში (21.078-დან 10.182 ადამიანის მიმართ). შედეგად, „ნაციონალური“ სამეულის მსხვერპლთა შორის „საეჭვო“ სოციალური წარსულის მქონე პირთა წილმა შეადგინა „მხოლოდ“ 11% („კულაკური“ სამეული – 46%). მისი მსხვერპლის დიდი უმრავლესობა – 89% – იყო გლეხი და არა „კულაკური“ წარმომავლობის.²⁰³

მონაცემები „მილიციის“ სამეულის კონტინგენტის წარმოშობის შესახებ ერთობ არასრულია. შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია მისი სხდომების ოქმებში მსჯავრდებულთა

203. იხ. ცხრილი № 24^ა.

მხოლოდ 11%-ის (266 ადამიანი) შემთხვევაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალური წარმომავლობა არსებით როლს არ ასრულებდა „მილიციის“ სამეულის მიერ მსჯავრდებულთა შემთხვევაში. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ამ 266 ადამიანიდან დიდი უმრავლესობა (80%) წარმომავლობით გლეხი იყო.²⁰⁴

გ. დ. ჟდანოვა ალტაის მხარეში განხორციელებული მასობრივი ოპერაციების ანალიზის დროს თავისი სტატისტიკური გამოთვლების საფუძველზე გამოთქვამს შემდეგ შეფასებას: „პირები, რომლებსაც ჰქონდათ „ბნელი“ სოციალური წარსული, თავიდანვე ხვდებოდნენ არაკეთილსაიმედოთა კატეგორიაში და, როგორც ამბობენ, იმთავითვე დამნაშავენი იყვნენ“. თუმცა მონაცემები საქართველოს შესახებ უფრო იმას მოწმობს, რომ „არასასურველი“ სოციალური წარმომავლობა არ წარმოადგენდა დაპატიმრების დომინანტურ მოტივს. მაგრამ ჩვენ ვეთანხმებით ჟდანოვას იმაში, რომ „სოციალურ წარმომავლობას სამეულის მიერ განაჩენის გამოტანის დროს ჰქონდა ძალიან დიდი [...] მნიშვნელობა“. საქართველო ამ მხრივ გამოჩნდის არ წარმოადგენს: სოციალური წარსული, ყოველ შემთხვევაში, „კულაკური“ სამეულის შემთხვევაში, სასჯელის სიმძიმის არსებით საზომს წარმოადგენდა. თავისთავად ცხადია, რომ „საეჭვო“ სოციალური წარმომავლობა ასევე თამაშობდა თავისებურ როლს გადანყვეტილების მიღების დროს ამა თუ იმ ადამიანის დასაკავებლად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აშკარად გამოხატავს ხელისუფლების მიმართ არალოიალობას. სოციალური წარსულის „ლაქა“ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ასევე, როგორც დასმენის საბაზი, მაგრამ ეს ყოველთვის როდი აღწევდა მიზანს, განსაკუთრებით, თუ პოტენციურ მსხვერპლს არ ჰქონდა ახალი ცოდვა რეჟიმის თვალში. ამრიგად, ჩვენ არ შევიდოდით სოციალური წარმომავლობის როლის შეფასებებში ისე ღრმად, როგორც გ. დ. ჟდანოვა, რომელიც მას „განმსაზღვრელ მნიშვნელობას“ ანიჭებს.²⁰⁵

6. პოლიტიკური წარსული

1937-1938 წლებში „კულაკურმა“ სამეულმა საქართველოში 21.078 ადამიანი გაასამართლა. სამეულის სხდომათა ოქმებში მათგან მხოლოდ 17%-ის მიმართაა მითითებული მათი პოლიტიკური წარსული.²⁰⁶ ამიტომ აქ საუბარი არაა აბსოლუტურ რეპრეზენტაციულობაზე. თუმცა საფიქრებელია, რომ მსხვერპლის ეს მნიშვნელოვანი მახასიათებელი, თუ იგი საერთოდ არსებობდა, ოქმში იქნებოდა ასახული. ამრიგად, შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ მივიღებთ გარკვეულწილად სარწმუნო სტატისტიკურ გამოთვლებს. „პოლიტიკური წარსულის“ მქონე პირთა შორის, უდავოდ, ლიდერობენ ყოფილი მენშევიკები – 83,7% (2.991 ადამიანი). რაც შეეხება სხვა პარტიათა მიმდევრებს, თუ გამოვალთ აბსოლუტური რიცხვებიდან, რეპრესირებულნი იყვნენ მხოლოდ უმნიშვნელო მასშტაბით. და მაინც, აზრიანია ზუსტი მზერა მივაპყროთ ციფრებს. აღსანიშნავია, რომ მენშევიკებს უფრო „რბილი“ მსჯავრი დაედოთ, ვიდრე ყველა სხვა პოლიტიკური პარტიის ყოფილ წევრებს. განსხვავება ესერებთან შედარებით შეადგენს 28,1%-ს (დახვრეტილთა წილმა მენშევიკებს შორის შეადგინა 45,7%, ესერებს შორის – 73,8%), სოციალ-ფედერალისტებთან, 1903 წელს დაარსებული მცირერიცხოვანი ქართული პარტიის წევრებთან, რომლებმაც ეროვნულ ავტონომიას მიაღწიეს – 16,3%. ხარისხობრივი თვალსაზრისით, ეს მონაცემები მოწმობს რეპრესიული ორგანოების სადამსჯელო პრიორიტეტების შეცვლას მენშევიკებიდან მცირე-

204. იხ. ცხრილი № 25.

205. იხ. აგრეთვე: ჟდანოვა. სტატისტიკური ანალიზი. გვ. 731.

206. იხ. ცხრილი № 9.

რიცხოვანი პარტიების ყოფილი მომხრეების „სასარგებლოდ“. შესაძლოა, წარსულში მათ გაცილებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე მენშევიკებს, რომლებიც ასე ტიპიური იყვნენ საქართველოსთვის.²⁰⁷ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ პარტიათა მიმდევრებს, მათ საერთო რაოდენობასთან შეფარდებით, უაღრესად მკაცრად სჯიდნენ.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პოლიტიკური პარტიების ყოფილ წევრთა რეპრესიების ფაქტს, რომელშიც შედიოდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობა. ასე მაგალითად, „კულაკური“ სამეულის მიერ, რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით, მსჯავრდებული იყო საკმაოდ ბევრი სავარაუდო დაშნაკი – 6,8% (244 ადამიანი). დაშნაკუტუნი წარმოადგენდა 1890 წელს დაარსებულ სომხურ ნაციონალისტურ პარტიას, რომელიც იძულების გზით ცდილობდა ოსმალეთის იმპერიაში, ირანსა და რუსეთის ამიერკავკასიის შემადგენლობაში შემავალი სომხებით დასახლებული ყველა ტერიტორიის გაერთიანებას და დამოუკიდებლობას. 1908 წელს პარტიამ მიიღო ესერების პროგრამა და შევიდა II ინტერნაციონალში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოწინააღმდეგე გახდა სომხეთში. 1917 წლის 15 ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე დაშნაკები, ქართველ მენშევიკებსა და მუსავატებთან ერთად, შედიოდნენ მათ მიერ შექმნილ „ამიერკავკასიის კომისარიატსა“ და აგრეთვე, „ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის“ მთავრობაში. 1918 წლის 28 მაისს, რსფსრ-დან გამოყოფის შემდეგ, შეიქმნა სომხეთის რესპუბლიკა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დაშნაკების მიერ ფორმირებული მთავრობა. ნითელი არმიის მიერ სომხეთის აღებისა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკების ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პარტია დაშნაკუტუნის მიმდევრების დევნა დაიწყო.

შედარებით მცირე იყო მუსავატთა წილი № 00447 ბრძანების შესაბამისი ოპერაციის მსხვერპლთა შორის საქართველოში – 0,8%. მუსავატების შემთხვევაში საუბარია აზერბაიჯანული ბურჟუაზიულ-ნაციონალური პარტიის წევრებზე, რომელიც შეიქმნა 1911 წელს სახელწოდებით „მუსულმანური დემოკრატიული პარტია მუსავატი“ („თანასწორობა“). 1917 წელს, „ფედერალისტთა თურქთა პარტიასთან“ შეერთების შემდეგ, მას „ფედერალისტ-მუსავატთა თურქთა დემოკრატიული პარტია“ ეწოდა. ის ეფუძნებოდა პანისლამიზმის, პანთურქიზმის, მოდერნიზაციის იდეებს და ესწრაფვოდა ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიის შექმნას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მან 1918 წლის მარტში მოაწყო წარუმატებელი ანტიბოლშევიკური აჯანყება. 1918 წლის 27 მაისს თბილისის დროებითმა ნაციონალურმა საბჭომ გამოაცხადა აზერბაიჯანის რესპუბლიკა. რეალური ხელისუფლების მიღება აზერბაიჯანში მუსავატებმა მხოლოდ თურქული და ბრიტანული შეიარაღებული ძალების დახმარებით ბაქოს კომუნის დამარცხების შემდეგ, 1918 წლის სექტემბერში შეძლეს. 1920 წლის 27-28 აპრილს ნითელი არმიის ჯარები შევიდნენ ბაქოში და აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. თუ დასკვნები გაკეთდება მხოლოდ რეპრესიული სტატისტიკის მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს შინსახკომის ორგანოები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ მუსავატების დევნას. ეს მთლიანად შეესაბამებოდა აზერბაიჯანელების დაბალ სოციალურ და პოლიტიკურ სტატუსს საქართველოში.²⁰⁸

სადამსჯელო ორგანოებმა შედარებით მეტი ყურადღება დაუთმეს ჯგუფს სახელწოდებით „სედაი მილეტი“. აქ საუბარია აჭარულ პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, რომელიც

207. რეპრესიათა სპეციფიკის შესახებ მენშევიკების მიმართ იხ. თავი „სადამსჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაცია“, ნაწილი 9 („მენშევიკთა მსჯავრდება“).

208. აზერბაიჯანელების დაბალი სოციალური სტატუსისათვის საქართველოში.

უაღრესად პოპულარული იყო რეგიონის მუსულმანურ მოსახლეობაში და გამოდიოდა, მათ შორის თავისი თანამოსახელე გაზეთის „სედაი მილეტის“ ფურცლებზე, აჭარის პროთურქული ორიენტაციის მოთხოვნით. 1937-1938 წლებში მსჯავრდებული იყო „სედაი მილეტის“ 76 ყოფილი წევრი. ამრიგად, რეპრესიების ინტენსივობამ შეადგინა 0.08% (აჭარის მოსახლეობა – დაახლოებით 95.000 ადამიანი). რეპრესიების ინტენსივობა საქართველოს სხვა პარტიების მიმართ უდრიდა 2,1%-ს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ 76 ადამიანიდან ნახევარზე მეტს (53%-ს, 40 ადამიანს) გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი.²⁰⁹ აჭარის მოსახლეობის პოლიტიკური ორგანიზებულობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, ეს არცთუ მაღალი რიცხვები წარმოადგენენ რეპრესიული დარტყმების მიმართულების მნიშვნელოვან მაჩვენებლებს.

თავის მხრივ, როგორც „ნაციონალური“ სამეულის ოქმებში, ასევე „მილიციის“ სამეულის ჩანაწერებში არ არის მონაცემები მათი მსხვერპლის კონტაქტების შესახებ ანტიბოლშევიკურ პოლიტიკურ პარტიებთან. სამაგიეროდ, სკპ(ბ) წევრობა არ იყო იშვიათი მოვლენა „ნაციონალური“ სამეულის „კონტინგენტს“ შორის (8,5%), თუმცა ეს მაჩვენებელი ორჯერ ჩამორჩება „კულაკური“ სამეულის მაჩვენებელს (17%), რაც კიდევ ერთხელ გამოსატყვევებს „ეროვნულ უმცირესობათა“ დაბალ სოციალურ სტატუსს. „მილიციის“ სამეულის მსხვერპლთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთოდ არ იყვნენ სკპ(ბ) წევრები, მხოლოდ 8 ადამიანი 2.205-დან (0,4%) იყო კომკავშირელი, ან სკპ(ბ) წევრობის კანდიდატი.²¹⁰

შედეგების შეჯამებისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოში ისეთი „რეპრესიული“ კრიტერიუმის შემთხვევაში, როგორიცაა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წევრობა, „მენშევიკური“ წარსული ან საერთოდ არ არის მოხსენიებული მსჯავრდებულთა დიდი უმრავლესობის მიმართ, ან ის ასრულებდა დაქვემდებარებულ როლს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) წევრობა, როგორც წესი, არ იყო დაპატიმრების მიზეზი. კუთვნილება მენშევიკური პარტიისადმი განაჩენის გამოტანის დროსაც კი თამაშობდა უფრო ნაკლები დამამძიმებელი გარემოების როლს, ვიდრე სხვა, უფრო მცირე გავლენის მქონე ანტიბოლშევიკური პარტიის წევრობა.²¹¹

სკპ(ბ) წევრთა წილი შინსახკომის მასობრივი ოპერაციების მსხვერპლთა შორის კანონიერი სახით იყო უფრო დაბალი, ვიდრე „მიზანმიმართული“ რეპრესიების დროს საბჭოთა ელიტის წინააღმდეგ. ეს მაჩვენებელი შეადგენდა საშუალოდ 4%-ს („კულაკური“ სამეული – 17%, „ნაციონალური“ სამეული – 9%, „მილიციის“ სამეული – 0,4%).²¹² მაგრამ ალტაის მხარესთან შედარებით, კომუნისტური პარტიის წევრთა წილი, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსრ შინსახკომის „კულაკური“ სამეულის მიერ, იყო ოთხჯერ და უფრო მეტად მაღალი – 17%, ვიდრე ალტაის შესაბამისი მაჩვენებელი (4%). ასეთი არსებითი განსხვავების ახსნა შეუძლებელია მხოლოდ მასობრივი რეპრესიების სპეციფიკით საქართველოში, რაც მდგომარეობს პარტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტის დიდი ნაწილის ბრალდებით „კულაკური“ სამეულის მიერ, ეს მაჩვენებელი ასევე მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ორგანიზებულობის მთლიანად უფრო მაღალ

209. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა//დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 1. მოსკოვი, 1949. გვ. 397-406, აქ გვ. 401.

210. იხ. ცხრილი № 24^ა, აგრეთვე ცხრილი № 25.

211. იხ. თავი „სადასჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაცია“, ნაწილი 9 („მენშევიკთა მსჯავრდება“).

212. იხ. ცხრილები №№ 9, 24^ა და 25.

ხარისხზე ალტაის მხარესთან შედარებით, რომელიც უფრო ნაკლებად იყო სასოფლო-სამეურნეო რეგიონი, ვიდრე ამიერკავკასია.²¹³

თამაშობდა თუ არა განაჩენის გამოტანის დროს შემარბილებელი ფაქტორის როლს კომუნისტური პარტიის წევრობა (მათ შორის ყოფილი), ამასთან იმიტომაც, რომ ამ შემთხვევაში გამოძიებლები და მოსამართლეები უფრო ყურადღებით ერკვეოდნენ საქმის გარემოებებში? ამ კითხვას უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი. სწორედ სკპ(ბ) წევრების, აგრეთვე კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატებისა და კომკავშირელების შემთხვევაში, რომლებიც მჭიდრო კონტაქტში იყვნენ პარტიულ ორგანიზაციებთან, შინსახკომის ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ პოტენციურ მსხვერპლთა საეჭვო სოციალური და პოლიტიკური წარსულის მტკიცებულებათა შეგროვებას დაპატიმრების და მსჯავრის დადების ლეგიტიმაციის მიზნით, რაც, თავის მხრივ, უფრო მკაცრ განაჩენს განაპირობებდა. მაკომპრომეტირებელი კავშირები ანტიბოლშევიკურ პოლიტიკურ პარტიებთან, რაც ნებისმიერ შემთხვევაში დამამძიმებელ ფაქტორს წარმოადგენდა, პარტიულ-კომკავშირული ელიტის მიმართ თამაშობდა რეჟიმის წინაშე დანაშაულის სიმძიმის გრადაციის მექანიზმის მნიშვნელოვანი ელემენტის როლს. დასასრულს, ხაზი უნდა გაესვას, რომ სამეულის ოქმებში ბრალდების სახით, როგორც წესი, ფიგურირებდა საეჭვო წარსულის, აქტუალური დანაშაულის და გადაცდომის კომბინაცია, ისეთების, როგორებიცაა კორუფცია, საბოტაჟი, სამუშაოსადმი გულგრილი დამოკიდებულება და ა.შ.

7. რელიგიური ორგანიზაციები

ჩვენ არ ვფლობთ მონაცემებს იმის შესახებ, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიებში რა რაოდენობის მღვდელი მსახურობდა ოფიციალურად დიდი ტერორის დასაწყისისთვის. არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები მოლების, აგრეთვე ე.წ. ქრისტიანული სექტების პრესვიტერების და მქადაგებლების შესახებ. მიუხედავად ამისა, კოლექტივიზაციის დროს საყოველთაოდ გამწვავებული ანტირელიგიური აგიტაციის, აგრეთვე საკულტო შენობათა 1930-იან წლებში მასობრივი დახურვის მხედველობაში მიღებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა კონფესიათა მღვდელმსახურთა რიცხოვნობა ძალიან უმნიშვნელო იყო საქართველოშიც. უკვე ამ მიზეზის გამო ყურადსაღებია რელიგიურ საზოგადოებათა მსჯავრდებული წევრების რაოდენობა – 525 ადამიანი, თუმცა „საეკლესიოთა“ წილი „კულაკური“ ოპერაციის მსხვერპლთა საერთო რაოდენობაში საქართველოში (21.078 ადამიანი) უფრო უმნიშვნელოდ ჩანს, მან მხოლოდ 2,5% შეადგინა.²¹⁴

მორწმუნეთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მონაცემთა შედარებით ცხადია, რომ ქრისტიანულ რელიგიურ თემთა წევრები, ქრისტიანულ ეკლესიათა მღვდელთმსახურნი და ე.წ. სექტათა წარმომადგენლები, მათი მიმდევრების საერთო რიცხოვნობის შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობას შორის (ქრისტიანთა წილი 1926 წლის აღწერით – დაახლოებით 90%; რეპრესირებულთა რიცხვი: 131 მღვდელი და 101 სექტანტი) რეპრესირებულნი იყვნენ შედარებით „რბილად“, ვიდრე მოლები (90 ადამიანი, მუსულმანთა წილი 1926 წლის აღწერის მიხედვით – მხოლოდ 8,8%). ამრიგად, თუ გამოთვლების დროს 1926 წლის აღწერის მონაცემებს გამოვიყენებთ, რეპრესიათა ინტენსივობამ ქრისტიანულ „საეკლესიოთა“ და „რელიგიურთა“ მიმართ 0,01% შეადგინა,

213. გ. დ. ჟდანოვა, სტატისტიკური ანალიზი. გვ. 736-737.

214. იხ. ცხრილი № 9.

ხოლო მუსულმანთა მიმართ – ოთხჯერ მეტი – 0,04%.

საუბარი არ არის იმ პირთა ინდივიდუალური რელიგიურობის შესახებ, რომელთაც ეთნიკური ჯგუფის ან ეროვნული კუთვნილების პირობებში გააჩნიათ შესაბამისი აღმსარებლობა. პერსონალური კუთვნილება ამა თუ იმ აღმსარებლობისადმი რუსეთის იმპერიაში დაფიქსირებულია 1897 წლის სრულიად რუსეთის აღწერაში, მაგრამ მონაცემებს, რომლებიც აქაა მოყვანილი, სამი არსებითი ნაკლი აქვს: 1. გამოკითხულებს არ ჰქონდათ რელიგიისგან დისტანცირების და საკუთარი თავის ათვისებად გამოცხადების შესაძლებლობა; 2. აშკარა პრიორიტეტი, რომელსაც ანიჭებდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიას სხვა ქრისტიანული კონფესიების, პირველ რიგში, მართლმადიდებლობას ჩამოშორებული სტაროვერების და სექტანტების ხარჯზე; 3. არარუსი ეროვნების წარმომადგენელთა ძალზე ზოგადი აღრიცხვა, რის გამოც არ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, კი, როგორცაა მუსულმანების დაყოფა სუნიტებად და შიიტებად. მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები გამოსადეგია იმდენად, რამდენადაც ისინი, ისევე როგორც 1886 წლის ოჯახობრივი სიები, ასახავს ეთნიკურობის და გარკვეული რელიგიის კორელაციის მაღალ ხარისხს. ასე მაგალითად, 1897 წელს მეგრელებისა და სვანების თითქმის 100% მართლმადიდებლური ეკლესიის წევრი იყო.²¹⁵

რელიგიური კუთვნილების საკითხი საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთხელ – 1937 წელს იყო ჩართული აღწერის კითხვარში. როგორც ცნობილია, ამ აღწერის შედეგები „მავნებლურად“ მიიჩნიეს და ანუღირდა. 1937 წლის აღწერის მონაცემები გაცილებით მეტს მეტყველებს ინდივიდუალურ რელიგიურობაზე, მაგრამ, იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებშიც აღწერა მიმდინარეობდა, ამ სტატისტიკურ მონაცემებს ორი ნაკლი აქვს: ბევრ ადამიანს, თავისი რელიგიურობის აღიარების შემთხვევაში, ეშინოდა შესაძლებელი შედეგების, ან პირიქით, ღმერთის რწმენის ღიად გაცხადება შესაძლოა ამა თუ იმ ერისადმი კუთვნილების დადასტურებად მიჩნეულიყო, ან გამოყენებულიყო, როგორც ანტისაბჭოთა პროტესტის გარკვეული ფორმა.

ამრიგად, ამა თუ იმ ერის წარმომადგენელთა მიკუთვნება შესაბამისი რელიგიისადმი განხორციელებულია იმ ლოგიკის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ეროვნულობა ტრადიციულ საზოგადოებაში დე ფაქტო, თუნდაც მეტი ან ნაკლები ხარისხით, დაკავშირებულია რელიგიასთან, თუმცა ზოგიერთი გამონაკლისით. თავისთავად ცხადია, რომ საუბარი არაა ინდივიდუალურ რელიგიურობაზე. მიუხედავად ამისა, თურქი, რომელიც არ იყო ისლამის აღმსარებელი, ქრისტიანი თურქი, თანამედროვეთათვის უჩვეულო მოვლენა იყო, რამდენადაც „ქრისტიან თურქს“ ან „თურქ ქრისტიანს“ გარშემომყოფნი აღიქვამდნენ, როგორც ოქსიმორონს. შედეგად ასეთი პირები აღიწერებოდნენ, როგორც თურქულად მოლაპარაკე ბერძნები ან თურქულენოვანი სომხები და ამ სახით ფიგურირებდნენ ეთნოგრაფიულ, მათ შორის საბჭოთა ლიტერატურაში.²¹⁶

1926 წლის საკავშირო აღწერის მასალები მრავალმხრივ ადასტურებს ამ თვალსაზრისს, რამდენადაც სხვაობა აღმსარებლობაში წარმომადგენდა საფუძველს სუბეთნოსების გამო-

215. ამ სახის კორელაციათა ცხრილი მოყვანილია დ. მიულერის მონოგრაფიაში, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკისადმი კავკასიაში. იხ.: Müller, D.: Sowjetische Nationalitätenpolitik in Transkaukasien 1920 – 1953, Berlin 2008, გვ. 81-82.

216. იხ. მაგალითად, ა.ფ. ლიასტერი, გ.ფ. ჩურსინი. ამიერკავკასიის გეოგრაფია. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ფიზიკური გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის ნარკვევები. ტფილისი, 1929; ი. ი. ზარუბინი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა სია. მოსკოვი-ლენინგრადი, 1927 (ნიგნი გამოვიდა ნ. ი. მარის კომისიის სერიაში).

საყოფად. ასე მაგალითად, აღწერის მასალებში თავს იჩენენ ხემშინები, ანუ სომხები, რომლებიც ისლამის მიმდევრები არიან; იეზიდები – განსხვავებით მუსულმანი ქურთებისგან; სარტ-ყალმიყები, ანუ მუსულმანი ყალმიყები, განსხვავებით ბუდისტი ყალმიყებისგან.

ამრიგად, ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდი ეფუძნება იმას, რომ ეთნიკურობასა და რელიგიას (მაგრამ არა ინდივიდუალურ რელიგიურობას) შორის ეს ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ცნობილია 1886 წლის საოჯახო სიებიდან და 1897 წლის სრულიად რუსეთის აღწერიდან, გადატანილ იქნას 1926 წლის აღწერის მონაცემებზე. აფხაზების შემთხვევაში თავს იჩენს გარკვეული სირთულეები, ისევე, როგორც სხვა ძალზე მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების მხრივ. 1886-1897 წლებში აფხაზთა უმრავლესობა აღრიცხულია, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, მაგრამ ეთნოგრაფიულ ლიტერატურასთან შეთავსებულნი 1897 წლის აღწერის უკვე მოხსენიებული ნაკლოვანებები, სადაც აფხაზები წარმოდგენილნი არიან ინდიფერენტულ ეთნოსად, რომელიც თავის თავში მოიცავს ზედაპირულად ქრისტიანულ და ისლამურ ჯგუფებს, იძლევა საბაბს, რომ აფხაზები არ განისაზღვრონ, როგორც ქრისტიანული ან მუსულმანური ეთნოსი. აზრინია, რომ აქ ეს საკითხი გავიტანოთ ცალკე, ფრჩხილებს გარეთ. ამრიგად, სხვადასხვა კონფესიათა შეფასებითი რიცხოვნობა საქართველოში 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მასალების მიხედვით ასეთია:

| | | |
|-------------------------------------------------------------------|------------------|----------------|
| მცხოვრებთა რაოდენობა: 2.644.207 საბჭოთა მოქალაქე + 22.287 უცხოელი | 2.666.494 | 100,0% |
| მართლმადიდებელი ქრისტიანები | 2.007.147 | 75,3% |
| სომხურ-სამოციქულო ქრისტიანები | 310.895 | 11,7% |
| პროტესტანტები | 14.213 | 0,5% |
| კათოლიკები | 4.273 | 0,2% |
| აღმოსავლელი სირიელები | 3.220 | 0,1% |
| სულ | | |
| ქრისტიანები | 2.339.748 | 87,756% |
| მუსულმანები | 234.984 | 8,8% |
| ებრაელები (ვიწრო გაგებით) | 30.838 | 1,2% |
| ყარაიმები | 248 | 0,0% |
| იეზიდები | 2.301 | 0,1% |
| ბუდისტები | 5 | 0,0% |
| ინდუსები | 3 | 0,0% |
| აფხაზები (კონფესიული კუთვნილება მითითებული არ არის) | 56.851 | 1,9% |
| აღმსარებლობა უცნობია | 1.562 | 0,1% |

მაგრამ ქრისტიანული ეკლესიის მღვდელმსახურთა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენი უფრო ხშირად გამოჰქონდათ, ვიდრე მოლეების მიმართ: დახვრეტილთა ნილმა მღვდლებს შორის 71% შეადგინა, რაც 15%-ით მეტი იყო, ვიდრე დასჯილი მოლეების (56%). როგორც ჩანს, ქრისტიან მღვდელს უფრო საშიშ ელემენტად განიხილავდნენ, ვიდრე მუსულმან სასულიერო პირს. ქრისტიანული ეკლესიის გავლენა ქართულ საზოგადოებაზე უთუოდ ელიმინირებული უნდა ყოფილიყო, ხოლო მღვდლების საბოლოო წმენდა, რომელიც დაწყებული იყო დიდ ტერორამდე გაცილებით ადრე, დასრულებული. შედეგად,

მართლმადიდებელთა შემთხვევაში რეპრესიები თავს დაატყდათ უკანასკნელ მღვდელმსახურებს, ჯერ კიდევ თავისუფლებაში დარჩენილებს, და ამ დევნის მიზანი იყო სიტუაციის თვისობრივად შეცვლა. რაც შეეხება მოლებს, როგორც ჩანს, რეპრესიების მიზანი იყო მათი საზოგადოებისგან ჩამოშორება რაოდენობრივი თვალსაზრისით. თუმცა აქაც აღსანიშნავია, რომ ისლამის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იმ დროისთვის უკვე იყვნენ რეპრესირებულნი. სექტანტებს საქართველოში შედარებით „რბილად“ დევნიდნენ, ვიდრე მორწმუნეთა სხვა ჯგუფებს: მათ შორის დახვრეტილთა წილმა 41% შეადგინა.

ასევე საინტერესოა მსჯავრდებულთა ისეთი კატეგორიის განხილვა, როგორებიც არიან პირები „სასულიერო წოდებიდან“. ეს ნიშნავს, რომ ისინი ან თავად იყვნენ მღვდელმსახურნი, ან მღვდელთა ოჯახიდან გამოდიოდნენ. მათ მიმართ სასიკვდილო განაჩენის წილი ძალზე მაღალი იყო – 64%. ამრიგად, დარტყმის სამიზნე უშუალოდ რელიგიური ცხოვრება გახლდათ. საინტერესოა, რომ ამ კატეგორიის წარმომადგენელთა შორის 13% იყო სკპ(პ) წევრი (22 ადამიანი 173-დან), იმ დროს როდესაც 131 მსჯავრდებულ ქრისტიან მღვდელთაგან პარტიის ყოფილი წევრი იყო მხოლოდ ერთი, 90 მოლადან – ორი. დიდი ტერორის წლებში პარტიის წევრობა და წარსულში კონტაქტი რელიგიურ ორგანიზაციებთან წარმოუდგენელ კომბინაციას წარმოადგენდა.²¹⁷

რაც შეეხება „ნაციონალური“ სამეულის „კონტინგენტს“, მის მსხვერპლთა შორის „მხოლოდ“ სამი მოლაა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ნაციონალური ხაზით ჩატარებული ოპერაციების შემთხვევაში „ჩეკისტების“ წინაშე არ იდგა ამოცანა, რომ მღვდლების, საეკლესიო „აქტივის“ და სექტანტების დევნით დაესუსტებინათ რელიგიური ორგანიზაციები. თავის მხრივ „მილიციურმა“ სამეულმა საქართველოში არ დასდო მსჯავრი რელიგიის მხრივ არც ერთ ადამიანს.²¹⁸

ზოგადად, ჩვენ მიერ მიღებული შედეგები როგორც „ნაციონალური“ სამეულის, ისე „კულაკური“ ოპერაციის ფარგლებში რელიგიური ორგანიზაციების წევრთა დევნის თაობაზე დამატებით უნდა გადამოწმდეს ყოველმხრივი (არა მხოლოდ სტატისტიკური და პროსოპოგრაფიული) გამოკვლევებით, რაც მომავალში უნდა განხორციელდეს. მანამდე კი შესაძლებელია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ რეპრესიათა ინტენსივობა უფრო დაბალი იყო მართლმადიდებელი მღვდლების წინააღმდეგ, ვიდრე მოლების მიმართ (საქართველოს მოსახლეობას შორის ორთოდოქსიის და ისლამის მიმდევრების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით), თუმცა ქრისტიანი მღვდლების მიმართ გაცილებით ხშირად გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი, ვიდრე მუსულმან სასულიერო წარმომადგენელთა მიმართ.

8. პოლიტიკური და სოციალური „სამარისებური“ სიჩუმე

შინსახკომის სამივე მასობრივ ოპერაციას თავისი მკაფიო მიზანი ჰქონდა. „კულაკური“ იყო ყველაზე მოქნილი „ინსტრუმენტი“. ის წარმოადგენდა არასასამართლო სადამსჯელო ორგანოს, რომელსაც დაჩქარებული წესით გამოჰქონდა მკაცრი განაჩენები უპირატესად ახალგაზრდა სტაჟიანი სოციალური „გარეწრებისთვის“, აგრეთვე დაბალი და საშუალო სოციალური სტატუსის მქონე მოსახლეობის ჯგუფების ახალგაზრდა წარმომადგენლების მიმართ, რამეთუ მათი ქმედებები ინტერპრეტირებული იყო, როგორც პოლიტიკურად არალოიალური. საქართველოს სპეციფიკა ისიც იყო, რომ რესპუბლიკური „კულაკური“ სამეულის სამსჯავროზე გადაცემული იყო პარტიულ-სახელმწიფო და სხვა ელიტის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეტანილი იყო „სტალინურ სიებში“ და მსჯავრდებული უნდა ყოფილიყო სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის

217. იხ. ცხრილები № 10 და № 11.

218. იხ. ცხრილი 25.

მიერ.²¹⁹ „ნაციონალური“ სამეული, პირიქით, უპირატესად, ნაციონალური დიასპორების საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენელთა რეპრესიებზე იყო მიმართული. ამასთან, მის მოქმედებებში არ შეინიშნებოდა სოციალური წმენდის აშკარა მოტივები. რაც შეეხება „მილიციურ“ სამეულს, მისი ამოცანა ქართული საზოგადოების უმდაბლესი ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, უპირატესად კი მამაკაცების დისციპლინირება იყო.

ზიანი, რომელიც საქართველოს მასობრივი რეპრესიებით მიადგა, რომლებიც საბჭოთა იმპერიის პერიფერიაზე განხორციელდა, უზარმაზარი იყო. გაზრდილი ბიუროკრატიული და ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენება იმ პირთა და ჯგუფების გამოსავლენად, რომელთა მიმართ არსებობდა პოლიტიკური და სოციალური არალოიალობის ეჭვი, ეკონომიკურ აბსურდად შეუბრუნდა კავკასიის რესპუბლიკას. მთავარი დარტყმა მიადგა მოსახლეობის იმ ასაკობრივ ჯგუფებს, რომლებიც აუცილებელი იყო სახელმწიფოსა და მისი ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკა გამოიციხა ნებისმიერ კონკურენციას პოლიტიკურ, რელიგიურ, ეროვნულ და ეკონომიკურ სფეროებში. სოციალური პრობლემების „გადაჭრა“ ხდებოდა ძალდატანებით ან მათი მომავლისთვის გადადებით, მკაცრი ბრალის შეუსაბამო განაჩენების მეშვეობით. შედეგი იყო სოციალური და პოლიტიკური „სამარისებური“ სიჩუმე, რომელიც დამკვიდრდა საქართველოში. მაგრამ მისი ისტორიის ეს პერიოდი უაღრესად მოკლე აღმოჩნდა, როგორც ეს ცხადი გახდა 1939-1941 წლებში განახლებული რეპრესიებით, „ბერიასეული მცირე დათბობის“ დასრულების შემდეგ. ამჯერად ისინი უფრო შერჩევითი იყო და კვლავ იმართებოდა და კონტროლდებოდა მოსკოვის მიერ.

219. იხ. თავი „სადასჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაცია“.

უმალესი ზნეობა გარკვეულ თავისუფლებას ითხოვს უზნეობისთვისაც
კლადიმერ სოლოვიოვი. სიკეთის გამართლება

ლევან ავალიშვილი

„ნაციონალური“ ოპერაციები საქართველოში

1937 წლის აგვისტოდან საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში შინსახკომის ორგანოებმა დაიწყო ე.წ. „ნაციონალური“ ოპერაციები, ანუ მასობრივი სადამსჯელო აქციები პოლონელების, გერმანელების, ირანელების, ბერძნების და სხვა „საეჭვო“ ნაციონალური დიასპორების წინააღმდეგ. საქართველო არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი. მაგრამ მთავარი საკითხია ის, ხასიათდებოდა თუ არა რაიმე თავისებურებით „ნაციონალური“ ოპერაციები საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში?

1. წყაროები

1937-1938 წწ. დიდი ტერორის პერიოდში „ნაციონალური“ ოპერაციების შესასწავლად საქართველოში მთავარი წყარო იყო საარქივო საქმე სათაურით „ოქმების ასლები – სსრკ შინსახკომის და პროკურორის გადაწყვეტილებები (ალბომების მიხედვით)“.²²⁰ ამ შემთხვევაში საუბარია სხდომათა ოქმებზე, რომლებშიც დაფიქსირებულია „ნაციონალური“ ოპერაციების მსხვერპლთა განაჩენები საქართველოში, გამოტანილი ე.წ. „დიდი ორეულის“.²²¹ ანუ კომისიის მიერ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ნ.ი. ეფოვის და სსრკ პროკურორის ა.ი. ვიშინსკის ან, შესაბამისად, მათი მოადგილეების შემადგენლობით. ეს განაჩენები გამოტანილია მოკლედ გადმოცემული თითოეული ბრალდებულის ბიოგრაფიის, მისი ადრინდელი ნასამართლეობის შესახებ მონაცემებისა და ბრალდების მუხლების საფუძველზე. ერთი ბრალდებულის საქმის ზოგადი აღწერა – ცნობა – იკავებდა დაახლოებით ნახევარ გვერდს. საქართველოში, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, ეს ცნობები გაერთიანებული იყო ე.წ. „ალბომებში“, რომლებიც სამ ეგზემპლარად იგზავნებოდა მოსკოვში, შინსახკომის ცენტრალური აპარატის მისამართზე. სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ „ალბომების“ გადამოწმების შემდეგ ისინი განსახილველად „დიდ ორეულს“ გადაეცემოდა. თითოეულ „ალბომს“, ასევე სამ ეგზემპლარად, ერთვოდა ბრალდებულთა სიები. იმის გამო, რომ საქართველოს არქივებში არ არის დაცული იმ სიების და თანდართული წერილების ასლები, რომლებიც იგზავნებოდა სსრკ შინსახკომში, ღიად რჩება საკითხი – იყვნენ თუ არა ბრალდებულები უკვე დაყოფილნი პირველ და მეორე კატეგორიებად

220. ოქმების ასლები – სსრკ შინსახკომის და პროკურორის გადაწყვეტილებები (ალბომების მიხედვით) 1937-1938 წ.წ// საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 92.

221. ლიტერატურაში გვხვდება ამ არასასამართლო ინსტანციის ისეთი აღნიშვნებიც, როგორებიცაა „საგანგებო ორეული“, „უზენაესი ორეული“, „უმალესი ორეული“.

და, შესაბამისად, გამოტანილი იყო თუ არა თითოეული ბრალდებულის მიმართ წინასწარი განაჩენი შინსახკომის ადგილობრივი ორგანოების მიერ, რომელიც შემდგომში უნდა დაემტკიცებინათ მოსკოვში.²²² „ალბომში“ ჩართულ ცნობებს, ისევე, როგორც თანდართულ სიებს, საქართველოში ხელს აწერდა ე.წ. „მცირე ორეული“, რომელიც შედგებოდა შინსახკომის ადგილობრივი ხელმძღვანელისა და პროკურორისგან. ზუსტად ასევე იყო სსრკ ყველა დანარჩენ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში. საქართველოში რამდენიმე „მცირე ორეული“ იყო, ერთი – უშუალოდ საქართველოს სსრ-სთვის და თითო-თითო ავტონომიური რესპუბლიკებისთვის, კიდევ ერთი – ამიერკავკასიის რკინიგზისთვის, რომელიც აერთიანებდა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტს. რკინიგზის შემთხვევაში „პატარა ორეულში“ შედიოდა ამიერკავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსი ა.ს. ზოდელავა და ამიერკავკასიის რკინიგზის პროკურორი ი.პ. ვაცეკი, აჭარაში – აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ.ნ. ჯინჯოლია და აჭარის ასსრ პროკურორი კაპანაძე, აფხაზეთში – აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ.ა. ფაჩულია და აფხაზეთის ასსრ პროკურორი ვ.ი. შონია.²²³ ამჟამად ქართულ არქივებში დაცული არ არის სრული „ალბომები“, მხოლოდ ცალკეული ცნობა-ფურცლები, რომლებიც შემდგომში ერთიანდებოდნენ „ალბომად“.

ზემოხსენებული საარქივო საქმის – „ოქმების ასლები – სსრკ შინსახკომის და პროკურორის გადანყვებილები (ალბომების მიხედვით)“ – დახმარებით შესაძლებელია როგორც ქრონოლოგიური თანმიმდევრობის, ასევე სოციალისტურ საქართველოში „ნაციონალური“ ოპერაციების პირველი ეტაპის, ანუ 1938 წლის სექტემბრამდე, განვითარების ისტორიის რეკონსტრუირება, როდესაც საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა საგანგებო („ნაციონალურმა“) სამეულმა თავის თავზე აიღო „დიდი ორეულის“ ფუნქცია.

ის, რომ აღნიშნული საქმე საქართველოდან მოსკოვში გაგზავნილი „ალბომების“ საფუძველზე „დიდი ორეულის“ მიერ გამოტანილ ყველა განაჩენს შეიცავს, დასტურდება საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი არქივის ფონდების ერთ-ერთი დოკუმენტით. ის დათარიღებულია 1941 წლის 10 მაისით და საქართველოსთან მიმართებაში ყველა არასასამართლო ორგანოს სხდომათა ოქმების ჩამონათვალს წარმოადგენს. ჩამონათვალში, თარიღისა და ოქმის ნომრის მითითებით, ჩართულია ყველა ტიპის სამეულის („კულაკური“, ასევე „ნაციონალური“ სამეული, ამ ჩამონათვალში ის მოხსენიებულია როგორც „საგანგებო“ სამეული, „მილიციის“ სამეული – რომელიც მოხსენიებულია როგორც შინსახკომის სამეული მილიციის საქმეებში), აგრეთვე „დიდი ორეულის“, რომელიც ამ საქმეში მოხსენიებულია როგორც „სსრკ შინსახკომის კომისია საალბომო საქმეებში“, სხდომების ოქმები. სსრკ შინსახკომის I სპეცგანყოფილების (1938 წლის გაზაფხულამდე – სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 საალბომო-სარეგისტრაციო განყოფილების) დავალებით ჩამონათვალი შეადგინა და მას ხელს აწერდა

222. ამიერკავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსის ა.ს. ზოდელავას თანდართული წერილი სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს VI განყოფილების უფროსს მ.ა. ვოლკოვს – 1937 წლის 29 ნოემბერს სსრკ შინსახკომში „ალბომების“ გაგზავნის შესახებ//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. საქმე 92. გვ. 244.

223. აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, გ.ნ. ჯინჯოლიას და აჭარის ასსრ პროკურორის, [?]კაპანაძის ცნობა ბრალდებულ მ.ს. გლაუდანის შესახებ. 1938 წლის იანვარი//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 6. ს. 16720-60. გვ. 35; ამიერკავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსის, ა.ს. ზოდელავას და ამიერკავკასიის რკინიგზის პროკურორის, ი.პ. ვაცეკის ცნობა ბრალდებულ ე.ხ. გრეცინგერის შესახებ, 1938 წლის აპრილი//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 6. ს. 16557-60. გვ. 20.

საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი (1941 წ. – საქართველოს სსრ შინსახკომის მე-2 სამმართველოს უფროსი) ა.კ. მოროზოვი. „საალბომო“ საქმეებზე „დიდი ორეულის“ სხდომების ოქმების შესახებ დოკუმენტში მოხსენიებულია „ერთი საქალაქდღე /საქმე/ 285 ფურცელზე“, რაც სრულად ემთხვევა საქმის მოცულობას, რომელიც შეიცავდა „დიდი ორეულის“ სხდომების ოქმების ასლებს და ადასტურებს, რომ, სავარაუდოთ, საქართველოში აღარ შეუდგენიათ „დიდი ორეულის“ სხვა ოქმები.²²⁴

ასევე საინტერესოა თვით ოქმების ნუმერაცია. იმის გამო, რომ „დიდი ორეულის“ სხდომების ოქმებს სხვადასხვა „ნაციონალური“ ოპერაციების მიხედვით ადგენდნენ მოსკოვში, მათი ნუმერაცია დაკავშირებული იყო თითოეული კონკრეტული „ნაციონალური“ ოპერაციის ჩატარების საკავშირო მასშტაბსა და სხდომის თარიღზე. ასე მაგალითად, ოქმებს, რომლებშიც საუბარია „ბერძნული“ ოპერაციის ფარგლებში საქართველოს სსრ შინსახკომის მიერ გაგზავნილი „ალბომების“ საფუძველზე „დიდი ორეულის“ მიერ მსჯავრდებულ პირებზე, აქვთ ნუმერაცია 95, 104, 112, 120, 121 და 123. ყველა ოქმი, რომლებიც 95-დან 123-მდეა დანომრილი, ეხება არა საქართველოს, არამედ სსრკ სხვა რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს. მაგალითად № 95 ოქმს, რომელიც საქართველოს ეხებოდა, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და სსრკ პროკურორის კომისიის სხდომაზე ხელი 1938 წლის 26 მარტს მოენერა. 1938 წლის 26 მარტს იმავე სხდომაზე ვიზირებული იყო ოქმი № 94, რომელიც ოდესის ოლქს ეხებოდა. 1938 წლის 9 აპრილს კომისიამ თავის სხდომებზე განიხილა „საალბომო“ საქმეების მიხედვით სიები საქართველოდან (ოქმი № 104) და ვორონეჟის ოლქიდან (ოქმი № 105) და ა.შ. ოქმების ნუმერაციის მიხედვით ასევე შეიძლება მსჯელობა როგორც კონკრეტული „ნაციონალური“ ოპერაციის მასშტაბებზე, ასევე „ალბომების“ განხილვის ტემპებზე. ასე, ოქმი № 637 „პოლონური“ ოპერაციის შესახებ საქართველოში დათარიღებულია 1937 წლის 26 დეკემბრით, ხოლო შემდეგი ოქმი № 696 დათარიღებულია 1938 წლის 3 იანვრით. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სსრ მიხედვით ორ სხდომას შორის დროის ამ მონაკვეთში სსრკ შინსახკომის და პროკურორის კომისიის, ანუ „დიდი ორეულის“ მიერ, შინსახკომის № 00485 ბრძანების შესაბამისად განხილული იყო სსრკ სხვა რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების ორმოცდათვრამეტი საქმე.²²⁵

საქალაქდღეში „სსრკ შინსახკომის და პროკურორის გადაწყვეტილებები („ალბომების“ მიხედვით) – ოქმების ასლები“ შეგროვილია მოსკოვიდან თბილისში 1937 წლის ბოლოდან 1938 წლის სექტემბრის ჩათვლით გაგზავნილი ოქმების ასლები. თითოეულ ოქმში სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნ.ი. ყუოვის და სსრკ პროკურორის ა.ი. ვიშინსკის ხელმოწერებით (გვხვდება ოქმები, რომლებიც ხელმოწერილია მათი მოადგილეების – შესაბამისად მ.პ. ფრინოვსკის და გ.კ. როგინსკის მიერ) მითითებულია, თუ რომელი ოპერაციის მიხედვით მიმდინარეობდა სხდომა (მაგალითად, № 00593 ბრძანების შესაბამისად – „ხარბინელთა“ ოპერაცია) და რა გადაწყვეტილება იყო მიღებული ბრალდებულთა მიმართ. ოქმებში თითოეული გვარის გასწვრივ მითითებულია სასჯელის ზომა: დახვრეტა, შრომაგასწორების ბანაკში მოთავსება სამიდან ათ წლამდე ვადით, გასახლება, ან მითითებულია, რომ საქჩროა საქმის დამატებითი გამოძიება, მისი გადამისამართება სსრკ უზენაესი სასა-

224. სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განსახილველი საგამოძიებო საქმეების სიებიანი საქმე 1937-1938 წწ.//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. საქმე 88. ფ. 148.

225. სსრკ შინსახკომის და სსრ კავშირის პროკურორის კომისიის ოქმები ბერძნული ხაზით – რუსეთის ბერძნული საზოგადოებრივი გაერთიანებების ასოციაციის პროექტი ბერძნული მარტიროლოგი – http://www.greek-martirolog.ru/f_protocols/f_protocol_000.php

მართლოს სამხედრო კოლეგიისათვის ან სხვა სასამართლოსთვის. ოქმებში ასევე გვხვდება ხელნაწერი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია დაპატიმრებულთა შესახებ – მაგალითად, მათი დახვრეტის თარიღი, ციხეში სიკვდილის შემთხვევა, გათავისუფლების და გადასახლების თარიღი, პატიმრობის ადგილი (მაგალითად, ბათუმი, ბაქო, კოროვაბადი) ან „ოპერაცია“, რომლის მიხედვითაც გადიოდა კონკრეტული რეპრესირებული. დროდადრო მითითებულია ასევე მსჯავრდებულის ეროვნება.

ოქმებს ავსებს ცენტრის თანდართული წერილები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ს.ა. გოგლიძის, ან ამიერკავკასიის რკინიგზის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსის, ა.ს. ზოდელავას სახელზე. ამ წერილებში, რომლებსაც ხელს აწერს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი ვ.ე. ცესარსკი (1938 წლის მარტიდან ი.ი. შაპირო) მითითებულია (სიის თარიღის და ნომრის აღნიშვნით), თბილისიდან გაგზავნილი რომელი სიის მიხედვით იყო მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება. აქვე ეწერა, რომ განაჩენთა აღსრულების შემდეგ რეპრესირებულთა საქმეები და ცნობები განაჩენთა სისრულეში მოყვანის შესახებ უნდა გაიგზავნოს მოსკოვში. წერილებში ასევე აღნიშნულია, რომ სსრკ შინსახკომთან არსებული საგანგებო სათათბიროს დადგენილებების ამონაწერები პატიმრობა მისჯილთა შესახებ დამატებით გაიგზავნება ცენტრიდან თბილისში. ეს ნიშნავს, რომ „დიდ ორეულთან“ ერთად „ნაციონალურ“ ოპერაციათა მსხვერპლისთვის მსჯავრის დადებაში მონაწილეობას იღებდა კიდევ ერთი სადამსჯელო ორგანო, რომელიც თავისი გადაწყვეტილებით ახდენდა განაჩენის ლეგიტიმაციას შრომა-გასწორებით ბანაკში იმ პირთა მოსათავსებლად, რომლებსაც „დიდმა ორეულმა“ მსჯავრი დასდო მეორე კატეგორიის მიხედვით.

თანდართულ წერილებში ასევე გვხვდება კონკრეტული მითითებები ცალკეულ პირთა მიმართ (მაგალითად: „ა. ა. ტოვსტონოგოვის საქმეზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ამ საქმესთან დაკავშირებით თქვენ ცალკე მოგეცათ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილების 09.12.1937 დავალება № 333406“).²²⁶ „საალბომო საქმეების“ ოქმებში ასევე გვხვდება მითითებები, რომ ამა თუ იმ პატიმრის საქმე, რომელიც ერთ-ერთი „ნაციონალური“ ოპერაციის სიით გადის, უნდა გადამისამართდეს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაზე განსახილველად (მაგალითად, ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების დაგეგმარების განყოფილების უფროსის, სერგი დიმიტრის ძე პოპოვის საქმე, რომელიც გადიოდა „ბერძნული ოპერაციის“ ფარგლებში, გადამისამართდა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაზე განსახილველად, პირველი კატეგორიით).²²⁷ ოქმების ასლებზე ასევე დაფიქსირებულია ხელნაწერი რეზოლუციები განაჩენის აღსრულების შესახებ (მაგ.: „ამხ. მოროზოვს – დაავალეთ ამხ. ნადარაიას დანარჩენი მომახსენეთ“).²²⁸ სარდიონ ნიკოლოზის ძე ნადარაია

226. სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი ვ.ე. ცესარსკი ამიერკავკასიის რკინიგზის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსს, სახელმწიფო უშიშროების კაპიტან ა.ს. ზოდელავას – №00485 ბრძანების შესაბამისად ოქმის ასლის გაგზავნის შესახებ, 1937 წლის 30 დეკემბერი/საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ოქმი №637. ფ. 12. ს. 92. ფ. 267.

227. სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი ი.ი. შაპირო ამიერკავკასიის რკინიგზის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსს, სახელმწიფო უშიშროების კაპიტან ა.ს. ზოდელავას – № 202 ბრძანების შესაბამისად ოქმის ასლის გაგზავნის შესახებ, 1938 წლის 25 მაისი/საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ოქმი № 27. ფ. 12. საქმე 92. ფ. 243.

228. სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი

1937 წლიდან საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს შიდა ციხის უფროსი იყო და პასუხს აგებდა სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენების სისრულეში მოყვანაზე.

„დიდი ორეულის“ დოკუმენტები საქართველოს შესახებ შეიცავს არა მხოლოდ სასჯელის ზომის გამოტანის გადაწყვეტილებებს, არამედ სხვა განკარგულებებსაც, რომლებიც ეხებოდა მსჯავრდებულ ან დაპატიმრებულ პირთა მიმართ დაშვებული დარღვევებისა და შეცდომების აღმოფხვრას. ასეთი განკარგულებების ადრესატები იყვნენ გოგლიძე ან ზოდელავა. ზოდელავას კომპეტენციის სფეროს განეკუთვნებოდა საგამოძიებო საქმეები, რომლებიც მიმდინარეობდა ამიერკავკასიის რკინიგზის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებაში, აგრეთვე „საალბომო“ სიები, რომლებშიც მის განყოფილებას შეეყვდა ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) დაპატიმრებული მოქალაქეებისგან შემდგარი „კონტინგენტი“.

1938 წლის სექტემბრიდან, როდესაც საქმეთა განხილვის ე.წ. „ალბომური წესი“ საყოველთაოდ შეიცვალა „ნაციონალური“ სამეულებით, „ალბომები“ უკვე აღარ იგზავნებოდა მოსკოვში. საბოლოო განაჩენი ახლა გამოჰქონდათ ადგილზე. ამ მიზეზით საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი კომიტეტის არქივში დაცულია სამეულის იმ სხდომების ოქმები, რომლებიც ტარდებოდა „ნაციონალური“ ოპერაციების „მეორე ფაზის“ დროს. ეს ოქმები თავიანთი შინაარსით, ფაქტობრივად, არ განსხვავდება „კულაკური“ სამეულის ოქმებისგან. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ „ნაციონალური“ სამეულის ოქმებში ასევე გაკეთებულია შენიშვნები მსჯავრდებულის საქმის კუთვნილების შესახებ ამა თუ იმ ოპერაციისადმი (მაგალითად, „რუმინელთა მიმართ“, „გერმანელთა მიმართ“, ირანელთა მიმართ“, „იტალიელთა მიმართ“ და ა.შ.).

საქართველოში „ნაციონალური ოპერაციების“ მკვლევართათვის სერიოზულ პრობლემად რჩება უშუალოდ დაპატიმრებულთა საგამოძიებო საქმეების ხელმისაწვდომობა, ეს საქმეები, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივაა შენარჩუნებული. აღნიშნულის გამო ძნელია ბრალდების ყველა დეტალისა და „ნაციონალური“ ოპერაციების სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენა. მაგალითად, ოქმებში „ალბომების“ მიხედვით, რომლებიც გაიგზავნა მოსკოვიდან საქართველოში 1938 წლის მარტის ბოლომდე, არ იყო მითითებული ბრალდებულთა მოქალაქეობა, ეწერა მხოლოდ მათი დაბადების ადგილი, რაც, ცხადია, ართულებს მსხვერპლთა ნაციონალური კუთვნილების სრულ იდენტიფიკაციას.

2. „ნაციონალური“ ოპერაციები და „დიდი ორეული“

იმის გამო, რომ ყველა „ნაციონალურ“ ოპერაციას თავისი კონკრეტული განვითარების ეტაპები და განხორციელების თავისებური მექანიზმი ჰქონდა, აუცილებელია საქართველოში მათი მიმდინარეობის „საალბომო“ პერიოდის მოკლე ანალიზი, აგრეთვე „ნაციონალური ხაზით“ რეპრესიების შედეგების სტატისტიკური მონაცემების განხილვა. ყველაზე მასშტაბური იყო ოპერაცია „პოლონური ხაზით“, რომელიც „გზამკვლევადა“ იქცა სხვა სადამსჯელო აქციებისთვის ნაციონალურ დიასპორათა მიმართ. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მსგავსად, საქართველოშიც „საალბომო“ საქმეები № 00485 ბრძანების შესაბამისად სსრკ შინსახკომის და სსრკ პროკურატურის კომისიის გადაწყვეტილებით იწყება. ცენტრის 1937 წლის 30 დეკემბრის დეპეშა, რომელსაც თანდართული ჰქონდა

ვ.ე.ცესარსკი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ს.ა.გოგლიძეს – № 00485 ბრძანების შესაბამისად ოქმის ასლის გაგზავნის შესახებ, 1938 წლის 22 თებერვალი/საქართველოს შსს არქივი. | განყოფილება. ოქმი № 962. ფ. 12. ს. 92. ფ. 229.

„დიდი ორეულის“ სხდომის № 637 ოქმის ასლი, „ნაციონალური ოპერაციების“ ჩატარების მექანიზმის შესასწავლად დიდ ფაქტობრივ მასალას შეიცავს. ამ დეპეშაში, რომელიც გაგზავნილია ზოდელავას სახელზე ადევს გრიფით სრულიად საიდუმლო და მას ხელს აწერს, შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს სააღრიცხვო-სარეგისტრაციო მე-8 განყოფილების უფროსი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ცესარსკი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „სასწრაფოდ რეაგირების მიზნით“ იგზავნება 1937 წლის 26 დეკემბრის ოქმის ასლები სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ეჟოვისა და სსრკ პროკურორის ვიშინსკის გადაწყვეტილებებით ორი სიის მიხედვით 37 ადამიანზე, რომლებიც წარდგენილი იყო ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების მიერ 1937 წლის 28 ნოემბერს, სსრკ შინსახკომის 00485 ბრძანების შესაბამისად.

აქვე მოცემულია ცენტრის მკაფიო მითითებები: „დაუყოვნებლივ შესრულდეს განაჩენი პირველი კატეგორიის მიხედვით 15 ადამიანის მიმართ, ხოლო დახვრეტილთა საქმეები განაჩენის აღსრულების თაობაზე თანდართული ცნობებით დაუყოვნებლივ გაიგზავნოს მოსკოვში“. აღნიშნულია, რომ სსრკ შინსახკომთან არსებული საგანგებო სათათბიროს დადგენილების ამონაწერი 21 ადამიანის შესახებ, რომლებსაც მიესაჯათ შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა, გამოგზავნილი იქნება ცალკე. დეპეშაში ასევე აღნიშნულია, რომ ერთი ბრალდებულის (ა.ა. ტოვსტონოგოვის) საქმეზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული და ამის შესახებ 1937 წლის 9 დეკემბერს თბილისში გაიგზავნა შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილების ცალკე მითითება.

თვით ოქმის ასლი შეიცავს პიროვნებათა სიას გვარის, სახელის და მამის სახელის, დაბადების თარიღის და ადგილის მითითებით, მოგვიანებით ანალოგიურ სიებში ასევე ეწერა ბრალდებულთა მოქალაქეობა.²²⁹ ასევე მითითებულია „ორეულის“ სხდომის ჩატარების თარიღი, ვინ ესწრებოდა (ეჟოვი და ვიშინსკი თუ მათი მოადგილეები), რომელი ბრძანების შესაბამისად ისმენდნენ საქმეებს, ვინ წარადგენდა მასალას ბრალდებულებზე, სასჯელის ზომა. ასლებზე არ არის ეჟოვისა და ვიშინსკის ხელმოწერები, მაგრამ ისინი დამონმებულია შინსახკომის ბეჭდით, ხოლო დოკუმენტის სისწორე დამონმებულია სსრკ შინსახკომის სააღრიცხვო-სარეგისტრაციო მე-8 განყოფილების თანამშრომლის, კრემნევის ხელმოწერით. ცენტრიდან თბილისში გაგზავნილი შინსახკომის დეპეშების ასეთი კონსტრუქცია სტანდარტული იყო ყველა „ნაციონალური“ ოპერაციისთვის.

საარქივო საქმე „სსრკ შინსახკომის და პროკურორის გადაწყვეტილებები („ალბომების“ მიხედვით) – ოქმების ასლები“ შეიცავს სხვა სინტერესო დეტალებსაც, მაგალითად, საქართველოს სსრ შინსახკომის მე-8 განყოფილების უფროსის ა.კ. მოროზოვის ხელით მიწერილია მსჯავრდებულთა დახვრეტის თარიღები. 1937 წლის 30 დეკემბრის დეპეშასთან ერთად შენახულია საქართველოს რკინიგზის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსის, ზოდელავას 1937 წლის 28 ნოემბრის „საალბომო სიების“ თანდართული წერილი, რომელიც გაიგზავნა მოსკოვში კომისიაზე განსახილველად. წერილის ადრესატი იყო სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილების უფროსი მ.ა. ვოლკოვი.²³⁰ ზოდელავა წერილით მოახსენებდა ვოლკოვს მოსკოვში სამ ეგზემპლარად

229. სიებში მითითებული არ არის მსჯავრდებულთა ეროვნება. როგორც აღნიშნავენ ნ.ვ. პეტროვი, ა.ბ. როგინსკი „მთელი 1937 წ. და 1938 წ. პირველი ოთხი თვის განმავლობაში შინსახკომის ცენტრალური აპარატი არ ითხოვდა ადგილებიდან მონაცემებს დაპატიმრებულთა ეროვნების შესახებ“. იხ.: ნ.ვ. პეტროვი, ა.ბ. როგინსკი. შინსახკომის „პოლონური ოპერაცია“ 1937-1938 წწ.//რეპრესიები პოლონელთა და პოლონელი მოქალაქეების მიმართ. მოსკოვი, 1997.

230. მიხეილ ალექსანდრეს ძე ვოლკოვი (ვაინერი) – სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი

გაგზავნილი „ალბომის“, აგრეთვე დაპატიმრებულთა სიების სამ ეგზემპლარად გაგზავნის შესახებ, რომლებიც დაყოფილი იყო პირველ და მეორე კატეგორიებად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალბომის და სიების რამდენიმე ეგზემპლარი გათვალისწინებული იყო შინსახკომის ვერტიკალის სხვადასხვა სტრუქტურისთვის.

ზოდელავას თანდართული წერილის და ცესარსკის დეპეშის ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ადგილებიდან“ გაგზავნილი მსჯავრდებულთა სიები, შედგენილი „ალბომების“ საფუძველზე, წინასწარ დაყოფილი პირველ და მეორე კატეგორიებად და დამონმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ს.ა.გოგლიძის მიერ, ექვემდებარებოდა გადამონმების პროცედურას სსრკ შინსახკომის ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა მიერ. მხოლოდ ამის შემდეგ წარადგენდნენ მათ „დიდი ორეულის“ მიერ დასამტკიცებლად. მაგრამ უწინდებურად ბოლომდე გარკვეული არ არის, შინსახკომის ცენტრალური აპარატის სისტემაში რომელი ქვედანაყოფი იყო პასუხისმგებელი „ალბომების“ შემონმებაზე. შესაძლოა, იგულისხმება სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილება.²³¹ მაგრამ იმ სიების შემთხვევაში, რომლებიც დამონმებული იყო ზოდელავას მიერ, საკმაოდ დარწმუნებით შეიძლება მტკიცება, რომ „ალბომებმა“ შემონმება გაიარეს სსრკ შინსახკომის მე-ნ განყოფილებაში, ვინაიდან ამიერკავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილება უშუალოდ ექვემდებარებოდა ტრანსპორტზე სახელმწიფო უშიშროების ამ ცენტრალურ ორგანოს.²³²

საინტერესოა, რომ ორი ადამიანი (ს.ი. ბოგუსლავსკი და ი.ი. როგოვსკი, იგივე რიჩარდ ლეოპოლდის ძე გავესკი), რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ პირველი „პოლონური“ სიით („დიდი ორეულის“ ოქმი № 637 „პოლონური“ ოპერაციის მიხედვით საქართველოში) 10 წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობით, ორი თვის შემდეგ ხელმეორედ შეიყვანეს სიებში (1938 წლის 11 თებერვლის სია № 70820 23 ადამიანზე) და ამჯერად, 1938 წლის 5 მარტის № 1024 ოქმის თანახმად, მათ მიესაჯათ დახვრეტა. მსჯავრდებულთა პირადი საქმეების არქონის გამო ძნელია მსჯელობა პირველადი განაჩენის შეცვლის მიზეზებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ „დიდი ორეულის“ „ქართულ“ ოქმებში დაფიქსირებულია ბევრი შემთხვევა, როდესაც სწორედ ცენტრი, „ალბომური“ ცნობების საფუძველზე, ითხოვდა საქმეების გაგზავნას მათ დამატებით გამოსაძიებლად, ან მათ გადამისამართებას სხვა სადამსჯელო ინსტანციის მიერ განსახილველად.

ზემოთ მოყვანილის საფუძველზე გამოვთქვამთ ვარაუდს რეპრესიების მექანიზმების ფუნქციონირების შესახებ და ცენტრსა და პერიფერიას შორის კომპეტენციის გაყოფის თაობაზე.

სამმართველოს მე-6 განყოფილების უფროსი 07.04.37-25.01.38//ნ.ვ.პეტროვი, კ. ვ. სკორკინი. ვინ ხელმძღვანელობდა შინსახკომს. 1934-1941. მოსკოვი, 1999. გვ. 133-134.

231. პეტროვი და როგინსკი ასე აღწერენ „საალბომო“ სიების გარჩევას ცენტრში: „ალბომების განხილვა დაევალა ცენტრალური აპარატის განყოფილებების რამდენიმე უფროსს, დასაწყისში საალრიცხვო-სტატისტიკური განყოფილების უფროსს ვ.ე.ცესარსკის, კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსს ა.მ. მინაევ-ციკანოვსკის, რომლებსაც ეხმარებოდა ეყოვის სამდივნოს უფროსი ი. ი. შაპირო (აქედან წარმოიშვა ხმები ეყოვთან არსებული სპეციალური „სამეულის“ შესახებ), შემდეგ, როდესაც ალბომების რაოდენობამ იმატა, სამუშაოში ჩართეს განყოფილებათა სხვა უფროსები, მათი მოადგილეები და თანაშემწეები, ქვეგანყოფილებათა უფროსებიც კი. სხვადასხვა დოკუმენტში ჩვენ შეგვხვდა სულ ცოტა თხუთმეტი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა დროს დაკავებულნი იყვნენ ალბომების განხილვით“. ნ. ვ. პეტროვი, ა. ბ. როგინსკი. პოლონური ოპერაცია.

232. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ორგანიზაცია და სტრუქტურა 1921-1941 წწ.//<http://www.memo.ru/history/NKVD/kto/orgstru.htm> (08.12.2013)

„დიდი ორეული“ მხოლოდ ვიზირებდა, ანუ ლეგიტიმურს ხდიდა ოქმებს, არ წვდებოდა რა საქმეთა წვრილმანებში. ეს ლოგიკურია, ვინაიდან ორი ადამიანის ძალას აღემატებოდა ათასობით დაპატიმრებულის საქმეების გაცნობა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სასჯელის ამა თუ იმ ზომის მისჯის გადაწყვეტილება მთლიანად მინდობილი იყო შინსახკომის ადგილობრივი ორგანოებისთვის, რომლებიც კომისიებისთვის ამზადებდნენ მსჯავრდებულთა სიებს, უკვე დაყოფილს პირველ და მეორე კატეგორიებად. როგორც ჩანს, შინსახკომის ცენტრალური აპარატი თავიდანვე საკმაოდ მკაცრად აკონტროლებდა „ნაციონალური“ ოპერაციების მსვლელობას, ახდენდა ადგილებიდან მიღებული სიების კორექტირებას „ალბომებში“ მოცემული მონაცემების მიხედვით. იმავდროულად შინსახკომის ადგილობრივ ხელმძღვანელობას ზოგჯერ შეეძლო გავლენა მოეხდინა სსრკ შინსახკომის და პროკურორის კომისიის გადაწყვეტილებაზე მსჯავრდებულ პირთა განმეორებითი ჩართვით რეპრესირებულთა სიებში, თუმცა ეს უფრო გამონაკლისი იყო.

ასევე საინტერესოა „პოლონური“ ოპერაციის „საალბომო ეტაპის“ სტატისტიკური შედეგები საქართველოში. „პოლონური“ ხაზით რეპრესირებულთა საერთო რაოდენობამ, იმ საქმეთა გაუთვალისწინებლად, რომლებიც გაიგზავნა დამატებით გამოსაძიებლად, აგრეთვე რომელთა მიხედვითაც არ იყო გამოტანილი გადაწყვეტილება, შეადგინა 145 ადამიანი. პირველი კატეგორიის შესაბამისად დაიხვრიტა 66 ადამიანი, მეორე კატეგორიით მსჯავრი დაედო 79 ადამიანს (მათ შორის შვიდს მიესაჯა 8 წელი და ექვსს – 5 წელი). პირველი კატეგორიით მსჯავრდებულთა პროცენტულმა თანაფარდობამ რეპრესირებულთა საერთო რაოდენობასთან 46% შეადგინა. გადაწყვეტილება არ იყო მიღებული ერთ საქმეზე და ექვსი საქმე დაბრუნდა დამატებით გამოსაძიებლად. სიებში მითითებული არ არის რეპრესირებულთა ეროვნება, მაგრამ იქ გვხვდება არაპოლონური გვარები. იმ ადამიანთა შორის, რომლებიც იყვნენ რეპრესირებულნი, ბევრი იყო პოლონეთის, საქართველოს, უკრაინის, ლიტვის, აზერბაიჯანის მკვიდრი. 1938 წლის მაისიდან დაწყებული, როდესაც სავალდებულო გახდა ბრალდებულთა მოქალაქეობის მითითება, შეიძლება კონსტატირება, რომ „პოლონური“ ხაზით რეპრესირებული ყველა სსრკ მოქალაქე იყო.

„ქართული“ საალბომო სიების სტატისტიკა № 00485 ბრძანების შესაბამისად („პოლონური“ ოპერაცია)

| ოქმის თარიღი | ოქმის ნომერი | განხილული საქმე, სულ | მსჯავრდებული, სულ | I კატეგორია | II კატეგორია | | | | საქმე გაიგზავნოს დამატებით გამოძიებაზე | გადაწყვეტილება არ იყო გამოტანილი |
|--------------------------------|--------------|----------------------|-------------------|-------------|--------------|----------|----------|----------|----------------------------------------|----------------------------------|
| | | | | | 10 წელი | 8 წელი | 5 წელი | 3 წელი | | |
| 26.12.37 | 637 | 37 | 36 | 15 | 21 | | | | | 1 |
| 03.01.38 | 696 | 17 | 17 | 16 | 1 | | | | | |
| 14.01.38 | 782 | 3 | 3 | 3 | | | | | | |
| 24.01.38 | 842 | 2 | 2 | 2 | | | | | | |
| 17.02.38 | 962 | 7 | 7 | 4 | 3 | | | | | |
| 05.03.38 | 1024 | 23 | 23 | 11 | 11 | 1 | | | | |
| 31.05.38 | 1173 | 19 | 19 | 3 | 11 | 3 | 2 | | | |
| 15.07.38 | №1201 | 44 | 38 | 12 | 19 | 3 | 4 | 6 | | |
| სულ 26.12.37 – 15.07.38 | | 152 | 145 | 66 | 66 | 7 | 6 | 6 | | 1 |

3. ი. მ. სოლოგუბოვ-სკობელევის საქმე

„ნაციონალური“ ოპერაციების მექანიზმების კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა იულიანე მარკოზის ძე სოლოგუბოვ-სკობელევის საგამოძიებო საქმე, რომელიც ერთ-ერთია იმ მსხვერპლთა შემორჩენილ საქმეთაგან, რომლებიც „დიდმა ორეულმა“ „პოლონური“ ოპერაციის ფარგლებში გაასამართლა.²³³ იულიანე სოლოგუბოვი (იგივე სკობელევი), ეროვნებით რუსი, 1937 წლის იანვარში საქართველოს შინსახკომის ჯუღელის (ზესტაფონის) რაიონულმა გამყოფილებამ დააპატიმრა. მასთან ერთად აიყვანეს თბილისში მცხოვრები მოსეს არშაკის ძე ლაპოიანი, თურქეთში დაბადებული სომხური წარმოშობის პირი. მას წაუყენეს ბრალდება, რომ მან, იცოდა რა სოლოგუბოვის არალეგალური სტატუსი, სკობელევის გვარზე დაუმზადა ყალბი დოკუმენტები (სამხედრო ბილეთი) და დაეხმარა მას, რომ ლეგალიზებულიყო სსრკ-ში.

სოლოგუბოვის ბრალდების საქმე პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრის 1922 წელს არალეგალურად გადმოსვლის, გამოგონილი ყალბი გვარის გამოყენებისა და ქარხნის აგრეგატების მწყობრიდან გამოყვანის ბრალდებით 1937 წლის 9 ივნისს გაიგზავნა სსრკ შინსახკომთან არსებული საგანგებო სათათბიროზე განსახილველად. მაგრამ ვინაიდან 1937 წლის აგვისტოში შინსახკომის მასობრივი ოპერაციები დაიწყო, ცენტრში გადაწყვიტეს, რომ მის მიმართ წაყენებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71, 78-2 და 84 მუხლების კვალიფიკაცია შეეცვალათ და სოლოგუბოვის საქმე განიხილეს „პოლონური“ ხაზით, როგორც სახელმწიფო საზღვრის არალეგალურად გადამკვეთისა. ალბათ ეს გადაწყვეტილება 1937 წლის 4 ოქტომბერს მიიღეს, როდესაც სსრკ შინსახკომის საგანგებო სათათბირომ განიხილა სოლოგუბოვ-სკობელევის და მოსეს არშაკის ძე ლაპოიანის საქმე.²³⁴ 1937 წლის 29 ოქტომბერს სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-3 განყოფილებამ დაადგინა, რომ საქმე უნდა დაბრუნდეს საქართველოს შინსახკომში, რათა № 00485 ბრძანების შესაბამისად იქნას განხილული.

საინტერესოა, რომ ასეთი გადაწყვეტილების არგუმენტირების დროს მე-3 განყოფილებამ ყურადღება გაამახვილა საზღვრის არალეგალურად გადმოსვლაზე და საერთოდ არ ახსენა ბრალდებულის მიერ ქარხანაში „მავნებლური“ საქმიანობა. საქმე კვლავ დაუბრუნდა საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-3 განყოფილების გამომძიებელ რუსაკოვს, მაგრამ ახალი საბრალდებო დასკვნის შესაბამისად გადაწყდა, რომ სოლოგუბოვ-სკობელევის საქმე განსახილველად სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისთვის გადაეგზავნათ. შესაძლოა თბილისში ჩათვალეს, რომ უმჯობესი იყო ბრალდებულის საქმისთვის დივერსიულ-მავნებლური „მოღვაწეობის“ კვალიფიკაცია მიეცათ, თუმცა საბოლოოდ სოლოგუბოვ-სკობელევი რეპრესირებული იქნა „პოლონური“ ხაზით და მას შინსახკომის და პროკურატურის კომისიის 1938 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებით, მიესაჯა დახვრეტა.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ ცენტრმა (სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-3 განყოფილებამ) ორჯერ შეუცვალა კვალიფიკაცია „პოლონური“ ხაზით დაპატიმრებულს იმის მიუხედავად, რომ თბილისიდან სოლოგუბოვ-სკობელევის საქმე ჯერ სსრკ შინსახკომის საგანგებო სათათბიროზე გაგზავნეს განსახილველად, მოგვიანებით კი ბრალდებული ე.წ. „სტალინურ“ სიებში ჩართეს. ამრიგად,

233. ი.მ. სოლოგუბოვ-სკობელევის საგამოძიებო საქმე//საქართველოს შსს არქივი. | განყოფილება. ფ. 6. ს. 37989-07.

234. ყურადსაღებია, რომ თავად ლაპოიანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მას სასჯელში ჩათვალა წინასწარი პატიმრობის ვადა.

სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-3 განყოფილებამ ორჯერ მიუთითა თბილისს, რომ ი.მ. სოლოგუბოვი „პოლონური“ ხაზით უნდა ყოფილიყო წარდგენილი. პირველად ეს 1937 წლის 29 ოქტომბერს მოხდა, ანუ იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ იწყებოდა „ნაციონალური“ ოპერაციები (პირველი სიები „პოლონური“ ოპერაციების მიხედვით, მოსკოვში 1937 წლის 28 ნოემბერს გაიგზავნა). მეორედ გადაწყვეტილება სოლოგუბოვის „პოლონური“ ოპერაციის „ალბომურ სიებში“ ჩართვის შესახებ მოსკოვში უკვე 1937 წლის დეკემბერში მიიღეს.

შინსახკომის ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი მუშაკების მიერ „ალბომების“ ზედმინვენითი განხილვა სხვა დეპეშებითაც დასტურდება. ზოგადად კი ოქმების უმრავლესობაში ცენტრის მიერ გამოძიების ქვეშ მყოფთათვის სასჯელის ზომის შესახებ ქართველი კოლეგების მიერ გამოტანილი წინადადებების კორექტირების ტენდენცია იგრძნობა. ასე, სსრკ შინსახკომის ცენტრალურ აპარატში პასუხისმგებელ პირებს შეეძლოთ, მაგალითად, ამოელოთ პატიმარი პირველი კატეგორიის სიიდან და მისი საქმე გადაემისამართებინათ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის, ან ადგილობრივი სასამართლოსთვის, ასევე საქმე გაეგზავნათ დამატებითი გამოძიებისათვის და ა.შ. იმის გამო, რომ ხელთ არ გვაქვს შესაბამისი საგამოძიებო საქმეები, ძნელია ცენტრის მიერ შინსახკომის ქართული ორგანოების წინადადებების გადასინჯვის მოტივების შესახებ მსჯელობა. სოლოგუბოვსკობელევის საარქივო-საგამოძიებო საქმის მასალებიდან გამომდინარე, რომელიც შინსახკომის მასობრივი ოპერაციების მსხვერპლთა საგამოძიებო საქმეთა უმრავლესობისგან განსხვავებით, დაცულია საქართველოს არქივებში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსკოვს სრულიად მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა შინსახკომის ამა თუ იმ ოპერაციის „კომპეტენციის სფეროს“ შესახებ. ასე, საზღვრის დარღვევა პოლონურ ეროვნებასთან შეთავსებით განაპირობა სოლოგუბოვსკობელევის „პოლონური“ ოპერაციის ფარგლებში განსჯა. გარდა ამისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისეთი ელიტური სასამართლოს „თამასა“, როგორცაა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, ამ პერიოდში დაბლა იყო დანული.

თვით ცნობები ბრალდებულთა შესახებ, რომლებიც „ალბომებში“ იყო მოყვანილი, გამოძიების ქვეშ მყოფთა შესახებ მინიმალურ ინფორმაციას შეიცავდა და მხოლოდ საგამოძიებო და აგენტურული მასალების გადმოცემით შემოიფარგლებოდა, რომლებიც დაპატიმრებულის ბრალეულობის ხარისხს ახასიათებდა. „საალბომო“ ცნობები, პრაქტიკულად, იგივე იყო, რაც სამეულის სხდომათა ოქმები. და მაინც, ქართული „ალბომები“ შინსახკომის ცენტრალური აპარატის თანამშრომლების მიერ საკმაოდ დეტალურად შეისწავლებოდა. შესაბამისად, ძნელია დაეთანხმო თეზისს, რომ ცენტრი მხოლოდ მექანიკურად ინონებდა ადგილებიდან შესულ წინადადებებს და მხოლოდ იშვიათად, რაღაც მიზეზთა გამო, იღებდა გადაწყვეტილებას სასჯელის ზომის შეცვლის, საქმის დამატებითი გამოძიებისთვის ან სხვა სასამართლო ორგანოსთვის გადაცემის შესახებ.²³⁵

4. „ხარბინული“ ოპერაცია

შინსახკომის 1937 წლის 20 სექტემბრის № 00593 ოპერატიული ბრძანების შესაბამისად, შინსახკომის ორგანოების მიერ „ალრიცხული იყო დაახლოებით 25 000 ადამიანი, ე.წ. „ხარბინელები“ (აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის ყოფილი მოსამსახურეები და რეემიგრანტები მანჯოუ-გოდან), რომლებიც მოღვაწეობდნენ სარკინიგზო ტრანსპორტსა და საბჭოთა კავშირის მრეწველობაში“.²³⁶ „ხარბინული“ ოპერაციის ჩატარების დროს გამოყე-

235. „ნ. ვ. პეტროვი, ა.ბ. როგინსკი. პოლონური ოპერაცია“.

236. „ე.წ. ხარბინელებისგან შემდგარი იაპონური აგენტურის ტერორისტულ, დივერსიულ და ჯაშუშურ

ნებული იყო იგივე მექანიზმები, რაც „პოლონური“ და სხვა ნაციონალური ოპერაციებისას. მაგრამ მასობრივი რეპრესიების ეს „ხაზი“ მხოლოდ ირიბად თუ განეკუთვნება „ნაციონალური“ ოპერაციებს, რადგან, უპირატესად, მიმართული იყო სსრკ-ის მოქალაქეთა წინააღმდეგ, რომლებიც მუშაობდნენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზაზე და მას შემდეგ, რაც ეს გზა მანჯოუ-გოს მთავრობას მიჰყიდეს, დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში. ამ ოპერაციის მსვლელობისას, როგორც წესი, აპატიმრებდნენ ადამიანებს, რომლებიც რალაციით მაინც იყვნენ დაკავშირებულნი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზასა და შორეულ აღმოსავლეთთან. მაგალითად, კ.ო. გელოვანის დაპატიმრებას საფუძვლად დაედო 1937 წლის 15 ოქტომბრის ცნობა საქართველოს სსრ შინსახკომის მე-3 განყოფილების უფროსის, ვინერის ხელმოწერით, რომელიც ამტკიცებდა, რომ გელოვანი ხარბინიდან 1933 წელს, ერთ-ერთი უცხო ქვეყნის დავალებით, ჯაშუშური მიზნებით ჩამოვიდა და რომ იგი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ა“ მუხლით ექვემდებარება დაპატიმრებას.²³⁷ გელოვანს, სხვა 16 „ხარბინელთან“ ერთად, ბრალად ედებოდა იაპონურ დაზვერვასთან კავშირი და ჯაშუშური საქმიანობა. გელოვანის საქმეს, რომელიც ნამდვილად ცხოვრობდა ხარბინში 1933 წლამდე, საფუძვლად უდევს მის მიერ თბილისში ჯაშუშური ცენტრის შექმნის ვერსია, თითქოსდა იგი იაპონური დაზვერვისთვის „აგენტების“ დახმარებით აგროვებდა ინფორმაციას საქართველოს სსრ-ის შესახებ. შესაბამისად, გელოვანის საქმის მიხედვით რეპრესირებულები არაფრით არ იყვნენ დაკავშირებულნი შორეული აღმოსავლეთის მხარესთან და არ იყვნენ რეემიგრანტები მანჯოუ-გოდან.

ნიშანდობლივია ასევე კიდევ ერთი დეტალი: „ხარბინული“ ოპერაციის 1938 წლის 15 ივლისის № 522 ოქმის ასლზე, რეპრესირებულთა გვარების გასწვრივ, ხელითაა მიწერილი მათი მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია მოცემული ოპერაციის ფარგლებში. ამ სიაში არა მხოლოდ ქართული და რუსული გვარები, ჩინელთა და კორეელთა გვარებიცაა. ქართული გვარების გასწვრივ აღნიშნულია, რომ ისინი გადიან „ხარბინული“ და „გერმანული-იაპონური“ ხაზით, ხოლო ჩინელთა და კორეელთა გვარების გასწვრივ პირველად ჩნდება ნაციონალური კუთვნილების აღნიშვნა – ჩინელი ან კორეელი.²³⁸ ეს ნიშნავს, რომ „ნაციონალური“ ოპერაციის ფარგლებში რეპრესირებულნი იყვნენ სხვა ეროვნების ადამიანებიც, მაგალითად, რუსები ან უკრაინელები „გერმანული“ ოპერაციის მსვლელობისას. მოცემულ შემთხვევაში უშიშროების ორგანოები, როგორც ჩანს, იყენებდნენ „ხარბინულ“ ხაზს, რათა მოეხდინათ არასასურველი ჩინელებისა და კორეელების რეპრესია.

„ხარბინული“ ოპერაციის ფარგლებში საქართველოში დაპატიმრებულთა საერთო რიცხვი, იმ საქმეთა გათვალისწინებით, რომლებიც გაიგზავნა დამატებით გამოკვლევაზე, შეადგენდა 120 ადამიანს. მათგან დაიხვრიტა 60, მეორე კატეგორიით გასამართლდა 53 ადამიანი, მათ შორის ერთს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საკონცენტრაციო ბანაკში მოხდით. პირველი კატეგორიით გასამართლებულთა პროცენტულმა თანაფარდობამ რეპრესირებულთა საერთო რიცხვთან 53% შეადგინა, ანუ მეტი, ვიდრე ყველა სხვა „ნაციონალური“ ოპერაციის დროს საქართველოში. ისევე, როგორც „პოლონური“ ოპერაციის ფარგლებში, დაფიქსირდა ხელახალი გამოძიებისთვის დაბრუნებული საქმეები შვიდ ადამიანზე. ერთ-ერთი ხელახლა გამოძიებული საქმე (ი.მ. სურმავა, საქარ-

საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ//<http://memorial.krsk.ru/DOKUMENTUSSR/390920.htm>

237. კ.ო. გელოვანის საგამოძიებო საქმე//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 6. ს. 37988-07.

238. სსრკ შინსახკომის I სპეციალური განყოფილების უფროსი შაპირო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, ს.ა.გოგლიძეს – № 00593 ბრძანების შესაბამისი ოქმის ასლის გადაგზავნის შესახებ. 1938 წლის 16 ივლისი//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 92. ფ. 211.

თველოში დაბადებული) ორი თვის შემდეგ ისევ გაიგზავნა „დიდ ორეულზე“ განსახილველად. ეროვნების მიხედვით რეპრესირებულთა დიდი ნაწილი – ქართველები და სსრკ-ის მოქალაქეები იყვნენ, მაგრამ ბოლო, 1938 წლის 15 ივნისის „საალბომო“ ოქმში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეპრესირებულნი იყვნენ ასევე ჩინელები და კორეელები, მათ შორის დაიხვრიტა ჩინეთის ორი მოქალაქე.

593 ბრძანების („ხარბინული“ ოპერაცია) ფარგლებში ქართული „საალბომო“ სიების სტატისტიკა

| ოქმის თარიღი | ოქმის ნომერი | განხილული საქმეები, სულ | სულ მსჯავრდებულთა | I კატეგორია | II კატეგორია | | | | საქმე გაიგზავნა დამატებით გამოძიებაზე |
|-------------------------------------|--------------|-------------------------|-------------------|-------------|--------------|--------|--------|--------|---------------------------------------|
| | | | | | 10 წელი | 8 წელი | 5 წელი | 3 წელი | |
| 03.01.38 | 249 | 11 | 10 | 1 | 9 | | | | |
| 04.01.38 | 256 | 48 | 44 | 29 | 14 | | 1 | | 4 |
| 17.02.38 | 393 | 27 | 25 | 13 | 12 | | | | 2 |
| 02.03.38 | 434 | 3 | 3 | 2 | 1 | | | | |
| 11.03.38 | 440 | 7 | 6 | 4 | 2 | | | | 1 |
| 15.07.38 | 522 | 25 | 25 | 11 | 14 | | | | |
| სულ 03.01.38 -15.07.38 | | 121 | 113 | 60 | 52 | | 1 | | 7 |

5. „გერმანული“ ოპერაცია

საინტერესო ტენდენცია შეინიშნება „გერმანულ“ ოპერაციასთან დაკავშირებული დეპეშების შესწავლისას. „გერმანული“ ოპერაციის პირველი ოქმი 1938 წლის 14 იანვრითაა დათარიღებული, მაგრამ ცნობები შინსახკომის № 00439 ბრძანების²³⁹ თაობაზე ჯერ კიდევ 1937 წლის 5 ნოემბერს გაიგზავნა.²⁴⁰ კომისიის გადაწყვეტილებით, პირველი ოქმის მიხედვით 16 ადამიანი გაასახლეს სსრკ-ის საზღვრებს გარეთ. დოკუმენტში მითითებული

239. 1937 წლის 25 ივლისის № 00439 ბრძანება, რომელიც ზოგჯერ შეცდომით მიაჩნიათ „გერმანული“ ოპერაციის ჩატარების ბრძანებად, სინამდვილეში არ იყო უშუალოდ დაკავშირებული შემდგომ მასობრივ „გერმანულ“ ოპერაციასთან და მიზნად ისახავდა მხოლოდ საბჭოთა თავდაცვითი ქარხნების განმენდას გერმანელი ქვეშევრდომებისგან. „საბჭოთა“ გერმანელების მიმართ რეპრესიების ტრადიცია 1937 წლისთვის უკვე იმდენად ჩამოყალიბდა, რომ „გერმანული ოპერაციის“ ჩასატარებლად 1937-1938 წლებში საჭირო აღარ გახდა სსრკ შინსახკომის ხელმძღვანელობის სპეციალური ბრძანების გამოცემა. შინსახკომის საოლქო სამმართველოების ანგარიშებში, როგორც წესი, მითითებული იყო, რომ რეპრესიები „გერმანული“ ოპერაციების ფარგლებში ტარდებოდა „№ 00485 ბრძანების, ანუ პოლონელების მიმართ რეპრესიების გატარების ბრძანების ფარგლებში.“ დანვრილებით იხ. ა. ი. სავინი. სტალინიზმის ეთნიზაცია? შინსახკომის „ნაციონალური“ და „კულაკური“ ოპერაციები: შედარებითი ასპექტი. //რუსეთი. XXI საუკუნე. 2012. № 3. გვ. 40-61.

240. საქმეში დევს „გერმანული“ ოპერაციის ოთხი ოქმი: 14.01.1938 წ. № 169; 31.05. 1938 წ. № 367; 10.07.1938 წ. № 396; 15.07.1938 წ. № 389. ყველა ამ ოქმში წერია, რომ დაპატიმრებულებს მსჯავრი დაედოთ „შინსახკომის № 00439 ბრძანების მიხედვით“. ამრიგად, თუმცა ოპერაცია № 439 ბრძანების შესაბამისად იყო ლოკალური და იმ დროისთვის უკვე დიდი ხნის დასრულებული, ცხადია, რომ გერმანელი მოქალაქეების რეპრესირება № 00439 ბრძანების მიხედვით ჯერ კიდევ შეეძლოთ.

არ არის რეპრესირებულია მოქალაქეობა, მაგრამ 16 ადამიანს შორის 10 საქართველოდან იყო – სავარაუდოდ, ყველა გერმანიის მოქალაქე. სულ საქართველოს სსრ-ში 1926 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით გერმანიის 781 მოქალაქე ცხოვრობდა.²⁴¹ სიმპტომატურია, რომ შემდგომ ოქმებში დაფიქსირებულია მხოლოდ გერმანიის ერთი ქვეშევრდომის გასახლება რაც, შესაძლოა, ადასტურებს ვერსიას პირველი სიის მიხედვით 16 მსჯავრდებულის გერმანიის ქვეშევრდომობის შესახებ. ამაზე, პირველ რიგში, მიუთითებს სასჯელის ზომა – გასახლება სსრკ-ის საზღვრებს გარეთ. საბჭოთა მოქალაქეებს, პრაქტიკულად, არ ასახლებდნენ სსრკ-ის საზღვრებს გარეთ.

ცენტრის „განსაკუთრებული“ დამოკიდებულება გერმანიის ქვეშევრდომთა მიმართ შინსახკომის სხვა დეპეშებიდანაც ჩანს. მოცემულ კონტექსტში დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს განკარგულება, რომელიც 1938 წლის 15 ივლისის № 389 ოქმის თანდართულ წერილშია მოყვანილი. მასში წერია: „უნდა შემოწმდეს სიკვდილმისჯილ ფლორა ჰენრიხის ასულ კისნერის ქვეშევრდომობა. თუ აღმოჩნდება, რომ ფ.ჰ. კისნერი სხვა ქვეყნის ქვეშევრდომია (კურსივი – ლ.ა.), შეგვატყობინეთ და დახვრეტის განაჩენი სისრულეში არ მოიყვანოთ“. კისნერის გვარის გასწვრივ სიაში კი არ იყო მითითებული მისი ქვეშევრდომობა და მოქალაქეობა, რაც, როგორც ჩანს, გადამწყვეტი ფაქტორი იყო მის მიმართ პირველი კატეგორიის მიხედვით განაჩენის გამოსატანად.

შინსახკომის ცენტრალური აპარატი საგულდაგულოდ ამოწმებდა გერმანიის ქვეშევრდომთა „საალბომო“ ცნობებს. ასე, ექვსი ბრალდებულის – ი.ს.პიოვაროვის, გ.მ. ჩხიკვაძის, გ.გ. ვენებერგერის, ა.ა. ერობეკის, ფ.ფ. ქრისტოვის და გ.პ. ტრანსფელდის – საქმე გადამისამართდა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაზე განსახილველად, ანუ ამ პირთა გვარები ჩართული იყო 1938 წლის 12 სექტემბრის „სტალინურ“ სიებში. როგორც ჩანს, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბრალდებულთაგან სამი, ჩხიკვაძის, პიოვაროვისა და აესტრიის მოქალაქე ერობეკის გარდა, გერმანიის ქვეშევრდომები იყვნენ. შემდგომში, 1938 წლის ოქტომბერში, ისინი გასამართლდნენ საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული „კულაკური“ სამეულის მიერ და მიესაჯათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ბედი ელოდათ გერმანული წარმოშობის სსრკ-ის მოქალაქეებს. ორი საალბომო ცნობის შედარება თვალსაჩინოდ წარმოაჩენს სარეპრესიო ორგანოების სსრკ-ის მოქალაქეებისა და გერმანიის ქვეშევრდომთა მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას. ასე, გერმანიის ქვეშევრდომი ფ.ფ. ქრისტოვი 1938 წლის 7 იანვარს დააპატიმრეს როგორც გერმანიის ჯაშუში და გერმანული დაზვერვის რეზიდენტი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ბრალდების სიმძიმის მიუხედავად, ცენტრმა ამოიღო მისი გვარი დასახვრეტა სიიდან, ხოლო საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულმა მას 10 წლით ციხეში პატიმრობა მიუსაჯა. იმავე დროს სსრკ-ის მოქალაქე ერნსტ ქრისტიანის ძე გრეცინგერს, წარმოშობით ასევე გერმანელს, „კიროვაბადის დეპოში ორთქლმავლის რემონტის ჩაშლისთვის“ დახვრეტა მიესაჯა. გრეცინგერის საალბომო ცნობის დასკვნაში ლაკონურადაა ფორმულირებული ბრალდების ძირითადი პოსტულატები: „გერმანელი – ტროცკისტი – მავნებელი“.²⁴² გრეცინგერის საქმიდან ჩანს, რომ იგი, სხვა ბრალდებულებთან ერთად, კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, მაგრამ შემდგომში დანარჩენ პირთა საქმე გამოიყო ცალკე წარმოებაში. ანუ მოცემულ შემთხვევაში, გრეცინგერის „გერმანული“ ოპერაციის სიებში ჩასართავად მთავარ ფაქტორად იქცა მისი წარმოშობა. თუმცა, რომ არ

241. მოსახლეობის 1926 წლის საკავშირო აღწერა. საქართველო. ამიერკ. სფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოცემა. თბილისი, 1929.

242. მოქ. ე.ქ. გრეცინგერის ბრალდების საქმე დანაშაულებში აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17-70, 72 და 73 მუხლების მიხედვით//საქართველოს სსრ შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 6. ს. 16557-60.

ყოფილიყო ცალკე ოპერაცია ეთნიკური გერმანელების მიმართ, გრეცინგერი დიდი ალბათობით მაინც იქნებოდა რეპრესირებული ერთ-ერთი მასობრივი ოპერაციის ფარგლებში.

„გერმანული“ ხაზით რეპრესირებულთა საერთო რაოდენობამ საქართველოში 120 ადამიანი შეადგინა. ერთ-ერთი ბრალდებულის – ფ.გ. კისნერის საქმეზე არ იყო გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსკოვის წინადადებით 6 ადამიანის საქმე გადაეცა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას, კიდევ 9 ადამიანის საქმეზე გაიცა ბრძანება დამატებითი გამოძიების შესახებ.²⁴³ პირველი კატეგორიით მსჯავრი დაედო 19 ადამიანს, მეორეთი – 68-ს, 17 ადამიანი გაასახლეს სსრკ-დან. პირველი კატეგორიით მსჯავრდებულთა პროცენტულმა შეფარდებამ რეპრესირებულთა საერთო რაოდენობასთან 18% შეადგინა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სტატისტიკური მაჩვენებლები შეტანილია ამიერკავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების მონაცემებში, ზოგადი ციფრები, მცირე ცდომილებით, ახლოსაა საქართველოში გერმანული ოპერაციის სტატისტიკასთან, რომელიც ნ.ვ. ოხოტინმა და ა.ბ. როგინსკიმ გამოაქვეყნეს.²⁴⁴ გარდა ამისა, სტატისტიკურ მონაცემებს დავამატეთ „გერმანული ჯაშუშების“ მიმართ გამოტანილი განაჩენები (სულ 3 ადამიანი: დიმიტრი სტარტევი, რომელსაც 20.06.1938 წ. № 120 ოქმით მიესაჯა 10 წელი, ფ.ა. ციმერი და პ.რ. კუგელი, რომელთაც შესაბამისად მიესაჯათ 8 და 5 წელი შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა 31.08.1938 წ. № 227 ოქმით), და რომლებიც შეიყვანეს ე.წ. „შერეულ“ ოქმებში.

„გერმანული ოპერაციის“ შესაბამისი „ქართული“ „საალბომო“ სიების სტატისტიკა

| ოქმის თარიღი | ოქმის ნომერი | განხილული საქმე, სულ | მსჯავრდებული, სულ | I კატეგორია | II კატეგორია | | | | საქმე გაიგზავნა დამატებით გამოძიებაზე | საქმე გადაეცა სამხედრო კოლეგიას | გაასახლეს სსრკ-დან |
|--------------------------------|--------------|----------------------|-------------------|-------------|--------------|----------|----------|--------|---------------------------------------|---------------------------------|--------------------|
| | | | | | 10 წელი | 8 წელი | 5 წელი | 3 წელი | | | |
| 14.01.38 | 169 | 16 | 16 | | | | | | | | 16 |
| 31.05.38 | 367 | 21 | 19 | 7 | 12 | | | | 2 | | |
| 10.07.38 | 396 | 26 | 19 | 4 | 9 | 3 | 2 | | 7 | | 1 |
| 15.07.38 | 389 | 47 | 47 | 8 | 36 | 2 | 1 | | | 6 | |
| 20.06.38 ბერძნული | 120 | 1 | 1 | | 1 | | | | | | |
| 31.08.38 შერეული | 227 | 2 | 2 | | | 1 | 1 | | | | |
| სულ 14.01.38 – 15.07.38 | | 120 | 104 | 19 | 58 | 6 | 4 | | 9 | 6 | 17 |

243. ფ.გ. შმიდტი და ა.ა. შტოლი 1938 წლის 31 მაისის № 367 ოქმით, აგრეთვე ი.ქ. აპელტი, რ.ა. ბემლერი, ა.ვ. ვინკელი, იგივე ა.ვ. რებე, ე.ი. დანუშჩევსკაია, ა.ს. კუსმირსკი, ე.გ. ჩაკერტი, გ.მ. ჩხიკვაძე 1938 წლის 10 ივლისის № 396 ოქმით.

244. „ალბომის მიხედვით“ მსჯავრდებულთა რიცხვმა ოპერაციის დაწყებიდან 1938 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით, ოხოტინის და როგინსკის მიხედვით, საქართველოში შეადგინა 102 ადამიანი (83 მსჯავრდებულია შინსახკომის ხაზით „ალბომის“ მიხედვით, 19 – ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების ხაზით). იხ. ნ. ოხოტინი, ა. როგინსკი. შინსახკომის „გერმანული ოპერაციის“ ისტორიიდან 1937-1938 წწ.//რეპრესიები რუსეთის გერმანელების წინააღმდეგ. დასჯილი ხალხი. მოსკოვი, 1999. გვ. 64-66.

6. „ბერძნული“ ოპერაცია

შინსახკომის 1937 წლის 11 დეკემბრის № 50215 დირექტივის ფარგლებში განხორციელებული ოპერაცია („ბერძნული“ ოპერაცია) იყო ყველაზე მასშტაბური საქართველოში განხორციელებულ „ნაციონალურ“ ოპერაციებს შორის. თავისთავად ცხადია, ეს აიხსნება იმით, რომ ბერძნები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ მსხვილ ეთნოსს იმ ეროვნებათა შორის, რომლებმაც საქართველოში შინსახკომის მასობრივი სადამსჯელო აქციების ფარგლებში განიცადეს დევნა. 1937-1938 წ.წ. 1926 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში 59 218 ბერძენი ცხოვრობდა, მათ შორის საბერძნეთის 12 184 მოქალაქე.²⁴⁵ 1938 წლის 26 მარტიდან 1938 წლის 5 ივლისამდე „ბერძნული“ ოპერაციის ფარგლებში რეპრესირებული იყო 570 ადამიანი, მათ შორის 91 – პირველი კატეგორიით და 410 – მეორეთი. პირველი კატეგორიით მსჯავრდებულთა პროცენტული თანაფარდობა რეპრესირებულთა საერთო რაოდენობასთან შეადგენდა 18%. სსრკ საზღვრებს გარეთ გააძევეს საბერძნეთის 8 ქვეშევრდომი, 34 საქმე გადამისამართდა სასამართლოებზე, 4 საქმის განხილვა გადაწყდა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ხაზით, 20 საქმე გაგზავნეს დამატებით გამოსაძიებლად და ნ.ა. პოლიტოვის საქმე მოიხსნა აღრიცხვიდან, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ბრალდებული ციხეში გარდაიცვალა,²⁴⁶ გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ 2 ბრალდებულის საქმეზე (მ.პ. ჩელიკოპულო და ქ.პ.ჩელიკოპულო).

„ბერძნული“ ოპერაციის საარქივო მასალების ანალიზის დროს შეიძლება ვაკეთდეს დასკვნა, რომ „გერმანული“ ხაზისგან განსხვავებით ცენტრი უფრო მკაცრად ეპყრობოდა ბერძნული სახელმწიფოს ქვეშევრდომებს. სულ დახვრეტა საბერძნეთის 59 მოქალაქეს მიესაჯა, სასჯელის სხვა ზომამისჯილთა უმრავლესობა ასევე საბერძნეთის ქვეშევრდომი იყო. სიმპტომატიურია სსრკ შინსახკომისა და პროკურორის კომისიის გადაწყვეტილებათა დინამიკაც. ასე, № 50215 დირექტივის მიხედვით, პირველი სიები საქართველოდან მოსკოვში 1938 წლის თებერვლის დასაწყისში გაიგზავნა, გადაწყვეტილებები პირველი სამი ოქმის მიხედვით, სადაც 33 ადამიანის საქმე განიხილებოდა (1938 წლის მარტი-მაისი), „ნაციონალური“ ოპერაციებისთვის საკმაოდ „რბილი“ იყო. არც ერთი განაჩენი არ იყო გამოტანილი პირველი კატეგორიის მიხედვით, საბერძნეთის ერთი მოქალაქე გაასახლეს სსრკ-დან, ხოლო ს.ი. ელენიდის, ასევე საბერძნეთის ქვეშევრდომის საქმე, გადამისამართდა სასამართლოში. კიდევ სამი საქმე გაიგზავნა დამატებით გამოსაძიებლად. **გამონაკლისი იყო მხოლოდ სერგი დიმიტრის ძე პოპოვი, რომელიც, როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის დაგეგმარების განყოფილების უფროსი, სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 11.10.1938 წლის განაჩენით დახვრიტეს. მოცემულ შემთხვევაში, ისევე როგორც სოლოგუბოვ-სკობელევის საქმეში, გადაწყვეტილება „ბერძნული“ ოპერაციიდან საქმის ამოღების შესახებ და ს.დ. პოპოვის შეყვანა „სტალინურ“ სიებში მიიღეს მოსკოვში. ეს, ალბათ, დაკავშირებული იყო იმასთან, რომ პოპოვს ეკავა საკმაოდ მაღალი, ადმინისტრაციული თანამდებობა (ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების დაგეგმარების განყოფილების უფროსი) და მისი საქმე უფრო სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ განხილვის სფეროს განეკუთვნე-**

245. 1926 წ. მოსახლეობის საკავშირო აღწერა. სსრკ საქართველო. ამიერკ. სფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამომცემლობა. თბილისი, 1929.

246. ოქმზე სახელთან ნ. ვ.პოლიტოვი ხელით მიწერილია: „მოკვდა“ – სსრკ შინსახკომის I სპეციალური განყოფილების უფროსი შაპირო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ს. ა. გოგლიძეს – № 50215 ბრძანების შესაბამისად ოქმის ახლის გაგზავნის შესახებ. 1938 წლის 20 ივნისი/საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 92. ფ. 69.

ბოდა, ხოლო გვარი ჩართული იყო სიებში, რომლებსაც ვიზირებას აძლევდნენ პოლიტიკურს წევრები და თვით სტალინი. მაგრამ „დიდი ორეულის“ შემდგომი გადაწყვეტილებები „ალბომური“ სიების მიხედვით საოცრად განსხვავდებოდა პირველი ოქმებისაგან თავისი მკაცრი განაჩენებით. როგორც ჩანს, „ბერძნული“ ოპერაცია თანდათან იკრებდა ძალებს საქართველოში.

„ბერძნული“ ოპერაციის ოქმების განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ ბოლო ორი „ალბომური“ სია შერეულ ხასიათს ატარებდა და შეიცავდა პირებს, რომლებიც რეპრესირებულნი იყვნენ სხვა „ნაციონალური“ ხაზებით. 1938 წლის 20 ივნისის № 120 ოქმის ასლის თანდართულ წერილში მითითებულია, რომ კომისიის გადაწყვეტილებები 253 ადამიანის მიმართ მიღებული იყო რვა სიის საფუძველზე (1938 წლის 5 მარტის № 80905; 1938 წლის 1 აპრილის № 31359; 1938 წლის 2 აპრილის № 931360; 1938 წლის 3 აპრილის № 96765; 1938 წლის 3 აპრილის № 96772 და 1938 წლის 5 აპრილის № 31429), № 50215 დირექტივის შესაბამისად.

სიების ანალიზი ცხადყოფს, რომ ცენტრმა ერთ ოქმში გააერთიანა სხვადასხვა ნაციონალური ხაზით დაპატიმრებული ადამიანები. მსჯავრდებულთა შორის იყო ხუთი ესტონელი, ირანის ქვეშევრდომი, სამი ლატვიელი, ხუთი ბულგარელი, გერმანელი და უნგრელი (ფიგურირებდა, როგორც „რუმინეთის ჯაშუში“). საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსის, მოროზოვის ხელით გაკეთებული შენიშვნის მიხედვით, დასახელებული პირები მსჯავრდებულნი იყვნენ, როგორც უცხო ქვეყნების – ესტონეთის, ლატვიის, ბულგარეთის, გერმანიისა და რუმინეთის „ჯაშუშები“, ანუ იმ მასობრივი „ნაციონალური“ ოპერაციების თანახმად, რომლებიც სანქცირებული იყო პოლიტიკურს 1938 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით.²⁴⁷ აღსანიშნავია, რომ „ნაციონალური“ ხაზით ოპერაციების ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა ნაციონალური ნიშნით ტრადიციულად რისკის ჯგუფის „სახიფათო ელემენტების“ გამოვლენასა და ნეიტრალიზებაში. შესაბამისად სტალინური ნაციონალური პოლიტიკის რადიკალიზაციის მთელი სიძიმე ბერძნებმა მხოლოდ მათი დეპორტაციის დაწყების შემდეგ იზნინეს.

სსრკ შინსახკომის №50215 ბრძანების („ბერძნული ოპერაცია“) შესაბამისი „ქართული“ „სალბომო“ სიების სტატისტიკა

| ოქმის თარიღი | ოქმის ნომერი | განხილული საქმე, სულ | მსჯავრდებულნი, სულ | I კატეგორია | II კატეგორია | | | | საქმე გაიგზავნა დამატებით გამოძიებაზე | საქმე გაიგზავნა სასამართლოში | საქმე მოხსნა | საქმე გადაეცა სამხედრო კოლეგიას | გასახლდა სსრკ-დან | გადაწყვეტილება არ არის მიღებული |
|--------------|--------------|----------------------|--------------------|-------------|--------------|--------|--------|--------|---------------------------------------|------------------------------|--------------|---------------------------------|-------------------|---------------------------------|
| | | | | | 10 წელი | 8 წელი | 5 წელი | 3 წელი | | | | | | |
| 26.03.38 | 95 | 18 | 18 | | 18 | | | | | | | | | |
| 09.04.38 | 104 | 1 | 1 | | | | | | | | | | 1 | |
| 09.05.38 | 112 | 14 | 10 | | 9 | | | 3 | 1 | | 1 | | | |
| 20.06.38 | 120 | 237 | 212 | 45 | 109 | 17 | 36 | 8 | 14 | 1 | 2 | 5 | | |
| 20.06.38 | 121 | 52 | 52 | 6 | 30 | 10 | 5 | | | | | 1 | | |

247. დეტალურად ოქმებში სხვადასხვა ხაზის ოპერაციის შერევის შესახებ იხ. თავში: „სხვა „ნაციონალური“ ხაზები“.

| ოქმის თარიღი | ოქმის ნომერი | განხილული საქმე, სულ | მსჯავრდებულები, სულ | I კატეგორია | II კატეგორია | | | | საქმე გაიგზავნა დამატებით გამოძიებაზე | საქმე გაიგზავნა სასამართლოში | საქმე მოიხსნა | საქმე გადაეცა სამხედრო კოლეგიას | გასახლდა სსრკ-დან | გადაწყვეტილება არ არის მიღებული |
|------------------------|--------------|----------------------|---------------------|-------------|--------------|-----------|-----------|----------|---------------------------------------|------------------------------|---------------|---------------------------------|-------------------|---------------------------------|
| | | | | | 10 წელი | 8 წელი | 5 წელი | 3 წელი | | | | | | |
| 05.07.38 | 123 | 247 | 217 | 40 | 115 | 49 | 11 | 1 | 9 | 19 | | 1 | 1 | 2 |
| სულ 26.03.38 | | 570 | 509 | 91 | 281 | 76 | 52 | 1 | 20 | 34 | 1 | 4 | 8 | 2 |
| - 05.07.38 | | | | | | | | | | | | | | |

7. „ირანული“ ოპერაცია

„ირანული“ ოპერაცია სსრკ შინსახკომის 1938 წლის 29 იანვრის № 202 დირექტივის შესაბამისად დაიწყო. რეპრესირებულთა რაოდენობის მიხედვით „ირანული“ ხაზი, ისევე, როგორც „ბერძნული“, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იყო საქართველოში. № 202 დირექტივით რეპრესირებულთა საერთო რიცხვმა, იმ საქმეთა გარდა, რომლებიც გაიგზავნა დამატებით გამოსაძიებლად, ან რომელთა მიხედვით გადანყვეტილება არ იყო მიღებული, აგრეთვე რომლებიც განსახილველად გაეგზავნა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას, 435 ადამიანი შეადგინა. დახვრეტა მიესაჯა 38 ადამიანს, მეორე კატეგორიით გასამართლდა – 361 პირი. პირველი კატეგორიით მსჯავრდებულთა პროცენტულმა შეფარდებამ რეპრესირებულთა საერთო რაოდენობასთან 9% შეადგინა. 26 საქმე დამატებით გამოსაძიებლად დაბრუნდა, სსრკ-დან გასახლების განაჩენი 36 ადამიანს გამოუტანეს, ოთხი საქმე სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას გადაეცა. ისევე, როგორც „გერმანული“ ოპერაციის შემთხვევაში, სტატისტიკურ მონაცემებში შევიტანეთ ირანელთა განაჩენების მონაცემები (სულ 8 ადამიანი), რომლებიც „დიდი ორეულის“ ე.წ. „შერეულ“ ოქმებში ჩართეს.

რეპრესირებულთა ძირითად კონტინგენტს ირანის ქვეშევრდომები შეადგენდნენ, თუმცა სამ შემთხვევაში მსჯავრი თურქეთის სამ ქვეშევრდომსაც დაედო. როგორც სხვა „ნაციონალური“ ოპერაციისას, კომისიის საბოლოო გადანყვეტილება დიდად იყო დამოკიდებული განსასჯელთა მოქალაქეობაზე. ასე, 1938 წლის 4 ივლისის ოქმის თანდართულ წერილში მითითებულია: „გადანყვეტილება გამოტანილი არ არის ჰუსეინ ალექჯერ ოღლის საქმეზე. სასწრაფოდ შეგვატყობინეთ, იგი სსრკ-ის თუ სხვა ქვეყნის ქვეშევრდომია“.²⁴⁸ ასევე საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სამ ადამიანს, რომელთა საქმეებიც განსახილველად სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას გადაეცა, შემდგომ საქართველოს სსრ შინსახკომის „კულაკური“ სამეულის მიერ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ხოლო მეოთხე – მერჟან ოგანესის ძე ყარამანიანიცაა გაათავისუფლეს. საქმე ისაა, რომ ცენტრის მიერ დამტკიცებულ 1938 წლის 12 სექტემბრის „სტალინურ“ სიებში საქართველოდან ცალკე იყო შეტანილი უცხო ქვეყნის 12 მოქალაქის სია, რომელთა საქმეები გადმოიგზავნა სხვადასხვა „ნაციონალური“ ოპერაციიდან („გერმანული“, „ბერძნული“,

248. სსრკ შინსახკომის I სპეციალური განყოფილების უფროსი შაპირო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ს. ა. ვოგლიძეს – ოქმის ასლის გაგზავნის შესახებ № 202 ბრძანების შესაბამისად, 1938 წლის 16 ივლისი// საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 92. ფ.32.

„ირანული“) სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ განსახილველად, ხოლო თანდართულ წერილში მითითებული იყო, რომ ეს 12 ადამიანი უნდა გასამართლებულიყო მეორე კატეგორიით.²⁴⁹ ე.წ. „ირანული“ ოპერაციის საარქივო-საგამოძიებო საქმეთა არარსებობის გამო მკვლევართათვის გაძნელებულია დასაბუთებული დასკვნების გაკეთება, მათ შორის ოპერაციის სტრუქტურის შესახებ. შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ „ირანული“ ოპერაცია რეპრესირებულთა რაოდენობის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი იყო საქართველოში, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ირანელებს საქართველოში არ ჰქონდათ დასახლების კომპაქტური რაიონები (გერმანელებისა და ბერძენებისგან განსხვავებით).

„ქართული“ „საალბომო“ სიების სტატისტიკა სსრკ შინსახკომის №202 დირექტივის შესაბამისად („ირანული“ ოპერაცია“)

| ოქმის თარიღი | ოქმის ნომერი | განხილულია საქმე, სულ | მსჯავრდებულია, სულ | I კატეგორია | II კატეგორია | | | | საქმე გაიგზავნა დამატებით გამოძიებაზე | საქმე გადაეცეს სამხედრო კოლეგიას | გასახლდეს სსრკ-დან | გადანწყვეტილება არ არის გამოცხადებული |
|----------------------------------------|--------------|-----------------------|--------------------|-------------|--------------|-----------|-----------|-----------|---------------------------------------|----------------------------------|--------------------|---------------------------------------|
| | | | | | 10 წელი | 8 წელი | 5 წელი | 3 წელი | | | | |
| 09.05.38 | 27 | 8 | 6 | 3 | | | | | 2 | | 3 | |
| 28.06.38 | 37 | 72 | 68 | 8 | 36 | 3 | 21 | | 4 | | | |
| 04.07.38 | 44 | 85 | 67 | 9 | 40 | | 9 | | 17 | | 9 | 1 |
| 05.07.38 | 45 | 90 | 88 | 4 | 46 | 29 | 9 | | 1 | 1 | | |
| 15.07.38 | 40 | 181 | 175 | 13 | 119 | 27 | 9 | 7 | 2 | 3 | 23 | 1 |
| 20.06.38 ბერძნული | 120 | 1 | 1 | | 1 | | | | | | | |
| 05.07.38 შერეული | 188 | 2 | 1 | | | | | | | | 1 | 1 |
| 31.08.38 შერეული | 177 | 2 | 2 | 1 | 1 | | | | | | | |
| 31.08.38 შერეული | 227 | 4 | 4 | | 1 | | | 3 | | | | |
| სულ 09.05.38 – 31.08.38 | | 468 | 435 | 38 | 244 | 59 | 48 | 10 | 26 | 4 | 36 | 3 |

249. 1938 წლის 12 სექტემბრის იმ პირთა სია, რომლების ექვემდებარებიან სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განსჯას//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 88. ფ. 141.

8. სხვა „ნაციონალური“ ხაზები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი „ნაციონალური“ ოპერაციების („პოლონური“, „გერმანული“, „ხარბინული“, „ბერძნული“, „ირანული“) პარალელურად, შინსახკომი მასობრივ ოპერაციებს ატარებდა ასევე სხვა „ნაციონალური“ – „რუმინული“, „ლატვიური“, „ესტონური“, „ფინური“, „ბულგარული“ და ა.შ. ხაზებით. ამ ოპერაციებს საქართველოში შედარებით მცირე მასშტაბები ჰქონდა, რადგან ეროვნებები, რომელთა წინააღმდეგაც ტარდებოდა სადამსჯელო აქციები, უმნიშვნელოდ იყო წარმოდგენილი რესპუბლიკის ეთნიკურ რუკაზე. შესაბამისად, სსრკ შინსახკომისა და პროკურორის კომისია იხილავდა იმ პირთა საქმეებს, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ ამ ხაზების ფარგლებში, შერეული ოქმების შედგენით. ამ მიზნით სხვადასხვა ოპერაციის „საალბომო“ ცნობები ერთიანდებოდა სათაურით „ჯაშუშური და დივერსიული საქმიანობის მასალები უცხო ქვეყნების სასარგებლოდ“.

უნდა აღინიშნოს, რომ საარქივო საქმეში ცალკეა ერთი ოქმი (1938 წლის 2 თებერვლის № 171) ორ ადამიანზე, რომლებიც გასამართლებულ იქნენ „ლატვიური“ ხაზით,²⁵⁰ მაგრამ შემდგომში სხვადასხვა ხაზით დაპატიმრებულ პირთა საქმეების განხილვა დაიწყეს შერეულად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სიაში ზოგჯერ ხვდებოდნენ შინსახკომის ძირითადი „ნაციონალური“ ოპერაციებით („გერმანული“, „ირანული“, „ბერძნული“) ბრალდებულნიც.

ზემოთ უკვე განვიხილეთ „ბერძნული“ ოპერაციის № 120 ოქმი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ სხვა „ნაციონალური“ ოპერაციების მიხედვით რეპრესირებული პირები. თუმცა რეპრესიათა სხვადასხვა ხაზის შერევის თვალსაზრისით, ყველაზე თვალსაჩინოა 1938 წლის 5 ივლისის № 188 ოქმი.²⁵¹ ამ ოქმის მიხედვით პირველი კატეგორიით გასამართლებული იყო თხუთმეტი ბულგარელი, ორი ლიტველი, ოთხი ლატვიელი და ესტონელი. მეორე კატეგორიით, გარდა მითითებული ეროვნებების პირებისა, რეპრესიები განიცადეს ასევე ფინელებმა, ირანელებმა, ავსტრიელებმა, უნგრელებმა და რუმინელებმა.

№ 188 ოქმის თანდართულ წერილში ყურადღებას იპყრობს სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის, შაპიროს განმარტება. თბილისიდან მოსკოვში სხვადასხვა დროს გაგზავნილი ცნობების (173 ადამიანზე) ნომრებისა და თარიღების ჩამოთვლისას შაპირო წერს: „169 ადამიანის მიმართ გადაწყვეტილებები გამოტანილია და შეტანილია შემდეგ ოქმებში: (კურსივი – ლ. ა.)

- ა) 71 ადამიანზე – ლატვიელებზე, ბულგარელებზე და სხვ. – ოქმში № 188 (შერეული);
- ბ) 73 ადამიანზე – პოლონური ოპერაციის მიხედვით ოქმში № 1201.
- გ) 25 ადამიანზე – გერმანული ოპერაციის მიხედვით ოქმში № 390.

გადაწყვეტილება არ იყო გამოტანილი 4 ადამიანის მიმართ: ვლადიმერ გიორგის ძე პოზოვი და ალექსანდრე ფილიპეს ძე ერენტრაუტი სამხედრო კოლეგიის სასამართლოს დაექვემდებარნენ და დადგენილი წესის შესაბამისად, ჩართეს იმ პირთა სიაში, რომლებიც სამხედრო კოლეგიის სასამართლოს ექვემდებარებოდნენ. დამტკიცების შემდეგ ამ სიას

250. სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი ვ.ე.ცესარსკი ამიერკავკასიის რკინიგზის შინსახკომის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების უფროსს, სახელმწიფო უშიშროების კაპიტან ა. ს. ზოდელავას – ოქმის ასლის გაგზავნის შესახებ 2 ადამიანზე, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ ლატვიის სასარგებლოდ ჯაშუშურ და დივერსიულ საქმიანობაში, 1938 წლის 15 მარტი// საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. საქმე 92. ფ. 227.

251. სსრკ შინსახკომის I სპეციალური განყოფილების უფროსი შაპირო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, ს.ა.გოგლიძეს – ოქმის ასლის გაგზავნის შესახებ 71 ადამიანზე, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ უცხო ქვეყნების სასარგებლოდ ჯაშუშურ და დივერსიულ საქმიანობაში, 1938 წლის 16 ივლისი//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 92. ფ. 157.

გამოგიგზავნით. კონსტანტინე ვასილის ძე გორნესკოს და ადელბერტ იაკობის ძე კემენის საქმეებზე გადწყვეტილება დამატებით იქნება მიღებული“²⁵².

ამ შემთხვევაში განსაკუთრებით კარგად ჩანს „დიდი ორეულის“ მიერ „ნაციონალური“ ოპერაციების მიხედვით განაჩენის გამოტანის მექანიზმი. როგორც ტექსტიდან ჩანს, სასჯელის ზომის შესახებ საბოლოო გადწყვეტილებას „ალბომური“ ცნობების საფუძველზე სსრკ შინსახკომის ცენტრალური აპარატის თანამშრომლები „ორეულის“ სხდომამდე იღებდნენ, სადაც სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და სსრკ პროკურორი ფორმალურად აწერდნენ ხელს ოქმებს. პირები, რომლებიც გადწყვეტილებებს იღებდნენ, სავარაუდოდ, ასევე განსაზღვრავდნენ ოპერაციებს, რომელთა მიხედვითაც მსჯავრი უნდა დაედოთ იმ პირებისათვის, რომლებიც ადგილზე იყვნენ გათვალისწინებული რეპრესიებისთვის. მაგალითად, ლატვიის ქვეშევრდომ მიხეილ სტანისლავის ძე გლაუდანს „ლატვიური“ ოპერაციის მიხედვით „დიდი ორეულის“ მიერ მისჯილი ჰქონდა დახვრეტა და ჩართული იყო № 188 შერეულ ოქმში. ამასთან, საქართველოს არქივში დაცულ ცნობა-ალბომში მ.ს. გლაუდანი მოხსენიებული იყო როგორც „ლატვიელ-გერმანელი ჯაშუში“, ხოლო ცნობაში ხელით იყო მიწერილი „გერმ.“²⁵³, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, რომ აჭარის შინსახკომმა გადწყვიტა გლაუდანის „გერმანულ“ ოპერაციაში ჩართვა. თუმცა ცენტრმა მაინც მიიჩნია, რომ იგი რეპრესირებული უნდა ყოფილიყო, „ლატვიური“ ოპერაციის ხაზით. როგორც გლაუდანის საქმე, შერეულ ოქმში ასევე შეტანილნი აღმოჩნდნენ პირები, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ „ირანული“ ოპერაციის ოქმებში (ს. ნ. ჩოჩოიანი და სევილ ალი ზადე ალიმორდანოვი). ამრიგად ცხადი ხდება, რომ „ალბომების“ გადათვალისწინებისას სსრკ შინსახკომის აპარატის პასუხისმგებელ პირებს შეეძლოთ სასჯელის ზომის, ისევე როგორც „ნაციონალური“ ოპერაციის ხაზის შეცვლა, ასევე შეეძლოთ გადაეცათ საქმე სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ან სხვა სასამართლო ორგანოსთვის განსახილველად.

არსებითად საინტერესოა ორი ბოლო „შერეული“ ოქმი. „ნაციონალური“ ოპერაციების კვლევისას არ შეგვხვედრია შემთხვევა, რომ სადმე მასობრივი რეპრესიების „თურქული“ ხაზი ყოფილიყო მოხსენიებული. მაგრამ საქართველოში, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, იკვეთება, შესაძლოა თავისთავად, თურქეთის მკვიდრთა წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარების შესახებ გადწყვეტილება. როგორც აღნიშნავენ ნ. ოხოტინი და ა. როგინსკი თავიანთ ნაშრომში შინსახკომის „გერმანული“ ოპერაციის შესახებ, „პოლონური“ სტერეოტიპები ხშირად ავტომატურად ვრცელდებოდა სხვა ეროვნულ ჯგუფებზე, ხოლო ცენტრის შესაბამისი განკარგულება იძლეოდა სანქციას, რომ ასეთ შემთხვევებში გამოეყენებინათ ადგილზე ჩამოყალიბებული პრაქტიკა. ასე მოხდა, მაგალითად, რუმინული ოპერაციის შემთხვევაში, რომელიც დაიწყო უკრაინაში 1937 წლის აგვისტოში, აგრეთვე ფინელებთან მიმართებაში, რომელთა „წმენდაც“ დამოუკიდებლად დაიწყო ლენინგრადის ოლქსა და კარელიაში 1937 წლის სექტემბერ-ოქტომბერში (კურსივი – ლ. ა.). ამ ეროვნებათა კონტინგენტების წინააღმდეგ ოპერაციების დასაბუთებისთვის არ იყო გამოცემული სპეციალური დირექტივები: უბრალოდ, გარკვეული მომენტიდან დაიწყეს მათი ჩართვა ზოგად დირექტივებში ოპერაციების გაგრძელებისა და აქტივაციის შესახებ, ანგარიშების

252. სსრკ შინსახკომის I სპეციალური განყოფილების უფროსი შაპირო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ს.ა. გოგლიძეს – ოქმის ასლის გაგზავნის შესახებ 71 ადამიანზე, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ უცხო ქვეყნების სასარგებლოდ ჯაშუშურ და დივერსიულ საქმიანობაში, 1938 წლის 16 ივლისი/საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 92. ფ. 158.

253. მიხეილ სტანისლავის ძე გლაუდანის ბრალდების საქმე/საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 6. ს. 16720-60.

მითითებებში და ა.შ. შესაძლოა, შესაბამისმა მაინიცირებელმა დირექტივებმა, თუ ისინი თავიდანვე განკუთვნილი იყო გარკვეული რეგიონისთვის, ჩვენამდე ვერ მოაღწია.²⁵⁴

მიგვაჩნია, რომ მსგავსი რამ შესაძლოა მომხდარიყო საქართველოში, სადაც 1938 წლის მარტიდან დაიწყო ცალკე ოპერაცია ეთნიკური თურქებისა და თურქეთის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოს საგანგებო („ნაციონალური“) სამეულის მიერ მსჯავრდებულთა უმრავლესობა ასევე გადიოდა „თურქული“ ხაზით, ხოლო თვით საგანგებო სამეულის თურქთა საქმეების ოქმებზე გაკეთებულია აღნიშვნა: „თურქების მიმართ ოპერაციის მიხედვით“, რაც ირიბად ადასტურებს საქართველოს შინსახკომის მიერ ცალკე, „თურქული“ ოპერაციის განხორციელების ფაქტს.

1938 წლის 31 აგვისტოს „ალბომური“ სიებით 136 ადამიანზე აფხაზეთის ასსრ-დან, რომელიც საქართველოს შინსახკომის მიერ მოსკოვში ჯერ კიდევ 1938 წლის 26 აპრილს გაიგზავნა, უცხო სახელმწიფოთა (თურქეთის) სასარგებლოდ ჯაშუშური და დივერსიული საქმიანობის ბრალდებით დახვრეტა მიესაჯა თურქეთის 13 ქვეშევრდომს, თურქული წარმოშობის სსრკ-ის 3 მოქალაქეს, ირანის 2 ქვეშევრდომს და სსრკ-ის ერთ მოქალაქეს, ქალაქ ვლადიკავკაზში დაბადებულ სერგი ალექსის ძე გოროდენსკის, რომელიც, როგორც ჩანს, არანაციონალური ნიშნით იყო რეპრესირებული. მეორე კატეგორიით მსჯავრდებულთა უმრავლესობა (63 ადამიანი) ასევე თურქეთის ქვეშევრდომი იყო. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ორი თვის შემდეგ, 1938 წლის 31 ოქტომბერს, სსრკ შინსახკომის და პროკურორის კომისიამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება 54 ადამიანის მიმართ, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ 10 წელი შრომა-გასწორების ბანაკში. თურქეთის ეს ქვეშევრდომები გააძევეს საზღვრებს გარეთ. დოკუმენტში მითითებულია – „როგორც სსრკ შინსახკომის საგანგებო სათათბიროს მიერ 02.07.1938 სსრკ-დან გაძევებით მსჯავრდებულნი“.

ამრიგად, „ლატივიური“, „ლიტვიური“, „ესტონური“, „თურქული“, „ბულგარული“, „რუმინული“, „ფინური“ და „ავსტრიული“ ოპერაციების ფარგლებში საქართველოში სულ რეპრესირებული იყო 223 ადამიანი: შესაბამისად 43 ადამიანი პირველი კატეგორიით და 126 – მეორეთი, 54 ადამიანი გაასახლეს სსრკ-დან, გადანყვეტილება არ იყო მიღებული ორი ბრალდებულის მიმართ და ერთი საქმე გაიგზავნა დამატებითი გამოძიებისთვის.

„ქართული“ „საალბომო“ სიების სტატისტიკა: „ჯაშუშური და დივერსიული საქმიანობა უცხო ქვეყნის სასარგებლოდ“ (შერეული ოპერაციები: „ლატივიური“, „ლიტვიური“, „ესტონური“, „ბულგარული“, „ავსტრიული“, „რუმინული“, „ფინური“, „თურქული“ და ა.შ.)

| ოქმის თარიღი | ოქმის ნომერი | განხილულია საქმე, სულ | მსჯავრდებულთა, სულ | I კატეგორიით | II კატეგორიით | | | | საქმე გაიგზავნოს დამატებით გამოძიებაზე | გასახლდეს სსრკ-დან | გადაწყვეტილება არ იყო გამოტანილი |
|----------------------|--------------|-----------------------|--------------------|--------------|---------------|--------|--------|--------|----------------------------------------|--------------------|----------------------------------|
| | | | | | 10 წლით | 8 წლით | 5 წლით | 3 წლით | | | |
| 02.03.38 | 171 | 2 | 1 | 1 | | | | | 1 | | |
| 20.06.38 ბერძნული | 120 | 16 | 16 | 1 | 13 | 1 | 1 | | | | |
| 05.07.38 ბერძნული | 123 | 2 | 2 | | 2 | | | | | | |

254. ნ. ოხოტინი, ა. როგინსკი. შინსახკომის „გერმანული“ ოპერაციის ისტორიიდან 1937-1938 წწ.//რეპრესიები რუსეთის გერმანელების წინააღმდეგ. დასჯილი ხალხი. მოსკოვი. 1999. გვ. 42-43.

| | | | | | | | | | | |
|----------------------------------------|------------------|------------|------------|-----------|------------|----------|----------|----------|-----------|----------|
| 05.07.38 | 188 | 70 | 68 | 22 | 40 | 5 | 1 | | | 2 |
| 31.08.38 | 177 | 82 | 82 | 19 | 63 | | | | | |
| 31.10.38 | 177 ^ა | 54 | 54 | | | | | | 54 | |
| სულ 02.03.38 – 31.08.38 | | 226 | 223 | 43 | 118 | 6 | 2 | 1 | 54 | 2 |

9. „ნაციონალური“ ოპერაციები და „ნაციონალური“ სამეული

შინსახკომის საგანგებო (აქ – „ნაციონალური“) სამეულები სკკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს 1938 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებითა და შინსახკომის 1938 წლის 17 სექტემბრის № 00606 ბრძანებით შეიქმნა. საქართველოში საგანგებო სამეული 1938 წლის 25 სექტემბრიდან 1938 წლის 23 ოქტომბრამდე ფუნქციონირებდა. მასში შედიოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი – კანდიდ ჩარკვიანი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი – სერგო გოგლიძე და რესპუბლიკის პროკურორი – ილარიონ ტალახაძე.

საგანგებო სამეულმა სულ 494 საქმე განიხილა, პირველი კატეგორიით 113 განაჩენი გამოიტანა, მე-2 კატეგორიით კი 381 ადამიანი გაასამართლა. საქართველოს საგანგებო სამეულის გადაწყვეტილებათა სტატისტიკის სსრკ „ნაციონალური“ სამეულების ზოგად მაჩვენებლებთან შედარებისას თვალშისაცემია დახვეწილთა მცირე რაოდენობა მსჯავრდებულთა საერთო რიცხვთან შედარებით.²⁵⁵ პირველი და მეორე კატეგორიის განაჩენთა ასეთი დინამიკა დამახასიათებელი იყო აგრეთვე „ნაციონალური“ ოპერაციის „სააღმომო“ ეტაპისთვისაც საქართველოში.

საქართველოში მოქმედი საგანგებო სამეულის სხდომათა ოქმების ანალიზისას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ტენდენცია. ასე მაგალითად, ყველაზე მეტი სიკვდილით დასჯის განაჩენი, მეორე კატეგორიის განაჩენებთან შეფარდებით, „გერმანული“ და „ესტონური“ ხაზებით იყო გამოტანილი. ასევე შეიძლება იმის მტკიცება, რომ საქართველოში 1938 წლის აპრილიდან „ნაციონალურ ოპერაციათა“ ძირითადი მიმართულება „თურქული“ ხაზი იყო. თურქეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში, დივერსიებსა და საზღვრის არალეგალურად გადაკვეთაში ბრალი დაედოთ არა მხოლოდ ეთნიკურ თურქებს, არამედ ქართველებსაც აჭარიდან, აზერბაიჯანელებს, ხემშილებს და ლაზებს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ „ნაციონალური“ ოპერაციების ფარგლებში იქმნებოდა ახალი „ხაზები“ და მიმართულებები ეთნიკური ჯგუფების მიმართ, რომლებიც ადრე არ გადიოდნენ შინსახკომის მიერ დაგეგმილი ოპერაციებით. ასე მაგალითად, რეპრესირებულნი იყვნენ ასირიელები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ „აისორთა კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური ორგანიზაციის“ შექმნა, აგრეთვე ჯაშუშობა საფრანგეთისა და ირანის სასარგებლოდ. ცალკე ოქმით იყო განხილული „ჩეხური“ ხაზით ბრალდებულთა საქმეები, რის შედეგადაც რეპრესირებული იქნა ორი ადამიანი.

255. ეს ეწინააღმდეგება საერთო-საკავშირო ტენდენციას. 1936 წლის 1 ოქტომბრიდან 1938 წლის 1 ნოემბრამდე მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ № 00606 ბრძანების მიხედვით, სსრკ შინსახკომის ცნობის შესაბამისად სულ რეპრესირებული იყო 93 137 ადამიანი, მათ შორის პირველი კატეგორიით 63 921 ადამიანი და მეორე კატეგორიით 26 248 ადამიანი/საბჭოთა სოფლის ტრაგედია. კოლექტივიზაცია და განკულაკება. 19257-1939. 5 ტომად. მოსკოვი. 2006. ტ. 5. ნიგნი 2. გვ. 305.

და ბოლოს, როგორც მართებულად არის აღნიშნული რიგ კვლევებში²⁵⁶, არ შეიძლება „საგანგებო სამეულები“ განაჩენების სტატისტიკური მონაცემების მექანიკური ექსტრაპოლირება „ნაციონალურ“ ოპერაციათა საბოლოო შედეგებზე, ვინაიდან ოპერაციის დასახელებაში მითითებული „საეჭვო“ ეროვნების წილი, რომლებიც რეპრესირებულნი იყვნენ „საალბომო“ ეტაპზე, გაცილებით მეტი იყო. მსგავსი სიტუაცია ჩამოყალიბდა საქართველოშიც. საგანგებო სამეულის ოქმების საფუძველზე რეპრესირებულთა ნაციონალური შემადგენლობის შესწავლის დროს შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ „ნაციონალურ“ ოპერაციათა მეორე ეტაპზე გაიზარდა მსხვერპლთა პროცენტი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდებოდნენ იმ ეროვნულ დიასპორებს, რომელთა წინააღმდეგაც იყო მიმართული კონკრეტული ოპერაცია. შედეგად საქართველოში „პოლონური“, „გერმანული“, „ირანული“ და სხვა ხაზებით რეპრესირებულნი იყვნენ ასევე ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, სერბები, ებრაელები და სხვა ეროვნების მოქალაქეები.

საქართველოს სსრ შინსახკომის საგანგებო სამეულის განაჩენთა სტატისტიკა (1938 წლის 25 სექტემბერი – 1938 წლის 23 ოქტომბერი)

| ოქმის თარიღი | ოქმის ნომერი | ოპერაცია ან საზი | მსჯავრდებულთა, სულ | I კატეგორია | II კატეგორია | | | საქმე გაიგზავნოს დამატებით გამოიძიებაზე | საქმე გაიგზავნოს სასამართლოში | გათავისუფლდეს | საქმე გადაეცეს სამხედრო კოლეგიას | გასახლდეს სსრკ-დან | საგანგებო სათათბიროზე |
|--------------|--------------|------------------------------|--------------------|-------------|--------------|--------|--------|-----------------------------------------|-------------------------------|---------------|----------------------------------|--------------------|-----------------------|
| | | | | | 10 წელი | 8 წელი | 5 წელი | | | | | | |
| 25.09.38 | 1 | თურქული | 67 | 20 | 35 | 12 | | 1 | | 1 | | | |
| 25.09.38 | 2 | პოლონური | 7 | 3 | 3 | 1 | | 2 | | | | | |
| 25.09.38 | 3 | გერმანული | 7 | 6 | 1 | | | 2 | | | | | |
| 25.09.38 | 4 | ჩეხური | 2 | | 1 | | 1 | | | | | | |
| 25.09.38 | 5 | ირანული | 3 | | 1 | 2 | | | | | | | |
| 25.09.38 | 6 | იაპონური | 6 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | | | | | |
| 25.09.38 | 7 | ფრანგული | 1 | 1 | | | | | | | | | |
| 25.09.38 | 8 | ლიტვური | 0 | | | | | 1 | | 1 | | | |
| 25.09.38 | 9 | ინგლის-ამერიკული და პოლონური | 1 | 1 | | | | 2 | | | | | |
| 25.09.38 | 10 | რუმინული | 1 | | 1 | | | | | | | | |
| 25.09.38 | 11 | ბერძნული | 4 | 1 | 3 | | | | 7 | | | | |
| 25.09.38 | 12 | ბულგარული | 1 | | 1 | | | | | | | | |
| 25.09.38 | 13 | ფინური | 1 | | 1 | | | | | | | | |
| 25.09.38 | 14 | უცნობია | 1 | | | 1 | | | | | | | |
| 29.09.38 | 15 | თურქული | 33 | 4 | 24 | | 5 | | | | | | |
| 29.09.38 | 16 | პოლონური | 4 | 3 | | | 1 | | | | 1 | | |
| 29.09.38 | 17 | გერმანული | 25 | 9 | 14 | 2 | | | | | 1 | | |
| 29.09.38 | 18 | ესტონური | 13 | 11 | 2 | | | 2 | | | | | |
| 29.09.38 | 19 | ირანული | 5 | 5 | | | | | | | | | |

256. ნ.ოხოტინი, ა. როგინსკი. შინსახკომის „გერმანული ოპერაციის“ ისტორიიდან 1937-1938 წწ.//რეპრესიები რუსეთის გერმანელების წინააღმდეგ. დასჯილი ხალხი. მოსკოვი, 1999 წ. გვ. 70-71.

| ოქმის თარიღი | ოქმის ნომერი | ოპერაცია ან ხაზი | მსჯავრდებულთა, სულ | I კატეგორია | II კატეგორია | | | საქმე გაიგზავნოს დამატებით გამოძიებაზე | საქმე გაიგზავნოს სასამართლოში | გათავისუფლდეს | საქმე გადაეცეს სამხედრო კოლეჯიას | გასახლდეს სსრკ-დან | საგანგებო სათათბიროზე |
|---------------------------------------|--------------|------------------|--------------------|-------------|--------------|-----------|-----------|----------------------------------------|-------------------------------|---------------|----------------------------------|--------------------|-----------------------|
| | | | | | 10 წელი | 8 წელი | 5 წელი | | | | | | |
| 29.09.38 | 20 | ბესარა-ბიული | 2 | | 2 | | | | | | | | |
| 29.09.38 | 21 | ბულგარული | 4 | 2 | 2 | | | | | | | | |
| 29.09.38 | 22 | იაპონური | 3 | | 3 | | | | | 1 | | | |
| 29.09.38 | 23 | ლატვიური | 3 | 1 | 2 | | | | | | | | |
| 29.09.38 | 24 | ბერძნული | 4 | | 2 | 2 | | | | 2 | | | |
| სულ: 25.09.38 – 29.09.38 | | | 198 | 68 | 100 | 21 | 9 | 11 | 7 | 5 | 2 | | |
| 01.10.38 | 25 | თურქული | 38 | | | | | | 11 | | | 38 | |
| 01.10.38 | 26 | თურქული | 78 | 5 | 28 | 29 | 16 | | | 1 | | | |
| 01.10.38 | 27 | თურქული | 8 | 1 | 5 | 2 | | | | | | | |
| 01.10.38 | 28 | გერმანული | 3 | 2 | | 1 | | | | | | | |
| 01.10.38 | 29 | ბულგარული | 2 | | 1 | 1 | | | | | | | |
| 01.10.38 | 30 | პოლონური | 2 | 1 | 1 | | | | | | | | |
| 01.10.38 | 31 | ირანული | 1 | | | | 1 | | | | | | |
| 01.10.38 | 32 | იაპონური | 1 | 1 | | | | | | | | | |
| 01.10.38 | 33 | ლატვიური | 1 | | 1 | | | | 1 | | | | |
| 09.10.38 | 34 | თურქული | 10 | 4 | 1 | 4 | 1 | | | | | | |
| 09.10.38 | 35 | ბერძნული | 10 | 3 | | 4 | 3 | | | | | | |
| 09.10.38 | 36 | გერმანული | 17 | 6 | 8 | 2 | 1 | | | | | | |
| 09.10.38 | 37 | ირანული | 16 | 3 | 6 | 6 | 1 | | | | | | |
| 09.10.38 | 38 | პოლონური | 3 | 2 | | | 1 | | | | | | |
| 09.10.38 | 39 | იაპონური | 2 | | 2 | | | | | | | | |
| 09.10.38 | 40 | რუმინული | 1 | | | 1 | | | | | | | |
| 09.10.38 | 41 | ლატვიური | 1 | 1 | | | | | | | | | |
| 09.10.38 | 42 | ფრანგული | 1 | 1 | | | | | | | | | |
| 23.10.38 | 43 | თურქული | 25 | 6 | 15 | 3 | 1 | | | | | | |
| 23.10.38 | 44 | გერმანული | 15 | 5 | 4 | 6 | | 1 | | | | | |
| 23.10.38 | 45 | ირანული | 5 | 1 | 3 | 1 | | | | | | | |
| 23.10.38 | 46 | პოლონური | 6 | 1 | 3 | 2 | | 1 | | | | | 1 |
| 23.10.38 | 47 | ბერძნული | 2 | 1 | 1 | | | | | 1 | | | |
| 23.10.38 | 48 | ირანული | 2 | 2 | | | | | | | | | |
| 23.10.38 | 49 | ესტონური | 2 | 1 | 1 | | | | | | | | |
| 23.10.38 | 50 | ლატვიური | 1 | | 1 | | | | | | | | |
| 23.10.38 | 51 | იაპონური | 1 | | 1 | | | | | | | | |
| 23.10.38 | 52 | იტალიური | 1 | | 1 | | | | | | | | |
| სულ: 01.10.38 – 23.10.38 | | | 255 | 47 | 83 | 62 | 25 | 2 | 12 | 2 | | 38 | 1 |
| ჯამი 25.09.38 – 23.10.38 | | | 453 | 115 | 183 | 83 | 34 | 13 | 19 | 7 | 2 | 38 | 1 |

„ნაციონალურ“ ოპერაციათა სტატისტიკური შედეგები საქართველოში 1937-1938 წწ.

| ოქმის თარიღი | ოპერაცია | მსჯავრდებულთა, სულ | I კატეგორია | II კატეგორია | | | | საქმე გაიგზავნოს დამატებით გამომიძიებაზე | საქმე გაიგზავნოს სასამართლოში | გათავისუფლდეს | საქმე გადაეცეს უზენ. სას. სამხ. კოლეგიას | გასახლდეს სსრკ-დან | გადაწყვეტილება გამოტან. არ არის | საგანგებო სათათბიროზე |
|-------------------------------|-----------------|--------------------|-------------|--------------|--------|--------|--------|------------------------------------------|-------------------------------|---------------|------------------------------------------|--------------------|---------------------------------|-----------------------|
| | | | | 10 წელი | 8 წელი | 5 წელი | 3 წელი | | | | | | | |
| სულ: 26.12.37 -15.07.38 | პოლონური | 145 | 66 | 66 | 7 | 6 | | 6 | | | | | 1 | |
| სულ: 03.01.38 -15.07.38 | ხარბინული | 113 | 60 | 52 | | | | 8 | | | | 1 | | |
| სულ; 14.01.38 -15.07.38 | გერმანული | 104 | 19 | 58 | 6 | 4 | | 9 | | 6 | 17 | 1 | | |
| სულ: 26.03.38 -05.07.38 | ბერძნული | 509 | 91 | 281 | 76 | 52 | 1 | 20 | 34 | 1 | 4 | 8 | 2 | |
| სულ: 09.05.38 -31.08.38 | ირანული | 435 | 38 | 244 | 59 | 48 | 10 | 20 | | | 4 | 36 | 3 | |
| სულ: 02.03.38 -31.08.38 | შერეული | 226 | 43 | 118 | 6 | 2 | | 1 | | | | 54 | 2 | |
| სულ: 25.09.38 -29.09.38 | ნაც. სამეული | 198 | 68 | 100 | 21 | 9 | | 11 | 7 | 5 | 2 | | | |
| სულ: 01.10.38 -23.10.38 | ნაც. სამეული | 255 | 47 | 83 | 62 | 25 | | 2 | 12 | 2 | | 38 | | 1 |
| ჯამი 12.1937- 23.10.38 | | 1982 | 432 | 1002 | 237 | 146 | 11 | 83 | 53 | 8 | 16 | 154 | 9 | 1 |

10. „ნაციონალურ“ ოპერაციათა თავისებურებანი საქართველოში

საქართველოში 1937-1938 წწ. შინსახკომის მასობრივი ოპერაციების საარქივო მასალების შედარებისა და ანალიზის შედეგად იკვეთება დიდი ტერორის პერიოდის „ნაციონალურ“ ოპერაციათა თავისებურებების სურათი. მათი ჩატარების სპეციფიკა კავკასიის ამ რესპუბლიკაში იმაში მდგომარეობს, რომ „ნაციონალური“ ოპერაციები, საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონთა უმრავლესობისგან განსხვავებით, საქართველოში არ ატარებდა მასშტაბურ ხასიათს. თუ რსფსრ, უკრაინასა და ბელორუსიაში „ნაციონალური“ ოპერაციები 1938 წლის იანვარ-თებერვლიდან იქცა შინსახკომის საქმიანობაში მთავარ მიმართულებად, საქართველოში მათ არ მიუღია ასეთი ხასიათი და ძირითადად, დუნედ მიმდინარეობდა, თუმცა საქართველოში კომპაქტურად ცხოვრობდნენ რიგი დიასპორის წარმომადგენლები, რომელთა წინააღმდეგაც მიმდინარეობდა „ნაციონალური“ ოპერაციები. შედეგად „ნაციონალურ“ ოპერაციათა პოტენციური მსხვერპლის დიდი ნაწილი რეპრესირებული იყო შინსახკომის სხვა ოპერაციათა ფარგლებში. ყველა „ნაციონალური“ ოპერაციის საბოლოო სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში დაპატიმრებული იყო „მხოლოდ“ 2152 ადამიანი, მათგან პირველი კატეგორიით მსჯავრი დაედო 432 ადამიანს, მეორეთი – 1396, სსრკ-დან გააძევეს 154 ადამიანი, დამატებით გამოძიებაზე გადაეცა 53 საქმე, გადაწყვეტილება არ იყო გამოტანილი 9 საქმეზე, სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას გადაეცა 16 საქმე, რვა ადამიანი გათავისუფლდა და ერთი საქმე განსახილველად გადაეცა სსრკ შინსახკომის საგანგებო სათათბიროს. ამ მაჩვენებელთა შედარებით სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ხაზით რეპრესირებულთა ციფრებთან, სადაც მსჯავრდებული იყო 3615 ადამიანი, აგრეთვე „კულაკური“ სამეულის მსხვერპლთა რაოდენობასთან (21 078 ადამიანი), შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში „ნაციონალური“ ოპერაციები დიდი ტერორის „პრიორიტეტულ“ მიმართულებას არ წარმოადგენდა.

„ნაციონალურ“ ოპერაციათა სტატისტიკური მონაცემები ასევე ცხადყოფს, რომ პირველი კატეგორიით რეპრესირებულთა პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში დაბალია მეორე კატეგორიით მსჯავრდებულებთან შედარებით. თუ სსრკ სხვა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში „ნაციონალური“ ოპერაციებით დახვრეტილთა რაოდენობა სხვა ოპერაციებით რეპრესირებულებზე მეტია, საქართველოში „ნაციონალური“ ოპერაციების მიმდინარეობისას უმრავლეს შემთხვევებში შედარებით „რბილი“ განაჩენები გამოჰქონდათ. ეს ეხება როგორც ოპერაციის „სააღბომო“ ეტაპს 1938 წლის სექტემბრამდე, ისე „ნაციონალური“ სამეულის ფუნქციონირების პერიოდს – 1938 წლის სექტემბრიდან ოქტომბრის დასასრულამდე.

აღნიშნული ტენდენციის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება მივიღეთ აგრეთვე იმ დასკვნამდე, რომ „ნაციონალურ“ ოპერაციათა ფარგლებში მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა ნაკლები იყო საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით ამ ნაციონალურ დიასპორათა წილთან. მაგრამ „ნაციონალური“ ოპერაციები არ უნდა განვიხილოთ საერთო კონტექსტის გარეშე. ასე, შინსახკომის სხვა მასობრივი სადამსჯელო აქციების ფარგლებში საქართველოში მსჯავრდებული იყო ეთნიკური ბერძენების, გერმანელების, თურქების, ლატვიელების, ესტონელების და სხვა ნაციონალური ჯგუფების წარმომადგენელთა დიდი რაოდენობა, რომლებიც სრულად პასუხობდნენ „ნაციონალურ“ ოპერაციათა კრიტერიუმებს. მხოლოდ „სტალინურ“ სიებში მოხსენიებულია 82 გერმანელი, 52 პოლონელი, 14 ლატვიელი, ექვსი ესტონელი და ა.შ.

შემდგომში, კავკასიელი ხალხების დეპორტაციის დროს, ამ ეთნიკურმა ჯგუფებმა სრულად ინვნიეს საბჭოთა სადამსჯელო აპარატის სიმძიმე. ისინი სრულად გადასახლეს კიდეც სსრკ ცენტრალური აზიის რეგიონში. მაგრამ 1930-იანი წლების მასობრივი რეპრესიების დროს ნაციონალური ნიშნით დევნას საქართველოში მაინც არ მიუღია სრულფასოვანი ეთნიკური წმენდის თანაზომიერი მასშტაბები.

საქართველოში მიმდინარე ოპერაციების თავისებურებებზე საუბრისას მნიშვნელოვან დასკვნას, რომელიც ასევე შეიძლება გავრცელდეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში მიმდინარე ოპერაციების ზოგად პრაქტიკაზეც, წარმოადგენს ჩვენი აზრით ის, რომ „ნაციონალური ოპერაციები“ მიმდინარეობდა მოსკოვური ცენტრის მკაცრი კონტროლის ქვეშ. შესაძლოა ცენტრში, „საალბომო“ საქმეების დიდი მოცულობით დაგროვების გამო, „ალბომებთან“ ფორმალური დამოკიდებულება ნორმად ითვლებოდა იმ სიებისთვის, რომლებსაც მოსკოვი სსრკ მსხვილი რეგიონებიდან და რესპუბლიკებიდან იღებდა. მაგრამ „ქართული“ „საალბომო“ ცნობები დეტალურად შეისწავლებოდა და აქტიურ კორექტირებას განიცდიდა სსრკ შინსახკომის ცენტრალური აპარატის მიერ. ასე, 1657 საქმიდან, რომლებიც განხილული იყო „ალბომური“ წესით, მოსკოვის გადაწყვეტილებით 70 შინსახკომის ორგანოების მიერ დამატებით გამოსაძიებლად გაიგზავნა, 34 გადაეცა სხვა ინსტანციის სასამართლოებს, ერთი ადამიანი გათავისუფლდა, 14 ადამიანის საქმე გადაეცა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას, ცხრა ადამიანის მიმართ საბოლოო გადაწყვეტილება გამოტანილი არ იყო.

იგივე ეხება სასჯელის ზომასაც. თუ „ალბომში“ მოყვანილი არგუმენტაცია არ იყო მიჩნეული დასაბუთებულად და დამაჯერებლად, ცენტრი შინსახკომის ქართული სამმართველოების მიერ შეთავაზებული სასჯელის ზომის კორექტირებას მიმართავდა. მაგრამ დაწყებული 1938 წლის სექტემბრიდან, როდესაც საქართველოში საქმიანობას შეუდგა „ნაციონალური“ სამეული, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს სსრ შინსახკომის სახით სადამსჯელო ბიუროკრატიის მოქმედების თავისუფლების სივრცე. პირველ რიგში ეს შეეხო საბოლოო განაჩენებს, რომლებიც ახლა გამოჰქონდათ უშუალოდ ადგილზე.

დიდი ტერორის წლებში სტალინის მიერ სადამსჯელო პოლიტიკის ეთნიკური თეზისი, რომელიც აქტიურად განხილვდა ამჟამად ისტორიოგრაფიაში, საქართველოში 1937-1938 წწ. „ნაციონალური“ ოპერაციების ფარგლებში საარქივო დოკუმენტების ანალიზის თვალსაზრისით ეჭვქვეშ დგება. შესწავლილი საარქივო-საგამოძიებო საქმეები მეტყველებენ იმაზე, რომ პირველ რიგში საუბარია არა დაპატიმრებულების ეთნიკურ კუთვნილებაზე, არამედ მის სოციალურ სტატუსზე და „ანტისაბჭოთა“ ქცევაზე, რაც გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა პოტენციური მსხვერპლის ჩასართავად „ნაციონალურ“ ოპერაციებში. ასე, სოლოგუბოვ-სკობელევის საქმე ადასტურებს, რომ „პოლონური“ სიები დგებოდა არა მხოლოდ ნაციონალური ნიშნის მიხედვით, პირველ რიგში გათვალისწინებული იყო ისეთი ფაქტორი, როგორცაა ბრალდებულის კავშირი პოლონეთთან. მოცემულ შემთხვევაში სოლოგუბოვ-სკობელევი არ იყო ეთნიკური პოლონელი, მაგრამ დაიხვრიტა როგორც პირი, რომელმაც არალეგალურად გადმოლახა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარი. და ეს არ არის ერთეული შემთხვევა, ასე მაგალითად, „ნაციონალური“ სამეულის გადაწყვეტილებით, „ირანული“ ხაზით 8-წლიანი პატიმრობა მიესაჯა 1925 წელს ირან-საბჭოთა კავშირის საზღვრის არალეგალურად გადმოსვლისათვის ილია იოსების ძე რომანაშვილს,

ეროვნებით ქართველს.²⁵⁷ ალექსანდრე სტეფანეს ძე ფურცხვანიძეს, ასევე ქართველს, 10 წელი მიესაჯა „გერმანული“ ოპერაციის ფარგლებში, 1925 წელს გერმანულ სააქციო საზოგადოება „გელზენკინხერში“ მუშაობის გამო.²⁵⁸ კარპ გრიგოლის ძე სტადნიკს, ეროვნებით უკრაინელს, მიესაჯა დახვრეტა „ბერძნული“ ხაზით იმის გამო, რომ იყო რეემიგრანტი ამერიკიდან და აგრეთვე აშშ კომპარტიის ყოფილი წევრი.²⁵⁹ კლიმენტი გრიგოლის ძე ბობულისას, ეროვნებით რუსს, იტალიელ მეზღვაურებთან კავშირის გამო მიესაჯა შრომა-გასწორების ბანაკში 10 წლით პატიმრობა²⁶⁰ და, შესაბამისად, მისი ბრალდების საქმე იდენტიფიცირებული იყო, როგორც „იტალიური“. მოცემულ კონტექსტში საინტერესოა ეროვნებით პოლონელი ივანე ადამის ძე კერჟენევსკის საქმე, რომელსაც „ირანული“ ხაზით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს შრომა-გასწორების ბანაკში. მაშინ, როდესაც მისი მამა, ადამ კერჟენევსკი დაპატიმრეს და ტრადიციულად გაასამართლეს, როგორც „პოლონეთის ჯაშუში“. ი.ა. კერჟენევსკის ბრალი დასდეს, რომ კავშირი ჰქონდა ბათუმში ირანის საკონსულოს მდივან რაგიმ აფასთან და შესაბამისად, ის რეპრესირებული იყო შინსახკომის № 202 დირექტივის საფუძველზე²⁶¹. მოცემული ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს, ასე, „გერმანული“ ოპერაციით საქართველოში რეპრესიები განიცადეს პოლონელებმა, ლატვიელებმა, ჩეხებმა, „თურქული“ ხაზით – ქართველებმა და ბერძნებმა, „რუმინულით“ – ბულგარელებმა და ა.შ. ე.ხ. გრეცინგერის ბრალდების კონსტრუქცია – „გერმანელი – ტროცკისტი – მავნებელი“ – აჩვენებს, რომ რეპრესირებულთა სიებში ჩასართავად მისი გერმანული წარმოშობა იყო მხოლოდ ერთ-ერთი კრიტერიუმი, იმ დროს, როდესაც მისი ბრალდების ფორმულირება „კიროვბადის დეპოში ორთქლმავლის რემონტის ჩაშლა“ შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა მის, როგორც „მავნებლის“ ბრალდებას მასობრივი რეპრესიების სხვა ხაზების მიხედვითაც. ალექსანდრე იურის ძე კობას („ესტონური“ ოპერაცია) საქმეზე ჩატარებული სხდომის ოქმიდან ჩანს – მიუხედავად იმისა, რომ იგი დაპატიმრებული იყო, როგორც კონტრრევოლუციური ესტონური ორგანიზაციის წევრი, მსჯავრდებულ იქნა პირველ რიგში სოციალური წარმომავლობის („გლეხი-კულაკებიდან“) და კოლექტიური მეურნეობის იდეის დისკრედიტაციის გამო. ეს არ იყო ერთეული შემთხვევა, არამედ საქართველოში „ნაციონალური“ ოპერაციების დამახასიათებელი ტენდენცია.²⁶² „ხარბინელთა“

257. ი. ი. რომანაშვილის ბრალდების საქმე, განხილული საქართველოს სსრ შინსახკომის საგანგებო სამეულის სხდომაზე 23.10.1938 წ./საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ნაციონალური სამეულის ოქმები. ოქმი № 45. ფ. 8. ს. 38 471. ფ. 49.

258. ა. ს. ფურცხვანიძის ბრალდების საქმე, განხილული საქართველოს შინსახკომის საგანგებო სამეულის სხდომაზე 23.10.1938 წ./საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ნაციონალური სამეულის ოქმები. ოქმი № 44. ფ. 8. ს. 38 471. ფ. 37.

259. კ. გ. სტადნიკის ბრალდების საქმე, განხილული საქართველოს სსრ შინსახკომის საგანგებო სამეულის სხდომაზე 23.10.1938 წ./საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ნაციონალური სამეულის ოქმები. ოქმი № 47. ფ. 8. ს. 38 471. ფ. 58.

260. კ. გ. ბობულის ბრალდების საქმე, განხილული საქართველოს სსრ შინსახკომის საგანგებო სამეულის სხდომაზე 23.10.1938 წ./საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ნაციონალური სამეულის ოქმები. ოქმი № 52. ფ. 8. ს. 38 471. ფ. 68.

261. ი. ა. კერჟენევსკის ბრალდების საქმე, განხილული საქართველოს შინსახკომის საგანგებო სამეულის სხდომაზე 23.10.1938/საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ნაციონალური სამეულის ოქმები. ოქმი № 45. ფ. 8. ს. 38 471. ფ. 48.

262. ა. ი. კობას ბრალდების საქმე, განხილული საქართველოს სსრ შინსახკომის საგანგებო სამეულის სხდომაზე 23.10.1938/საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ნაციონალური სამეულის ოქმები. ოქმი № 49. ფ. 8. ს. 38 471. ფ. 64.

ოპერაციის საქმეთა და ოქმების ანალიზი, სადაც რეპრესირებულთა უმრავლესობა ეთნიკური ქართველი იყო, კიდევ ერთხელ ადასტურებს თეზისს იმის შესახებ, რომ არაა მიზანშეწონილი მოცემული სადამსჯელო ოპერაცია განხილული იყოს „ნაციონალურ“ ოპერაციათა კონტექსტში. და ბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში შინსახკომის სხვა მასობრივი ოპერაციების ფარგლებში მსჯავრდებული იყო ეთნიკური ბერძენების, გერმანელების, თურქების, ლატვიელების, ესტონელების და სხვა ეროვნებათა ბევრი წარმომადგენელი, რომლებიც გადიოდნენ „ნაციონალურ“ ოპერაციათა კრიტერიუმებით. ასე მაგალითად, „სტალინური“ სიებით რეპრესირებული იყო 82 გერმანელი, 52 პოლონელი, 14 ლატვიელი, ექვსი ესტონელი და ა.შ.

დასასრულს შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს შინსახკომისთვის იმ პირთა სოციალური სტატუსი, რომლებიც გასამართლდნენ საქართველოში „ნაციონალური“ ოპერაციების ფარგლებში, აგრეთვე მათი აქტიური ანტისაბჭოთა საქმიანობა იყო დაპატიმრებისთვის ისეთივე წონადი მიზეზები, როგორც მათი კუთვნილება „საეჭვო“ ნაციონალურ უმცირესობებისადმი. შედეგად „ნაციონალური“ ოპერაციების მსხვერპლთა უდიდესი ნაწილი იმავე ალბათობით შეიძლება რეპრესირებული ყოფილიყო „კულაკური“ და „მილიციური“ ოპერაციების ფარგლებში, აგრეთვე სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ. რა თქმა უნდა, ეთნიკურ კუთვნილებას ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა საქართველოს შინსახკომის ორგანოებისთვის, ხშირად სწორედ ეს ასრულებდა დაპატიმრების კატალიზატორის როლს, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი ამა თუ იმ პირის დასაპატიმრებლად, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე მსჯავრის დადებაზე, მაინც იყო კავშირი საზღვარგარეთთან, „ანტისაბჭოთა“ ქცევა და „საეჭვო“ სოციალური სტატუსი.

სადამსჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაცია

შინსახკომის ოპერაციების გამოკვლევათა მნიშვნელოვან შედეგს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით წარმოადგენს დასკვნა, რომ მასობრივი არასასამართლო ტერორი მიმართული იყო უპირატესად „უბრალო“ მოსახლეობის, სოციალურად და პოლიტიკურად არაპრივილეგირებული ჯგუფების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ელიტის დევნა განეკუთვნებოდა კონსტიტუციით დაკანონებული ტრადიციული სამართალწარმოების კომპეტენციას, მის ისეთ განსაკუთრებულ ორგანოებს, როგორებიც იყო სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, სსრკ უზენაესი სასამართლოს სპეცკოლეგია, აგრეთვე რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო სასამართლოები, სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბირო და სამხედრო ტრიბუნალები.²⁶³ რუსი ისტორიკოსი ვლადიმერ ხაუსტოვი (უშიშროების ფედერალური სამსახურის აკადემია) წერს: „1937-1938 წლების მასობრივი ოპერაციების დროს საბჭოთა ნომენკლატურის რეპრესირება არ შეიძლებოდა რესპუბლიკებსა და ოლქებში „სამეულების“ მიერ შემოღებული გამარტივებული პროცედურების საფუძველზე“²⁶⁴.

მოვიყვანთ ორ მაგალითს, თუ როგორ გამოიყურებოდა რეალურად სადამსჯელო ინსტიტუტების „იერარქია“: კალინინის ოლქში შინსახკომის მიერ მოგონილი ტროცკისტულ-ტერორისტული „რუსეთის მუშურ-გლეხური პარტიის“ საქმის გამო მისი ხელმძღვანელობა გასამართლდა სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1938 წლის დასაწყისში, ხოლო „რიგითი“ შემადგენლობა – *სამეულის* მიერ.²⁶⁵ თავის მხრივ, ლავრენტი ბერია სსრკ შინსახკომის № 00606 ბრძანების (განსაკუთრებული *სამეულების*²⁶⁶ ჩამოყალიბების შესახებ, რომელთაც გადაეცათ გაუქმებული ე.წ. „ორეულების“ ფუნქციები) განმარტებით ბარათში 1938 წლის 21 სექტემბერს აღნიშნავდა, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების (პროფესორების, ექიმებისა და ა.შ.), შინსახკომის თანამშრომელთა და მეთაურთა შემადგენლობის საქმეები არ შედის განსაკუთრებული სამეულების კომპეტენციის სფეროში.²⁶⁷ მაგრამ თეზისი ელიტისა და „რიგითა“ სელექციური მსჯავრდების მკვეთრად გამიჯვნის შესახებ განხილული უნდა იყოს მნიშვნელოვანი დამატებითი შენიშვნით, ვინაიდან ჯერ არ არის შესწავლილი არასასამართლო ორგანოების („სამეულები“, „ორეულები“) და „ნორმალური“ სამარ-

263. ავტორები მაღლობას უხდიან ანდრეი სავინს, ბერნდ ბონვეჩს და იურგენ ზარუსკის მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი ხასიათის შენიშვნებისათვის.

264. ლუბიანკა. საბჭოთა ელიტა სტალინურ გოლგოთაზე. 1937-1938/შემდგ. ვ. ნ. ხაუსტოვი. მოსკოვი, 2011. გვ. 5.

265. „ჩეკადან“ უშიშროების ფედერალურ სამსახურამდე. 1918-1998. ტვერის ოლქის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ისტორიის დოკუმენტები და მასალები/შემდგ. ვ. ლ. სმირნოვი, ლ. ვ. ბორისოვი, მ. ვ. ცვეტკოვა. ტვერი, 1998. გვ. 153.

266. საგანგებო *სამეულის* ქვეშ, როგორც წესი, იგულისხმებოდა № 00606 ბრძანების თანახმად 1938 წლის სექტემბერში „ნაციონალური“ ოპერაციების ფარგლებში დაარსებული *სამეულები*. საქართველოში კი, პირიქით, „საგანგებო *სამეულად*“ თანმიმდევრულად იწოდებოდა „*კულაკური*“ *სამეული*. ტერმინოლოგიური აღრევის თავიდან ასაცილებლად ჩვენ აქ, № 00447 ბრძანებით შექმნილი საქართველოს სსრ შინსახკომის *სამეულის* აღსანიშნავად გამოვიყენებთ ტერმინს „*კულაკური*“ *სამეული*.

267. „ჩეკადან“ უშიშროების ფედერალურ სამსახურამდე. 1918-1998. გვ. 168-170.

თაღწერების ორგანოების (სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, სამოქალაქო სასამართლოები, სამხედრო ტრიბუნალები, სასამართლოთა სპეცკოლეგიები) ურთიერთქმედება.

ზოგადად, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ამ ნაკლის აღმოფხვრა და სხვადასხვა სადამსჯელო ორგანოს ფუნქციონირების მექანიზმების გამოვლენა, აგრეთვე მათი კომპეტენციების გადაკვეთისა და სტრუქტურათა პარალელობის შესწავლა. ასევე გასარკვევია, ჰქონდა თუ არა ადგილი საბჭოთა კავშირში იმ „კოლექტიურ“ ქმედებებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო ნაციონალ-სოციალიზმისთვის, როდესაც ხელისუფლების თითოეული ორგანო მოქმედებდა გულმოდგინებით „რეიხის მტრების“ მოსასპობად²⁶⁸ თუ პირიქით, სსრკ-ში შეიძლება მხოლოდ ერთი დანესებულების გამოყოფა, რომელიც გამოდიოდა რეპრესიების ორგანიზატორად და „ძირითად მამოძრავებელ ძალად“?

ავტორებს იმედი აქვთ, რომ მიიღებენ ახალ დასკვნებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება ადამიანთა განადგურების იმ შემადრწუნებლად მაღალი მაჩვენებლების მიზეზების ადეკვატურად ახსნა, რომლებიც ახასიათებდა 1937-1938 წლების დიდ ტერორს. ამასთან, ავტორები აქ დისტანცირებენ ტერორის ახსნის იმ თეორიებიდან, რომლებიც გამოდიან ი. ბ. სტალინის შესაძლო ფსიქიკური პათოლოგიიდან, ან ისეთი ცალკეული ბოლშევიკური ლიდერის ხელმძღვანელობის სტილიდან, როგორც იყო ლ. პ. ბერია საქართველოში ყოფნის დროს. აქ იმდენადაა უკუკავშირი „პიროვნულ“ ისტორიასთან, რამდენადაც ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რისი მოთხრობა შეუძლიათ ისტორიული პერსონაჟების, მათი ზრახვებისა და აზროვნების ნების შესახებ მათ მიერ შექმნილ სტრუქტურებს.

1. დიქტომია

როდესაც საუბარია საბჭოთა სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების დევიანტური სოციალური და პოლიტიკური ქცევის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაზე, ისტორიოგრაფიაში ხშირად ხდება იუსტიციისა და პოლიტიკური პოლიციის ორგანოების დაპირისპირება. მკვლევარების ამოსავალი წერტილი, როგორც ეს მკაფიოდ ჩამოაყალიბა მიუნჰენის თანამედროვე ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა იურგენ ზარუსკმა, არის ის, რომ იუსტიციისა და საიდუმლო პოლიციის აპარატები საბჭოთა პერიოდში, მათ შორის დიდი ტერორის განმავლობაშიც, თანაარსებობდნენ ძალთა გარკვეული წონასწორობის დაცვით. ამის შედეგად სახელმწიფო ხელისუფლების სადამსჯელო მოქმედებების სტრუქტურა თანდათანობით უფრო მეტად იყო პოლიტიკურად კონტროლირებადი, ინსტრუმენტული და „სახელმწიფოს მიერ რეგულირებული სამართლის უფლების“ მქონე²⁶⁹. აღნიშნულის მიუხედავად, საკითხი იმის შესახებ, განსაზღვრავდა თუ არა ეს გარემოება ტერორის დინამიკასა და მასშტაბებს, ხოლო თუ განსაზღვრავდა – როგორ, არ წარმოადგენს განხილვის საგანს.

ცალკეული საბჭოთა სადამსჯელო ორგანოებისა და ინსტიტუტების კომპეტენციისა და მოქმედების მიმართულების სპეციალური შესწავლის დროს დელავერის უნივერსიტეტის თანამშრომელი დევიდ შილერი საუბრობს ტერორის დიქტომიაზე. იგი, პირველ რიგში, ხაზს უსვამს მკაფიო თვისობრივ განსხვავებას კანონიერი სასამართლო ორგანოების

268. Hilberg, R. Täter, Opfer, Zuschauer. Die Vernichtung der Juden 1933-1945. Frankfurt a. Main, 1997. გვ. 9, 25, 27.

269. Zarusky J. Politische Justiz unter Stalin im Umbruchjahrzehnt 1928-1938//Totalitarismus und Demokratie. 2011. № 1. გვ. 53-76; პ. სოლომონი. საბჭოთა იუსტიცია სტალინის დროს. მოსკოვი, 2008; Arch J., Naumov Oleg V. The Road to Terror. Stalin and the Self-Destruction of the Bolsheviks, 1932-1939. New Haven, 1999. გვ. 221.

მიერ ელიტის შერჩევით გასამართლებასა და არასასამართლო ორგანოების მიერ ქვედა სოციალური ფენების მასობრივ გასამართლებას შორის. ეს თეზისი მსგავსია ფრენკელის მიერ მოწოდებული „ორმაგი ნაციონალ – სოციალისტური სახელმწიფოსი“.²⁷⁰ ამ ინტერპრეტაციის თანახმად, მასობრივი რეპრესიების მრავალი მსხვერპლი დაპატიმრებული და მსჯავრდებული იყო არა განსაკუთრებული გადაცდომის ან დანაშაულის, არამედ „საეჭვო“ სოციალური კატეგორიისადმი კუთვნილების გამო.²⁷¹

იურგენ ზარუსკი ასევე აღნიშნავს ელიტის გასამართლების თვისობრივ თავისებურებას. ის წერს: „საბჭოთა ელიტის წარმომადგენელთა მიმართ განაჩენის გამოტანის სანქცია სტალინისა და მისი უახლოესი გარემოცვის კომპეტენცია იყო“²⁷².

საარქივო მასალების საფუძველზე, რომლებიც პირველად ქვეყნდება აღნიშნული ქართულ-გერმანული კვლევითი პროექტის ფარგლებში და ეძღვნება მასობრივი ოპერაციების შესწავლას საქართველოში, დღეს შესაძლებელი გახდა არასასამართლო, არაკონსტიტუციური, არალეგალური სადამსჯელო ორგანოების მოქმედების საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით დაკანონებულ სასამართლო ინსტანციის მოქმედებასთან დაკავშირება. საუბარია საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულსა და სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაზე²⁷³.

როგორც აღვნიშნეთ, სამეულები ან, შესაბამისად, „კულაკური“ სამეული გაიარა ყველამ, ვისაც შეეხო შინსახკომის № 00447 ბრძანება „კულაკების, სისხლის სამართლის დამნაშავეების და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტების შესახებ“. მათი მეშვეობით გასამართლდნენ ძირითადად გლეხები, წვრილი მოსამსახურეები, საბჭოთა ხელისუფლების წარმოსახვითი და ნამდვილი პოლიტიკური და სოციალური მტრები, მაგალითად, შეძლებული გლეხები, სისხლის სამართლის დამნაშავეები, მათხოვრები, მღვდლები, სექტანტები, ყოფილი სოციალ-რევოლუციონერები, მენშევიკები, ანარქისტები, რევოლუციამდელი სახელმწიფო აპარატის მოსამსახურეები. მასობრივი ოპერაციების მსხვერპლთა მცირე

270. Fraenkel E. The Dual State. A Contribution to the Theory of Dictatorship. New York/London/Toronto, 1941.

271. Shearer D. Policing Stalin's Socialism: Repression and Social Order in the Soviet Union, 1924-1953. New Haven, London, 2009. გვ. 286-287, 290, 296, 365; მ. იუნგე, ბ. ბონვიჩი. უკრაინა, როგორც საბჭოთა კავშირი მინიატურაში//„მტრის გვამებით ხალხის კეთილდღეობისთვის“. ტომი 2. გვ. 593-604.

272. Zarusky. Politische Justiz unter Stalin. გვ. 71.

273. კოლექტივიზაციის პერიოდის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სამეულები დაკანონდა სსრკ ცაკ-ის 1930 წლის 4 თებერვლის საიდუმლო დადგენილებით, ანუ სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც ამ სამმართველოს უფლება ეძლეოდა „[...] კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის კამპანიის ჩატარების დროს თავისი უფლებამოსილება საქმეთა არასასამართლო განხილვის თაობაზე მიენდო მხარეებისა და ოლქების გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლებისთვის, რათა საქმეების არასასამართლო განხილვა შემდგარიყო სამხარეო (საოლქო) აღმასკომების და პროკურატურის წარმომადგენელთა მონაწილეობით“. იხ. საბჭოთა სოფლის ტრაგედია. კოლექტივიზაცია და განკულაკება. დოკუმენტები და მასალები: 5 ტომად. 1927-1939/ შემდგ. ნ. იენიციკი, მ. უდიუკინა, ე. ხანდურინა და სხვ. ტ. 2: 1929 წ. ნოემბერი-1930 წ. დეკემბერი. მოსკოვი, 2000. გვ. 174. ანალოგიური გადაწყვეტილება დიდი ტერორის სამეულების მიმართ დღემდე უცნობია. როგორც ჩანს, სამეულების არასასამართლო ინსტრუმენტი ოფიციალურად ლიკვიდირებული იყო მხოლოდ რვა წლის შემდეგ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და სკკპ(ბ) 1938 წლის 17 ნოემბრის ერთობლივი დადგენილებით. იხ. სსრკ სკს და სკკპ(ბ) ცკ 1938 წლის 17 ნოემბრის დადგენილება „დაპატიმრებების, საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიების წარმართვის შესახებ“//მ. იუნგე, გ. ბორდიუგოვი, რ. ბინერი. დიდი ტერორის ვერტიკალი. შინსახკომის № 00447 ბრძანების შესაბამისი ოპერაციების ისტორია. მოსკოვი, 2008. გვ. 426-428. ამრიგად, სამეულები იყო ლეგალური, მაგრამ არალეგიტიმური სადამსჯელო ორგანოები, საბჭოთა პირობებშიც კი. ბ. ბონვეჩის გამოთქმით, საუბარია „ილევალურ ლეგალურობაზე“. ავტორები მადლობას უხდებიან ბერნდ ბონვეჩს, ანდრია საეინს და გენადი ბორდიუგოვს საკითხის განხილვაში დახმარებისთვის.

ჯგუფს წარმოადგენდნენ მუშები.

საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, თავის მხრივ, როგორც წესი, განიხილავდა „პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანოების ხელმძღვანელი პირების, სახალხო კომისრებისა და მათი მოადგილეების, მსხვილი სამეურნეო ხელმძღვანელების, ცნობილი სამხედრო მოსამსახურეების, მწერლების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა“, ჩვეულებრივი მოქალაქეების, ისევე, როგორც პროკურატურის, სასამართლო ორგანოების და თვით შინსახკომის თანამშრომელთა საქმეებს²⁷⁴. საქმეთა განხილვა მიმდინარეობდა ბრალდებულის დასწრებით, მაგრამ ვეცილის დაუსწრებლად. განაჩენთა თითქმის 85% სასიკვდილო იყო. შესაძარებლად, სასიკვდილო განაჩენთა წილმა, რომლებიც გამოტანილი იყო ნაციონალური ოპერაციების მსვლელობისას, ე.წ. „უმაღლესი ორეულის“ – სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის კომისიის და სსრკ პროკურორის მიერ, შეადგინა დაახლოებით 73%, „კულაკური“ სამეულის მიერ – 50%. „რაც უფრო ზემოთ, მით მეტი სისასტიკე, მეტი სისხლი, მეტი პასუხისმგებლობა“²⁷⁵.

2. ელიტისა და „ქვედა ფენის“ აღრევა

1937-1938 წლებში საქართველოში მიმდინარე დიდი წმენდის აშკარა და სპეციფიკურ განსხვავებას საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისგან „კულაკური“ სამეულის მიერ გასამართლებული საშუალო და უმაღლესი განათლების მსხვერპლთა ექსტრემალურად დიდი რაოდენობა წარმოადგენს²⁷⁶. ასევე უცნაურია მის მსხვერპლთა შორის სკკპ(ბ) წევრთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა სიჭარბე²⁷⁷. ისმის კითხვა: ხომ არ წარმოადგენდა საქართველოს შინსახკომის სამეული უპირატესად ე.წ. „ქვედა ფენის“, ანუ უბრალო საბჭოთა მოსახლეობის, ძალაუფლებისგან და პრივილეგიებისაგან შორს მდგომი ადამიანების მსჯავრდების საკავშირო პრაქტიკის საპირისპიროდ, დაჩქარებულ სასამართლოს შერისხული ელიტისთვის?

ისმის კითხვა, თუ როგორ შეესაბამება ელიტისა და „ქვედა ფენის“ აღრევის ეს ფენომენი დევიდ შირერის მიერ წამოყენებულ თეზისს ტერორის დიქტომიის შესახებ, რომლის მიხედვითაც დიდი ტერორის დროს ადგილი ჰქონდა დევნის მკაფიო დაყოფას სელექტიურ და ინდივიდუალურ სტრატეგიად – ელიტის მიმართ და მასობრივი ოპერაციების კამპანიურ სტილად – „ქვედა ფენის“ მიმართ. თუ ამ დიქტომიას ძალა არ ჰქონდა მხოლოდ საქართველოში და მართლა პასუხობდა დიდი ტერორის განვითარების გენერალურ ხაზს? ამასთან, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ სამეულები წარმოადგენდნენ რეგიონულ სადამსჯელო ორგანოს, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ შინსახკომის ადგილობრივი ორგანოს, პარტიული ორგანიზაციისა და პროკურატურის წარმომადგენლები, ხოლო სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის შემთხვევაში საუბარია ცენტრალურ, „დედაქალაქის“ სასამართლო ინსტანციაზე, რომელიც დროდადრო გამსვლელ სესიებს აწყობდა პროვინციებში. აუცილებელია შემომნდეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეგი-

274. იხ.: „საგანგებო სამეულების გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუყოვნებლივ“//ისტორიკი. 1999. № 5. გვ. 81-84. დიდი ტერორის დროს (1937 წლის ივლისი – 1938 წლის 12 ნოემბერი) სამხედრო კოლეგიამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 36.190 ადამიანს. იხ. აგრეთვე: ო. თ. სუვენიროვი. სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია (1937-1939 წწ.)//„ვოპროსი ისტორიი“. 1995. № 4. გვ. 137-146.

275. ნ. ოხოტინი. [უსათაურო]//2002 წლის 30 ოქტომბერი. № 21. გვ. 5.

276. ცხრილი № 9.

277. იქვე.

ონულ ასპექტებს შეეძლოთ შეესრულებინათ მეტი როლი რეგიონული ელიტების გასამართლების დროს „ადგილობრივი“ სადამსჯელო ორგანოს მიერ, ვიდრე ცენტრალური ინსტანციის მიერ გასამართლების დროს.

საქართველოს არქივებში აღმოჩენილი დოკუმენტები ისტორიოგრაფიაში დადგენილი წარმოდგენების ახალი გააზრების საბაზს იძლევა. ჯერ ერთი, ისინი ასაბუთებენ, რომ ამ საბჭოთა რესპუბლიკაში, „კულაკური“ ოპერაციის ფარგლებში (ანუ დიდი ტერორის კლასიკური მასობრივი ოპერაციის ფარგლებში), გასამართლდა მრავალი პირი, რომლებიც თავდაპირველად ცენტრალურ და „ელიტურ“ სსრკ უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტს წარმოადგენდა²⁷⁸. მეორე თავისებურება, რომელიც ქართული საარქივო დოკუმენტებით შეიძლება დავასაბუთოთ, ეხება ელიტისა და ქვედა ფენის გასამართლების სტრუქტურას „კულაკური“ სამეულის მიერ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მრავალი დოკუმენტი „კულაკური“ სამეულისა და სამხედრო კოლეგიის მიერ გასამართლების მექანიზმის მსგავსებას ასახავს.

მასალა შემდეგი გეგმის მიხედვითაა მოყვანილი: თავდაპირველად ნაჩვენებია, თუ როგორ ხდებოდა საქმეთა გადაცემა განსახილველად სამხედრო კოლეგიის მიერ „კულაკური“ სამეულისთვის. განხილული იქნება სხვადასხვა ეტაპები: პერიოდი, როდესაც სამხედრო კოლეგიის მიერ საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულისთვის საქმეების გადაცემა ჩვეული მოვლენა იყო. შემდეგ პერიოდი, როდესაც „კულაკურმა“ სამეულმა სრულიად შეითავსა სამხედრო კოლეგიის ფუნქციები. ამასთან, პირველ რიგში, შევეცდებით დავადგინოთ, არსებობს თუ არა იმის მტკიცებულებები, რომ საქართველოს თავისებურება – გაესამართლებინა ელიტა სამეულის სხდომებზე, იყო ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსკოვს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობის შედეგი; ან იქნებ, საქართველოში მოიძებნა „სწორი“ არგუმენტები ელიტის ათვალწუნებული წარმომადგენლების მასობრივ ოპერაციაში „ჩასართველად“? რომელი ასპექტი შეიძლება მივიჩნიოთ ამ შემთხვევაში ზოგადი ხასიათის მქონედ და რა არის დამახასიათებელი მხოლოდ საქართველოსთვის? ამ კონტექსტში ასევე საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი არგუმენტებით ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, როდესაც სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კომისიის შესასრულებელ სამუშაოს ასრულებდა.

„კულაკური“ სამეულისთვის გადაცემული საქმეების საკითხის განხილვისას შევეცდებით ასევე დავადგინოთ, გააჩნდა თუ არა მოსკოვს განსხვავებული საკონტროლო მექანიზმები „კულაკური“ სამეულის მოქმედების საკონტროლოდ, რათა სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის გასამართლების პროცესზე მეთვალყურეობა ეწარმოებინა? შეიძლება თუ არა „კულაკური“ სამეული დახასიათდეს, როგორც სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებების მორჩილი შემსრულებელი?

მხოლოდ ამ პრინციპული საკითხების გარკვევის შემდეგ იქნება შესაძლებელი „სამეულის“ მიერ მსჯავრდებულ პირთა სოციალური შემადგენლობის შეფასება. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აღდგება სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის სოციალური წარმოშობა, პარტიული კუთვნილება და განათლება, რათა მიღებული მონაცემები „კულაკური“ სამეულის „ჩვეულებრივ“ კონტინგენტთან შედარდეს. ამასთან, აუცილებელია, პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: შეიძლება თუ არა მკვეთრად გაიმიჯნოს ორივე სადამ-

278. სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კომპეტენციას განეკუთვნებოდა არა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა საქმეების, არამედ, უმნიშვნელოვანეს შემთხვევებში, სამოქალაქო პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულების განხილვაც. აქ, პირველ რიგში, საუბარია ე.წ. „პოლიტიკურ იუსტიციაზე“. იხ. Zarusky, Politische Justiz unter Stalin. გვ. 53-76.

სჯელო ორგანოს კონტინგენტი? სამეულს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ ქართული ელიტის „მხოლოდ“ საშუალო ფენის საქმეები გადაეცემოდა, თუ ასევე წარჩინებული კადრებისა და ინტელიგენციის? ხომ არ არსებობს მინიშნებები იმის შესახებ, რომ საქართველოს თავისებურება (მისი მრავალეთნიკურობა და ქართული ინტელიგენციის მენშევიკური წარსული) გახდა „კულაკური“ სამეულის მიერ მათი სისტემატური გასამართლების მიზეზი?

ამ შუალედური ეტაპის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისა და „კულაკური“ სამეულის მიერ განაჩენის გამოტანის მექანიზმების შედარებას, რათა ამ შემთხვევაშიც გამოვლინდეს მოქმედების თანავარობა. დასასრულს, შევცადებით, გამოვიყენოთ მიღებული შედეგები დიდი ტერორის ფარგლებში მიმდინარე რეპრესიების ტიპური სტალინური რეჟიმის ფუნქციონირების განხილვისათვის.

3. წინასწარი შერჩევა

1937 წლის 13 აგვისტოს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ს. ი. კუგელს გადაუდებელი საქმე უნდა მოეგვარებინა²⁷⁹. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, ა. ნ. რაფავასთვის მიწერილ წერილში იგი ითხოვდა, მისთვის ადგილი დაეჯავშნათ დედაქალაქში „მომლოდინეთა რიგში“ უკვე დასრულებული საგამოძიებო საქმეების წარსადგენად 315 პირზე, რათა განსახილველად სამეულისთვის გადაეცათ. საქმე ეხებოდა საქართველოს სსრ შინსახკომის „კულაკური“ სამეულის მიერ ამ საქმეების სწრაფად განხილვას, რათა „[...] მცირედი შვევა ეგრძნოთ როგორც დაწესებულებების, ისე გამომძიებლის გათავისუფლების თვალსაზრისით და ახალი პარტიისთვის მიეხედათ“²⁸⁰. იმ დროისთვის ს. კუგელთან 700-მდე საგამოძიებო საქმე იყო დაგროვილი. უახლოეს პერიოდში დამატებით 200-მდე პირი უნდა დაეპატიმრებინათ და, ასევე, მომზადებული იყო სიები, რომელთა საფუძველზეც „კულაკური“ სამეულისთვის „ახალი“ კონტინგენტი უნდა დაეპატიმრებინათ. იქამდე, სრულიად პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, როგორც ეს ს. კუგელის სიტყვებიდან გამომდინარეობს, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ძირითადად იმ პირთა საქმეების გადახედვით იყვნენ დაკავებულნი, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საპატიმროებში იმყოფებოდნენ და სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი.

„დიდი წმენდის“ ზღურბლზე, აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ასევე იმ ძირითად კრიტერიუმებზე სურდა შეთანხმება, რომელთა მიხედვით დაპატიმრებულები სხვადასხვა სასამართლო და არასასამართლო ორგანოებსა და ინსტანციებს შორის უნდა გადანაწილებულიყვნენ („კულაკური“ და „მილიციის“ სამეულები, ორეული, განსაკუთრებული სათათბირო, სამხედრო ტრიბუნალი, სსრკ უმაღლესი სასამართლოს

279. სერგი ისაკის ძე კუგელი (1904-1938) დაიბადა სანკტ-პეტერბურგში, ეროვნებით – ებრაელი. მოსამსახურე. სკკპ(ბ) წევრი 1931 წლიდან. დაპატიმრებულ იქნა 28.02.1938 წ. 58-1ა, 58-8, 58-11 მუხლებით, საქართველოს სსრ შინსახკომის მე-4 განყოფილების თანამშრომლის, კრიმიანის მიერ განყოფილების უფროს ს. ს. დავლიანიძის სანქციით. გასამართლდა საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის მიერ 1938 წლის 3-5 მარტს, მიესაჯა სასჯელი უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რომელიც სისრულეში მოყვანილ იქნა 1938 წლის 7 მარტს. კუგელის საგამოძიებო საქმე №14916 განადგურდა 1948 წლის აქტით.

280. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში 1937 წლის 13 აგვისტოს დოკუმენტი № 15 „აჭარის ასსრ შინსახკომის უფროსის მოადგილე ს. ი. კუგელი საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ნ. რაფავას „კულაკური“ სამეულისთვის კონტინგენტის შერჩევის მექანიზმის შესახებ“.

სამხედრო კოლეგია) და ასევე გაერკვია, შესაძლებელი იყო თუ არა მოქნილობის გამოვლენა, რომელიც „კონტინგენტის“ აღნიშნულ სადამსჯელო ორგანოებს შორის გადანაცვლების საშუალებას მისცემდა. ამისთვის მან ჩამოაყალიბა, თუ რა კატეგორიის პირებისგან შედგებოდა 315 ადამიანისგან დაკომპლექტებული „კონტინგენტი“, რომელთა გასამართლებაც სამეულის მიერ იყო გათვალისწინებული: თითქმის ნახევარი – 154 პირი – მან იმ „კონტინგენტიდან“ შეარჩია, რომელთა გასამართლებაც თავდაპირველად სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, 76 პირი პირველ სიაში მოხვდა, რომელიც სამხედრო კოლეგიისთვის 1937 წლის 31 მაისს შედგა, ხოლო 79 პირი – მეორე სიაში, რომელიც 1937 წლის 26 ივნისით იყო დათარიღებული²⁸¹. მოსალოდნელი საყვედურის თავიდან ასაცილებლად ს. კუგელმა მოახსენა, რომ ბრალდებულთა ნაწილის „გადარჩევის“ უფლება მას საქართველოს სსრ სახალხო კომისარ ს. ა. გოგლიძისგან ჰქონდა მიღებული მას შემდეგ, რაც მასთან „გამოძიებითა და პატიმრებით გადატვირთვის“ შესახებ დაეჩივლა²⁸². დასასრულს, ს. კუგელი ა. რაფაევს თხოვდა ნებართვას, რომ მომავალში, სამეულებისთვის გადასაცემი „კონტინგენტების“ შედგენის დროს, ზოგიერთი ჯგუფური საქმეც გადაცემულიყო, რომლებიც პროფილით იმ საქმეთა დონისა და პროფილის შესაბამისი იქნებოდა, რომელსაც სამხედრო კოლეგია განიხილავდა. შუამდგომლობის დასაბუთებისთვის იგი კვლავ საკუთარი უწყების „განტვირთვის“ აუცილებლობაზე მიუთითებდა. თუმცა, სამხედრო კოლეგიისთვის გასასამართლებლად, ს. კუგელის მიხედვით, დამატებით 110-120 ადამიანი იქნა დატოვებული, რომელთაც იგი „ყველაზე ხელმძღვანელ აქტივად“ ახასიათებდა²⁸³.

ნორმალური პროცედურიდან აღნიშნული გადახრა ბადებს კითხვას იმ 315 ადამიანის საქმეთა ე.წ. „შეფერვის“ შესახებ, რომელთა საქმეებიც დაჩქარებული წესით განსახილველად სამეულს გადაეცა. სამეულისთვის სტანდარტულ კონტინგენტს შეადგენდნენ მენშევიკები და სოციალისტ-ფედერალისტები (60-65 ადამიანი), ასევე აჭარის მემამბოხეთა ორგანიზაციის წევრები (105-110 ადამიანი). ამ უკანასკნელთა შორის იმალებოდნენ „კულაკები“, სისხლის სამართლის დამნაშავეები, ყოფილი თეთრგვარდიელები, მეფის პოლიციის ჩინოვნიკები და სხვ. ტრადიციული სამეულის ჩარჩოში ვერ თავსდებოდნენ „ტროცკისტები“ (95 ადამიანი), ასევე „ფაშისტები და დივერსანტები“ (40-45 ადამიანი), რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ „კულაკური“ სამეულის მიერ გასამართლებას.

წერილის დასასრულს ეთითებოდა, თუ რომელი კონტინგენტის ხარჯზე უნდა გაეფართოებინათ აჭარელ „ჩეკისტებს“ სამეულის უკვე შედგენილი სიები – „კონტრრევოლუციური მემამბოხე ორგანიზაციების მონაწილეების“, „საკადრო მეკების“²⁸⁴, „ოფიცრებისა“ და სხვ. გარდა ამისა, დამატებით დასაპატიმრებლად უნდა გადაემონებინათ კულაკთა სიები. კიდევ ერთი საშუალების სახით, ს. კუგელი სთავაზობდა სამეულის სიებში სულ მცირე 200 ადამიანის ჩართვას, რომელთა საგამოძიებო საქმეების წარმოებაც დასრულებული არ იყო. ეს ნიშნავდა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განზრახვას, გამოეყენებინათ ხელსაყრელი შესაძლებლობა და სამეულისთვის იმ პირთა საქმეები გადაეცათ, რომელთა ბრალეულობის დადასტურებაც სახელმწიფო პროკურატურის ზედამხედველობის დროს შინსახკომისთვის რთული იყო.

281. იქვე.

282. იქვე.

283. დარჩენილი 100 ადამიანიდან 10 გადაეცა განსასჯელად ღია პროცესზე, მაგრამ კუგელი გეგმავდა სამხედრო კოლეგიის მიერ განსასჯელთა ჯგუფის გაზრდას კიდევ 30 ადამიანით.

284. ანუ მენშევიკების.

ის გარემოება, რომ ს. ი. კუგელის უშუალო უფროსმა, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ნ. ჯინჯოლიამ²⁸⁵ 1937 წლის 19 აგვისტოს, ანუ ს. კუგელის მიერ გაგზავნილი წერილიდან რამდენიმე დღის შემდეგ, უარი განაცხადა, სანქცია გაეცა აჭარის ასსრ ცხრა მცხოვრებლის დახვრეტაზე, რომლებიც ქ. თბილისში 1938 წლის 15 აგვისტოს იქნენ მსჯავრდებულნი სამეულის მიერ, ს.კუგელის პოზიციაში მხოლოდ კონტრაპუქტია. საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებისას გ. ჯინჯოლიამ მიუთითა, რომ აღნიშნულ პირთა საგამოძიებო საქმეები განსახილველად სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისთვის უნდა გადაცემულიყო, რაც თავის დროზე მოსკოვის მიერ იყო დადასტურებული. გ. ჯინჯოლიასთვის მნიშვნელოვანი იყო იმის ჩვენება, რომ მისთვის მიუღებელი იყო მისი თანხმობის გარეშე საქმეთა კვალიფიკაციის ნებისმიერი ცვლილება, რომელიც საქართველოს სსრ შინსახკომის სააღრიცხვო – სარეგისტრაციო მე-8 განყოფილების მიერ ხორციელდებოდა.²⁸⁶

აჭარის ასსრ შინსახკომის ქმედებები საქართველოში რამე განსაკუთრებული მოვლენა არ იყო. ირკვევა, რომ აფხაზეთის ასსრ-ში სამეულს გასასამართლებლად ასევე მრავალი ადამიანი გადასცეს, რომელთა საქმეების განხილვაც სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას ექვემდებარებოდა. მთელი 1937 წლის განმავლობაში ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში სამხედრო კოლეგიის მიერ მხოლოდ 68 პირი იყო გასამართლებული²⁸⁷.

როგორც უკრაინის მაგალითიდან ჩანს, „კონტინგენტების“ გადანაცვლების გამოცდილება ერთი სადამსჯელო ორგანოდან მეორისთვის საქართველოსთვის სპეციფიკური მოვლენა არ იყო²⁸⁸. ეს არის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ სამეული დაჩქარებულ სასამართლოს წარმოადგენდა, რომელიც სხვა სასამართლო და არასასამართლო ორგანოების მიერ „ადამიანური მასალით მარაგდებოდა“.

და მაინც, ს. კუგელის წერილი წარმოადგენს დამატებით საშუალებას, ღრმად გავეცნოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა დაპატიმრებები მასობრივი ოპერაციების დროს. აშკარაა, რომ კონკრეტულ პირზე დაპატიმრების ბრძანების გაცემის დროს წინასწარ იყო მიღებული გადაწყვეტილება გამსამართლებელი ორგანოს შესახებაც; მაშასადამე, შინსახკომისა და მილიციის ორგანოები ადგილებზე არა მხოლოდ რესპუბლიკის, მხარისა თუ ოლქის სამმართველოების მსგავსად გასცემდნენ სანქციებს, არამედ აწესრიგებდნენ დაპატიმრებულთა სიებს მათი განსაზღვრული სასამართლო თუ არასასამართლო ორგანოებისადმი მიკუთვნების მიხედვით. ამგვარად, თუ რეპრესირებული თავდაპირველად კონკრეტული სადამსჯელო ინსტანციის მიერ გასამართლებისთვის იყო განკუთვნილი, დაპატიმრების შემდეგ უკვე მარტივი არ იყო მისი გვარის სხვა სიაში გადატანა და სხვა სადამსჯელო

285. გერმანე ნიკოლოზის ძე ჯინჯოლია (1896), სკპ(ბ) წევრი 1919 წლიდან, გაირიცხა პარტიიდან კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის. მსჯავრდებულია საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულ სამეულის მიერ. სხდომის თარიღი: 08.03.1938.

286. აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ. ნ. ჯინჯოლია საქ. სსრ შინსახკომის საგანგებო სამეულის თავმჯდომარე ა. ნ. რაფავას 1937 წლის 19.08./საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 56. ფ. 4.9.

287. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში 1938 წლის 9 იანვრის დოკუმენტი № 29 „საქართველოს სსრ სუსის მე-8 განყოფილების ინსპექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის, შილოვსკაიას ცნობა აფხაზეთის ასსრ-ში 1937 წელს მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ“. წინამდებარე გამოცემაში.

288. „მტრის გვამებით ხალხის კეთილდღეობისთვის. ტ. 1. გვ. 278; საგანგებო სამეულის კონტინგენტის „კულაკური“ სამეულისთვის გადაცემის შესახებ იხ.: Протокол допиту Матвія Леснова-Израїлева. 16 січня 1939, б.м.в./Польща та Україна у тридцятих – сорокових роках ХХ століття. Невідомі документи з архівів спеціальних служб. Том 8. Частина друга: Великий терор. Польська операція 1937-1938 /Редакційна колегія Є. Беднарек, В. В'ятрович, С. Кокін. Варшава/ Київ 2010. გვ. 1810-1814.

ორგანოსთვის გასასამართლებლად გადაცემა. როგორც ს. კუგელის ა. რაფავასადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, აღნიშნულისთვის ზემდგომი ხელმძღვანელობის თანხმობა იყო აუცილებელი, რომელიც, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება ყოფილიყო სიტყვიერი (როგორც ს. გოგლიძის შემთხვევაში), უკეთეს შემთხვევაში – წერილობითი. ამგვარად, ზემდგომი ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელი იყო მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამასთან, იმის ჩვენებაც ხდებოდა, რომ სამეუღლებისთვის განსახილველად საქმეების გადაცემა შემთხვევითი თვითნებობა არ იყო, რამეთუ მისთვის განსახილველად „მხოლოდ“ ნაკლებად საშიში ელემენტების განსაკუთრებით სახიფათო საქმეებს არჩევდნენ.

თუმცა, განხილული დოკუმენტი იმასაც ავლენს, რომ წინასწარი შერჩევის სადამსჯელო „საცერი“ მეტად უხეში ინსტრუმენტი იყო. ორივე ზემოხსენებულ პირთა სია, რომლებიც თავდაპირველად სამხედრო კოლეგიას უნდა გაესამართლებინა, საგამოძიებო საქმეების გაფორმების ან გადაწყვეტილების მიღების დროს, თუ რომელ ინსტანციას უნდა გაესამართლებინა ისინი, ნახევარზე მეტად (110-დან 120-მდე 154-ის წინააღმდეგ) შემცირდა „კულაკური“ სამეუღლის სასარგებლოდ²⁸⁹. უკრაინაში მათი წილი, ვინც თავიდანვე „ელიტური“ სასამართლოების (სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, სამხედრო ტრიბუნალები, უმაღლესი სასამართლოს სპეცკოლეგია, შინსახკომის განსაკუთრებული სათათბირო, სასამართლოების საჩვენებელი პროცესები) მიერ უნდა გასამართლებულიყო, სასამართლოსთვის საქმეების გადაცემის დროისთვის თითქმის ორი მესამედით შემცირდა (24.4%-დან 8.4%-მდე). რაც შეეხება საქართველოს, სამნუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, იყო თუ არა თავდაპირველად სამხედრო კოლეგიისთვის გადასაცემი ყველა პირი ავტომატურად სიკვდილმისჯილი სამეუღლის მიერ. მსჯავრდებულთა უმრავლესობის საქმეთა უქონლობის მიზეზით ისტორიული რეკონსტრუქცია მეტად რთულია²⁹⁰.

შინსახკომის ორგანოები ცდილობდნენ, სამეუღლისთვის განსახილველად შეძლებისდაგვარად ბევრი საქმე გადაეცათ, რადგან ამ შემთხვევაში არ ხდებოდა პროკურატურის მიერ საბრალდებო დასკვნის დანვრილებით შემოწმება და სანქცირება, ასევე საბრალდებო დასკვნაზე მხოლოდ შინსახკომის ოპერატიული სექტორის უფროსის ხელმოწერა იყო საკმარისი (აჭარის ასსრ-ის შემთხვევაში – ს. კუგელის). ამის შემდეგ, დროის ზედმეტი ხარჯვისა და ბიუროკრატიული ძალისხმევის გარეშე, რაც სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ გასამართლების შემთხვევაში გარდაუვალი იყო, განაჩენის გამოტანა საქართველოს დედაქალაქში ხდებოდა, რადგან სამხედრო კოლეგიისგან განსხვავებით, სამეუღლი განაჩენებს მსჯავრდებულთა დაუსწრებლად აცხადებდა. ასევე აღარ იყო საჭირო შრომატევადი დაპირისპირებითი დაკითხვების ჩატარება მსჯავრდებულსა და მონმეებს შორის. სამეუღლი მეტად ეფექტურად მოქმედებდა და დღეში რამდენიმე ასეული განაჩენი გამოჰქონდა, მაშინ, როცა სამხედრო კოლეგია, პროცედურის შემცირების მიზეზით, თითოეული მსჯავრდებულის გასამართლებას 10-15, ზოგჯერ 30 წუთს ანდომებდა²⁹¹. სამეუღლის მიერ

289. იქვე.

290. არსებული საქმეები სისტემატურად უნდა გადაიხედოს. მაგრამ ასეთი საარქივო-საგამოძიებო საქმეების რაოდენობა ძალზე ცოტაა, ვინაიდან რეაბილიტირებული „ელიტის“ უმრავლესი საქმე 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში სამოქალაქო ომის დროს განადგურდა.

291. <http://stalin.memo.ru/images/intro.htm> (01.09.2013); სხვა პუბლიკაციებში საუბარია 10-30 წუთზე. იხ.: ნ. ოხოტინი [უსათაურო]//2002 წლის 30 ოქტომბერი. № 21. გვ. 5. ასე, მაგალითად, საქართველოში სსრკ უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიას პ. მ. მხეიძის შემთხვევაში დასჭირდა 20 წუთი. იხ. დოკუმენტი №137 „სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის 1937 წლის 4 სექტემბრის ოქმი პ. მ. მხეიძის ბრალდების საქმეზე“ წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში. გვ. გაზეთში „30 ოქტომბერი“ № 21 გამოქვეყნებულია მასალა „უდავო მონმობები“, რომელიც ეძღვნება დისკის „სტალინური დასახვრეტი სიების“ გამოშვებას. ეს მასალა

გამოტანილი განაჩენის შემდგომი პროცედურაც მეტად ხანმოკლე იყო. თბილისიდან ბათუმში მხოლოდ პირველი და მეორე კატეგორიების მიხედვით გასამართლებულთა სიები იგზავნებოდა, რის შემდეგაც მყისიერად სრულდებოდა როგორც სიკვდილით დასჯა, ისე ბანაკებში ეტაპირება.

4. „თავთავების შეგროვება მკის შემდეგ“

პირველადი შერჩევის შემდეგ, რომლის საფუძველზეც საქართველოს სსრ შინსახკომისთვის გასამართლებლად გადაცემული იქნა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისთვის განსახილველად გამზადებულ საქმეთა უმრავლესობა, სამხედრო კოლეგიებისადმი განკუთვნილი კონტინგენტიდან დამატებითი პირები შეირჩნენ „კულაკური“ სამეულისთვის გადასაცემად. მაგალითად, 1937 წლის 10 აგვისტოს სიიდან, რომელშიც მხოლოდ სამხედრო კოლეგიისთვის გადასაცემი პირები იყვნენ შეყვანილი, 37 პირი გასამართლდა სამეულის სხდომაზე, რომელიც 1937 წლის 11 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე პერიოდში გაიმართა. ეს გარემოება კიდევ იმითაცაა გასაკვირი, რომ 1937 წლის აგვისტოში თბილისში სამხედრო კოლეგიის სხდომა არ ჩატარებულა, შესაბამისად, მას არ შეეძლო გადაწყვეტილება მიეღო ხსენებულ პირთა საქმეების „კულაკური“ სამეულისთვის განსახილველად გადაცემის შესახებ, რაც ფორმალურად იყო შესაძლებელი²⁹².

მაგალითად, სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 10 აგვისტოს სიიდან 10 ადამიანი საქართველოს შინსახკომის „კულაკური“ სამეულის 1937 წლის 11 აგვისტოს სხდომის ოქმებში აღმოჩნდა, კიდევ 15 პირი – 1937 წლის 15 აგვისტოს № 2 ოქმში. მთლიანობაში, სამხედრო კოლეგიისთვის განკუთვნილი 1.129 პირიდან, რომელიც არაუგვიანეს 1937 წლის 21 ოქტომბრით თარიღდება, 1937 წლის 11 აგვისტოდან 27 ოქტომბრამდე სამეულის სხდომებზე 88 პირი (8%) იქნა მსჯავრდებული.

ჩვენ ვერ დავადგინეთ, თუ რამდენი პირი გადაეცა მათგან „კულაკურ“ სამეულს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით²⁹³. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლითი სესიები თბილისში 1937 წლის აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში მხოლოდ 11-19 სექტემბერს, 28-30 სექტემბერსა და 1-4 ოქტომბერს ჩატარდა. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია საქართველოს შინსახკომის სააღრიცხვო-სარეგისტრაციო მე-8 განყოფილებამ დროულად მიაწოდა ინფორმაცია სამხედრო კოლეგიის მოსამართლეებს იმის შესახებ, რომ ამ პირთა საქმეები განსახილველად „კულაკურ“ სამეულს უნდა გადასცემოდა.

5. სამხედრო კოლეგიის მუშაობის შეწყვეტა

საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისგან განსხვავებით, საქართველოში მასობრივი ოპერაციების განხორციელების დროს არა მხოლოდ სამხედრო

მოთავსებულია 1 და 5 გვერდებზე (ავტორის მითითების გარეშე). მე-5 გვერდზე ამ მასალის ქვეშ მოთავსებულია მასალა „სტალინური დასახვრეტი სიების“ კომპაქტდისკის პრეზენტაციაზე გამოსვლების შესახებ, სადაც, სხვათა შორის, მოყვანილია ნ. ოხოტინის სიტყვა, რომელსაც, ისევე როგორც სხვა გამოსვლებს, არა აქვს სპეციალური სათაური. ავტორები მადლობას უხდებიან ბორის ბელენკინს დახმარებისთვის.

292. იხ. ცხრილი 37. სამხედრო კოლეგია სხდომებს ატარებდა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – კორპუსის სამხედრო იურისტი ი. ო. მატულევიჩი, წევრები: ბრიგადის სამხედრო იურისტი ი. მ. ზარიანოვი, ბრიგადის სამხედრო იურისტი ი.კ. ჟიგური (ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე). მდივანი I რანგის სამხედრო იურისტი ა. თ. კოსტიუშკო. 1937 წლის აგვისტოში კოლეგიის სხდომა თბილისში არ ჩატარებულა.

293. იქვე.

კოლევებისთვის განკუთვნილ პირთა სამეულის სხდომისთვის გადაცემა ხდებოდა; ამასთან, 1937 წლის 21 ოქტომბრიდან ფართოდ დაიწყო „კულაკური“ სამეულისთვის იმ კონტინგენტის გადაცემაც, რომელიც ფორმალურად სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლევებისთვის საბოლოოდ შემუშავდა, რის საფუძველზეც სამხედრო კოლეგიამ საქართველოში პრაქტიკულად შეწყვიტა ფუნქციონირება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს შინსახკომს თავდაპირველად რეგულარული შესაძლებლობა ჰქონდა, სსრკ უმაღლესი სასამართლოსთვის განსახილველად იმ პირთა საქმეები გადაეცა, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იყვნენ დაპატიმრებულნი. ამ საშუალებას, როგორც ეს თვალსაჩინოდ ჩანს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, ს. კუგელის წერილში, აქტიურად იყენებდნენ „ჩეკისტები“. თავდაპირველად, ამისთვის აუცილებელი იყო დაპატიმრებულ პირზე საგამოძიებო საქმის აღძვრა, შემდეგ იმ საქმეთა სია დგებოდა, რომელშიც ბრალდებულების გვარები იყო ჩამოთვლილი. სიაში, ბრალდებულების გვარების გარდა, საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი შინსახკომის ქვედანაყოფის დასახელება, ან კონკრეტული თანამშრომლის გვარი ეთითებოდა. აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ შინსახკომები ასევე მოიხსენიება ამ სიებში საქმის „დამმუშავებელი“ ინსტანციების სახით, თუმცა კონკრეტული თანამშრომლების გვარები მითითებული არ არის²⁹⁴.

ამის შემდეგ სიები მოსკოვში, სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 (სააღრიცხვო-სარეგისტრაციო) განყოფილებაში იგზავნებოდა. დოკუმენტურად დასაბუთებული არ არის, დაერთვოდა თუ არა მსხვერპლის სიებს მათი საგამოძიებო საქმეებიც. თუ ეს ასე არ იყო, მაშინ ჩნდება კითხვა, თუ როგორ აკონტროლებდნენ მოსკოვში პერიფერიებზე წარმოებულ სამუშაოებს, მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში მსხვერპლი ელიტის წარმომადგენელი იყო. ნუთუ მე-8 განყოფილების თანამშრომლები მხოლოდ სახელისა და გვარის საფუძველზე ადგენდნენ მსხვერპლის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას?!

მოსკოვში საგამოძიო საქმეების გადაგზავნა დიდ ბიუროკრატიულ-ლოჯისტიკურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, რაზეც მასობრივი ოპერაციების მსვლელობის დროს უარი ითქვა (ორეული და სამეული). რაც შეეხება ელიტის გასამართლებას, საქმე ასევე ასობით ადამიანს ეხებოდა, თუმცა მათი მოცულობა ვერ შეედრებოდა მასობრივი ოპერაციების მასშტაბებს. ამიტომ მე-8 განყოფილებაში მხოლოდ მსხვერპლის სიების გაგზავნა ნაკლებად „ხარჯიანი“ იქნებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსხვერპლის სიის წარდგენის აუცილებელი პროცედურა მათი საგამოძიებო საქმეების დართვის გარეშე მე-8 განყოფილებას საშუალებას აძლევდა, აღედგინა რეპრესიების მიმდინარეობის ზოგადი სურათი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რაც ასევე სიების მეტ-ნაკლებად კორექტივებასაც მოიცავდა. მართლაც, მე-8 განყოფილება სიების ტექნიკურ კორექტივებას ახდენდა, მაგალითად, გვარების გამეორების აღმოფხვრას, რაც კარგად ჩანს საქართველოდან მოსკოვში გაგზავნილი სიების მოსკოვიდან საქართველოში გამოგზავნილ სიებთან შედარებისას. გარდა ამისა, მოსკოვს შეეძლო, ეწარმოებინა კონტროლი სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლევების მიერ ჩატარებული გასვლითი სესიებით ქ. თბილისში – სასამართლო

294. მსგავსი სიის ორიგინალი 318 ადამიანზე. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში დოკუმენტი № 140 „საგამოძიებო საქმეთა სია საქართველოდან, რომლებიც ექვემდებარებიან სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლევიაზე განხილვას, მომზადებულია საქართველოს სსრ შინსახკომის სუს-ის მე-8 განყოფილების მიერ“. 1937 წლის 22 ნოემბერსა და 16 დეკემბერს შორის“.

განხილვის შემთხვევაში მსხვერპლთა საგამოძიებო საქმეები ხელმისაწვდომი იყო²⁹⁵.

თუმცა მთელი რიგი ნიშნების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსკოვი საკმარისად არ მიიჩნევდა სამხედრო კოლეგიის მოსამართლეების მიერ სხდომების მიმდინარეობისას განხორციელებულ კონტროლს, ამიტომ ყველა საგამოძიებო საქმე, მსხვერპლთა სიებთან ერთად, მოსკოვში იგზავნებოდა, რაც დიდ ბიუროკრატიულ დანახარჯს მოითხოვდა. საგამოძიებო საქმეები ინფორმაციის აუცილებელ წყაროს წარმოადგენდა სიებში მოყვანილი პირების შესახებ, განსაკუთრებით ელიტის წარმომადგენელთა გასამართლების დროს. მაგალითად, მე-8 განყოფილებაში ხდებოდა არა მხოლოდ სიათა დახვეწა, არამედ, თბილისიდან წინადადების მიღების გარეშე, სასჯელის ზომის დადგენა ისე, რომ ხელთ არ ჰქონდათ საბრალდებო დასკვნის მოკლე შინაარსი და განაჩენის ვერსია, როგორც ეს იყო ნაციონალური ოპერაციების „ალბომების“ შემთხვევაში, რომელიც მოსკოვში ორეულს ეგზავნებოდა. საგამოძიებო საქმეების გარეშე ასევე შეუძლებელი იყო სიებიდან გვარების ამოშლა, რასაც ასევე მე-8 განყოფილება ახორციელებდა.

ვარაუდი იმის შესახებ, რომ საგამოძიებო საქმეები მოსკოვში სიებთან ერთად იგზავნებოდა, არქივში დაცული სიის სათაურს ეფუძნება, რომელიც სიტყვასიტყვით ასე ჟღერს: „სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაზე განსახილველი საგამოძიებო საქმეთა სია“ (ავტორთა კურსივი). ეს ფორმულირება შეიძლება განხილული იქნას, როგორც იმის დოკუმენტური დასაბუთება, რომ სიები ყოველთვის ერთვოდა მოსკოვში გაგზავნილ საგამოძიებო საქმეებს²⁹⁶.

საბოლოოდ მხოლოდ ის არის დადგენილი, რომ ამ ბიუროკრატიული პროცედურის მსვლელობისას საქართველოდან გამოგზავნილი სიები სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების მიერ მონმდებოდა; ეს უკანასკნელი მათგან გვარებს მეტ-ნაკლებად იღებდა და სიებს საქართველოში აბრუნებდა, თუმცა მათ წინ უძღოდა „ცნობა“ გამოსატანი განაჩენის სიმძიმის მითითებით²⁹⁷. სიების ამ საბოლოო ვარიანტებში უკვე აღარ იყო მითითებული შინსახკომის განყოფილებების დასახელებები და თანამშრომელთა გვარები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსკოვში მე-8 განყოფილების თანამშრომელთა განკარგულებაში რომც ყოფილიყო შემონმების დროს საგამოძიებო საქმეები, სიებში მაინც ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ასევე ისაზღვრებოდა სასჯელის ზომა. ამიტომ შეცდომა იქნებოდა, მე-8 განყოფილება რიგით

295. ბოლომდე გარკვეული არ არის, თუ როგორ გამოიყურებოდა პროცედურა სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის „კულაკური“ სამეულისთვის გადაცემის შემდეგ (იხ. ამის შესახებ ქვემოთ). ჩვენ ასევე არ გვაქვს უშუალო დოკუმენტური დადასტურება, რომ საგამოძიებო საქმეები მოსკოვში იგზავნებოდა „პირველად“ ქართულ სიებთან ერთად.

296. ავტორები მადლობას უხდებიან ლევან ავალიშვილს ამ პრობლემის მითითებისთვის. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 140 „საგამოძიებო საქმეთა სია საქართველოდან, რომლებიც ექვემდებარებიან სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაზე განხილვას, მომზადებული საქართველოს სსრ შინსახკომის სუს-ის მე-8 განყოფილების მიერ 1937 წლის 22 ნოემბერსა და 16 დეკემბერს შორის პერიოდში“. როგორც ჩანს, შინსახკომის წულუკიძის რაიგანყოფილება ხელმძღვანელობდა იმით, რომ საქართველოს სსრ შინსახკომის მე-8 განყოფილება მოსკოვში აგზავნიდა საქმეებს სიებთან ერთად. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 143 „საქართველოს სსრ შინსახკომის წულუკიძის რაიგანყოფილების უფროსის [?]ფარცხალაძის 1938 წლის 14 ივნისის შეტყობინება საქართველოს სსრ შინსახკომის სუს-ის მე-8 განყოფილების უფროსს, ა. კ. მოროზოვს ნ. პ. არჩვაძის საქმის შესახებ“.

297. ჩვენ გვაქვს მსგავსი სიის ორიგინალი 316 ადამიანზე. იხ. წინამდებარე გამოცემის დოკუმენტი № 140 „საგამოძიებო საქმეთა სია საქართველოდან, რომლებიც ექვემდებარებიან სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სასამართლოს განხილვას“, მომზადებული საქართველოს სსრ შინსახკომის სუს-ის მე-8 განყოფილების მიერ, 1937 წლის 22 ნოემბერსა და 16 დეკემბერს შორის პერიოდში.“

ინსტანციად წარმოგვედგინა, რომელიც სტატისტიკასა და აღრიცხვას აწარმოებდა. განყოფილების დასახელება მხოლოდ ხელს უწყობს ამ არასწორ შეხედულებას.

1937 წლის 21 ოქტომბერს სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილებამ საქართველოში გასაგზავნი სია მოამზადა, რომელიც 330 გვარისგან შედგებოდა. საქართველოდან მოსკოვში გაგზავნილ თავდაპირველ სიაში 346 გვარი იყო ჩამოთვლილი. სსრკ სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი ვ. ე. ცესარსკი აცნობებდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ს. ა. გოგლიძეს, რომ მე-8 განყოფილების მიერ მომზადებული და დამტკიცებული, 1937 წლის 27 ოქტომბრით დათარიღებული, 330 გვარისგან შემდგარი სიის ნევრები I კატეგორიის მიხედვით უნდა გასამართლებულიყვნენ (ანუ სიკვდილით უნდა დაესაჯათ). იგი დასძენდა, რომ სასამართლოს სხდომა ქ. მოსკოვში არ ჩატარდებოდა, არამედ ორგანიზებული იქნებოდა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლითი სესია ქ. თბილისში. „გასვლითი სესიის ჩატარების დროის შესახებ დამატებით გაცნობებთ“, – წერდა ვ. ცესარსკი²⁹⁸. დოკუმენტში არ მოიხსენიება ის 16 გვარი, რომლებიც სიიდან იქნა ამოღებული და არც მათი ამოღების მიზეზია აღნიშნული.

თუმცა, ამ დუმილზე უფრო განსაცვიფრებელი ისაა, რომ 330-დან 299 გვარი, რომელიც მოსკოვის მიერ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისათვის განსახილველად იყო განკუთვნილი, უეცრად საქართველოს სსრ შინსახკომის „კულაკური“ სამეულის ოქმებში აღმოჩნდა, კერძოდ, 1937 წლის 9, 10 და 11 ნოემბერს ჩატარებული სხდომების № 43-45 ოქმებში²⁹⁹. ამავე სიაში მოყვანილი კიდევ 10 გვარი ფიგურირებს განაჩენებში, რომლებიც სამეულებმა მოგვიანებით ჩატარებულ სხდომებზე გამოიტანეს³⁰⁰. ეს ნიშნავს, რომ მცირე გამოწკლისის გარდა, მოსკოვის მიერ სამხედრო კოლეგიაზე გასასამართლებელი პირები თბილისში „კულაკურმა“ სამეულმა გაასამართლა. ამგვარად, შეიძლება ვისაუბროთ სადამსჯელო კომპეტენციის სრულ დელეგირებაზე ცენტრალური ორგანოდან რეგიონულ ინსტანციამდე, რომელიც სხვა კატეგორიების დამნაშავეების გასასამართლებლად იყო განკუთვნილი. თუ ვისი ინიციატივით მოხდა აღნიშნული, ჯერჯერობით გაურკვეველია. სადამსჯელო უფლებამოსილების დელეგირებას ის ფაქტიც ამყარებს, რომ სამეულის მიერ გამოტანილი სასჯელები თითქმის 100%-ით შეესაბამება მოსკოვიდან მიღებულ რეკომენდაციებს³⁰¹.

სამეულის № 43-45 სხდომებზე, რომლებიც 1937 წლის 9-13 ნოემბერს ჩატარდა, გაას-

298. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში დოკუმენტი № 141 „შინსახკომის სახ. უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსის, ცესარსკის თანმხლები წერილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, ს. ა. გოგლიძეს პირთა გადაცემის შესახებ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიიდან კულაკურ სამეულზე, 1937 წლის 26 ნოემბერი“. სია იხ.: პირთა სია, რომლებიც ექვემდებარებიან სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სასამართლოს, 1937 წლის 21 ოქტომბერი// საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 12. ს. 88. ფ. 5-18.

299. შეადარე, მაგალითად, სიის შემდეგი სახელები: ვლადიმერ ევგენის ძე ანდრუსი (სამეულის ოქმი № 43, ფ. 5), ვასილ იოსების ძე არეშიძე (№ 43, ფ. 48). 1937 წლის 21 ოქტომბრის იმ პირთა სია, რომლებიც ექვემდებარებიან სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სასამართლოს//საქართველოს შსს არქივი, I განყოფილება. ფ. 12. აღ. 12. ს. 88. ფ. 5-18; საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 9 ნოემბრის სხდომის ოქმი № 43//საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება. ფ. 8. ს. 403. ფ. 48 ; საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 10 ნოემბრის სხდომის ოქმი № 44//საქართველოს შსს არქივი პირველი განყოფილება. ფ. 8. ს. 404. ფ. 5. იხ. წინამდებარე გამოცემის ცხრილი 34 და 37.

300. იქვე.

301. ცხრილიდან 36 ჩანს, რომ „კულაკურმა“ სამეულმა მსჯავრი დასდო სულ 312 ადამიანს, მათგან ორს მიუსაჯა 10 წლით ბანაკში სასჯელის მოხდა.

ამართლეს არა მხოლოდ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 21 ოქტომბრის სიაში ჩამოთვლილი 311 პირი, არამედ წინა სიებში აღნიშნული 23 ადამიანიც (1937 წლის 15 აგვისტოს სია – 4 ადამიანი და 1937 წლის 10 სექტემბრის სია – 20 ადამიანი). ამგვარად, 342 ადამიანიდან, რომელთა მიმართ სამეულის სხდომებზე გამოიტანეს განაჩენი, 334 იყო *სამხედრო კოლეგიის* სიებიდან.

სამეულის სხდომების ოქმებიდან ჩანს, რომ 1937 წლის 13 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი № 45) გავიდა 14 ადამიანი, რომელთა მიმართ *სამეულის* განაჩენში აღნიშნულია: „საქმე მოიხსნას დამატებით გამოსაძიებლად“. ამ 14-დან ორი შედიოდა *სამხედრო კოლეგიის* სიებში და ისინი განმეორებით გაასამართლეს იმავე დღეს, 1937 წლის 13 ნოემბრის ოქმით № 45 მათ მიესაჯათ სიკვდილი. ამ ორმაგი ანგარიშის გათვალისწინებით ფაქტობრივად *სამეულის* სხდომათა №43-45 ოქმებით მსჯავრი დაედო არა 344, არამედ 342 ადამიანს. კიდევ ოთხის საქმე, რომლებიც გადიოდნენ *სამხედრო კოლეგიის* 1937 წლის 21 ოქტომბრის სიებით, *სამეულმა* დააბრუნა (ოქმი № 45) გამოსაძიებლად. ეს ოთხი პირი კვლავ გაჩნდა *სამხედრო კოლეგიის* 1938 წლის 3 იანვრის სიაში და *სამეულმა* უკვე 1938 წლის 21 იანვრის სხდომაზე (ოქმი № 84) განსაჯა ისინი. დანარჩენი რვა ადამიანი, რომელთა საქმეები ასევე გაგზავნილი იყო დამატებითი გამოძიებისთვის, არ შედიოდნენ *სამხედრო კოლეგიის* სიებში, ისინი „გაფილტრეს“ *სამეულის* ჩვეულებრივი კონტინგენტიდან. შემდეგ, 1938 წლის 13 მარტს „*კულაკური*“ *სამეულის* სხდომაზე (ოქმი № 100) მათ გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი.

სულ 334 ადამიანიდან, რომლებიც გადიოდნენ *სამხედრო კოლეგიის* სიებით, „*კულაკური*“ *სამეულის* სხდომებზე (№ 43-45) სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს 327 ადამიანს. მათგან ერთი ქალი გარდაიცვალა ციხის საავადმყოფოში. ვინაიდან იგი ორსულობის ბოლო პერიოდში იყო, ორგანოებმა გადაწყვიტეს განაჩენის აღსრულება მშობიარობის შემდეგ. კიდევ ერთ ადამიანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. ერთი საქმე *სამეულმა* ჯერ დააბრუნა გამოძიებისათვის (1937 წლის 9 ნოემბრის № 43 ოქმი, რეზოლუცია: „საქმე მოიხსნას, გამოიძიოს“), ხოლო *სამეულის* 1937 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე (ოქმი № 58) გადაწყდა, რომ საქმე გადაეცათ *საგანგებო სათათბიროსთვის*, რომელმაც მას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. კიდევ ერთი საქმე *სამეულმა* გადასცა *სამხედრო კოლეგიის* სასამართლოს (1937 წლის 9 ნოემბრის № 43 ოქმი, რეზოლუცია: „საქმე მოიხსნას, გადაეცეს სამხედრო კოლეგიას“), რომელმაც გამოიტანა განაჩენი – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. ამრიგად, შეიძლება მტკიცება, რომ *სამხედრო კოლეგიიდან* „*კულაკური*“ *სამეულზე* კონტინგენტის „ტრანსფერის“ საწყის ეტაპზე ქართული სადამსჯელო ბიუროკრატია ზედმიწევნით იცავდა მოსკოვის მითითებებს და *სამხედრო კოლეგიის* კონტინგენტს ასამართლებდა ცალკე, „*კულაკური*“ *სამეულის* სპეციალურ სხდომებზე (იხ. ოქმები № 43 და 45).³⁰²

1937 წლის 21 ოქტომბერს სამხედრო კოლეგიის სიიდან კონტინგენტის სამეულისთვის გადაცემის შედეგად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: სწორედ ამ სიაში მყოფი ადამიანების გასამართლების დროს (1937 წლის 9 ნოემბრის № 43 სხდომა) „*კულაკური*“ სამეულის თავმჯდომარე ა. რაფავას ნაცვლად გახდა ს. გოგლიძე. 1937 წლის 11 ნოემბერს ეს ცვლილება ოფიციალურად დაამტკიცა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ – ასეთი წესი მოქმედებდა სამეულის თავმჯდომარის ცვლილების შემთხვევაში³⁰³.

როგორც ჩანს, 1937 წლის ოქტომბრის ბოლოს მოსკოვში მიიღეს გადაწყვეტილება,

302. იხ. ცხრილი 37.

303. გ. ა. ბორდიუგოვი. სამეულთა შემადგენლობა და მათი ცვლილებები//დიდი ტერორის ვერტიკალი. გვ. 624-637.

შემცირებინათ სამხედრო კოლეგიის მოსამართლეების თბილისში მივლინების ხარჯები იმის გათვალისწინებით, რომ განაჩენები ძირითადად უკვე გამოტანილი იყო.

თუ რის საფუძველზე მოხდა კონტინგენტის გადაცემა სამხედრო კოლეგიიდან „კულაკური“ სამეულისთვის, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ლ. პ. ბერიას ი. ბ. სტალინისადმი 1937 წლის 30 ოქტომბერს მიწერილი წერილიდან გამომდინარეობს. ლ. ბერია იგივე ინტონაციით, რომელიც ს. კუგელის 1937 წლის აგვისტოში მიწერილ წერილში ჩანს, საქართველოს ციხეების გავსების შესახებ ჩივის. მისი თქმით, მსგავს პირობებში გამოძიების წარმოება „ნორმალურ“ ვითარებაში შეუძლებელი იყო – პატიმრები ერთმანეთთან ურთიერთობდნენ და წინასწარი ცოდნენ, რა ელოდათ, რის საფუძველზეც გამოძიების მსვლელობის დროს მოქმედების ტაქტიკას იმუშავებდნენ. შექმნილი არახელსაყრელი ვითარების მიზეზად ლ. ბერია სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გასვლითი სესიების „გადატვირთულობას“ ასახელებდა, რომელმაც წერილის გაგზავნის დროს – 1937 წელს – „მხოლოდ“ 910 ადამიანი გაასამართლა. სირთულის გადასაჭრელად ლ. ბერია სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის გასამართლებას „კულაკური“ სამეულის სხდომაზე სთავაზობდა, ან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობიდან სპეცკოლეგიის შექმნას ასახელებდა აუცილებლობად³⁰⁴.

ლ. ბერიასთვის, ისევე როგორც ს. კუგელისთვის, სამეულის უდავო უპირატესობა მსხვერპლის ადგილზე სწრაფად გასამართლებაში მდგომარეობდა. თუმცა, ლ. ბერიას წერილი არა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ 1937 წლის ზაფხულში საქართველოში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძლიერი იმპულსი მიეცა „ქვედა ფენის“, „კულაკების“, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სხვა ნაკლებად საშიში „კონტრრევოლუციური ელემენტების“ დაპატიმრებას, არამედ იმაზეც, რომ შექმნილი ვითარება ერთდროულად გამოყენებული იქნა რესპუბლიკის სათავეში მდგომი პირების მიერ შიდაპარტიული კონკურენტების წინააღმდეგ მასშტაბური ტერორის განსახორციელებლად³⁰⁵. ამისთვის ლ. ბერია უკვე 1937 წლის ივლისიდან სისტემატურად ამუშავებდა სცენარს ფართოდ განტოტვილი, უკრაინასა და საზღვარგარეთამდე გავრცელებული მემარჯვენე „უკლონისტების“ შეთქმულთა ორგანიზაციის შესახებ, რომელიც თითქოს 20-იანი წლების მიწურულიდან მოქმედებდა და ომის შემთხვევაში დასარტყმელად ემზადებოდა³⁰⁶. ამასთან, ლ. ბერია პრაქტიკულ არგუმენტებს აყალიბებდა, რათა წარმოსახვითი მტრების წინააღმდეგ მიმართული ნადირობის ფონზე დარჩენოდა ბოლო სიტყვა მათი შერჩევისა და განადგურების დროს.

1937 წლის ნოემბრიდან უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კომპეტენციაში არსებული განაჩენების გამოტანა უკვე საქართველოს სსრ შინაგარეო უკუბრუნების „კულაკური“ სამეულის მიერ ხდებოდა, რაც ბიუროკრატიულად მოწონებული რუტინა გახდა³⁰⁷. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი სიები დასამუშავებლად საქართველოდან მოსკოვში, მე-8 განყოფილებაში იგზავნებოდა, მათ თბილისში აბრუნებდნენ (სსრკ შინაგან საქმეთა

304. იხ.: წინამდებარე გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 18 „ლ. პ. ბერიას წერილი ი. ბ. სტალინის ანტისაბჭოთა ელემენტების საქმეთა განხილვის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“.

305. იხ. ცხრილი № 9.

306. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 135 „საქართველოს კპ(ბ) ცკ პირველი მდივნის, ლ. პ. ბერიას 1937 წლის 20 ივლისის წერილი ი. ბ. სტალინისადმი კონტრრევოლუციური ჯგუფების და საქართველოში დახვერტილთა შესახებ“.

307. გოგლიძეც იხსენებს, რომ ბერიამ შეძლო სტალინის თანხმობის მიღება „კულაკური“ სამეულის ხაზით იმ კონტინგენტის მსჯავრდების შესახებ, რომლებიც მისთვის არ იყო განკუთვნილი. იხ.: ბერია. კარიერის დასასრული/შემდგ. ვ. თ. ნეკრასოვი. მოსკოვი, 1991. გვ. 316.

სახალხო კომისრის, ნ. ი. ეჭოვის, ან მისი მოადგილის, მ. პ. ფრინოვსკის მითითებებით, შესწორებული ან უცვლელი სახით და წერილობით მოთხოვნას ურთავდნენ – გაესამართლებინათ სიაში ჩამოთვლილი პირები ადგილობრივი სამეულის სხდომაზე იმ განაჩენით, რომელიც თანდართულ „ცნობაში“ იყო მითითებული. საქართველოში სიები უმნიშვნელოდ სწორდებოდა საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსის, ა. კ. მოროზოვის მიერ, რაც რამდენიმე საქმის გადაცემას ნიშნავდა სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროსთვის განსახილველად, ან მათ მიკუთვნებას იმ კონტინგენტისადმი, რომელიც უნდა გაესამართლებინათ ნაციონალური ოპერაციების ფარგლებში; ეს კი საქმეების საქართველოს ორეულის მიერ დამუშავებასა და შემდეგ მოსკოვში არსებული „უმაღლესი“ ორეულის (ეჭოვისა და ვიშინსკის შემადგენლობით) მიერ განაჩენის დადასტურებას ნიშნავდა³⁰⁸.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ნაცვლად მსხვერპლის სამეულისთვის გასასამართლებლად ოფიციალური გადაცემის მექანიზმი დოკუმენტურად დასაბუთებულია 1937 წლის 22 ნოემბრით დათარიღებული სიის „ტრანსფერტით“, რომელიც 1937 წლის 26 ნოემბერსაა გაგზავნილი. იმ დღეს ცესარსკიმ ს. გოგლიძეს მითითება მისცა სამეულის სხდომაზე 439 პირის გასამართლების შესახებ ზემოხსენებული პროცედურის მიხედვით. შემდეგ იგი უბრძანებდა: „ეს საქმეები ცალკე სხდომაზე განიხილეთ და კულაკურ და სხვა ოპერაციებში ნუ აურევთ“³⁰⁹. სამეულის სხდომის შემდეგ სამხედრო კოლეგიის ყოფილი კონტინგენტის საგამოძიებო საქმეები, ისევე როგორც სამეულის მიერ გასამართლებული სხვა კატეგორიის მსხვერპლთა საქმეები, ექვემდებარებოდა მოსკოვში გაგზავნას სამეულის სხდომის ოქმის ამონაწერებთან ერთად³¹⁰. ასევე წერილობითი სახით იყო ნაბრძანები, რომ სამეულის სხდომები, რომლებზეც სამხედრო კოლეგიის ნაცვლად განაჩენი პარტიული და ელიტის წარმომადგენლებისთვის უნდა გამოეტანათ, ს. გოგლიძის თავმჯდომარეობით გამართულიყო. 1937 წლის 26 ნოემბრის წერილს დართული ჰქონდა პირთა სია, რომელსაც ყველა გვერდზე ამონებდა სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების განსაკუთრებული დავალებების

308. იხ., მაგალითად, შენიშვნა „ბერძენი ქვეშევრდომი“ გვარის გვერდით „მახერიდი კონსტანტინე თევდორეს ძე“ ან შენიშვნა „დამატებით გამოძიებაზე (გათავისუფლდეს?)“ გვართან „ხაჩატუროვი სეტ პავლეს ძე“. 1938 წლის 3 იანვრის სიის პირთა რიცხვი, რომლებიც ექვემდებარებიან სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სასამართლოს/საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება. ფ. 12. აღ. 12. ს. 88. ფ. 66-77. სია ხელნაწერი შენიშვნებით, იდენტიფიცირებულია, როგორც მოროზოვის მიერ დამუშავებული (მაგალითად: „ქუჩუბერია კრემი მაქსიმეს ძე, მოიხსნას“). წარმოადგენს სიას, რომელიც საქართველოში 1937 წლის 22 ნოემბერსა და 16 დეკემბერს შორის პერიოდში მიიღეს. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 140 „საგამოძიებო საქმეები საქართველოდან, რომლებიც უნდა განიხილოს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, მომზადებული საქართველოს სსრ შინსახკომის მე-8 განყოფილების მიერ, 1937 წლის 22 ნოემბერსა და 16 დეკემბერს შორის“.

309. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 141 „შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსის, ე. ცესარსკის თანხლები წერილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ს. ა. გოგლიძეს პირთა გადატანის შესახებ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიიდან კულაკურ სამეულზე, 1937 წლის 26 ნოემბერი“. დასტური იმისა, რომ სია უნდა განხილულიყო არა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაზე, არამედ სამეულის მიერ, გაიგზავნა 1937 წლის 25 ნოემბერს, როგორც ეს ჩანს წერილიდან.

310. იქვე.

შემსრულებელი კრემენევი³¹¹, დოკუმენტს კი ხელს პირადად ცესარსკი აწერდა³¹².

1937 წლის 2 დეკემბერს, საქართველოს შინსახკომის სამეულის № 57 სხდომაზე მოხდა სიის „დამუშავება“, როგორც ეს ნაბრძანები იყო ცესარსკის დირექტივაში. სამეულის სხდომების № 57, 58, 59, 60, 62 და 64 ოქმები 398 ადამიანის გასამართლების ფაქტს ადასტურებს, მათგან 370 დასახელებული იყო 22 ნოემბრის სიაში³¹³. ცესარსკის მითითების მიუხედავად, 1937 წლის 22 ნოემბრის სიიდან 49 ადამიანი გასამართლდა სამეულის ჩვეულებრივ კონტინგენტთან ერთად სხვა სხდომებზე³¹⁴. ამავე სიიდან კიდევ 4 ადამიანის განაჩენი სამეულის მიერ 1937 წლის დეკემბრამდე იქნა გამოტანილი³¹⁵. 16 ადამიანიდან, რომლებიც 1937 წლის 22 ნოემბრის სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სიაში დასახელებული 439 გვარიდან იყო დარჩენილი, 5 სხვა სადამსჯელო ორგანოებმა გაასამართლა, როგორებიცაა სამხედრო ტრიბუნალები და განსაკუთრებული სათათბირო, ან მათი საქმე შეწყდა, რადგან ისინი გამოძიების მსვლელობის დროს გარდაიცვალნენ³¹⁶. სიის ბოლო 11 ადამიანი, ალბათ, სამხედრო კოლეგიის სხვა, უფრო გვიან შედგენილ სიებში შეიყვანეს.

სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის „კულაკური“ სამეულისთვის გადაცემის ეს შემთხვევები გამონაკლისი არ იყო. 1938 წლის 3 იანვარს მოსკოვში ორი სია დაამტკიცეს, რომლებიც 616 ადამიანს აერთიანებდა (300+316)³¹⁷. 1938 წლის 14 თებერვალს ამას მოყვა 408 ადამიანისგან შემდგარი ახალი სიის დამტკიცება, რომელსაც ამჯერად შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე მ. პ. ფრინოვსკი აწერდა ხელს ნ. ი. ეჟოვის მითითების გარეშე³¹⁸. 1938 წლის 19 აპრილს დამტკიცდა 252 გვარისგან, 1938 წლის 10 ივნისს – 174 გვარისგან, ხოლო 1938 წლის 12 სექტემბერს – 271 გვარისგან შემდგარი სიები³¹⁹.

311. 1938 წელს სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი კრემენევი იყო სსრკ შსსკ I სპეცგანყოფილების მე-5 განყოფილების უფროსი.

312. იხ. პირთა სია, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განსჯას, 1937 წლის 22 ნოემბერი//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება, ფ. 12. აღ. 12. ს. 88. ფ. 20-37. იხ. აგრეთვე წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში დოკუმენტი № 141 „შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსის ე. ცესარსკის თანხლები წერილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ს. ა. გოგლიძეს პირთა გადატანის შესახებ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიიდან კულაკურ სამეულზე, 1937 წლის 26 ნოემბერი“.

313. ორ დანარჩენ პირზე მონაცემები არ არის. იხ. წინამდებარე გამოცემაში ცხრილი 55 და 56.

314. იხ., მაგალითად, მონაცემები შემდეგ პირებზე 1938 წლის 22 იანვრის სიიდან: კონსტანტინე ჯიბრაილის ძე იაშვილი (ოქმი № 63, ფ. 5), ბორის პავლეს ძე იაკოვლევი (№ 76, ფ. 82), გიორგი რევაზის ძე ერისთავი (№ 74, ფ. 20). თუმცა სიიდან ზოგიერთი პირი მოხსენიებული არ არის სამეულის ოქმში, მაგალითად, გიორგი ივანეს ძე ჩხვიძე. იხ. ცხრილი № 36, 36 და 9.

315. იხ. ცხრილი 37.

316. იხ. ცხრილი 36.

317. სსრკ შინსახკომის სახ. უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი ვ. ე. ცესარსკი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ს. ა. გოგლიძეს 1938 წლის 6 იანვარს, პირთა გადაცემის შესახებ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიიდან „კულაკურ“ სამეულზე //საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება. ფ. 12. აღ. 12 ს. 88. ფ. 62. იხ. აგრეთვე: <http://stalin.memo.ru/spiski/tomi06.htm> (06.09.2013).

318. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე მ. პ. ფრინოვსკი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ს. ა. გოგლიძეს, 1938 წლის 16 თებერვლი, პირთა გადაცემის შესახებ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიიდან „კულაკურ“ სამეულზე//საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება. ფ. 12. აღ. 12. ს. 88. ფ. 75.

319. სსრკ შინსახკომის სახ. უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი ი. ი. შაპირო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, 1938 წლის 21 აპრილს პირთა გადაცემის შესახებ სსრკ უზენ. სასამართლოს სამხედრო კოლეგიიდან კულაკურ სამეულზე.// საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება.

სსრკ შინსახკომმა 1937 წლის 21 ოქტომბრიდან ადგილობრივ სამეულს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტიდან 2491 პირის საქმე გადასცა³²⁰.

მათ ყველას განაჩენი წინასწარ ჰქონდათ გამოტანილი. იშვიათ შემთხვევაში საქართველოს შინსახკომის მე-8 განყოფილებას კორექტივები შეჰქონდა ცენტრიდან მიღებულ სიებში. სამეულს, ძირითადად, უმაღლესი ზომის სასჯელები გამოჰქონდა, იშვიათად უსჯიდნენ თავისუფლების აღკვეთას, ან მათ საქმეებს განსახილველად სხვა ინსტანციებს გადასცემდნენ³²¹.

მაგალითად, 1938 წლის 12 სექტემბრის სიაში შეყვანილი პირველი 10 ადამიანიდან 2 სამეულმა გაგზავნა შრომა-გასწორებით ბანაკში 10 წლის ვადით, ხოლო ერთი კი ოქმებში საერთოდ არ მოიხსენიება. დანარჩენებს, ბრძანების თანახმად, დახვრეტა მიესაჯათ³²². ამგვარად, ციფრი 2491 ზუსტად მიუთითებს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის რაოდენობაზე, რომელიც „კულაკურმა“ სამეულმა გაასამართლა.

ცენტრიდან მიღებული მითითების თანახმად, „კულაკურ“ სამეულს მისთვის გადაცემული სამხედრო კოლეგიის კონტინგენტი ცალკე სხდომებზე უნდა გაესამართლებინა. მართლაც, 1937-1938 წლებში „კულაკური“ სამეულის 28 სხდომა ჩატარდა, რომლებზეც, ძირითადად, სამხედრო კოლეგიის კონტინგენტი გაასამართლეს. მაგალითად, სამეულის № 43 - 45, 57 - 60, 62, 64, 74, 76, 80, 82 - 85, 87, 94, 95, 104, 110, 115, 117-122 სხდომებზე 2.229 პირი გასამართლდა, მათგან 1.811 (81.2%) სამხედრო კოლეგიის სიიდან იყო. მიუხედავად ამისა, სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის დიდი ნაწილი, მოსკოვიდან მიღებული მითითების საწინააღმდეგოდ, სამეულის სხვა სხდომებზე იქნა გასამართლებული მის „ჩვეულებრივ“ კონტინგენტთან ერთად. საქმე ეხება 672 ადამიანს 2.476-დან, ანუ 27%-ზე მეტს.

გარდა ამისა, საქართველოს შინსახკომის „კულაკური“ სამეული უფრო ხანგრძლივად

ფ. 12. აღ. 12. ს. 88. ფ. 96; შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე მ. პ. ფრინოვსკი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ს. ა. გოგლიძეს, 1938 წლის 16 თებერვალი პირთა გადაცემის შესახებ სსრკ უზენ. სასამართლოს სამხედრო კოლეგიიდან „კულაკურ“ სამეულზე/საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება. ფ. 12. აღ. 12. ს. 88. ფ. 109. 1938 წლის 28 მარტს შაპირომ შეცვალა ცესარსკი განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, რომელსაც ენოდა სსრკ შინსახკომის 1 სპეცგანყოფილება. ის, რომ 1938 წლის 19 სექტემბრის სია ასევე უნდა გადაგზავნილიყო საქართველოს სსრ შინსახკომში, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ შესაბამისი „სტალინური სისი“ შედარებით საქართველოს შსს არქივის მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზასთან. სისი დუბლიკატი საქართველოს შსს არქივში არ აღმოჩნდა. იხ. აგრეთვე: ი. ი. შაპირო – ს. ა. გოგლიძე 1938 წლის 21 აპრილი, სსრკ უზენ. სასამართლოს სამხედრო კოლეგიიდან პირთა გადაცემის შესახებ „კულაკურ“ სამეულზე/საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება. ფ. 12. აღ. 12. ს. 88. ფ. 96.

320. იხ. ცხრილი 34.

321. ი. ი. შაპირო – ს. ა. გოგლიძე, 1938 წლის 21 აპრილი, სსრკ უზენ. სასამართლოს სამხედრო კოლეგიიდან პირთა გადაცემის შესახებ „კულაკურ“ სამეულზე/საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება. ფ. 12. აღ. 12. ს. 88. ფ. 96.

322. 1. აბაკელია იოსებ კონსტანტინეს ძე, სამეულის 1938 წ. 10 ოქტომბრის ოქმი № 121, დახვრეტა; 2. აბდლაძე ვარლამ ტრიფონის ძე, სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის ოქმი № 120, 10 წელი, დაპატიმრების თარიღი 1938 წ. 1 მაისი; 3. აბრამოვი ალექსანდრე პეტრეს ძე, სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის ოქმი № 120, დახვრეტა; 4. ავალიშვილი შალვა გიორგის ძე, სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის ოქმი № 120, დახვრეტა; 5. აზაროვი დანიელ ემელიანეს ძე, სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის ოქმი № 120, დახვრეტა; 6. აღანია შოთა ყარამანის ძე, სამეულის 1938 წლის 10 ოქტომბრის ოქმი № 121, დახვრეტა; 7. ალექსანიანი იაკობ მკრტიჩის ძე, სამეულის 1938 წლის 10 ოქტომბრის ოქმი № 121, დახვრეტა; 8. ალექსევი ნიკოლოზ დავითის ძე, სამეულის 1938 წლის 9 ოქტომბრის ოქმი № 120, დახვრეტა; 9. ალიხანოვი ხარლამპი კონსტანტინეს ძე, სამეულის 1938 წლის 11 ოქტომბრის ოქმი № 122, 10 წელი, დაპატიმრების თარიღი 1937 წლის 20 დეკემბერი. 10. ამაშუკელი ალექსანდრე ჯავახის ძე, კულაკური სამეულით არ გადის. <http://stalin.memo.ru/names/index.htm> (06.09.2013) (ე. კუხალაშვილის მონაცემები).

მოქმედებდა, ვიდრე „კულაკური“ სამეულების უმრავლესობა, რომელთა ფუნქციონირებაც 1938 წლის გაზაფხულზე შეწყდა. აღნიშნულის მიზეზი იყო სამეულის გადატვირთვა სამხედრო კოლეგიის კონტინგენტით. 1938 წლის ივნისის ბოლოდან იმავე წლის ოქტომბრის ჩათვლით, სამეულმა თბილისში მხოლოდ სამხედრო კოლეგიის კონტინგენტი გაასამართლა³²³.

1937 წლის ოქტომბრიდან 1938 წლის ნოემბრამდე ქართულმა „კულაკურმა“ სამეულმა ჩანაცვლა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, როგორც სასამართლო ინსტანცია, რის შედეგადაც 1938 წლის 17 ნოემბრამდე, ანუ დიდი ტერორის დასრულებამდე, თბილისში კოლეგიის გასვლითი სესიები არ ჩატარებულა³²⁴. თბილისში სამხედრო კოლეგიის ბოლო სხდომები 1937 წლის 1-4 ოქტომბერს გაიმართა.

6. ნესტორ არჩვადის საქმე

ამ თავში წარმოვადგენთ დიდი ტერორის ერთი კონკრეტული მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ბიუროკრატიული პროცედურის მოკლე რეკონსტრუქციას. აღნიშნული საქმე სამხედრო კოლეგიიდან განსახილველად სამეულისთვის იქნა გადაცემული. 1938 წლის 1 თებერვალს საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსმა, ბ. ქობულოვმა საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-8 განყოფილების (სააღრიცხვო-სტატისტიკური) საშუალებით მოსკოვში ნესტორ პავლეს ძე არჩვადის საქმე გადააგზავნა, რათა იგი სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას გაესამართლებინა. ფრინოვსკის 1938 წლის 14 თებერვლის განკარგულების შესაბამისად, ნ. არჩვადის გვარი „სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისთვის გასასამართლებელ პირთა სიაში“ მოხვდა. სია საქართველოში გამოაგზავნეს, რათა მასში ჩამოთვლილი პირები სამეულს გაესამართლებინა. აღნიშნულის შედეგად, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ნულუკიდის რაიონული განყოფილების უფროსმა ფარცხალაძემ, რომელიც ნ. არჩვადის დაპატიმრებისა და გამოძიების წარმოებაზე იყო პასუხისმგებელი, 1938 წლის 27 თებერვალს საქმე განსახილველად საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულს წარუდგინა. სამეულმა მოსალოდნელი განაჩენი – სასჯელის უმაღლესი ზომა გამოიტანა. 1938 წლის 10 მარტს შინსახკომის რაიონულმა ორგანიზაციამ დაპატიმრებული ნ. არჩვადე თბილისის ცენტრალურ ციხეში გადაიყვანა, სადაც განაჩენი სისრულეში მოიყვანეს³²⁵.

323. იხ. ცხრილი 37.

324. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში დოკუმენტი № 172 „სსრკ შინსახკომის I სპეცგანყოფილების უფროსის მოადგილე ფ. ბაშტაკოვის 1939 წლის 31 მაისის წერილი საქართველოს სსრ შინსახკომის I სპეცგანყოფილების უფროსს, ა. კ. მოროზოვს ინფორმაციით იმ პირთა სიის გაგზავნის შესახებ, რომლებიც გაასამართლა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1937-1938 წლებში“.

325. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომში დოკუმენტი № 143 „საქართველოს სსრ შინსახკომის ნულუკიდის რაიონული განყოფილების უფროსის [?] ფარცხალაძის შეტყობინება საქართველოს სსრ შინსახკომის მე-8 განყოფილების უფროსს, ა. კ. მოროზოვს ნ. პ. არჩვადის საქმის შესახებ“.

7. სამხედრო კოლეგიის „განტვირთვა“ „კულაკური“ სამეულის ხარჯზე

თუ რა მასშტაბით მოხდა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის, რომელიც სადამსჯელო ორგანოების იერარქიაში ელიტის წარმომადგენლებს ასამართლებდა, „განტვირთვა“ „კულაკური“ სამეულის ხარჯზე, შეიძლება აღვადგინოთ ე.წ. „სტალინური სიების“ საშუალებით. ამ მრავალრიცხოვან სიებში მოყვანილია გვარები, რომლებიც ორ – I და II კატეგორიებადაა დაჯგუფებული და რომლებიც სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას უნდა გაესამართლებინა. როგორც ცნობილია, I კატეგორია სიკვდილით დასჯას, II კი თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით „სტალინურ სიებში“ 1936-1938 წლებში დაახლოებით 45 000 გვარი იყო შეტანილი³²⁶. სიები, როგორც წესი, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, ან რკინიგზის სამმართველოების მიხედვით იყო მონესრიგებული და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ სპეციალური განაწილების გარეშე – ე.წ. „მოსკოვი – ცენტრის“ მიერ შედგენილ სიებზე. საქართველოსთან მიმართებაში „სტალინური სიების“ შედგენა 1937 წლის მაისიდან დაიწყო.

შესადარებელ მასალად ამ სიების მოხმობა საქართველოს შემთხვევაში იმით არის გამართლებული, რომ ისინი ზემოთ განხილული სიების იდენტურია, რომლებიც სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მიერ გაიგზავნა საქართველოში, რათა მათში ჩამოთვლილი პირები სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ნაცვლად მის „შემცვლელს“ – რესპუბლიკურ „კულაკურ“ სამეულს გაესამართლებინა³²⁷. ერთადერთი, რაც ამ სიებს ერთმანეთისგან განასხვავებს, ისაა, რომ „სტალინურ სიებს“ დამატებით, კოლექტიურად ამტკიცებდნენ სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრები. სიების ქვეშ არსებული ხელმოწერები განსხვავდებოდა პოლიტიბიუროს წევრების როგორც შემადგენლობის, ისე მათ მიერ განხორციელებული ხელმოწერების რაოდენობის მიხედვით. პირველ ადგილზე სტალინისა და მოლოტოვის ხელმოწერები იყო, თუმცა ორივე ხელმოწერა ყველა სიაზე არ არის. პოლიტიბიუროს წევრები სიებს ხელმოსაწერად სსრკ შინსახკომსა და საქმეთა სახალხო კომისრისგან, ნ. ი. ეჟოვისგან იღებდნენ. პოლიტიბიუროს მხრიდან კონტროლი კიდევ ერთი დამაჯერებელი არგუმენტი იყო იმის სავარაუდოდ, რომ მოსკოვში სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის შემთხვევაში, სსრკ შინსახკომის მე-8 განყოფილებაში იგზავნებოდა არა მხოლოდ გასასამართლებელ პირთა სიები, არამედ მათი საგამოძიებო საქმეებიც. თუ სამხედრო კოლეგიის „განტვირთვის“ შესაფასებლად მხოლოდ „სტალინურ სიებს“ დავეყრდნობით, შემდეგ შედეგს მივიღებთ: 1937–1938 წლებში საქართველოს „სტალინურ სიებში“ 3671 გვარია შეყვანილი. სსრკ შინსახკომის განკარგულების ძალაში შესვლის შემდეგ (მისი კონტინგენტის „კულაკური“ სამეულისთვის გადაცემის შესახებ) – 1937 წლის 21 ოქტომბრიდან 1938 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით, ამ რიცხვიდან „კულაკური“ სამეულისთვის გასასამართლებლად 2542 პირი იყო განკუთვნილი³²⁸. შესაბამისად, სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია 1937–1938 წლებში „კულაკური“ სამეულის მიერ უნდა გათავისუფლებულიყო დაახლოებით 2/3 (69.2%) მოცულობის სამუშაოსგან საქართველოში.

ის, რომ სამხედრო კოლეგიის განტვირთვა არა ფორმალური, არამედ პრაქტიკული

326. უფრო ზუსტი გამოანგარიშებით 43 768 ადამიანი. <http://stalin.memo.ru/images/intro.htm>(07.09.2013).

327. იხ. ცხრილი 35.

328. იხ. ცხრილი 36.

ხასიათის მოვლენა იყო, შემდეგი გამოთვლითაც დასტურდება. „სტალინურ სიებში“ ჩამოთვლილი და „კულაკური“ სამეულის მიერ გასამართლებული პირების რაოდენობა 2489 (ან 2484) შეადგენს³²⁹. გამოთვლის დროს ე.წ. „ორმაგი დათვლაც“ გავითვალისწინეთ, ანუ როდესაც ერთი და იგივე გვარები (რომელთაც სასჯელის უმაღლესი ზომა, ან თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ) სამეულთა სხდომის რამდენიმე ოქმში გვხვდება. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ „კულაკური“ სამეული ასამართლებდა არა მხოლოდ 1937 წლის 21 ოქტომბრით დათარიღებულ „სტალინურ სიებში“ ჩამოთვლილ პირებს, არამედ უფრო ადრე დათარიღებულ სიებში მოხვედრილ ადამიანებსაც. საერთო ჯამში, სამეულმა ასეთი კატეგორიის 164 (ან 161) პირი გაასამართლა³³⁰. ეს რაოდენობა ასევე გათვალისწინებულია ჩვენ მიერ წარმოებულ სტატისტიკურ გამოთვლებშიც.

აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველოში 1937-1938 წლებში სამხედრო კოლეგია 68.8%-ით იყო განტვირთული³³¹, ანუ გასასამართლებელი ელიტის ხარჯზე 2/3-ით³³², და პირიქით, სამხედრო კოლეგიის კონტინგენტმა „კულაკური“ სამეულის მიერ გასამართლებული პირების 11.8% შეადგინა (21.078 ადამიანი)³³³.

თუ გამოთვლის დასაზუსტებლად დამატებით ამ რიცხობრივ მაჩვენებლებს სხვა წყაროების რიცხობრივ მაჩვენებლებთან შევადარებთ, მაშინ საქართველოში „კულაკური“ სამეულის მოქმედების დაწყებამდე და „კულაკური“ სამეულისა და სამხედრო კოლეგიის პარალელური მუშაობის პერიოდში (ანუ 1937 წლის მაისიდან 1937 წლის 5 ოქტომბრამდე), შეიძლება 3 ან 4 შესაბამისი მაჩვენებელი იქნას გამოყენებული. მაგალითად, იმ პერიოდის „სტალინურ სიებში“ თავდაპირველად სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისთვის გადასაცემად 1.130 გვარი მოიხსენიება. 1937 წლის ოქტომბერში ლ. ბერიას მოყავს მონაცემები სამხედრო კოლეგიის მიერ გასამართლებული 910 ადამიანის შესახებ. თავის მხრივ, სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს I სპეცგანყოფილების (ოპერატიული აღრიცხვის, რეგისტრაციისა და სტატისტიკის) უფროსმა ლ. ფ. ბაშტაკოვმა 1939 წლის მაისში, საქართველოდან მიღებული მოთხოვნის საფუძველზე, „მხოლოდ“ 809 გვარი აღნიშნა³³⁴. ლ. ბაშტაკოვის თანახმად, სამხედრო კოლეგიის სიის 809 პირიდან უმაღლესი ზომა 710 ადამიანს, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა 97 ადამიანს, ხოლო 15 წლით თავისუფლების აღკვეთა 2 ადამიანს მიესაჯა. 11 ქალი დახვრიტეს, 6 ქალს კი 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ყველაზე დამაჯერებელი ციფრი ლ. ბერიას წერილშია მოყვანილი, რადგან იგი უფრო უახლოვდება იმ მონაცემებს, რომლებიც დახვრეტილთა სიების შესწავლისას მივიღეთ.

329. იქვე.

330. იხ. ცხრილები № 37 და № 36.

331. $2489:3616 \times 100 = 68,8\%$. („სტალინურ სიებში“ საქართველოს შესახებ მითითებულია 3671 ადამიანი. განმეორებულ გვართა ამოღების შემდეგ ეს რიცხვი შეადგენს 3616-ს).

332. $882+2489=3371,882$ რიცხვის შემთხვევაში საუბარია „სტალინური სიების“ პირთა იმ რაოდენობაზე, რომლებსაც მსჯავრი დაადო სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1937 წელს (იხ. ქვემოთ). იხ. წინამდებარე გამოცემაში ცხრილი № 36.

333. $2489:21078 \times 100 = 11,8\%$. იქვე.

334. იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 18 „ლ. პ. ბერიას 1930 წლის 30 ოქტომბრის წერილი ი. ბ. სტალინს ანტისაბჭოთა ელემენტების საქმეთა განხილვის დაჩქარების შესახებ“; იხ. წინამდებარე გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 172 „სსრკ შინსახკომის I სპეცგანყოფილების უფროსის მოადგილის ლ. თ. ბაშტაკოვის 1939 წლის 31 მაისის წერილი საქართველოს სსრ შინსახკომის I სპეცგანყოფილების უფროსს, ა. კ. მოროზოვს ინფორმაციით იმ პირთა სიით, რომლებიც გაასამართლა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1937-1938 წლებში“.

სამხედრო კოლეგიის მიერ 882 პირი იყო გასამართლებული³³⁵. სტატისტიკურ მონაცემებში 28 გვარის სხვაობა შეიძლება აიხსნას იმ 131 პირის არსებობით, რომელთა გამსამართლებელი ორგანოც უცნობია³³⁶. ასეთი 1937 წლის ოქტომბრამდე იყო 32 ადამიანი, ანუ დაახლოებით ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა წარმოქმნილი სხვაობის შესავსებად. გაუგებარია, თუ რატომ იძლევა ბაშტაკოვი 1939 წელს 101 ადამიანი ნაკლებ მონაცემს. შესაძლოა, როგორც სსრკ შინსახკომის მუშაკი, ის ფლობდა მოძველებულ მონაცემებს.

საქართველოში სამხედრო კოლეგიით გასამართლებულთა რიცხვის არსებული გადახრა „კულაკური“ სამეულის მუშაობის დაწყებამდე³³⁷ იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც მოყვანილია „სტალინურ სიებში“, ჯერ ერთი, შეიძლება აიხსნას იმით, რომ „სტალინურ სიებში“ შესული ყველა პირი სულაც არ უნდა გასამართლებულიყო აუცილებლად სამხედრო კოლეგიის მიერ. მაგრამ ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ³³⁸. კიდევ ერთ ახსნას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თბილისში მუშაობის შეწყვეტის მომენტისთვის (1937 წლის 5 ოქტომბერი) და ამის შემდგომ სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის „კულაკური სამეულისთვის“ გადაცემის მექანიზმის ძალაში შესვლის შედეგად, ზოგიერთი პირი ოქტომბრის სიებიდან ჯერ კიდევ არ იყო მსჯავრდადებული. ასე, 1130 ადამიანიდან, რომლებიც ირიცხებოდნენ „სტალინურ სიებში“ 1937 წლის მაის-ოქტომბერში, 164 (სხვა მონაცემებით 161) გასამართლდა „კულაკური“ სამეულის მიერ, მათ შორის 106 – პირველი, ხოლო 55 – მეორე კატეგორიით³³⁹.

გაურკვეველია, თუ რომელი სტატისტიკური „სტატიით“ აღირიცხებოდნენ შემდეგ ისინი, ვინც გასამართლდნენ „კულაკური“ სამეულის მიერ, ნაცვლად სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისა. მიაკუთვნეს თუ არა ისინი ცენტრის და ადგილობრივი სააღრიცხვო-სარეგისტრაციო განყოფილებების (მე-8 განყოფილებები) უფროსებმა „კულაკურ“ სამეულებს, თუ ისინი დარეგისტრირდნენ მხოლოდ სამხედრო კოლეგიის სტატისტიკურ ანგარიშებში? არ არის გამორიცხული, რომ მოხდა მათი ორმაგი აღრიცხვა და ისინი გაითვალისწინეს ორივე სტატისტიკით.

აფხაზეთის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 სამმართველოს უფროსის, ვ. ი. გრიგორიადის, რომელიც გასამართლდა 1939 წელს „სოციალისტური კანონიერების დარღვევისათვის“, საარქივო-საგამოძიებო საქმის მასალები შეიცავენ მონაცემებს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის სპეციფიკის შესახებ. 1938 წლის ბოლო – 1939 წლის დასაწყისში შედგენილ იმ მსხვერპლთა სიებში, რომლებიც „დაამუშავეს“ გრიგორიადის განყოფილებაში 1939 წელს, მოყვანილია პირთა მრავალრიცხოვანი ჩამონათვალი, რომელთა შესახებაც აღნიშნულია, რომ ისინი გასამართლდნენ სამხედრო კოლეგიის მიერ, თუმცა ეს უკანასკნელი იმ დროს არ ფუნქციონირებდა საქართველოში. სინამდვილეში კი

335. იხ. ცხრილი № 36. სასამართლოს სამხედრო კოლეგია 1937-1938 წლებში. იხ. ცხრილი № 36.

336. იქვე.

337. „სტალინური სიების“ მონაცემთა სხვაობა ლ. პ. ბერიასა და ლ. თ. ბაშტაკოვის მონაცემებთან შეადგენს პირველ შემთხვევაში 220 პირს (1130-910), მეორეში – 321 (1130-809).

338. იქვე. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს საკვანძო პოზიციას. „სტალინური სიები“ საქართველოში მეორედ გაგზავნის შემდეგ ექვემდებარებოდნენ განმეორებით კორექტირებას განყოფილების უფროსის, ა. კ. მოროზოვის მიერ. რესპუბლიკურ სააღრიცხვო-სარეგისტრაციო განყოფილებას ჰქონდა შესაძლებლობა, გადაეცა გარკვეული რაოდენობის პირთა საქმეები სხვა სასამართლო ინსტანციისთვის – საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსთვის, განსაკუთრებული სათათბიროსთვის, „კულაკური“ სამეულისთვის და ორეულისთვის.

339. იქვე. მონაცემები პირველ და მეორე კატეგორიის მიკუთვნების შესახებ მოიპოვება მხოლოდ 161 ადამიანზე.

ეს ადამიანები გაასამართლეს *სამეულებმა*, მათი სახელები მის ოქმებშია მოყვანილი.³⁴⁰ რასაკვირველია, „გრიგორიადის“ ეს სიები შეიძლება წარმოადგენდნენ ბიუროკრატიული აღრიცხვის უკვე მოხსენიებული დილემის ანარეკლს. ერთი მხრივ, ეს ადამიანები უნდა გაესამართლებინა *სამხედრო კოლეგიას*, მეორე მხრივ – გასამართლდნენ „*კულაკური*“ *სამეულის* მიერ, თუმცა „ჩვეულებრივი“ კონტინგენტისგან მეტ-ნაკლებად გამოყოფილი ჯგუფის სახით.

ლიად რჩება საკითხი, იყო თუ არა ჩვენს მიერ გამოვლენილი საქართველოში *სამხედრო კოლეგიის* კონტინგენტის მასშტაბური გადაცემა *სამეულისთვის* გამონაკლისი საკავშირო პრაქტიკიდან. ალტაის მხარის, ლენინგრადის, ტომსკის და ნოვოსიბირსკის ოლქების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის წიგნების „სტალინური სიების“ შერჩევითი შედარების საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ *სამხედრო კოლეგია*, როგორც წესი, თავად ახორციელებდა მსჯავრდებას გასვლითი სესიების დროს.³⁴¹ მაგრამ ისევ გაურკვეველია, თუ რამდენად ხდებოდა შინსახკომის კართოტეკების კორექტირება, რომელთა მიხედვით დგებოდა ხსოვნის წიგნები, კორექტულად ხდებოდა თუ არა იმათი გამოჯენა, ვინც გაასამართლა „*კულაკურმა*“ *სამეულმა სამხედრო კოლეგიის* „ერზაცის“ სახით მათგან, ვინც სინამდვილეში განსაჯა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ.³⁴²

8. მსჯავრდებულთა სოციალური შემადგენლობა

საქართველოს შინსახკომის „*კულაკური*“ *სამეულის* მსხვერპლთა სოციალური სტრუქტურის სპეციალურ ინდიკატორს, რომელიც აშკარად გამოარჩევს მას საერთო-საკავშირო ფონიდან, წარმოადგენს საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირთა „გაზრდილი“ წილი და მოსამსახურეთა თვალშისაცემად მაღალი პროცენტი.³⁴³ კიდევ ერთ

340. დაპატიმრებულითა სია, რომლებიც ირიცხებოდნენ 1938 წლის განმავლობაში აფხაზეთის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომელ ვიქტორ ივანეს ძე გრიგორიადზე (უთარილო)//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 6. ს. 5520. ტომი 1. ფ. 361-363. იხ.: მაგალითად: ვერა ალ-დრეს ას. ვოლკოვსკაია (...). გასამ. სკ მიერ II კატეგ.; სიმონ პლატონის ძე გვაზავა. (...) გასამ. სკ მიერ I კატეგ. სინამდვილეში მსჯავრდებულნი არიან *სამეულის* მიერ – 02.03.1938 წ. ოქმი № 94.

341. უკრაინის შემთხვევაში იხ. აგრეთვე: უკრაინის სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსის, ლ. გ. მუნვეზის მონაცემები სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიების მიერ მსჯავრდებულთა შესახებ უკრაინაში 1937 წლის 1 ივლისიდან 1938 წლის 4 იანვრამდე//„მტრის გვამებით ხალხის კეთილდღეობისთვის“. ტომი 2. გვ. 568.

342. მაგალითად, რჩება შთბეჭილება, რომ უკრაინაში, იმ პირთა აღრიცხვის დროს, რომლებიც უნდა გაესამართლებინა ორეულს, მაგრამ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლ. ნ. ბელსკის განსაკუთრებული ნებართვის საფუძველზე „გაატარეს“ „*კულაკურ*“ *სამეულზე*, იყო გაურკვეველობა, სახელდობრ იმის შესახებ, რომ უნდა აღერიცხათ თუ არა ეს მსხვერპლი „ნაციონალური“ ბრძანებების სტატისტიკის მიხედვით, თუ № 00447 ბრძანების შესაბამისად იხ.: კიევის ოლქის შინსახკომის უფროს მ. შაროვის მოხსენებითი ბარათი უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ი. ლეპრევსკის სახელზე „კიევის ოლქში პოლონურ-ჯაშუშური დივერსიული იატაკქვეშეთის ოპერაციის მსვლელობისა და შედეგების შესახებ 1937 წლის 5 სექტემბრის მდგომარეობით// Польша та Україна у тридцятих – сорокових роках ХХ століття. Невідомі документи из архівів спеціальних служб. Великий терор: польська операція 1937-1938. Том 8. Частина перша. Варшава-Київ, 2010. გვ. 398-499, აქ გვ. 402.

343. შესადარებლად იხ. ალტაის მხარეში და ტვერის (კალინინის) ოლქში ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგები: ვ. რაზგონი. რეპრესიები ყოფილი „*კულაკების*“ წინააღმდეგ ალტაის მხარეში 1937-1938 წწ.//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში: 1937-1938 წწ. მასობრივი ოპერაცია № 00447 ბრძანების საფუძველზე//შემდგ. მ. იუნგე, ბ. ბონევი, რ. ბინერი. მოსკოვი, 2010. გვ. 82-103; ე. რ. იუსუპოვი სოროკინის 1921 წლის ამბოხის მონაწილეთა დევნა ალტაის მხარეში//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში. გვ. 116-131; გ. დ. უდანოვა. № 00447 ბრძანების რეალიზაციის სტატისტიკური ანალიზი ალტაის მხარეში 1937 წლის ოქტომბერ – 1938 წლის მარტში//სტალინიზმი

სპეციფიკურ განმასხვავებლად გვევლინება ბრალდებულ სსკპ(ბ) წევრთა ძალზე დიდი რაოდენობა.

სამეულის 11.048 მსხვერპლიდან, რომელთა სოციალური წარმომავლობა (მუშა, გლეხი, მოსამსახურე) ცნობილია, 7.485, ანუ 68% მოსამსახურე იყო. ეს ჯგუფი განსაკუთრებით დაზარალდა. მოსამსახურეთა 61% (4.589 ადამიანი) სიკვდილით დაისაჯა. მოსამსახურეთა შორის პარტიის წევრთა წილი მაღალი იყო – 38% (2.817 ადამიანი). სურათი უფრო სრული იქნება, თუ გავითვალისწინებთ განათლების დონის მონაცემებსაც. 11.690 ადამიანიდან, რომელთა განათლების შესახებ მოიპოვება ცნობები, 3.583 (31%) საშუალო და უმაღლესი განათლებით იყო, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია სამეულის კონტინგენტისათვის³⁴⁴. მათგან 35% (1.267 ადამიანი) სკკპ(ბ) წევრი იყო.

ეს სტატისტიკური დევიაცია, ეჭვგარეშეა, აიხსნება ჩვენ მიერ გამოვლენილი ელიტის, ანუ სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის ბრალდების ფენომენით საქართველოს სსრ შინსახკომის „კულაკური“ სამეულის მიერ. სამეულის სხდომის იმ ოქმების ანალიზით, რომლებზეც ბრალს სდებდნენ პრაქტიკულად მხოლოდ ელიტის წარმომადგენლებს „სტალინური სიებიდან“, ჩვენ მივიღეთ შემდეგი მონაცემები: სიკვდილით დასჯის განაჩენი სამეულმა 1.890 ადამიანიდან 1.756-ს გამოუტანა. ამ ჯგუფიდან 64% (1.173 ადამიანი) იყო სკკპ(ბ) წევრი. საშუალო და უმაღლესი განათლება ჰქონდა 76%-ს (1.328-დან 1.003 ადამიანს).³⁴⁵ ამრიგად, სამხედრო კოლეგიის ეს კონტინგენტი, რომელიც საქართველოში 1937 წლის ოქტომბრიდან მსჯავრდებული იყო სამეულის მიერ, არ განსხვავდებოდა იმ ტიპური კონტინგენტისგან, რომლის „მომსახურებისთვის“ მონოდებული იყო სამხედრო კოლეგია.³⁴⁶

შედარებისთვის თუ მოვიხმობთ მონაცემებს იმ თვეების მიხედვით, როდესაც სამეული თითქმის არ სდებდა ბრალს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტს და განვიხილავთ მისი მსხვერპლის სოციალურ შემადგენლობას ამავე პერიოდში, შედეგი იქნება ერთმნიშვნელოვანი.³⁴⁷ მოსამსახურეთა წილი შემცირდა 35%-ით, 62%-მდე (2.549 ადამიანიდან 1.583 მოსამსახურე იყო), სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის შემთხვევაში კი მან შეადგინა 97%. მათგან სიკვდილით დაისაჯა „მხოლოდ“ 58% (სამხედრო კოლეგიის კონტინგენტისთვის ეს მაჩვენებელი უდრიდა 96%-ს). სკკპ(ბ) წევრ მოსამსახურეთა პროცენტულმა მაჩვენებელმა ახლა შეადგინა 20%, ნაცვლად 64%-ისა. უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის – განათლების დონის მიხედვით სხვაობა ორივე კონტინგენტს შორის ასევე ძალზე არსებითი იყო. სამეულის სპეციფიკური კონტინგენტის შემთხვევაში საშუალო და უმაღლესი განათლება ჰქონდა 25%-ს, სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის შემთხვევაში კი – 76%-ს.

მოვიყვანთ სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის ტიპური წარმომადგენლების კონკრეტულ მაგალითებს. ასე, მაგალითად, 1938 წლის 2 მარტს საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულმა სხდომაზე, ოქმი № 94, სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ი. თ. ხუსკვიცაძეს – უპარტიო მასწავლებელს, რომელმაც განათლება მიიღო ლენინგრადის ერთ-

საბჭოთა პროვინციაში. გვ. 718-745; ტ. გ. ლეონტიევა, მღვდლები ეკლესიისაწინი და სექტანტები „ბოლშევიკური გარდაქმნის“ დროს კალინინის ოლქში 1937-1938 წ.წ.//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში. გვ. 216-243; ა. ი. სავინი რეპრესიები მორწმუნე ევანგელისტთა მიმართ შინსახკომის „კულაკური“ ოპერაციის მსვლელობის დროს//სტალინიზმი საბჭოთა პროვინციაში. გვ. 303-342.

344. იხ. ცხრილი 9.

345. იხ. ცხრილი 40.

346. იხ. ცხრილი 39.

347. იხ. ცხრილი 41.

ერთი უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მას ბრალი დაედო კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია და მავნებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. თავისი სოციალური წარმომავლობით იყო გლეხი, თუმცა მამამისი ნოტარიუსად მუშაობდა. ადრე ის თანაუგრძნობდა სოციალ-რევოლუციონერებს³⁴⁸.

სკკპ(ბ) ორი წევრიდან, რომლებსაც სიკვდილი მიესაჯათ – გ. ნ. თოფურია და ა. ი. იაშვილი – პირველი იყო საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მეორე ამიერკავკასიის რკინიგზის წითელი ჯვრის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. თოფურიას ბრალად ედებოდა მემარჯვენეთა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, აგრეთვე მონაწილეობა ავტორიტარანსპორტის სარემონტო სადგურის ხელმძღვანელის ოჯახის ძარცვასა და მკვლელობაში. იაშვილს ბრალად ედებოდა ნაციონალური გადახრა, მონაწილეობა მემარჯვენეთა კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში, რომლის დავალებითაც აწარმოებდა სსრკ-ის თავდაცვითი ძლიერების ძირგამომთხრელ საქმიანობას წითელი ჯვრის რკინიგზის კომიტეტში.³⁴⁹

საგამოძიებო საქმეთა და საბრალდებო დასკვნის შინაარსი ასახულია სამეულის სხდომის ოქმში, მოკლე საოქმო ჩანაწერის იმ დროს გავრცელებული კლიშეს სახით, რომლითაც იფარება დაპატიმრებისა და ბრალდების მიზეზები. ამიტომ შეცნობა იმისა, რომ ასეთ ოქმებზე იყო დამოკიდებული ასობით ათასი ადამიანის სიცოცხლე, გამაოგნებელია.

9. მენშევიკების მსჯავრდება

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს მენშევიკურ წარსულს და ამ თვალსაზრისით შევადარებთ როგორც სამეულის სხდომებს, რომლებზეც იხილებოდა თითქმის მხოლოდ სამხედრო კოლეგიის კონტინგენტი, ასევე სამეულის მიერ მენშევიკებისთვის გამოტანილ განაჩენებს მთლიანობაში (სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის გამოკლებით), ძალზე საინტერესო სურათს მივიღებთ.

„კულაკური სამეულის“ იმ სხდომებზე განხილული საქმეებიდან, რომლებზეც ბრალი უპირატესად სამხედრო კოლეგიის კონტინგენტს ედებოდა, მენშევიკების წილი შეადგენდა მხოლოდ 3%-ს (69 ადამიანი 2.254-დან).³⁵⁰ სულ „სტალინურ სიებში“ საქართველოდან მოხსენიებულია მხოლოდ 112 მენშევიკი, ანუ 5%.³⁵¹ რაც შეეხება „კულაკური სამეულის“ იმ სხდომებს, რომლებზეც ბრალი უპირატესად სამეულის ტიპიურ კონტინგენტს ედებოდა,

348. იხ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1938 წლის 2 მარტის სხდომის ოქმი № 94 ი. თ. ხუსკვიადის ბრალდების შესახებ//საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება. ფ. 8. საქმე 38448. ფ. 17.

349. იხ. წინამდებარე გამოცემაში „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა არსებული სამეულის 1937 წლის 4 დეკემბრის სხდომის ოქმი № 59 გ. ნ. თოფურიას ბრალდების შესახებ“; „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა არსებული სამეულის 1937 წლის 4 დეკემბრის სხდომის ოქმი № 59 ა. ი. იაშვილის ბრალდების შესახებ“.

350. აქ მხედველობაში გვაქვს, რომ როგორც სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის, ასევე „კულაკური“ სამეულის ტიპიური კონტინგენტის შემთხვევაში, მსჯავრდებულთა შორის მენშევიკების რაოდენობასთან დაკავშირებით საუბარია აბსოლუტურ ციფრებზე. სარწმუნოების მაღალი ხარისხით შინაგან საქმეთა თანამშრომლებს საქმეებში და სამეულის ოქმებში ყოველთვის მოჰყავდათ ინფორმაცია მსხვერპლთა მენშევიკური წარსულის შესახებ, რამდენადაც საუბარი იყო მაკომპრომეტირებელ ცნობებზე, რომლებიც არსებით როლს ასრულებდნენ გამოტანილი განაჩენის დასაბუთებისას. იხ. წინამდებარე გამოცემაში. ცხრილი 40. აქ არ შედიან მენშევიკები სამხედრო კოლეგიის კონტინგენტიდან, რომლებიც გასამართლდნენ „კულაკური“ სამეულის სხვა სხდომებზე „დისპერსიულად“. მაგრამ მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, უმნიშვნელო იყო და ვერ მოახდენდა სერიოზულ გავლენას სტატისტიკის საერთო სურათზე.

351. იხ. ცხრილი 39.

69 მენშევიკის გამოკლებით სამხედრო კოლეგიის კონტინგენტიდან, მათი წილი შეადგენდა 16,8%-ს, ანუ სამჯერ მეტს.³⁵² და პირიქით, სკკპ(ბ) წევრთა წილმა ყოფილ მენშევიკებს შორის, რომლებიც სამხედრო კოლეგიის კონტინგენტს განეკუთვნებოდნენ და ბრალდებულნი იყვნენ სამეულის მიერ, შეადგინა მხოლოდ 3,5% (4 ადამიანი), ხოლო სამეულის ტიპიურ კონტინგენტს შორის – სამჯერ ნაკლები – 1% (28 ადამიანი).³⁵³ სამხედრო კოლეგიის კონტინგენტიდან დაიხვრიტა მენშევიკთა თითქმის 94% (65 ადამიანი 69-დან), სამეულის ტიპიური კონტინგენტიდან – ნახევარზე ნაკლები, კერძოდ, 45% (1.366 ადამიანი).

როგორ შეიძლება ამ ციფრების ინტერპრეტირება? როგორც ჩანს, დიდი ტერორის პერიოდში ელიტის გასამართლების დროს საქართველოს მენშევიკური წარსული უკვე აღარ თამაშობდა არსებით როლს. ბოლშევიკების სერიოზული, მენშევიკურად განწყობილი პოლიტიკური კონკურენტები უკვე დიდი ხნის თავიდან მოშორებულნი ან გაძევებულნი იყვნენ საქართველოდან. მაგრამ ნიშანდობლივია იმ ყოფილ მენშევიკთა დიდი წილი (16,8%), რომლებსაც მსჯავრი დაედოთ ტიპიური „კულაკური ოპერაციის“ ფარგლებში. თუ კვლავ მივმართავთ სტატისტიკას, როგორც ინტერპრეტაციის საფუძველს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ № 00447 ბრძანებით გათვალისწინებული მასობრივი ოპერაცია გამოყენებული იყო იმისთვისაც, რომ მოესპოთ ან ხანგრძლივი ვადით მსჯავრი დაედოთ იმათთვისაც, ვინც წარსულში და აწმყოში გამოხატავდა სიმპათიას მენშევიკური პარტიისადმი. თუ სტატისტიკური მონაცემებთან ერთად დამატების სახით მოვიყვანთ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, რომლებიც სამეულის ოქმებშია, ყურადღებას მიიპყრობს ის გარემოება, რომ ძირითადად საუბარია მათზე, ვინც არ ასრულებდა მეტნაკლებად მნიშვნელოვან თეორიულ ან ორგანიზატორულ როლს მენშევიკურ პარტიაში. ეს არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ „ჩეკისტებისთვის“ მთავარი იყო არა ის, რომ „კულაკური ოპერაციის“ დროს ლიკვიდირებული ყოფილიყო მენშევიზმის რალაც რეალური ბაზისი ან ჩატარებულიყო პროფილაქტიკური ნშენდა, არამედ ის, რომ მენშევიკური პარტიისადმი კუთვნილების სტიგმა გამოეყენებინათ იმ ადამიანთა სწრაფად გასამართლებისთვის, რომლებიც თავიანთი გამომწვევი ან დევიანტური ქცევით გამოირჩეოდნენ. ეს ლოგიკურია, რამდენადაც მენშევიზმის ეპოქა საქართველოს საზოგადოებისთვის იმ დროს უკვე დიდი ხნის დასრულებული იყო კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს აქტიური ზემოქმედებით.

მენშევიკების დევნაზე უფრო მეტად უჩვეულო იყო საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენ რესპუბლიკასთან შედარებით სსკპ(ბ) წევრთა მასობრივი მსჯავრდების ფაქტი საქართველოს სსრ შინსახკომის „კულაკური სამეულის“ მიერ. მათი წილი მსჯავრდებულთა შორის შეადგენს 19%-ს (3.347 ადამიანი) და აღემატება დღემდე ცნობილ ყველა მაჩვენებელს.³⁵⁴ ეს მონაცემი საფუძვლიანს ხდის მოსაზრებას, რომ ბერიას კლანმა იმისთვისაც გამოიყენა № 00447 ბრძანებით გათვალისწინებული შინსახკომის მასობრივი ოპერაცია, რომ მთლიანად დაექვემდებარებინა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია და /ან გათა-

352. „კულაკური“ სამეული: 2991-69=2922 მენშევიკს, რომლებიც გაასამართლა „კულაკურმა“ სამეულმა, გარდა სამხედრო კოლეგიის კონტინგენტისა. შემდეგ განტოლებაში „კულაკური“ სამეულის მიერ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობიდან გამოკლებულია სამხედრო კოლეგიის კონტინგენტი, ასევე „გატარებული“ სამეულის გავლით: 21078-3616=17462. შედეგად მენშევიკების წილმა სამეულის „ტიპიურ“ კონტინგენტს შორის შეადგნა 16,8% (2922:17462x100=16,8%). იხ. წინამდებარე გამოცემაში ცხრილი № 9.

353. სკკპ(ბ) წევრთა წილი კულაკური სამეულის მიერ გასამართლებულ ყოფილ მენშევიკებს შორის: 32-4 = 28.

354. 21078 („კულაკური“ სამეულის მიერ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა) გამოკლებული 3616 (სამხედრო კოლეგიის კონტინგენტი) = 17462 ადამიანს. 4761 (სკკპ(ბ) წევრთა საერთო რაოდენობა, მსჯავრდებული სამეულის მიერ) გამოკლებული 1414 (სკკპ(ბ) წევრთა საერთო რაოდენობა სამხედრო კოლეგიის კონტინგენტს შორის) = 3347 ადამიანს. 3347:17462 x 100% = 19% .

ვისუფლებულიყო კონკურენტი და კრიტიკული მიმდინარეობებისგან ხელისუფლების შედარებით დაბალ საფეხურებზე.

10. სასამართლოსა და არასასამართლო ორგანოების ურთიერთშენაცვლება

სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის გადამისამართება „კულაკური“ სამეულისთვის გასასამართლებლად, რაც განსაკუთრებით თვალში საცემია საქართველოს შემთხვევაში, შესაძლებლობას იძლევა, რომ ახალ ქრილში წარმოვიდგინოთ ისტორიოგრაფიაში კამათის საგნად ქცეული თეზისი ელიტის დევნასა და რიგითი საბჭოთა მოქალაქეების მიმართ რეპრესიებს შორის დიქოტომიის შესახებ, სახელდობრ, წარმოვიდგინოთ ორ – სასამართლოსა და არასასამართლო სადამსჯელო ორგანოების ურთიერთშენაცვლებისა და განაჩენების გამოტანის მექანიზმის დონეზე.

რაც შეეხება დიქოტომიის შესახებ თეზისის ქვაკუთხედს, რომ ელიტის მიმართ რეპრესიული სტრატეგია შეიძლება დახასიათდეს, როგორც შერჩევითი და ინდივიდუალური, ხოლო „ქვედა ფენის“ დევნა – როგორც გაუპიროვნებელი, ჩატარებული კამპანიური სტილში „მოსახლეობის მთელი სოციალური ჯგუფების“ წინააღმდეგ, აქ დასაშვებია შეკამათება: რატომ იყო დარღვეული ეს თითქოსდა მკაცრი დაყოფა საქართველოს მაგალითზე, სადაც მასობრივად ხდებოდა ელიტის გადაცემა სამეულისთვის განსასჯელად?

შეიძლება სამი მთავარი გზის დადგენა ელიტის საქმეთა გადამისამართებისას სამხედრო კოლეგიიდან – „კულაკური სამეულისთვის“. პირველი გზა – არა მხოლოდ საქართველოსთვის ჩვეულებრივი გადამისამართება სამხედრო კოლეგიის „კონტინგენტისა“, რაც ხდებოდა უშუალოდ დაპატიმრების დროს. როგორც წესი, მსხვერპლის პირველადი სელექცია და პოტენციური კანდიდატების შერჩევა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ მსჯავრის დასადებად, წარმოებდა შინსახკომის ორგანოების მიერ უკვე დაპატიმრებამდე. მეორე შესაძლებლობა მდგომარეობდა განმეორებით სელექციაში ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი პროცედურის მეშვეობით, შესაძლოა საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-8 განყოფილების ინიციატივით. მესამე შესაძლებლობა ჩნდებოდა მაშინ, როდესაც სამხედრო კოლეგიის კონტინგენტს ბრალს სდებდა „კულაკური სამეული“, რომელიც ცვლიდა სამხედრო კოლეგიას. საბოლოო ჯამში, სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი მასობრივი ოპერაციების სპეციფიკური სტატისტიკისა საქართველოში, რომელიც, საერთო-საკავშირო დონესთან შედარებით, წარმოაჩენდა საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირთა, კომუნისტური პარტიის ყოფილ წევრთა და ინტელიგენციის მაღალ წილს.

სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის გადაცემა „კულაკური“ სამეულისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რადგან დადასტურებული ციფრებით საუბარია, როგორც მინიმუმ, „კულაკური“ სამეულის მიერ მსჯავრდებულთა საერთო რიცხოვნობის 11,8%-ზე.³⁵⁵ ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებელი სინამდვილეში უფრო მაღალი იყო, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ხსენებულ განმეორებითი სელექციის პრაქტიკას და იმ კონტინგენტის გადაცემას სამეულისთვის, რომელიც შინსახკომის ადგილობრივი ორგანოების მიერ გამიზნული იყო სამხედრო კოლეგიის მიერ

355. 2484: 21078 x 100% = 11,8%

მსჯავრის დასადებად (იხ. დანართში ი. კუგელის წერილი). გადაცემული კონტინგენტი დიდად განსხვავდებოდა „კულაკური“ სამეულის ჩვეულებრივი „კლიენტურისგან“.

გაურკვეველი რჩება, იყო თუ არა საქართველოსთვის საჩუქრად მიღებული სამეულისთვის ელიტათა კომპლექსურად გადამისამართების სპეციფიკური პრივილეგია დაკავშირებული საქართველოსა და მოსკოვის პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობის „განსაკუთრებულ“ ურთიერთობებთან. მაგრამ ამის გამორიცხვა არ შეიძლება. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი პრაქტიკა მოწმობს მოსკოვის განსაკუთრებულ ნდობას. თუმცა, ჩვენი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ის არის, რომ ბერიამ ძალიან, შეიძლება სხვა ყველაზე უფრო ადრე, აიტაცა აჭარის შინსახკომის უფროსის მოადგილის, კუგელის ინიციატივა, რის შედეგად სახელმწიფოს ხელმძღვანელობისადმი მიმართვა სასამართლოსა და არასასამართლო ორგანოებს შორის კონტინგენტების ტრანსფერტის განხორციელების ნებართვის თაობაზე იქცა თავისებურ ქართულ „სიახლედ“. მოსკოვში კი საქართველოს ინიციატივა, შესაძლოა, მიეღოთ კეთილგანწყობით, რადგან სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია გადატვირთული იყო საბჭოთა კავშირის ყველა ოლქიდან, მხარიდან და რესპუბლიკიდან შემოსული მოზღვავებული საქმეებით და ვერ ასწრებდა განაჩენთა გამოტანას. მოსკოვის თანხმობა ასევე გაადვილდა მისწრაფებით, რომ თუნდაც ნაწილობრივ გაეთავისუფლებინათ სამხედრო კოლეგია გამსვლელი სესიების დროს საბჭოთა ელიტის გასამართლებისგან.

მაგრამ ელიტისა და „ქვედა ფენების“ მსჯავრდების პროცედურები მკაცრად არ იყო გამიჯნული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სსრკ-შიც. ასე, მაგალითად, უკრაინაშიც მიმართავდნენ სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის გადაცემას „კულაკური“ სამეულისთვის უშუალოდ მსხვერპლის დაპატიმრებისთანავე. და საქართველოშიც კი ყოველთვის თანმიმდევრულად არ იცავდნენ ცენტრის მოთხოვნას, რომ ელიტა მსჯავრდებული ყოფილიყო სამეულის სპეციალურ სხდომებზე. მაგრამ თუ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით დიდი ტერორის დროს ელიტის ნაწილის გასამართლება არასასამართლო „სამეულის“ იუსტიციით ტიპური მოვლენა იყო, საქართველოს არსებითი განსხვავება ის იყო, რომ ამ რესპუბლიკაში სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია მთლიანად „კულაკურმა სამეულმა“ შეცვლა.

ჩვენი დასკვნა სასამართლოსა და არასასამართლო ორგანოების ურთიერთშენაცვლების პრობლემის შესახებ ცხადყოფს: „კულაკური სამეული“ საქართველოში, ფაქტობრივად, არა მხოლოდ არასასამართლო ინსტანციას, რომელსაც სწრაფად გამოჰქონდა განაჩენი რიგითი საბჭოთა ადამიანების, ე.წ. მასობრივი ოპერაციების „ქვედა ფენების“ მიმართ, არამედ აგრეთვე წარმოადგენდა შესაძლებლობას, საფუძვლიანად და ზედმეტი ხმაურის გარეშე გაენმინდათ საზოგადოება „უხერხული“ ელიტისგან.

11. წინასწარი ბრალდება და „კაბინეტური მკვლელობა“

რაც შეეხება დიქტომიის შესახებ დისკუსიის კიდევ ერთ მიმართულებას – განაჩენის გამოტანის პროცედურას, მისი მომხრეების ძირითადი მტკიცებულება შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად: შინსახკომის მასობრივი ოპერაციების დროს მსხვერპლის ინდივიდუალურ ბრალეულობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მათ საგამოძიებო საქმეთა საფუძველზე, რომლებიც ჩვენ მიერ გამოვლენილია არა მარტო საქართველოში, არამედ უკრაინაშიც, ცენტრალურ რუსეთსა და ციმბირში, შეიძლება პრინციპულად საწინააღმდეგო ვთქვათ: არა მხოლოდ ელიტის, არამედ „ქვედა ფენის“, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სოციალურად „გადახრილების“ საქმეთა განხილვის დროს, მასობრივ ოპერაციათა არასასამართლო ორგანოების („ორეულები“, „კულაკური“, „მილიციის“ და „საგანგებო

სამეულები“) მიერ თითოეული განსასჯელის ლოიალობის შეფასება იყო განაჩენის ფორმალური დასაბუთების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, რაც ხშირად განმტკიცებული იყო მსხვერპლის აქტიუალური გადაცდომებით.³⁵⁶ ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ რეპრესიათა უპირატესად სოციალურ მოტივაციაზე.

სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის განაჩენები წინასწარ „მზადდებოდა“ სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 (საალრიცხვო-სარევისტრაციო) განყოფილების მდივნის მიერ, მსხვერპლთა საქმეების გაცნობის შემდეგ. ამრიგად, ის ადგენდა ორივე – სასჯელის უმაღლეს ზომამისჯილთა და შრომა-გასწორებით ბანაკში პატიმრობამისჯილთა სიას, რომელსაც შემდგომ ნ. ი. ეჟოვი წარუდგენდა პოლიტბიუროს წევრებს. ასეთი პრაქტიკის შემოღების შედეგად, რომელიც დასაწყისში ეპიზოდურ, ხოლო 1937 წლიდან სისტემატურ ხასიათს ატარებდა, შინსახკომის თანამშრომლებს, რომლებმაც სამხედრო კოლეგია ჩაანაცვლეს, ფაქტობრივად, თავად საწერ მაგიდასთან გამოჰქონდათ განაჩენი, ხოლო შინსახკომი უზენაესი სასამართლოს დონემდე ამაღლდა.

პოლიტბიუროს წევრებმა, პირველ რიგში კი – სტალინმა, რომელიც თავისი ხელმოწერით ვიზირებდა გასამართლებულ პარტიულ-სახელმწიფო მუშაკთა სიებს, შეინარჩუნეს „საბოლოო კონტროლის უფლება“ (იურგენ ზარუსკი), რაც აღქმული უნდა იყოს სრულიად სერიოზულად, როგორც ამას არაორაზროვნად ცხადყოფენ დასახვერეთა სიებში სტალინის ხელით შეტანილი ცვლილებები.³⁵⁷ და მაინც, ამ სისტემაში საზღვარი კონტროლის განხორციელების უფლებასა და შინსახკომის მიერ შეთავაზებული განაჩენების მექანიკურ დადასტურებას შორის ძალზე პირობითი იყო. ვიზირებას საჭიროებს ასობით ადამიანთა მრავალგვერდიანი სიები, პოლიტბიუროს წევრებს კი ამისთვის არ ჰქონდათ არც აუცილებელი დრო, არც უსაზღვრო მეხსიერება ან პირად ნაცნობთა უაღრესად ფართო წრე, რომელთა წყალობითაც შეეძლოთ სცოდნოდათ რაიმე კონკრეტული პროსკრიპციული სიებიდან თითოეული ადამიანის შესახებ. ამიტომ შესწორებები და კორექტურები უნდა ყოვილიყო აბსოლუტურად მინიმალური.³⁵⁸ ელიტის მიმართ განხორციელებულ რეპრესიებზე უზენაესი კონტროლის შეფასება, როგორც წმინდა სიმბოლურისა, დამატებით შეიძლება დაუდევრობის იმ მაგალითით, რომლის შედეგად 316-დან 191 ადამიანი, რომლებიც მოხსენიებულნი იყვნენ ორიდან პირველ, 1938 წლის 3 იანვრის „სტალინურ სიაში“ საქარ-

356. Junge M. Massenverfolgungen und dogmatischer Import//Totalitarismus und Demokratie. 2011. № 1. გვ. 77-98; „მტრის გვამების მეშვეობით ხალხის საკეთილდღეოდ“ ტომი 1. გვ. 530-614. რიგ საქმეთა დახასიათება მოცემულია: Binner/Bonwetsch/Junge, Massenmord. გვ. 357-404; „მტრის გვამების მეშვეობით ხალხის საკეთილდღეოდ.“ ტომი 2. გვ. 245-354; მასობრივი რეპრესიები ალტაის მხარეში. გვ. 53-326; შინსახკომის ალტაის მხარის სამმართველოს (მილიციის) სამეულის 1937 წლის 10 დეკემბრის სხდომის ოქმი № 7/2//მასობრივი ოპერაციები ალტაის მხარეში. გვ. 394-417; შინსახკომის ალტაის მხარის სამმართველოს (მილიციის) სამეულის 1938 წლის 9 იანვრის სხდომის ოქმი № 1/3//მასობრივი ოპერაციები ალტაის მხარეში. გვ. 418-428.

357. Zarusky. Politische Justiz unter Stalin. გვ. 53-76.

358. ავტორები მადლობას უხდებიან იურგენ ზარუსკის მრავალრიცხოვანი კრიტიკული შენიშვნისათვის, განსაკუთრებით ამ მონაკვეთის მიმართ. ამონაწერებს მაღალი თანამდებობის საბჭოთა და პარტიული ფუნქციონერების დაკითხვის ოქმებიდან, რომლებიც შეიცავს მაკომპრომეტირებელ ჩვენებებს, მომზადებული იყო ი. ი. შაპიროს მიერ და ეჟოვმა გაუფზავნა სტალინს, ფაქტობრივად, არ შეეძლო ინფორმაციის დეფიციტის კომპენსირება სტალინისთვის. ეს ამონაწერები შემოკლებული სახით შეიცავდა მხოლოდ დაპატიმრებულთა უმნიშვნელოვანეს „აღიარებებს“. იხ. მაგალითად: სსრკ შინსახკომის სახ. უშიშროების მთავარი სამმართველოს მიერ დაპატიმრებულთა უმნიშვნელოვანესი ჩვენებების 1938 წლის 7-8 თებერვლის ცნობა//ლუბიანკა. 2011. გვ. 57-69. საგულისხმოა, რომ საქართველო ასევე არ მოიხსენიება შინსახკომის ადგილობრივ სამმართველოთა ცნობებში (იხ. იქვე. გვ. 334-393).

თველოდან, უკვე იყო მსჯავრდებული საქართველოს სამეულის დეკემბრის სხდომებზე და მათი დიდი ნაწილი დახვრეტილი იყო იმ დროისთვის, როდესაც ეს სიები ვიზირებისთვის პოლიტიუროს წევრებს წარედგინათ. პოლიტიუროს წევრები ამ სისტემაში თამაშობდნენ „მხოლოდ“ დამამტკიცებელი ინსტანციის, თუმცა ყველაზე უმაღლესის და ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო როლს.³⁵⁹

ეს არგუმენტაცია რამდენადმე სუსტდება ოლეგ ხლეენიუკის მიერ გამოთქმული ვარაუდით, რომ, შესაძლოა, „სტალინური სიები“ პოლიტიუროს დასამტკიცებლად წარედგინებოდა მისი სასამართლო (პოლიტიკური) საქმეების კომისიის მიერ, რომელიც მოქმედებდა 1924 წლიდან.³⁶⁰ ამრიგად, „საბოლოო კონტროლის უფლება“ სკკპ(ბ) მხრიდან შეიძლებოდა განხორციელებულიყო სპეციალური პარტიული კომისიის სახით უფრო ფართო ბაზისზე დაყრდნობით, რომელიც წინასწარ განსაზღვრავდა განაჩენს.³⁶¹ თუმცა, ახალი მონაცემების თანახმად, ეს კომისია პოლიტიუროს წევრის – მ. ი. კალინინის, პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგიის მდივნის – მ. ფ. შკირიატოვის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის – ნ. ი. ეუოვის და სსრკ პროკურორის – ა. ი. ვიშინსკის შემადგენლობით 1937-1938 წლებში არ იყო დაკავებული „სტალინური სიებით“. რამდენადაც 1937 წლის თებერვლის ბოლოდან 1938 წლის ოქტომბრის ჩათვლით სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის პრაქტიკულად ყველა საქმე განიხილებოდა მხოლოდ 1934 წლის 1 დეკემბრის ყბადალებული „კანონის“ მიხედვით,³⁶² შემოღებული წესის თანახმად ისინი ფორმალურად არ ექვემდებარებოდნენ განხილვას პოლიტიუროს სასამართლო საქმეთა კომისიის მიერ.³⁶³

ამრიგად, საბჭოთა კავშირის მასშტაბით სამხედრო კოლეგიის სტატუსი, შინსახკომის მიერ წინასწარ ფორმულირებული განაჩენების მიზეზით, რომლებიც დამატებით დამტკიცებული იყო პოლიტიუროს წევრთა ხელმოწერების ავტორიტეტით, ჩამოქვეითდა „დამადასტურებელი“ და „შემსრულებელი“ ორგანოს დონემდე, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს კოლეგიის სასამართლო სხდომების ხანგრძლივობით, ისინი შემცირდა 10-15 წუთამდე ერთ განსასჯელზე.³⁶⁴ არსობრივად, სამხედრო კოლეგიის როლი მხოლოდ ის იყო, რომ

359. ამ ინციდენტის გარემოებები ზოგადად გაურკვეველია. მოსკოვიდან გამოგზავნილი სიების საქართველოში მიღების თარიღი 1937 წლის 3 დეკემბერი ხელით გადასწორებულია 1938 წლის 3 იანვრად. თავის მხრივ, 4 ადამიანი 1937 წლის 15 სექტემბრის „სტალინური სიიდან“ უკვე გასამართლებული იყო „კულაკური“ სამეულის მიერ 1937 წლის აგვისტოში. იხ. წინამდებარე გამოცემაში ცხრილი 37; წინამდებარე გამოცემის მეორე ტომის დოკუმენტი № 142 „პირთა სია საქართველოსთვის, რომლებიც ექვემდებარებიან სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სასამართლოს, შესწორებული სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების მიერ, 1938 წლის 3 იანვარი“.

360. დათარიღების საფუძველია: <http://www.memo.ru/memory/communarka/index.htm> (24.02.2013). (18.09.2013)

361. ო. ვ. ხლეენიუკი. პოლიტიურო. პოლიტიკური ძალაუფლების მექანიზმები 1930-იან წლებში. მოსკოვი, 1996. გვ. 191. ავტორები მადლობას უხდებიან ანდრეი სავინს ამ საკითხზე დისკუსიისთვის და ლიტერატურის წყაროსთვის.

362. იხ. სსრკ ცაკ-ის 1934 წლის 1 დეკემბრის დადგენილება „ტერორისტული აქტების მომზადებისა და ჩადენის თაობაზე საქმეების განხილვის შესახებ“//გულაგი (ბანაკების მთავარი სამმართველო). 1918-1960. ა. ი. კოკურინის, ნ. ვ. პეტროვის რედაქციით. მოსკოვი, 2002. გვ. 95. დადგენილების არსი ის იყო, რომ ბრალდებულის გასამართლება შესაძლებელი იყო ადვოკატის, მოწმეთა მოსმენის გარეშე, მას არ ჰქონდა განაჩენის გასაჩივრების უფლება.

363. იხ.: <http://www.memo.ru/memory/communarka/index.htm> (24.02.2013).

364. ცხადია, ეს სამართლიანია იმ შემთხვევებში, როდესაც სამხედრო კოლეგიას ჯერ კიდევ ჩამორთმეული არ ჰქონდა, როგორც ეს მოხდა საქართველოში, დაწყებული 1937 წლის ოქტომბრიდან, სამართალწარმოების გაგზავნის უფლება.

ბიუროკრატიულად „აკურატულად“ გაფორმებულ-დასრულებულიყო ბრალდების პროცედურა.

აღწერილი ვერტიკალური იერარქიის ფარგლებში 1937 წელს განაჩენების გამოტანის დროს შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მცირე გადახრები და არარეგულარულობა *სამხედრო კოლეგიასთან* მიმართებაში. ასე, „სტალინურ სიებში“ საქართველოდან 1937 წლის მაის – ოქტომბერში 950 ადამიანი 1129-დან, ანუ 84% მიაკუთვნეს პირველ კატეგორიას. მაგრამ *სამხედრო კოლეგია* თავისი ეფემერული თავისუფლების გამოყენებით მოქმედებდა უფრო მკაცრად, ვიდრე ეს მოეთხოვებოდა. შედეგად მან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 87,3%-ს (770 ადამიანი 882-დან).³⁶⁵

პრივილეგია იმისა, რომ „*სამხედრო კოლეგიის*“ და „*კულაკური*“ *სამეულის* პარალელური საქმიანობის პირველი ფაზის დროს გამოიჩინა „სირბილე“, ეკუთვნოდა ამ უკანასკნელს. იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც *სამხედრო კოლეგიიდან* გადაეცა *სამეულს*, მიუხედავად მოსკოვის გეგმიური დავალებისა, სიკვდილით დაისაჯა „მხოლოდ“ 2/3 (65,9%).³⁶⁶

გაასამართლა რა 1937 წლის მაის-ოქტომბერში „სტალინურ სიებში“ ჩართული 1.129 ადამიანიდან 882 (ბერიას მიხედვით – 910), *სამხედრო კოლეგიამ* თავის შესაძლებლობებთან შედარებით აშკარად სუსტად „იმუშავა“.³⁶⁷ ეს, პირველ რიგში, აიხსნება იმით, რომ 164 ადამიანი *სამხედრო კოლეგიის* ამ კონტინგენტიდან მსჯავრდებული იყო „*კულაკური სამეულის*“ მიერ ჯერ კიდევ საქართველოში *სამხედრო კოლეგიის* ფუნქციონირების დროს, ან მისი მუშაობის შეჩერების შემდეგ. ამრიგად, ხარვეზი შემცირდა 55 პერსონამდე.³⁶⁸ დამატებით 28 ადამიანის საგამოძიებო საქმე *სამხედრო კოლეგიის* კონტინგენტიდან გადაეცა საქართველოს სხვა გასამართლო ორგანოებს: განსაკუთრებულ სათათბიროს და ამიერკავკასიის *სამხედრო ოლქის* *სამხედრო ტრიბუნალს*. საბოლოოდ, „*კონტინგენტის*“ ციფრი, რომლის შესახებაც მონაცემები არ მოიპოვება, შემცირდა 27-მდე, რაც შეიძლება აიხსნას ერთი და იმავე პირის ერთდროულად ორ სხვადასხვა სიაში ჩართვით.³⁶⁹

რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სსრ შინსახკომის „*კულაკური სამეულისთვის*“ იმ გარემოებას, რომ მისთვის განსასჯელად გადაცემული *სამხედრო კოლეგიის* კონტინგენტის მიმართ განაჩენი უკვე გამოტანილი იყო მოსკოვში, განსაკუთრებით 1937 წლის შემდეგ პერიოდში? ნიშანდობლივია, რომ წინასწარ, ესე იგი *სამხედრო კოლეგიის* მიერ განსასჯელ პირთა სიის შედგენისას, შინსახკომის ორგანოები ვალდებულნი არ იყვნენ და უფლებაც არ ჰქონდათ – როგორც, მაგალითად, ე.წ. „საალბომო“ წესით *ორეულის*³⁷⁰

365. 1937-1938 წლების „სტალინური სიებიდან“ 139 ადამიანის შესახებ არ მოიპოვება მონაცემები იმის შესახებ, თუ რომელმა ორგანომ გაასამართლა ისინი. 1937 წლის მაის-ოქტომბრის სიების შემთხვევაში ეს ეხება 30 ადამიანს. ვიმეორებთ, რომ ავტორებს აქვთ მონაცემები მხოლოდ იმ 882 ადამიანის შესახებ, რომლებიც გაასამართლა უშუალოდ *სამხედრო კოლეგიამ*. იხ. ცხრილი 36.

366. $106:161 (164) \times 100\% = 65,9\%$.

367. იხ. ცხრილი 36.

368. იქვე (161 ადამიანი); იხ. ცხრილი № 37. $(910+164 (161)) = 1074$.

369. $910+164+28+27=1129$.

370. სსრკ შინსახკომის № 00485 ბრძანებით „დანესდა მსჯავრის დადების განსაკუთრებული (შინსახკომის პრაქტიკაში პირველად დამუშავებული) წესი – „ალბომური“. ამის შესაბამისად, შინსახკომის სამმართველოს თანამშრომლები ადგილებზე გამოძიების დამთავრებისას ადგენდნენ ცნობებს თითოეული დაპატიმრებულის შესახებ, რომელშიც ჩართული იყო საბრალდებო დასკვნის მოკლე რეზიუმე. ეს ცნობები თითოეულ ბრალდებულზე დაახლოებით ნახევარ გვერდზე, კომპლექტდებოდა სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ადგილობრივი განყოფილების მიერ სპეციალური სიის („ალბომი“) სახით, აქვე იყო ფორმულირებული წინადადება განაჩენის სიმძიმის შესახებ (დახვრეტა ან ბანაკში გაგზავნა 5-10 წლით). ამ ალბომებს ხელს აწერდნენ (შეთავაზებული ზომების მხარდაჭერით ან ცალკეულ შემთხვევაში მათი კორექტირებით) შინსახკომის საოლქო, სამხარეო

მიერ „ნაციონალურ“ ოპერაციათა მსხვერპლის განსჯის დროს – მიეცათ რეკომენდაციები სასჯელის ზომის შესახებ. გარდა ამისა, სამეულის მიერ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის საქმეთა განხილვა ცალკე სხდომებზე ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ არსებობდა გარკვეული დისტანცია ამ და „ჩვეულებრივ“ კონტინგენტს შორის. ქართველ „ჩეკისტებს“ 1937-1938 წლებში კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ სამხედრო კოლეგიის მიერ განსასჯელთა სიებში შეყვანილ ადამიანებს, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, სიკვდილით დასჯა ელოდათ. წინასწარ ცოდნა, თუ როგორი იქნებოდა განაჩენი, იძენს დამატებით მნიშვნელობას იმის გათვალისწინებით, რომ სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის გადაცემა სამეულისთვის განსასჯელად ცალკეული შემთხვევა კი არ იყო, არამედ გეგმიურ რუტინად იქცა. ფორმალური თვალსაზრისით, სამეული მხოლოდ ცენტრის ნების გამტარებლად, შემსრულებელ ორგანოდ გამოდიოდა, რომელსაც, მართალია, განაჩენი გამოჰქონდა, მაგრამ სხვა ყველაფერში მოკლებული იყო გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

თუმცა, ფაქტობრივად „კულაკურ სამეულს“, შინსახკომის საჭიროებებთან სპეციალურად ადაპტირებულ ამ სადამსჯელო ორგანოს, საქართველოს „ჩეკისტურ“ აპარატზე დაყრდნობით, მსხვერპლთა ბედზე მოქმედების მეტი შესაძლებლობები ჰქონდა, ვიდრე სამხედრო კოლეგიას. ასე, მაგალითად, 1937 წლამდე, როდესაც სამხედრო კოლეგია და „კულაკური“ სამეული ჯერ კიდევ პარალელურად ფუნქციონირებდნენ, მოსკოვში წინასწარ გამოტანილი განაჩენები სამხედრო კოლეგიის იმ კონტინგენტის მიმართ, რომლებიც შემდგომ სამეულს გადაეცემოდა, სასჯელის შემსუბუქების მიმართულებით განიცდიდა არსებით კორექტირებას სამეულის მიერ.

მოსკოვიდან მიღებული, ჩვეულებრივ სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენების შემცველი „სტალინური სიების“ შედარებით იმ განაჩენებთან, რომლებიც საქართველოს შინსახკომის სამეულს 1937 წლის ოქტომბრიდან ამ საქმეებზე გამოჰქონდა, გვიჩვენებს, რომ „ქართული“ სამეული ყოველთვის არ იცავდა მოსკოვის მითითებებს, ან, შესაბამისად, ჰქონდა საკუთარი მოქმედების შედარებით მცირე თავისუფლება, რომელიც საშუალებას იძლეოდა, რომ წინა დღის რიცხვით შეცვლილიყო „სტალინურ სიებში“ მითითებული განაჩენი. მსხვერპლის უმნიშვნელო რაოდენობა, 3,4% (2.328-დან 79 ადამიანი) სიკვდილის ნაცვლად ბანაკში პატიმრობის ხანგრძლივი ვადით დაისაჯა, ან მათი საქმეები სხვა სასამართლო ინსტანციებს გადაეცა.³⁷¹

ხოლო თუ გავითვალისწინებთ „სტალინური სიების“ „დამმუშავებელ“ ყველა სადამსჯელო ორგანოს, მათ მხოლოდ უმნიშვნელოდ არ გაითვალისწინეს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების მიერ „შეთავაზებული“ განაჩენები. სიკვდილით დასჯა „სტალინური სიებით“ განსაზღვრული 97%-ის (3.453 ადამიანი) ნაცვლად მიესაჯა „მხოლოდ“ 95%-ს (3.181 ადამიანი). რაც შეეხება იმათ, ვინც მიაკუთვნეს მე-2 კატეგორიას (3-20 წლით სასჯელის მოხდა ბანაკში), მათი წილი 5%-დან

სამმართველოს ან რესპუბლიკური ორგანოს ხელმძღვანელი და ადგილობრივი პროკურორი. შემდეგ „ალბომი“ იგზავნებოდა მოსკოვში, შინსახკომის სახ. უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილებაში. მე-8 განყოფილებაში სიებს გადაამოწმებდნენ და შეთავაზებული განაჩენების საფუძველზე აყალიბებდნენ საბოლოო განაჩენებს, რომლებიც, თავის მხრივ, მტკიცდებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და სსრკ პროკურორის მიერ (ეყოფის და ვიშინსკის მიერ). განაჩენი აღესრულებოდა „ალბომის“ დაბრუნების შემდეგ შინსახკომის ადგილობრივ ორგანოში. იხ. ნ. ოხოტინი ა. როგინსკი შინსახკომის „გერმანული ოპერაციის“ ისტორიიდან. 1937-1938//დასჯილი ხალხი. რუსეთის გერმანელთა რეპრესიები. მოსკოვი, 1999, გვ. 39 (მადლობას ვუხდით ა. ი. სავინს აღნიშნული ციტატისთვის).

371. იხ. ცხრილი 36.

(179 ადამიანი) 8,4%-მდე (304 ადამიანი) გაიზარდა. ამავე დროს, 45 ადამიანი, ანუ ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1,3%, გათავისუფლდა პატიმრობიდან. 57 პირის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.³⁷² ამრიგად, სადამსჯელო ორგანოები, გამოძიებისა და ბრალდების პროცედურის ჩატარების დროს, კანონიერების დაცვის ჩვენებით ცდილობდნენ, არ გამოსულიყვნენ შინსახკომის მიერ განსაზღვრული და პოლიტბიუროს მიერ სანქცირებული ჩარჩოებიდან.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების როლი, როგორც მთავარი პასუხისმგებელი ინსტანციისა სასჯელის ზომის განსაზღვრაზე იმ პირთა მიმართ, რომლებიც საბჭოთა სისტემაში მაღალ სტატუსს ფლობდნენ, ხაზგასმული იყო იმითაც, რომ ის პედანტიურად ამონიშნებდა და შეჰქონდა კორექტივები იმ სიებში, რომლებსაც რეგიონები სავალდებულო წესით აგზავნიდნენ მოსკოვში ე.წ. „უზენაესი ორეულის“ მისამართით და რომლებიც, როგორც ჩანს, შეიცავდნენ წინადადებებს განაჩენის სიმძიმის შესახებ ნაციონალურ ოპერაციათა მსხვერპლის მიმართ.³⁷³ სავარაუდოა, რომ მე-8 განყოფილებას (1938 წლის ივნისიდან I სპეცგანყოფილებად იწოდებოდა) შეეძლო ემოქმედა საგანგებო სათათბიროს გადაწყვეტილებებზეც, რამდენადაც მისი უფროსი ი. ი. შაპირო იმავდროულად, 1938 წლის მარტის ბოლოდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე, სსრკ შინსახკომთან არსებული საგანგებო სათათბიროს სამდივნოს უფროსი იყო.³⁷⁴

ელიტისა და „ქვედა ფენების“ მსჯავრდებებს შორის დიქტომიის არსებობის შესახებ თეზისის უარყოფის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურულ-ფორმალურ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ სასჯელის ზომის განსაზღვრის ბიუროკრატიული პროცედურა სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის მიმართ ძალიან ნააგავს „სამეულის“ სამსჯავროს პროცედურას.

მაგალითად, რაც შეეხება საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულს, სხდომების წინ განაჩენები ოქმში შეჰქონდა სამეულის მდივან ა. კ. მოროზოვს, რომელიც, ცხადია, ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მოქმედებდა. ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ამ განაჩენთა კორექტირებას უკვე უშუალოდ სამეულის სხდომებზე. სამეულის ოქმებს, მართალია, ხელს არ აწერდნენ პოლიტბიუროს წევრები, მაგრამ მათ ადასტურებდნენ შესაბამისი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ხელმძღვანელი პირები, ანუ შინსახკომის უფროსი, პროკურორი და პარტიული ორგანიზაციის მდივანი. საქართველოში ეს პირები ვალდებულნი იყვნენ, ხელი მოეწერათ ასობით გასამართლებულ პირთა არა მთელ ოქმზე, როგორც ეს სსრკ ყველა სხვა რეგიონში იყო შემოღებული, არამედ ოქმში დაფიქსირებულ ყოველ ცალკეულ განაჩენზე. ამით ისინი ადასტურებდნენ ოქმზე სამეულის მდივნის ხელმოწერას.

რაც შეეხება სამხედრო კოლეგიის კონტინგენტს, რომელიც 1937 წლის სექტემბრიდან გადაეცა სამეულს, აქ მოროზოვს შეეძლო ცოტა დაესვენა: ამ შემთხვევაში მას არ უნდა ჩამოეყალიბებინა განაჩენები, როგორც ამას აკეთებდა სამეულის ჩვეულებრივი კონტინგენტის მიმართ, არამედ მხოლოდ ხელდახელ გადაემონებინა მოსკოვიდან მიღებული სიები

372. იქვე.

373. იხ. წინამდებარე გამოცემაში თავი: „ნაციონალური ოპერაციები საქართველოში“; ნ. ვ. პეტროვი, ა. ბ. როგინსკი, შინსახკომის პოლიტბიუროს ოპერაცია 1937-1938 წწ.//რეპრესიები პოლიტბიუროსა და პოლიტბიუროს მოქალაქეების წინააღმდეგ/რედკოლ. ა. ე. გურიანოვი. მოსკოვი, 1997. გვ. 22-43.

374. სსრკ შინსახკომთან არსებული საგანგებო სათათბიროს 1938 წლის 02. 07 სხდომის № 54 ოქმი (დამატება 2)//რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის ცენტრალური არქივი. აღ. 1. ს. 61. ფ. 18-195.

და მათში დაფიქსირებული განაჩენები გადაეტანა სამეულის ოქმებში. თუმცა დროდადრო ის თავს უფლებას აძლევდა, რომ კორექტივები შეეტანა მოსკოვში გამოტანილ განაჩენებში.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ რესპუბლიკური სამეულის მდივანი, რომელიც იმავდროულად საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 განყოფილების უფროსი იყო, თავიდანვე მონაწილეობდა სამხედრო კოლეგიის მსხვერპლთა იმ სიებში ჩასართავი ადამიანების შერჩევაში, რომლებიც მოსკოვში იგზავნებოდა. სწორედ მისი განყოფილება ასრულებდა საკვანძო ფუნქციას იმ წინადადებების დამუშავების დროს, რომლებიც შემოდოდა რაიონული და საქართველოს შინსახკომის ცენტრალური აპრატის განყოფილებებიდან, ანუ მის კომპეტენციას განეკუთვნებოდა მოსკოვში გასაგზავნი სიების შედგენა. ამრიგად, სამეულის მდივანი და თვით სამეული არ შეიძლება დახასიათდეს, როგორც მხოლოდ ცენტრის ნების დამხმარე შემსრულებელი, მიუხედავად იმისა, რომ განაჩენები განისაზღვრებოდა მოსკოვის მიერ და მოსკოვის იერარქიული კონტროლი ქმნიდა მთელი პროცესის მზიდ კონსტრუქციას. ასეთი ბიუროკრატიული პროცედურები ყოველთვის გულისხმობს თანამონაწილეობას დანაშაულში, რამდენადაც ზემდგომი ვერ ასრულებს თავის ამოცანას წინასწარი ინფორმაციის გარეშე. ასეთი ბიუროკრატიული ფორმის შედეგად ურთიერთობა ადგილებზე და მოსკოვში დამსჯელებს შორის წინასწარ იყო დაპროგრამებული. სამეულის მდივანი იყო არა მხოლოდ სისტემის პატარა რგოლი, არამედ მკვლელობის თანამონაწილელიც, პასუხისმგებელი. ამრიგად, არ ხერხდება, რომ ბრალი დაედოს და პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ უფრო მაღალ ინსტანციას. აქედან გამომდინარე, შეიძლება მოიხსნას კითხვა იმის შესახებ, ხომ არ იყო ბერიას ფარული ლეიტმოტივი საქართველოს შინსახკომის მიერ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განსჯადობის უფლების მიღება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ადამიანთა მსჯავრდება განსაკუთრებული, „ქართული“ პრეფერენციებით. აქ უფრო შეიძლება საუბარი იყოს ორივე მხარის ინტერესზე დაფუძნებულ პროცესზე, რომ საქართველოს შემთხვევაში ადგილობრივ რესპუბლიკურ შინსახკომს უფრო მეტად გაეხსნას ხელები, ვიდრე სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს, იმავდროულად რამდენადმე „განიტივით“ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია. აქედან შეიძლება პრინციპული დასკვნის გამოტანა, რომ სახელმწიფოს მიერ მართული და ბიუროკრატიაზე დაყრდნობილი მასობრივი რეპრესიები უცილობლად იწვევდა ცენტრის მეტ-ნაკლებად აშკარა უარს თავის რეპრესიულ სუვერენიტეტზე პერიფერიის სასარგებლოდ, რასაც ძალაუფლების რეგიონალიზაციამდე მივყავართ. საქართველოსთვის ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, იმას ნიშნავდა, რომ ბერიას ხროვამ არა მხოლოდ თავიდან აიცილა ნებისმიერი რეგიონული კონკურენცია სახელმწიფო აპარატსა და პარტიაში, არამედ, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ რესპუბლიკის მომავლისთვის, ტერორის დახმარებით განახორციელა ქართული ერის, როგორც კავკასიის სატიტულო ერის ფარული ფორმირება, რის შედეგადაც ქართველებმა შეძლეს სხვა ეთნოსებზე გაბატონებული მდგომარეობის გაფართოება.¹⁰⁸

არსებითი განსხვავება მასობრივ ოპერაციებსა და პარალელურად განხორციელებულ პარტიულ-საბჭოთა ელიტის და ინტელიგენციის (მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი და ა.შ.) საჯარო (ცენტრალური და ადგილობრივი საჩვენებელი პროცესები) და ფარულ (სამხედრო კოლეგია) დევნას შორის მდგომარეობს ორ პუნქტში: ჯერ ერთი, სახეზეა ძალისხმევის უაღრესად განსხვავებული დანახარჯები, რომლებსაც რეჟიმი და მისი პოლიტიკური პოლიციის ორგანოები იყენებდნენ კონტრრევოლუციური ან „სოციალური“ დანაშაულების ჩადენის მტკიცებულებების მოსაპოვებლად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ელიტის საგამოძიებო საქმეები გაცილებით მოცულობითი, ხშირად მრავალტომიანი იყო.

გამოძიების პროცედურა ყველგან ერთნაირად მიმდინარეობდა, მაგრამ ელიტის შემთხვევებში კითხვადნენ მეტ მოწმეს, სისტემატურად აგროვებდნენ აგენტურულ მასალას, მიმართავდნენ „პირზე დადგომის“ მეთოდს, ხოლო ბრალდებული სასამართლოს წინაშე გამოდიოდა. მეორეც, რაც უფრო შორს იდგა „დამნაშავე“ ხელისუფლებისგან და მასთან დაკავშირებულ პრივილეგიებთან, მით ნაკლები იყო დანახარჯი სამხილის შეგროვებაზე, მით უფრო დაუნდობლად ექცეოდნენ მას, ძალზე გულმოდგინედ არიდებდნენ თავს ნებისმიერ საჯაროობას. ეს იერარქია ასევე განსაზღვრავდა, თუ რომელ სადამსჯელო დონეზე უნდა მომხდარიყო მსხვერპლის განსჯა – როგორც ერთეული შემთხვევა თუ როგორც მასობრივი ოპერაცია.

12. „ზემოდან“ კონტროლი

საბჭოთა სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელმა სოციალური მდგომარეობის მიხედვით მსხვერპლის მსჯავრდებისადმი პრინციპულად იერარქიულმა მიდგომამ დიდი დეფორმაცია განიცადა მაშინ, როდესაც სადამსჯელო პოლიტიკაში მთავარი როლის შესრულება დაიწყო არასასამართლო ორგანოებმა: „კულაკურმა“ სამეულმა, „მილიციურმა“ სამეულმა, ორეულმა და „საგანგებო“ („ნაციონალურმა“). ეს „დეფორმაცია“ დიდი ტერორის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი იყო. ამის შედეგად, როდესაც სამხედრო კოლეგიის ან ორეულის ფუნქციებს თავის თავზე იღებდა „კულაკური“ სამეული, მნიშვნელოვნად გაიზარდა სადამსჯელო ორგანოების ურთიერთშენაცვლება ზემოდან ქვემოთ, რამაც სადამსჯელო სისტემა უფრო მოქნილი გახადა. ამ მხრივ საქართველო განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, რამდენადაც „კულაკური“ სამეულის მიერ განსასჯელად სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის გადაცემამ ექსტრემალური ხასიათი შეიძინა. მაგრამ დიდ ტერორს სადამსჯელო ინსტანციათა გაზრდილი „ჩანაცვლებადობა“ არა მხოლოდ ზემოდან ქვემოთ, არამედ პირიქითაც ახასიათებს, ანუ როდესაც უმდაბლესი სადამსჯელო ინსტანციები, რომელთაც არ ჰქონდათ უფლება, მსხვერპლისთვის დიდი ვადები და სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯათ, ნაწილობრივ უზენაესებით „ჩანაცვლდნენ“, რომლებსაც ამის უფლება ჰქონდათ. ასე, მაგალითად, 1937 წლის ზაფხულში „მილიციურმა“ სამეულებმა განსასჯელად გადასცეს იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ „კულაკურ“ სამეულებს „სოციალურად სახიფათო ელემენტების“ მნიშვნელოვანი კონტინგენტი იმ მიზნით, რომ მათთვის ბანაკში პატიმრობის უფრო დიდი ვადები მიესაჯათ ან დახვრეტის განაჩენი გამოეტანათ.³⁷⁵

საქართველოს მასალებიდან გამომდინარე, ნოვატორული იყო განაჩენის განსაზღვრის მასშტაბური გადაცემის კომპეტენცია შინსახკომის ბიუროკრატიული მანქანისთვის არა მხოლოდ „კულაკური“ და „ნაციონალური“ ოპერაციების შემთხვევებში, არამედ სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის და რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო დონის სხვა სასამართლო ორგანოების შემთხვევებშიც. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ 1937-1938 წლებში შინსახკომი განაგრძობდა განაჩენთა შემუშავებას სსრკ შინსახკომთან არსებული საგანგებო სათათბიროს შემთხვევაშიც. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ „კულაკური სამეულის“ პირობებში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოხდა პროკურატურის გავლენისგან და შესაბამისად, იურიდიულად კომპეტენტური პერსონალისგან სრული გათავისუფლება; დარჩა მხოლოდ პროკურატურის ულიმლამო მონაწილეობა სამეულის

375. მ. იუნგე, № 00447 ბრძანების სოციალურ-ტექნოლოგიური ასპექტი//„მტრის გვამებით ხალხის კეთილდღეობისთვის“. ტომი 2. გვ. 214-220.

სხდომებში. სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტის მიმართ პროკურორი, სულ ცოცხა, ვალდებული იყო წინასწარ გაეცა ამა თუ იმ პირის დაპატიმრების სანქცია. „საბოლოო კონტროლის“ უფლების სულისკვეთებით სსრკ პროკურორი ასევე ამტკიცებდა ორეულის განაჩენებს. რაც შეეხება მთლიანად პროცედურას, სამხედრო კოლეგია და მასთან ერთად მთელი სამართალწარმოება ადგილს იკავებდა იმ განაჩენთა ჯაჭვის მხოლოდ ბოლოში, რომლებიც წინასწარ გამოიტანეს შინსახკომის ორგანოებმა და „დაამონმეს“ ცკ-ის პოლიტიბიუროს რიგმა წევრებმა, როგორც ეს შეიძლება ვნახოთ, კერძოდ, საქართველოს მაგალითზე, ხოლო განზოგადებული სახით – მთელი საბჭოთა კავშირის მაგალითზეც.³⁷⁶ იგივე ითქმის მოსკოვის ე.წ. ორეულის შესახებ: „აღმომებში“ მოყვანილი შინსახკომის ადგილობრივი ორგანოების რეკომენდაციები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მტკიცდებოდა მოსკოვის მიერ, ხოლო შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს შესწორებები შემდგომი განხილვის გარეშე მტკიცდებოდა ა. ი. ვიშინსკისა და ნ. ი. ეჟოვის მიერ. ჩვენ არ გვაქვს დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებდა, რომ საქართველოს პროკურორი ტალახაძე ან ვიშინსკი პირადად ან მათდამი დაქვემდებარებული აპარატის მეშვეობით ცდილობდნენ, „ორეულის“ განაჩენებზე ემოქმედათ.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსტიტუციით დაკანონებული სამართალწარმოება სსრკ მოქალაქეთა უდიდესი ნაწილისთვის 1937-1938 წლებში, წელიწადნახევრის განმავლობაში, ფაქტობრივად, ლიკვიდირებული იყო. ტერორის სისტემურობამ, მასშტაბებმა და თანმიმდევრულობამ ახალ ხარისხს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც დიდ ტერორამდე, ასევე მის დროს და შემდეგაც, ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად, პარტიული ორგანოები განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში იღებდნენ გადაწყვეტილებას განაჩენების გამოტანის შესახებ. ამის შემდეგ სასამართლოები ან მექანიკურად იმეორებდნენ განაჩენებს, ან მათ მიერ გამოტანილი განაჩენები კიდევ ერთხელ მონმდებოდა ზემოთ ხსენებული სასამართლო საქმეების პოლიტიბიუროს კომისიის მიერ და სისრულეში მოყვანამდე დასამტკიცებლად გადაეცემოდა ცკ-ის პოლიტიბიუროს.³⁷⁷ ამ

376. ასე მაგალითად, ალტაის მხარეში სამხედრო კოლეგიის განაჩენები „სტალინურ სიებში“ 1938 წელს მტკიცდებოდა პოლიტიბიუროს წევრების მიერ, ხშირად უკვე მათი გამოტანის შემდეგ, მაგრამ სისრულეში მოყვანამდე. სიების ხსოვნის წიგნებთან შედარებით დადგინდა, რომ ბევრი მსხვერპლის მიმართ მსჯავრის დადების თარიღი წინ უსწრებს შესაბამისი „სტალინური სიის“ თარიღს, რომლებშიც ისინი არიან შეყვანილნი. მაგრამ სასჯელის აღსრულება ყოველთვის ხდებოდა მხოლოდ პოლიტიბიუროს წევრების მიერ ხელმოწერით განაჩენის დამტკიცების შემთხვევაში, სიის ქვეშ. ამრიგად, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ამ შემთხვევებშიც შინსახკომის მიერ მსხვერპლთა წინასწარი განსჯის მექანიზმები ძალაში რჩებოდა.

377. დანვრილებით იხ. პ. სოლომონი, საბჭოთა იუსტიცია სტალინის დროს. მოსკოვი, 2008. გვ. 78-147. ავტორის კონცეფცია უკვე გასაგებია იმ თავების სათაურებიდან, რომლებიც ეძღვნება იუსტიციის როლს კოლექტივიზაციის წლებში (1929-1934): „კამპანიური მართლმსაჯულება“ (თავი 3) და „კანონიერების დაცემა“ (თავი 4). რაც შეეხება სასამართლოს საქმეებზე პოლიტიბიუროს კომისიის საქმიანობას ამ წლებში, პიტერ სოლომონი წერს: „განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა სასჯელის უმაღლესი ზომის მისჯა, ე.ი. სიკვდილით დასჯა [...] 1929 წლის დეკემბრიდან მიღებული საიდუმლო გადაწყვეტილების მიხედვით რესპუბლიკური დონის პროკურორებს უნდა მოეხსენებინათ სასამართლოს საქმეთა შესახებ პოლიტიბიუროს კომისიისთვის სიკვდილით დასჯის ყველა განაჩენის თაობაზე. პოლიტიბიუროს კომისია ამომწებდა და ადასტურებდა ამ განაჩენებს (იქვე, გვ. 94). „ნორმალურ“ სამართალწარმოებაში პარტიის ჩარევის აღმსოფოთებელ ფაქტს ასევე მიეკუთვნება სკკპ(ბ) ცკ პოლიტიბიუროს გადაწყვეტილება რ. ი. ეიხსტეის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების პიროვნულად მინიჭების შესახებ იმ გლეხთა მიმართ, რომლებიც ციმბირში პურის დამზადების „საბოტაჟს“ აწყობდნენ 1934 წელს. იხ. სკკპ(ბ) ცკ პოლიტიბიუროს დადგენილება. ოქმი 14/პუნქტი 51 „მოლოტოვის 1934 წლის 19 ნოემბრის დეპეშა [ეიხსტეის სასჯელის უმაღლესი ზომის გამოტანის უფლების მინიჭების შესახებ დასავლეთ ციმბირში]“. 1934 წლის 23 სექტემბერი// რკპ(ბ) ცკ – სკკპ(ბ) პოლიტიბიურო. სხდომების დღის წესრიგი. 1919-1952. კატალოგი. 3 ტომად. ტომი 2.:1930-1939. მოსკოვი, 2001, გვ. 586. ავტორები მადლობას უხდებიან ანდრეი სავინს შესაბამისი ცნობებისათვის.

დროს საუბარიც არ შეიძლებოდა შინსახკომსა და იუსტიციის ორგანოებს შორის კონკურენტულ ურთიერთობებზე ან ძალთა ბალანსზე. გამონაკლისს წარმოადგენდნენ დიდი და პატარა საჩვენებელი სასამართლო პროცესები. პირიქით, ადრე არნახული მასშტაბით მოხდა უფლებამოსილებათა გადატანა შინსახკომის სასარგებლოდ და ამრიგად, მნიშვნელოვნად გაადვილდა პარტიული ხელმძღვანელობის სისტემატური ჩარევა სამართალწარმოების სფეროში, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. „ნორმალური“ სასამართლოს ადგილი დაიკავა განაჩენთა გამოტანის პროცესზე კონტროლის მიზნით ჩამოყალიბებულმა დადასტურებისა და ანგარიშგების იერარქიულ-ბიუროკრატიულმა სისტემამ. ამ სისტემის საყრდენი იყო შინსახკომის ბიუროკრატიული აპარატი. შინაგან საქმეთა კომისარიატი კონტროლდებოდა იერარქიული ფორმით. ამასთან, შიდა კონტროლის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად რთულდებოდა თითოეული კონკრეტული საქმის გამოძიების პროცედურის სპეციფიკით, რაც მდგომარეობდა პროცედურის დროს შრომის განაწილებაში შინსახკომის ქვედანაყოფებს შორის. შედეგად, თუ გამოვიყენებთ აბსტრაქტულ ფორმულირებებს, მოხდა საბჭოთა სახელმწიფოსთვის ტიპური „უფლების, როგორც რეგულირების სახელმწიფო სისტემის“ ექსპლუატაციის ანულირება და ნაწილობრივ შეცვლა ახალი ბიუროკრატიულ-ავტორიტარული მარეგულირებელი სისტემით. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს დესპოტიზმის დამყარებას.³⁷⁸

ბიუროკრატიზაციისა და სამართლებრივი პროფანაციის, როგორც განაჩენთა ფორმირების, ისე უშუალოდ მსჯავრის დადების პროცესის ეს ფორმა, საბოლოო ჯამში, როგორც ელიტისთვის, ისე „ქვედა ფენისთვის“ სასამართლო პროცედურის მნიშვნელოვან დეპერსონალიზაციას ნიშნავდა. ამრიგად, მასობრივ ოპერაციებთან დაკავშირებულ გამოკვლევებში ჩამოყალიბებული ფორმულა „გაუპიროვნება კატეგორიზაციის ხარჯზე“ ადვილად შეიძლება გადასხვაფერდეს და გაგრძელდეს ასე: „გაუპიროვნება და კატეგორიზაცია ბიუროკრატიზაციის ხარჯზე“. ეს სწორია როგორც ელიტისთვის, ისე „დაბალი ფენისთვის“, თუმცა სხვადასხვა ხარისხით.³⁷⁹

მთელი სისტემის „მშვენება“ იყო ის, რომ შინსახკომის თითოეულ თანამშრომელს – გადაწყვეტილების სუბიექტს, თავისი სამუშაოს შესრულებისას უნდა ხსომებოდა, რომ მისი გადაწყვეტილებები მუდამ უნდა შეფასებულიყო ზემდგომი ინსტანციის მიერ, როგორც დასაბუთებული, მიუხედავად იმისა, საქმე ეხებოდა დასაპატიმრებელ პირთა სელექციას, თუ მათ საბოლოოდ განაწილებას სასამართლოსა და არასასამართლო სადამსჯელო ორგანოებს შორის, ან საბრალდებო დასკვნის რეზიუმეს შედგენას „სამეულის“ ოქმისთვის ან ე.წ. „ორეულის“ ალბომისთვის, ან განაჩენებს, რომლებიც შეთავაზებული იყო შინსახკომის სამმართველოთა მე-8 განყოფილების მიერ.

სისტემის აშკარა დანაშაული ის იყო, რომ შინსახკომი უპირატესად თავის თავს აკონტროლებდა, ხოლო დადასტურება ან კონტროლი ხელისუფლების მხრიდან ხორციელდებოდა არა საგამოძიებო საქმეთა (ინტენსიური) შემხვედრი შემომწმების ფორმით, არამედ მაკონტროლებელ პირთა ხელმონერით, რომლებიც ამით მხოლოდ აბსტრაქტულად იყენებდნენ საკუთარი თანამდებობის ავტორიტეტს და პოლიტიკურ მდგომარეობას. მხოლოდ „სტალინური სიების“ ელიტის ნაწილის მიმართ გამოტანილი განაჩენების შემთხვევაში შეიძლება ფორმალურად დახასიათდეს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ქმედებები არა როგორც წმინდა „დამადასტურებელი“ ინსტანციისა, არამედ, შესაბამისად, როგორც იუსტიციისა. მაგრამ ეს მტკიცებაც ეჭვს იწვევს „სტალინური სიების“

378. სხვა მოსაზრებაა წარმოდგენილი: Zarusky. Politische Justiz unter Stalin. გვ. 68.

379. Shearer. Policing Stalin's Socialism. გვ. 14.

ცრუ განაჩენებზე პოლიტიუროს წევრთა ხელმოწერის გავლენის გამო. ამრიგად, სტატიის დასაწყისში საბჭოთა სამართალწარმოების მოხსენიება, როგორც „ნორმალურის,“ არასასამართლო სადამსჯელო ორგანოებისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, მთლად მართებული არ არის. ზოგადად და მთლიანობაში ხელისუფლება, ალბათ, ფიქრობდა, რომ საგანგებო სიტუაციაში იურიდიული კომპეტენტურობა ზედმეტია, ხოლო იურიდიულ პროფანთა პოტენციური თვითნებობა შეიძლება აღიკვეთოს ბიუროკრატიულად კონტროლირებადი ინფორმაციის შეგროვებით, საქმის წარმოების პროცესზე დაკვირვებით, აგრეთვე პროსკრიპციული სიების დამონებით ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. ამ დროს და შემდგომშიც შენარჩუნებული იყო მსჯავრდების მთელი პროცედურის მოჩვენებითი სამართლებრიობა.

სინერგიის და აჩქარების ეფექტი შინსახკომის მუშაობაში მიღწეული იქნა შრომის დანაწილებით, რაც კონტროლის მექანიზმის, ბრძანებების და განაჩენების სისრულეში სწრაფად მოყვანის ვადებს ზოგავდა. ბრალდებულთა უდიდესი რაოდენობა ბევრისმთქმელია. იმის გამო, რომ „დიდი წმენდის“ დროს ხელისუფლებამ დაიტოვა შესაძლებლობა, მისი დასრულების შემდეგ და სამართლის (როგორც რეგულირების სახელმწიფო სისტემის) აღდგენის კვალობაზე დაესაჯა „ჩეკისტები“ დაშვებული შეცდომებისთვის და კომპეტენციის გადამეტებისთვის, რასაც ადგილი ჰქონდა 1938 წლის ნოემბრის შემდეგ. სადამსჯელო ორგანოების თანამშრომლები, რომლებიც წააქეხეს, შეგნებულად დაერღვიათ მოქმედი კანონები, უეცრად აღმოჩნდნენ სიტუაციაში, როდესაც მათი ქმედებების შეფასება ხდებოდა იმავე კანონების მიხედვით.

ნაციონალ-სოციალიზმისგან განსხვავებით, მოსახლეობის მთელი ჯგუფების განადგურების მთავარი სამუშაო საბჭოთა კავშირში არ ნაწილდებოდა ფართოდ გაშლილ და ეფექტურ ბიუროკრაციას შორის. დიდი ტერორის დროს ეს სამუშაო მხოლოდ ერთი დანესებულების, კერძოდ, საბჭოთა კავშირის პერსონალურად და ფინანსურად კარგად აღჭურვილი ფარული პოლიციისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი მილიციის ხელში იყო. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 (საალრიცხვო-სარეგისტრაციო) განყოფილების, აგრეთვე შინსახკომის რეგიონული სამმართველოების შესაბამისი განყოფილებების საკვანძო პოზიცია. სხვა სადამსჯელო ორგანოები, იუსტიციის ორგანოები და თვით პარტია, მისი უმაღლესი ეშელონის გამოკლებით, შინსახკომის მკაცრი კონტროლის პირობებში დანაშაულის თანამონაწილეთა როლს თამაშობდნენ. ფარული პოლიცია წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ შექმნილ სამსახურს იმ „ნორმალური ბიუროკრაციის“ რადიკალურად განტვირთვის მიზნით, რომელიც ვერ უმკლავდებოდა ბოლშევიკური მმართველობით წარმოქმნილ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ზვირთებს. შინსახკომის არც ერთი მასშტაბური ოპერაცია არ ხორციელდებოდა პირადად ი. ბ. სტალინის და სსკპ(ბ) პოლიტიუროს მონონებისა და მათი მონაწილეობის გარეშე.

ინტერვიუ

მასობრივი რეპრესიების მსხვერპლთა ნათესავების ჩვენებები

მარკ იუნგე, დალი კანდელაკი, ბერნდ ბონვერი

*საქმე მასში არ არის, საქმე ჩვენშია
ნადეჟდა მანდელშტამი, მგლებს საუკუნე, 1971*

2010 წლის 15 მაისს თბილისთან ახლოს, ტრადიციული მეღვინეობის რეგიონში – კახეთში, კერძოდ, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში დიდი ტერორის პერიოდში რეპრესირებულ ადამიანთა შთამომავლებთან ჩაინერა ექვსი ინტერვიუ.

სოფლის არჩევა განპირობებული იყო მისი თბილისთან ახლომდებარეობით. ორგანიზატორებმა რესპონდენტებად აირჩიეს სოფლის უბრალო მოსახლეობა. ძირითადად საუბარია გლეხების ან გლეხური წარმომავლობის ადამიანებზე, რომელთა წინაპრებიც 1930-იან წლებში კოლმეურნეები იყვნენ. ამასთან, ინტერვიუში ასახული უნდა ყოფილიყო სტალინური რეჟიმის იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის მაღალი ხარისხი სოფელზე, რასაც ხელს უწყობდა ხაშმის გეოგრაფიული სიახლოვე რესპუბლიკის დედაქალაქთან. ამდენად, ხაშმის მოსახლეობას გაცილებით ნაკლები საშუალება ჰქონდა, თავიდან აეცილებინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული გასაბჭოების პოლიტიკა, ვიდრე დედაქალაქიდან მოშორებულ მთიანი რეგიონების მცხოვრებთ. მოსახლეთა შედარებითმა კეთილდღეობამ და ნაყოფიერმა მიწამ – მეღვინეობის საფუძველმა – ხაშმი თბილისელ ხელისუფალთა პატივმოყვარე სასოფლო-სამეურნეო პროექტების ობიექტად აქცია. სოფელი, თავის მხრივ, განიცდიდა მკაცრ პოლიტიკურ ზედამხედველობას, რამეთუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდის დროს ხაშმში მენშევიკთა აქტიური საქმიანობა შეიმჩნეოდა.

ინტერვიუებს აქვთ თემატური ხასიათი. მათი ჩანერის მიზანი იყო 1937-1938 წლების რეპრესიების უშუალო გარემოებების დადგენა იმის გათვალისწინებით, რომ ხაშმში განხორციელდა რესპონდენტთა მამების, ნათესავებისა და ახლობლების მრავალრიცხოვანი დაპატიმრებები.³⁸⁰ ინტერვიუთა მეშვეობით ორგანიზატორებს განზრახული ჰქონდათ არა მხოლოდ ტაბუს მოხსნა აკრძალული მტკივნეული თემიდან, არამედ დიდი ტერორის საკითხის ჩართვაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფართო კონტექსტში, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი უფრო მჭიდროდ დაკავშირება მშვიდობიანი პერიოდის სისტემატურ რეპრესიათა პირველ საყოველთაო ციკლთან საბჭოთა კავშირში.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუები, როგორც ეს თავიდანვე იყო განზრახული, მთლიან-

380. მონოგრაფიის ამ თავის თანაავტორი დალი კანდელაკი არის ხაშმის რეპრესირებულ მცხოვრებთა – სანდრო ივანეს ძე ნაჩხატაშვილისა და შალვა ვარძელაშვილის – ოჯახების ნათესავი.

ობაში არ ასახავს სპეციფიკურ სიტუაციას ხაშში და რესპონდენტებისთვის ოჯახის უფროსის დაპატიმრების ინდივიდუალურ შედეგებს, სამაგიეროდ, ისინი კარგად გადმოსცემენ კოლმეურნეთა ცხოვრების საერთო პირობებსა და გარემოებებს, მათ შორის იძულებით კოლექტივიზაციას, სიღატაკესა და რეპრესიებს.

ის ფაქტიც კი, რომ ერთ-ერთი რესპონდენტი მეორეს უწოდებს საკუთარი მამის დამსმენს, არ ინვესს რაიმე სპეციფიკურ გამონათქვამებს ან ბრალდებებს მეზობელთა მიმართ. ცხადია, ყველაფერი, რაც ხდებოდა, აღიქმებოდა როგორც ბედი, ხოლო არსებულ რეჟიმთან შეგუება საყოველთაო ხასიათის იყო. ადამიანები უწინდებურად მუშაობდნენ, ზოგი – რიგით კოლმეურნედ, სხვები – საბჭოთა აპარატის თანამშრომლებად. არავითარი ჩივილი, არავითარი ბრალდება. ამრიგად, ინტერვიუთა შინაარსები რეტროსპექტიულად ასახავს შექმნილი პირობებისადმი ადაპტაციის პროცესს. ეს, თავის მხრივ, შესაძლოა აიხსნას გამოკითხვის სპეციფიკით, რადგან იგი ჩატარდა ვიწრო წრეში, სადაც ადამიანებმა იციან, რომ ერთმანეთს უნდა ეგუებოდნენ. ბოლოსწინა ინტერვიუში წარმოჩენილია, თუ როგორ გაორებული აღიქვამენ მაშინდელ რეჟიმსა და მის პოლიტიკას ის ადამიანები, რომელთა წინაპრებმაც, ერთი მხრივ, განიცადეს დევნა, მეორე მხრივ, მოახერხეს, ესარგებლათ მათთვის მიცემული შესაძლებლობებით. ინტერვიუების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხდებოდა რეპრესირებულთა ახლობლების სტიგმატიზაცია და დისკრიმინაცია, თუმცა სახელმწიფო მათ სპეციალურად არ იყენებდა.

ინტერვიუებზე დამატების სახით, აგრეთვე მათ ფართო ისტორიულ კონტექსტში განსახილველად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან მოყვანილია რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ცნობებს რესპონდენტების მიერ დასახელებულ რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ. ამ სახის ცნობები მოყვანილია უშუალოდ ყოველი ინტერვიუს შემდეგ.³⁸¹

1920-1930-იანი წლების სოფელ ხაშმის ისტორიის მოკლე აღწერის მთავარ წყაროდ გამოყენებულია იმ წლების ადგილობრივი პრესის პუბლიკაციები, აგრეთვე თანამედროვე მკვლევართა და მხარეთმცოდნეთა შრომები და სტატიები. ამგვარად, ჩნდება შესაძლებლობა 1930-იან წლებში სახელმწიფო და პარტიული ორგანოების საქმიანობის არა მხოლოდ სპეციფიკური შეფასებისა, რომელთა რუბორიც პრესა იყო, არამედ წარსულის ტრაგიკული შედეგების დაძლევის დღევანდელი მცდელობის წარმოჩენისაც.

1. სოფელი ხაშში

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე – კახეთი – იწყება სოფელ ხაშმიდან. ძველად სოფელს კანარეთი ერქვა. სახელწოდება „ხაშმი“ ისტორიულ დოკუმენტებში XVIII საუკუნის დასაწყისიდან მოიხსენიება. 1886 წლის საკომლო სიების მიხედვით, სოფელში 286 ოჯახი – 1.277 მცხოვრები (678 მამრობითი, 599 – მდედრობითი სქესის) იყო.³⁸² დიდი ტერორის დაწყებამდე მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატ-

381. მეთოდოლოგიურად პრეზენტაციად ინტერვიუების შეფასება ეფუძნება: Haumann H. Blick von innen auf den Stalinismus. Zur Bedeutung von Selbstzeugnissen/Erinnerung an Gewaltherrschaft. Selbstzeugnisse – Analysen – Methoden / H. Haumann (Hrsg.). Frankfurt a. M., 2010, გვ. 51-76; იხ. აგრეთვე: Das Jahrhundert des Gedächtnisses. Erinnern und Vergessen in der russischen und sowjetischen Geschichte im 20. Jahrhundert. შემდგ. H. Haumann, J. Happel, C. Scheide. Sankt-Peterburg, 2010.

382. პატარა სოფელ ყარაბულაღთან (12 კომლი, 37 მცხოვრები, მათ შორის 24 მამაკაცი და 13 ქალი) ერთად ხაშმის სოფლის საბჭოში შედიოდა 1.314 მცხოვრები (298 კომლი, 702 კაცი, 612 ქალი). იხ.: სტატისტიკურ მონაცემთა კრებული ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის შესახებ, ამოღებული საკომლო სიებიდან, 1886 წ.,

ებოდა 1.200 -ს.³⁸³

მეოცე ასწლეულის დასაწყისში ხაშში ითვლებოდა საკმაოდ მდიდარ სოფლად. მაგრამ არ არსებობს სარწმუნო საარქივო მონაცემი ამ დროისთვის სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ხაშში ცხოვრობდნენ განათლებული ადამიანები, რომელთაც მეზობელი სოფლებიდან მათ მიმართავდნენ წერილის დაწერის ან წაკითხვის თხოვნით. თითოეული ოჯახი საშუალოდ ითვლიდა შვიდათ ადამიანს, მათ შორის ნათესავთა სამ, ზოგჯერ კი ოთხ თაობასაც. ხაშმის მცხოვრებნი, მუყაითი და მომჭირნე გლეხები, აზრიანად განკარგავდნენ მონეულ მოსავალს, სარფიანად ყიდდნენ ღვინოს, მარცვლეულსა და საქონელს. აქაურ მცხოვრებს ყოველთვის უკეთესი ცხენი და საქონელი ჰყავდა, უფრო გამართული ურემი და ურიკა ჰქონდა, ვიდრე მეზობელი სოფლისას. ხაშში ჩამოყალიბდა ისეთი საცხოვრებელი გარემო, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოსახლეობას: სამუშაო, სკოლა, ეკლესია, დასასვენებელი ადგილები, ადგილობრივი გუნდი და თეატრი, საჭიდაო მოედანი.

1920-იანი წლების დასაწყისში დემოკრატიული მთავრობის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფელი ხაშში ძლიერ დაზარალდა. 1921 წელს ადგილობრივმა რევოლუციურმა კომიტეტმა ხაშმის მცხოვრებთა სახლებში განათავსა 108-ე პოლკის წითელარმიელები, რასაც მოჰყვა პირველი კონფლიქტი სოფლის მოსახლეობასა და ახალ ხელისუფლებას შორის. ვინაიდან სახლების უმრავლესობა ერთი ოთახისგან შედგებოდა, მისი მკვიდრნი იტანჯებოდნენ ამ იძულებითი მეზობლობით. 1921 წელი არამოსავლიანი იყო, ამასთან, წითელარმიელები აფუჭებდნენ სახნავებს და ზვრებს, იპარავდნენ თივას, ღვინოს, ხილს, შინაურ ფრინველს და ა.შ. ყოველივე ამან გამოიწვია ხაშმელთა გალატაკება. წითელარმიელთა ქმედებით შეწუხებულმა სოფლის საზოგადოებამ თხოვნით მიმართა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს³⁸⁴, ყურადღება მიექციათ გლეხების შევიწროებისთვის და სოფლიდან გაეყვანათ მათ სახლებში ჩაყენებული ჯარისკაცები. 1921 წლის 21 ნოემბერს მოსახლეობამ განმეორებით გაუგზავნა წერილი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და პასუხი მოითხოვა უმოკლეს დროში. საჩივარს ხელი მოაწერა სოფლის მასწავლებელმა ი. ქოქრაშვილმა³⁸⁵.

ხაშმის მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრება შეწყდა იძულებითი კოლექტივიზაციით ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დროს. მათ აიძულებდნენ კოლმეურნეობაში შესვლას, მოძრავი და უძრავი ქონების ძალდატანებით გაერთიანებას, ცხოვრების ადგილობრივი პირობებისა და მრავალსაუკუნოვანი პატრიარქალური წესის გათვალისწინების გარეშე³⁸⁶. 1930-იან წლებში სოფელ ხაშში შეიქმნა რამდენიმე კოლმეურნეობა.³⁸⁷ ერთი მათგანი იყო „პირველი ცდა“, რომელმაც ჯერ კიდევ 1935 წელს გაიმარჯვა საქართველოს სსრ-ის მინათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცხადებულ საუკეთესო ვენახის

ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის რედაქციით, ტფ., 1893.

383. ერთ-ერთი რესპონდენტის, ნ. ქოქრაშვილის მიხედვით, რომელიც 1974-1985 წლებში ხაშმის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყო. ამის შესახებ მან იცოდა სოფლის უხუცესთაგან.

384. საქართველოს რევკომს 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ეწოდა.

385. ვ. ქარუმიძე, ნ. ქარუმიძე, ხაშში: ისტორია, თანამედროვეობა, თბ., 2002, გვ. 222-223.

386. იქვე.

387. სოფელთა მონათხრობით, აგრეთვე საგაზეთო პუბლიკაციებით შესაძლებელია კოლმეურნეობათა მხოლოდ რამდენიმე სახელწოდების დადგენა: „პირველი ცდა“, მოლოტოვის სახ., სტალინის სახ., ჯუღელის სახ., მაგრამ ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობათა ზუსტი რაოდენობა უცნობია, ასევე ვერ დაზუსტდა ამა თუ იმ კოლმეურნეობის არსებობის ზუსტი პერიოდი.

კონკურსში. როგორც ადგილობრივი გაზეთი იტყობინებოდა, „მესამე ბრიგადა დააჯილდოვეს ფულადი პრიზით – 150 მანეთის ოდენობით, 15 კგ შაბიამნით, შესასხურებელი აპარატი და სპეციალური ლიტერატურით. ინდივიდუალური ჯილდო მიიღო მევენახე სოსო ყვარელაშვილმა, რომელსაც გადასცეს ფულადი ჯილდო 100 მანეთის ოდენობით, 10 კგ შაბიამანი, შესასხურებელი აპარატი და სპეციალური ლიტერატურა (2 წიგნი).“³⁸⁸ სკპ(ბ) საგარეჯოს რაიკომისა და რაიალმასკომის გაზეთში „სოციალისტური გზით“ 1936 წლის 14 ოქტომბერს გამოქვეყნდა სტატია სათაურით „სახელმწიფო აქტის გადაცემა“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სოფელ ხაშში ჯუღელის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ქოქრაშვილი) გადაეცა სახელმწიფო აქტი 471 ჰა მიწის ფონდის მუდმივ სარგებლობაში გადაცემის შესახებ. კრებაზე გამოვიდნენ ამ ფაქტით აღფრთოვანებული კოლმეურნეები: ლადო მამუჩიშვილი, ანდრო ნიკოლაშვილი, თედო ალალიძე, საბედა იმედაშვილი და ვანო ნაჩხატაშვილი.³⁸⁹

1930-იან წლებში თავის საქმიანობას აგრძელებდა ხაშმის სოფლის თეატრი, იდგებოდა სპექტაკლები, რომლებიც სახელს უთქვამდნენ საბჭოთა სინამდვილეს. ხაშმის მკვიდრ იოსებ იმედაშვილის სტატიაში – „კარგი დასაწყისი“, რომელიც ეძღვნებოდა თეატრს, ეწერა: „სოფლის თეატრი ხაშში თითქმის 45-წლიან ისტორიას ითვლის. მეფის ხელისუფლება XIX საუკუნის 90-იან წლებში უხეშად თელავდა ჩვენს ენას და კულტურას [...]. დღეს სულ სხვა ვითარებაა. გარემოებათა შეცვლამ ხელი შეუწყო იმას, რომ თავად გლეხები უძღვებიან თეატრალურ საქმიანობას. გლეხობამ თავის თავზე აიღო კულტურის საქმე. ჩვენი თეატრალური დარბაზი რესტავრირებულია კოტე ინანიშვილის ძალისხმევით, მუშაკისა, რომელიც გლეხების წრიდან გამოვიდა და – უშუალოდ გლეხების დახმარებით [...]. თეატრის სცენაზე გამოდიოდნენ კოლმეურნეები და ერთპიროვნული გლეხები [...]. დღეს ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს სახალხო განათლებასა და კულტურას. გაიზარდა გლეხების კულტურული მოთხოვნებიც“.³⁹⁰

თუმცა თხრობას ახალი საზოგადოებრივი წესის პოზიტიური მხარეების შესახებ პრესაში მუდამ თან ახლდა გაფრთხილებები კონკრეტული სახელების მოხსენიებით, აგრეთვე პირდაპირი გამოხტომები იმათ მიმართ, ვინც გამოდიოდა კოლმეურნეობების წინააღმდეგ, „ენეოდა საბოტაჟსა“ და „მავნებლობას“. მაგალითად, პრესა მკაცრად აკრიტიკებდა პირუტყვის დამალვას, რაც გავრცელებული იყო საგარეჯოს რაიონის სოფლებში, მათ შორის ხაშშიც. გაზეთში „სოციალიზმის გზით“ 1935 წლის 6 იანვარს დაიბეჭდა სტატია: „აი, ვინ დამალა პირუტყვი“, რომლის ავტორიც იყო ვინმე „ადგილობრივი“. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ „ხაშში საქონლის აღწერა დროულად დაიწყო [...]. ზოგიერთმა გლეხმა ყურად იღო კულაკების აგიტაცია და გადამალა საქონლის ნაწილი [...]. სულ გადამალეს 22 სულზე მეტი სხვადასხვა პირუტყვი. ყველა გამოააშკარავეს. დამნაშავეთა წინააღმდეგ საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები“³⁹¹.

ხაშმის იმ მცხოვრებლებს, რომლებმაც დროულად არ შეასრულეს ხორცის დამზადებისა და რძის ჩაბარების გეგმა, გაზეთებში გამოდნენ, უნოდებდნენ „საბოტაჟის მომწყობებს“ და სკპ(ბ) რაიონული კომიტეტის მოთხოვნით პასუხისგებაში აძლევდნენ.³⁹² ასე, მაგალითად: „დაკისრებული მოვალეობებისადმი კოლმეურნეობა „პირველი ცდის“ ხელმძღვა-

388. კონკურსის გამარჯვებულები, გაზ. „სოციალისტური გზით“, № 18(89), 18.04.1935, გვ. 3.

389. სახელმწიფო აქტის გადაცემა, გაზ. „სოციალისტური გზით“, № 38(173), 14.10.1936, გვ. 3.

390. კარგი დასაწყისი, გაზ. „სოციალისტური გზით“, № 17(98), 12.04.1935, გვ. 3.

391. აი, ვინ გადამალა პირუტყვი, გაზ. „სოციალისტური გზით“, № 1(82), 06.01.1935, გვ. 2.

392. ხორცის დამზადების მიმდინარეობა, გაზ. „სოციალისტური გზით“, № 29(110), 24.06.1935, გვ. 3.

ნელის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ 1936 წელს გამოიწვია ხეხილის ახალი ჯიშების ნერგების დაღუპვა, რომლებიც კოლმეურნეებმა გამოიყვანეს 1933 წელს და რომლებსაც უკვე სამი წლის შემდეგ უნდა მოეცათ პირველი მოსავალი^{.393} სამაგიეროდ, აბრეშუმის ჭიის მოვლისა და პარკის ჩაბარების გეგმას, ხაშმის მცხოვრებლებმა 1935 წელს 214,3%-ით გადააჭარბეს.³⁹⁴

1930-იან წლებში ადგილობრივი პრესის კიდევ ერთი ტრადიციული თემა იყო პარტიული კადრების წმენდა. როგორც გაზეთი „სოციალისტური გზით“ იტყობინებოდა, გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ყოფილი თეთრგვარდიელების, პოლიციელების, მენშევიკების, ვაჭრების შესვლა კომუნისტური პარტიის რიგებში. სტატიაში „შელწეული უცხო ელემენტები“ აღინიშნებოდა, რომ „პარტდოკუმენტების შემონმებამ გამოავლინა ჩვენი პარტიის რიგებში უღირსი ელემენტები: ყოფილი გვარდიელები, მენშევიკები, ვაჭრები, ყოფილი პოლიციელები და სხვ., რომლებსაც დაატოვებინეს პარტილეთები: ქოქრაშვილი იოსები (ხაშმიდან) – ყოფილი ჩაფარი, ყოფილი გვარდიელი; ქოქრაშვილი (ხაშმი – კოლმეურნეობა „პირველი ცდა“) – ყოფილი გვარდიელი“.³⁹⁵

რიგი პუბლიკაციებისა მოწმობს, რომ „მავნებელთა“ და „საბოტაჟის მომწყობთა“ ძებნა კოლმეურნეობებში გრძელდებოდა დიდი ტერორის დასრულების შემდეგაც. ასე, მაგალითად, 1939 წლის 1 მაისს გაზეთ „სტალინურ სიტყვაში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით – „შრომის დეზერტირები“, რომლის ავტორიც იყო ვ. ხაჩატუროვი.³⁹⁶ იგი წერდა: „მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ზოგიერთი წევრი, სოფელ ხაშმის მკვიდრი, არ ემორჩილება კოლმეურნეობის გამგეობას, კოლმეურნეთა საერთო კრებას და ბრიგადირებს. ამ კოლმეურნეობის ზოგიერთი წევრი იანვრიდან დღემდე არ გამოცხადებულა სამუშაოზე. მაგალითად, ფ. ქარუმიძე, ს. ნახუცრიშვილი, ნ. ერკეზოვი და სხვები. ასევე, ზოგიერთი კოლმეურნე პირდაპირ ეწინააღმდეგება საგაზაფხულო თესვას, მაგალითად, ამა წლის 19 აპრილს იოსებ უდუმაშვილმა ფარულად წაიყვანა სოფლის ხარები და საკუთარი საქმეებისთვის გამოიყენა ისინი, რითაც ჩაშალა თესვის სამუშაო; ასევე, კოლმეურნე თედო ოღრაპიშვილს დავალებული ჰქონდა ტრაქტორის წყლით უზრუნველყოფა, მაგრამ მან დავალება არ შეასრულა და ტრაქტორი მთელი დღით მოაცდინა. საქმის ასეთივე ვითარებაა სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. კოლმეურნეები – თედო თევდორაშვილი, ჯანიაშვილი, ფეტვიაშვილი და სხვები ეწინააღმდეგებიან კოლმეურნეობის საქმიანობას. დასახელებულ კოლმეურნეობათა გამგეობა კი არ იღებს სათანადო ზომებს დამნაშავეთა წინააღმდეგ“.³⁹⁷

სავარაუდოა, რომ ხაშმის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ხაჩატუროვის ეს სტატია იყო პასუხი 1939 წლის 7 აპრილის საგაზეთო პუბლიკაციაზე – „თესვა ნელი ტემპებით მიდის“, რომელშიც ხაჩატუროვი გაკრიტიკებული იყო საგაზაფხულო თესვის ვადების

393. კორესპონდენტთა ჩანაწერები, გაზ. „სოციალისტური გზით“ № 20-21(155-156), 06.06.1936, გვ. 6.

394. გეგმას გადააჭარბეს, გაზ. „სოციალისტური გზით“, № 32 (113), 18.07.1935, გვ. 3.

395. შეპარული უცხო ელემენტები, გაზ. „სოციალისტური გზით“, № 41(122), 30.09.1935, გვ. 2. სტატიაში მითითებული არ არის ქოქრაშვილის გვარით მოხსენიებული მეორე პირის სახელი.

396. ალბათ, საუბარია სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვანქეზ ხაჩატუროვზე. იგი, უპატრონო ბიჭი, მოწყალეობას რომ ითხოვდა ბაზარში, თბილისიდან ჩამოიყვანა ხაშმის მკვიდრმა ალექსანდრე ქოქრაშვილმა 1920-იან წლებში. კეთილისმყოფელმა ის საკუთარ სახლში შეიფარა, მისცა განათლება, აჩუქა მიწის ნაკვეთი და დააქორწინა. 1930-იან წლებში ვანქეზი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გახდა. ეჭვი ჰქონდათ, რომ მან დააბეზლა თავისი აღმზრდელი. 1941 თუ 1942 წელს დეზერტირებმა, რომლებიც შეიჭრნენ ხაშმში, ამ ბრალდებით დახვრიტეს ხაჩატუროვი სოფლის სასაფლაოზე. შემდგომ გაირკვა, რომ ის არ იყო დამნაშავე.

397. შრომის დეზერტირები, გაზ. „სტალინური სიტყვა“, № 18(313), 01.05.1939, გვ. 4.

დარღვევის გამო. კერძოდ, სტატიაში აღნიშნული იყო: „ამ კოლმეურნეობებში უნდა დაითესოს 563 ჰა სახნავი, ამ დროს კი დღეის მდგომარეობით დათესილია მხოლოდ 154 ჰა. მარცვლოვანი კულტურების თესვა უკვე დასრულებული უნდა იყოს, მაგრამ ხაჩატუროვის და სხვა კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა გულგრილი დამოკიდებულების შედეგად დღეისათვის დათესილია მხოლოდ 61 ჰა“.³⁹⁸

იმ დროის საკოლმეურნეო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა ლექცია-კონსულტაციები, რომლებსაც ატარებდნენ ჩამოსული ლექტორები. 1939 წლის 19 თებერვალს სოფელ ხაშში კონსულტაცია თემაზე: „წითელი არმიის 21-ე წლისთავის შესახებ“ ჩაატარა ლექტორმა კუპრაძემ.³⁹⁹ 1939 წლის 16 აპრილს ჩატარდა ლექცია თემაზე: „პეტერბურგის მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ – მუშური მოძრაობის საფუძველზე შექმნილი რევოლუციური პარტიის პირველი ჩანასახები“ (ლექტორი ჩხიკვიშვილი).⁴⁰⁰

მეფის დროიდან მოყოლებული, სოფელ ხაშმს სახალხო განათლების მძლავრი ტრადიციები ჰქონდა. საბჭოთა პირობებში სოფლის მასწავლებლებმა ითავეს წერა-კითხვის უცოდინრობის დაძლევა, ამასთან, ნებისთნე უნებლიეთ, გახდნენ ბოლშევიკური იდეოლოგიის პროპაგანდისტები. 1920-იან წლებში მასწავლებელთა რიგებიდან გამოყვეს კულტარმიელები, რომლებსაც მიამაგრეს წერა-კითხვის უცოდინარი სოფლელები. მათ შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრი. როგორც გახეთი „სტალინური სიტყვა“ წერდა, მასწავლებლებმა: ი. ქოქრაშვილმა, თ. ხაბაზიშვილმა, ს. შავკაციშვილმა და ა. გოგნიაშვილმა ითავეს, დიდებული საჩუქრით შეხვედროდნენ ლენინურ-სტალინური პარტიის მე-18 ყრილობას: „წერა-კითხვის სწავლება – ხარისხიანად და უსასყიდლოდ“.⁴⁰¹ სტატია გვამცნობს, რომ ხაშმის მასწავლებლებმა სოცმეჯიბრში გამოიწვიეს საგარეჯოს რაიონის სხვა მასწავლებლები. სკოლამ წარმატებით შეასრულა აღებული ვალდებულება, ხოლო მისი დირექტორი – ნიკოლოზ ახვლედიანი 1939 წელს დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.⁴⁰²

1930-იან წლებში ხაშში ისევ არსებობდა „წარსულის გადმონაშთი“ – წმ. გიორგის ტაძარი და სოფლის გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დავით-გარეჯის მონასტრის ბერი გიორგი ეპიტაშვილი, მეტსახელად – „ჩორნა“. გ. ეპიტაშვილი ასევე იყო წინამძღვარი წმინდა გიორგის ტაძრისა, რომელიც შეძლებული გლეხობის სახსრებით აშენდა სოფლის ცენტრში 1860-იან წლებში. „ჩორნა“ თბილისში ცხოვრობდა. დაოჯახებული არ იყო. იგი ხაშში მეგობრებთან ჩადიოდა და დიდხანს რჩებოდა სოფელში, ისააკ ვარძელაშვილის სახლში.⁴⁰³ ეპიტაშვილი დირიჟორი იყო და ფლობდა ხალხური სიმღერის საიდუმლოებებს.⁴⁰⁴ დაპატიმრეს 1937 წლის შემოდგომაზე, გაასამართლეს და დახვრიტეს.⁴⁰⁵ სოფლის მცხოვრებთა ცნობით, მღვდელ ეპიტაშვილის დაპატიმრების შემდეგ სოფელ

398. თესვის ტემპი წელია, გაზ. „სტალინური სიტყვა“, № 15(310), 07.04.1939, გვ. 3.

399. ლექციები და კონსულტაციები, გაზ. „სტალინური სიტყვა“, № 7(302), 18.02.1939, გვ. 4.

400. ლექციები, კონსულტაციები და მოხსენებები საქართველოს კპ(ბ) საგარეჯოს რაიკომში 1939 წლის აპრილში, გაზ. „სტალინური სიტყვა“, № 15(310), 07.04.1939, გვ. 4.

401. სკოლაში ვასწავლით წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე ადამიანებს, გაზ. „სტალინური სიტყვა“, № 7(305), 11.03.1939, გვ. 2.

402. დიდება და ქება საბჭოთა მასწავლებელს! ქვეყნის უმაღლესი ჯილდო, გაზ. „სტალინური სიტყვა“, № 21(316), 18.05.1939, გვ. 3.

403. ვ. ქარუმიძე, ნ. ქარუმიძე, ხაშში: ისტორია, თანამედროვეობა, თბ., 2002, გვ. 210-211.

404. გ. ლალიაშვილი, სევედა ძველი ხაშმის გამო, გაზ. „კომუნისტი“, № 179(20925), 03.08.1990, გვ. 3.

405. ინტერვიუ ნოშრევან ვანოს ძე ნაჩხატაშვილთან შეიცავს ინფორმაციას „კულაკური სამეულის“ მიერ მისი გასამართლების შესახებ.

ხაშმში დაანგრეს წმ. გიორგის ტაძარი, მასში არსებული უნიკალური ხელნაწერები და წიგნები კი დაწვეს.

1930-იანი წლების პოლიტიკურ რეპრესიებს შეეწირა ხაშმის ბევრი მოსახლის სიცოცხლე. დაიღუპნენ ვანო ლალიძე (მსახიობი), ალექსანდრე ქოქრაშვილი, შალვა ვარძელაშვილი და სხვები. სოფლის ზოგიერთი მკვიდრი, რომელთაც დახვრეტა ასცდა, გადაასახლეს ან გაგზავნეს ბანაკებში, მათ შორის იყვნენ: შალვა მამულაშვილი, ლევან კოშორიძე, კოტე ქარუმიძე, ლუკა ნახუცრიშვილი და სხვ. გათავისუფლების შემდეგ ისინი ხაშმში დაბრუნდნენ. დღეისათვის რეაბილიტირებულნი არიან, მათ მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმებულია დანაშაულის არარსებობის გამო.⁴⁰⁶

„კულაკური“ სამეულის სხდომის ოქმებში მოყვანილია მონაცემები სოფელ ხაშმის 13 მაცხოვრებლის შესახებ, რომლებიც რეპრესირებულნი იყვნენ № 00447 ბრძანების შესაბამისად ჩატარებული ოპერაციის დროს. სოფლის კიდევ რამდენი მცხოვრები იყო გასამართლებული „სტალინური“ სიებით, რამდენი ემსხვერპლა „მილიციურ“ სამეულს, საგანგებო სათათბიროს ან „ნორმალურ“ სასამართლოს, უცნობია წყაროების დეფიციტის გამო.

| | სასჯელის ზომა | საქმის № | ს. ხაშმი, შინსახკომის საგარეჯოს რაი განყოფილება, „კულაკური“ სამეული | ოქმი | სამეულის სხდომა |
|----|---------------|----------|---------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| 1 | დახვრეტა | 38 447 | ნაჩხატაშვილი ვანო სანდროს ძე | 93 ტ. 1 გვ. 52 | 02.03.38 წ. |
| 2 | დახვრეტა | 38 447 | ზუკაკიშვილი იოსებ სპირიდონის ძე | 93 ტ. 1 გვ. 53 | 02.03.38 წ. |
| 3 | დახვრეტა | 38 447 | გონიტაშვილი გიორგი ანდროს ძე | 93 ტ. 1 გვ. 56 | 02.03.38 წ. |
| 4 | დახვრეტა | 38 447 | ჭიაბერაშვილი ათანასე გრიგოლის ძე | 93 ტ. 1 გვ. 59 | 02.03.38 წ. |
| 5 | დახვრეტა | 38 447 | მამულაშვილი გიორგი სიმონის ძე | 93 ტ. 1 გვ. 61 | 02.03.38 წ. |
| 6 | დახვრეტა | 38 447 | ჯანიაშვილი დავით სოლომონის ძე | 93 ტ. 1 გვ. 63 | 02.03.38 წ. |
| 7 | დახვრეტა | 38 447 | ყირმელაშვილი იოსებ (სოსია) ივანეს ძე | 93 ტ. 1 გვ. 65 | 02.03.38 წ. |
| 8 | დახვრეტა | 38 447 | ქოქრაშვილი ალექსანდრე იაგორის ძე | 93 ტ. 1 გვ. 95 | 02.03.38 წ. |
| 9 | 10 წელი | 38 447 | ოღრაპიშვილი დავით ფირანის ძე | 93 ტ. 1 გვ. 110 | 02.03.38 წ. |
| 10 | 10 წელი | 38 447 | მურადაშვილი თედო ალექსის ძე | 93 ტ. 1 გვ. 112 | 02.03.38 წ. |
| 11 | 10 წელი | 37 408 | კოშორიძე ლევან დიმიტრის ძე | 48 ტ. 2 გვ. 34 | 17.11.37 წ. |
| 12 | დახვრეტა | 38 458 | ჭუაძე ია გიორგის ძე | 108 ტ. 2 გვ. 56 | 21.04.38 წ. |
| 13 | დახვრეტა | 37 408 | ეპიტაშვილი გიორგი ბესარიონის ძე | 48 ტ. 2 გვ. 8 | 17.11.37 წ. |

2. ალექსანდრე იოსების ძე გოდერძიშვილი (1930 – 2013).

მშობლები იყვნენ გლეხები: მამა – იოსებ ალექსანდრეს ძე გოდერძიშვილი. დედა – ელენე მარხვაშვილი, სოფელ პატარძეულის მკვიდრი.

- თქვენი სახელი, მამის სახელი, გვარი.
- ალექსანდრე იოსების ძე გოდერძიშვილი.
- როდის დაიბადეთ?
- 1930 წლის აგვისტოში.
- ვინ იყვნენ თქვენი მშობლები, რას საქმიანობდნენ?

406. მონაცემები რეპრესირებულთა შესახებ, აგრეთვე თანასოფლელთა ჩვენებები მოყვანილია წიგნში: ვ. ქარუმიძე, ნ. ქარუმიძე, ხაშმი: ისტორია, თანამედროვეობა, თბ., 2002, გვ. 223-224, 295-296.

– ჩემი მშობლები გლეხები იყვნენ. მაშინ კოლმეურნეობა იყო. მამაჩემს რვაასი შრომადლე ჰქონდა გამომუშავებული. სამაგიეროდ არაფერი მისცეს, რის გამოც დედამ იჩივლა. ეს თანხა კომპენსირებულ იქნა მას შემდეგ, რაც მოვიდა შეტყობინება მამის რეაბილიტაციის შესახებ, რომელიც გადასახლებაში იყო.

– რა თანხა იყო?

– დაახლოებით 600 მანეთი. მამაჩემი მეეტლე იყო, ადამიანები დაჰყავდა სამუშაოზე და უკან. მაშინ მანქანები არ იყო.

– დედათქვენი რას საქმიანობდა?

– დედაც კოლმეურნეობაში მუშაობდა. მაშინ ტრაქტორები არ იყო, მინდორში ყველა ხელით შრომობდა, მიწას თხრიდნენ. ყოველ სამუშაო დღეს შრომადლე ერქვა კოლმეურნეობაში. ფულს არ უხდიდნენ. კოლმეურნეები ვალდებულნი იყვნენ, ყოველდღე გასულიყვნენ სამუშაოდ და თუ კარგი მოსავალი მოინეოდა, შრომადლეებზე რაღაცას იღებდნენ.

– იცით, რამდენი ძროხა ჰყავდა მამათქვენს კოლექტივიზაციამდე?

– სტალინის დროს ნებადართული იყო მხოლოდ ერთი ძროხის და ნ-თვემდე ასაკის ერთი ხბოს ყოლა. შემდეგ ხბო უნდა გაგეყიდა, თორემ წაგართმევდნენ. ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, უფასოდ ჩაგვებარებინა კოლმეურნეობისთვის რძე, მაგალითად, ჩვენგან ყოველწლიურად უფასოდ იღებდნენ 270 ლიტრ რძეს. თუ ვერ ჩავაბარებდით, მოდიოდნენ და სხვა ქონება მიჰქონდათ. ასევე, ვალდებულნი ვიყავით ჩაგვებარებინა 100 ცალი კვერცხი, იმის მიუხედავად, გვყავდა ქათამი თუ არა. გვაიძულებდნენ სახლის დაზღვევასაც, რისთვისაც 50 მანეთი უნდა გადაგვეხადა, ეს კი ჩვენთვის დიდი ფული იყო.

– მაგრამ 1930 წლამდე, როდესაც კერძო საკუთრება იყო, რამდენი ძროხის ყოლა შეგეძლოთ?

– დიახ, კოლექტივიზაციამდე კერძო საკუთრება იყო. პაპაჩემს ექვსი უღელი ხარი ჰყავდა, გუთნები, ბევრს მუშაობდა მინდორში, ენეოდა სოფლის მეურნეობას.

– მანქანები გყავდათ?

– მაშინ მანქანები არ იყო, ყველა ხელით მუშაობდა.

– შემდეგ რა მოუვიდათ თქვენს მშობლებს?

– 1937 წელს მამა დააპატიმრეს, მაშინ 8 წლისა ვიყავი. დედისგან ვიცი, რომ მამა უდანაშაულო იყო. შარი მოსდეს, შენთან ვილაც მოვიდა და რატომ გააგდო.

– მამათქვენი ამ სოფელში ცხოვრობდა?

– დიახ.

– და სად წაიყვანეს?

– საგარეჯოში ციხე იყო, იქ ჩასვეს. შემდეგ იყო სასამართლო და 5 წელი მიუსაჯეს. ჯერ თბილისის ციხეში გადაიყვანეს, მერე ტაშკენტში, ბანაკში ამუშავებდნენ.

– თქვენთვის ცნობილია, რას საქმიანობდა ის ტაშკენტში?

– რასაკვირველია, ვიცი. ამის შესახებ რომან ქევხიშვილმა მიაბო, რომელიც იქ იყო მამაჩემთან ერთად.

– რომელ წელს დაიბადა მამათქვენი?

– არ მახსოვს.

– 5 წლის შემდეგ ის დაბრუნდა?

– არა. გათავისუფლებამდე ორი თვე ჰქონდა დარჩენილი, როდესაც ომი დაიწყო და როგორც პოლიტიკური პატიმარი, არ გამოუშვეს.

– იბრძოდა?

– როდესაც ომი დაიწყო, ტაშკენტში მუშაობდა: ტრანშეებს თხრიდა, ვაგონებს ცლიდა და ა.შ.

– კიდევ რა იცით იმის შესახებ, რაც ტაშკენტში ხდებოდა?

– იქ ბევრი პატიმარი იყო, მათ აიძულებდნენ, ეთხარათ ტრანშეები კანალიზაციისთვის, გაეყვანათ არხები, დაეცალათ ვაგონები.

- რამდენი შვილი დარჩით დედასთან?
- მე და ჩემი და დავრჩით, ის ორი წლით უფროსი იყო ჩემზე, სანყალი, 20 წლისა გარდაიცვალა.
- როგორ ცხოვრობდით უმამოდ დარჩენილები?
- ვცხოვრობდით ჩვეულებრივად, როგორც გლეხები, მოგვყავდა მოსავალი, ვუვლიდით ვაზს. გვყავდა ძროხა, ქათმები. კოლმეურნეობის ბრიგადირი გვაიძულებდა, რომ მინდორში გავსულიყავით სამუშაოდ. უფროსები დღედაღამ შრომობდნენ, ბავშვები კი შინ ვისხედით.
- მამათქვენის მშობლები მაშინ ცოცხლები იყვნენ?
- დიახ, პატარძელში ცხოვრობდნენ.
- სკოლაში დადიოდით?
- დიახ, მაგრამ მეხუთე კლასიდან მივატოვე სწავლა, მეზარებოდა. დედასთან ერთად სამუშაოდ დავდიოდი მინდორში.
- თქვენი დაც გეხმარებოდათ?
- სანამ ცოცხალი იყო, კი. იმ დროს ყველა მუშაობდა. როდესაც დედა მინდორში მიდიოდა და ჩვენ სახლში მარტოს გვტოვებდა, მე და ჩემი და ცომს ვზედით და პურს ვაცხობდით.
- ფეხსაცმელი გქონდათ?
- ქალამნები, მაგრამ ისეთი გაცვეთილი, რომ ძირი არ ჰქონდა.
- რა გეცვათ?
- ჩვეულებრივ, უბრალო სამოსს ვატარებდით, ზოგჯერ დედა გვიქსოვდა რალაცას.
- რამდენი მოსწავლე იყო თქვენს კლასში?
- ბევრი იყო, ახლა, იმ დროსთან შედარებით, ცოტანი არიან. დაახლოებით ოცნი ვიყავით.
- ბიჭები და გოგოები ერთად სწავლობდით?
- დიახ, ერთად.
- თუ გახსოვთ თანაკლასელები, ვისი მშობლებიც დააპატიმრეს?
- დიახ, ასეთები იყვნენ: ვასილ შავკაციშვილი, სანდრო მესტვირიშვილი.
- თქვენთვის ცნობილია, რატომ დააპატიმრეს ისინი?
- არა. ჩვენ იმის უფლებასაც არ გვაძლევდნენ, მათთვის ბანაკში წერილი მიგვეწერა, ვინაიდან პოლიტიკური პატიმრები იყვნენ. თავიდან სოფლის საბჭოს თავმჯდომარე სომეხი იყო. გაირკვა, რომ ყველა დაპატიმრებული დახვრიტეს.
- ვინ დახვრიტეს?
- მესტვირიშვილი არ დაუხვრეტიათ, რადგან მან 10 წელი მოიხადა ტაშკენტში, სხვებმაც მოიხადეს სასჯელი და დაბრუნდნენ, მაგრამ შემდეგ კვლავ წაიყვანეს.
- ეს რომელ წელს მოხდა?
- 1930-ში. განმეორებით 1937 წელს წაიყვანეს და დახვრიტეს.
- ესე იგი, ის სამი ჯერ 1930 წელს დააპატიმრეს, შემდეგ 1937 წელს? რატომ დააპატიმრეს ისინი 30-იანი წლების დასაწყისში?
- ეს ადამიანები მინდორში დაღამებამდე მუშაობდნენ. დედისგან ვიცი, რომ ერთ ღამეს მათთან სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მივიდა...
- მისი სახელი გახსოვთ?
- ვანქეზ ხაჩატუროვი. მივიდა და უთხრა, რომ შინ წასულიყვნენ და დაესვენათ. ჩვენი მშობლები ვერ მიხვდნენ, რატომ უთხრა ეს. ღამის პირველ საათზე მათ მილიციამ მიაკითხა... იმ ღამეს 17 ადამიანი აიყვანეს, დაადანაშაულეს, რომ თითქოსდა მენშევიკები იყვნენ და საგარეჯოს ციხეში ჩასვეს. არ შეგვეძლო მათი მონახულება ან ამბის გაგება, ვინაიდან ძალიან გვეშინოდა, რომ ჩვენც არ დავეპატიმრებინეთ. როდესაც მათი სასამართლო

შედეგა, ზოგს დახვრეტა მიუსაჯეს, ზოგიც ადრე მოკლეს, დაკითხვის დროს. მამაჩემს და კიდევ რამდენიმეს 5 წელი მიუსაჯეს.

- ეს როდის მოხდა, თარიღი არ გახსოვთ?
- რიცხვი არა, მაგრამ ვიცი, რომ სექტემბერი იყო.
- ვისი სახელობის იყო ის კოლმეურნეობა?
- სტალინის სახელობის.
- როგორ მიდიოდა საქმეები კოლმეურნეობაში, მხიარულება იყო?
- არა, რა მხიარულება, მუშაობდნენ, მაგრამ ხელფასს არ აძლევდნენ, არც პენსიას... თუ მოსავალი კარგი იყო, ყოველ შრომადღეზე იძლეოდნენ ნახევარ კილო პურს, ამდენივე სიმინდს. უფროსებს ეს ყველაფერი სახლში მიჰქონდათ ბავშვებთან, რადგან მშვირები იყვნენ.

- სოფელში მილიცია იყო?

- აქ არ იყო, მაგრამ თუ ქურდობა მოხდებოდა, მილიცია ჩამოდიოდა საგარეჯოდან, ქურდებს იჭერდნენ და მიჰყავდათ.

- მაშასადამე, იმ დროს ქურდობა იყო?
- იყო, რასაკვირველია. ღამე, ზოგჯერ, ქურდი შეიპარებოდა სარდაფში და მიჰქონდა ყველაფერი, რაც იქ იყო – შაშხი, ღვინო, ქვაბიც კი.
- ადგილობრივები ქურდობდნენ?
- ადგილობრივებიც და სხვა სოფლიდან მოსულებიც.
- და მაინც, თავს უსაფრთხოდ გრძნობდით?

- მილიცია თითქოს გვიცავდა, მაგრამ მაინც გვეშინოდა. იყო შემთხვევები, როდესაც სტალინი ბრძანებას გასცემდა, სოფლებში ორი-სამი ადამიანი დაეპატიმრებინათ სამუშაოს თავიდან აცილების გამო. ასე დაიჭირეს ჩემი ბიძაშვილი, 8 წელი მიუსაჯეს და ციმბირში გაგზავნეს.

- ეს როდის მოხდა?
- ომის შემდეგ. ჩვენი სოფლიდან სამი კაცი გადაასახლეს. წარმოიდგინეთ, რამდენი სოფელი იყო საბჭოთა კავშირში და რამდენი გადაასახლეს? მიჰყავდათ ციმბირში და იძულებით ამუშავებდნენ. იცით, რა ჰქონდათ კარგი კომუნისტებს? სწავლა და მკურნალობა უფასო იყო. თუ კარგად სწავლობდი, უნივერსიტეტში სტიპენდიას გაძლევდნენ, გყოფნიდა, რომ თავი გერჩინა. ეს ჰქონდათ კომუნისტებს დადებითი, სხვა – არაფერი.

- მამათქვენი გადასახლებიდან დაბრუნდა?
- არა, დაიკარგა. ოჯახში მამაკაცი მე დავრჩი და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ დედას დავხმარებოდი. ბავშვი რომ ვიყავი, ტყიდან ფიჩხს ვეზიდებოდი, წელი მტკიოდა. მარტო მე არ ვმუშაობდი ასე, ყველას უჭირდა.
- მამათქვენი ტაშკენტიდანაც არ დაბრუნებულა?
- არა, ვინ გამოუშვებდა, ომი დაიწყო და ფრონტზე გაგზავნეს. შესაძლოა, იქ დაიღუპა.
- წერილებს გწერდათ?

- თავიდან გწერდა, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ მისგან ერთი ბარათიც არ მიგვიღია.

- შემოგრჩათ მისი წერილები?
- სამწუხაროდ, არა.
- თქვენი სოფელი ვინმე თუ დაბრუნდა გადასახლებიდან?
- როგორც ვთქვი, მესტირიშვილი დაბრუნდა, შემდეგ ის ჯარში გაინვიეს, ფრონტზეც იყო და იქიდანაც დაბრუნდა, აქ გარდაიცვალა, სოფელში, სახლში.
- თქვენთვის ცნობილია, ვინ დაასმინა მამათქვენი?

- ამ საქმეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს კოტე ინანიშვილს აბრალებდნენ. თურმე ის მამასთან მისულა და თავისთან მუშაობა შეუთავაზებია, მამას კი უარი უთქვამს. ამის გამო დააპატიმრეს.

დამატებითი ცნობები

საარქივო-საგამოძიებო საქმე და სხვა ინფორმაცია ა. ი. გოდერძიშვილის რეპრესირებული მამის – იოსებ ალექსანდრეს ძე გოდერძიშვილის შესახებ არქივში არ მოიძებნა. იგივე ეხება ინტერვიუში მოხსენიებულ რომან ქევზიშვილსაც, რომლისგანაც, გოდერძიშვილის მტკიცებით, მან მიიღო გარკვეული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მისი მამა სასჯელს იხდიდა ტაშკენტის ბანაკში. ასევე არ მოიძებნა სანდრო მესტირიშვილის, გოდერძიშვილის თანაკლასელის რეპრესირებული მამის საარქივო-საგამოძიებო საქმე.

აღმოჩენილია მხოლოდ მისი კიდევ ერთი თანაკლასელის რეპრესირებული მამის, ვასილ სიმონის ძე შავკაციშვილის საქმის დოკუმენტები. მაგრამ მისი ბრალდება, როგორც ჩანს, არ იყო დაკავშირებული შინსახკომის მასობრივ ოპერაციებთან. უპარტიო გლეხი, დაბადებული 1899 წელს, სოფელ ხაშმის მკვიდრი, საგარეჯოს შინსახკომმა 1937 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების საფუძველზე (კონტრრევოლუციური საქმიანობა და ანტისაბჭოთა აგიტაცია) დააპატიმრა. განაჩენი მის მიმართ გამოტანილია საქართველოს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის მიერ, 1938 წლის 9 იანვარს. სასამართლომ ბრალდებულს, რომელსაც იმ დროისთვის 38 წელი შეუსრულდა, 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა და 3 წლით ჩამოართვა ხმის მიცემის უფლება. განაჩენის ფორმულირება შეესაბამებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლს. სრულად შემონახულია მხოლოდ შავკაციშვილის საქმის სარეგისტრაციო ბარათი, რომელიც გვამცნობს, რომ იგი გასამართლებულია „ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური აგიტაციის გამო, საქართველოს სსრ-ში კოლექტივიზაციის წინააღმდეგ“. განაჩენის გამოტანის დროს დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნიეს 2-წლიანი სასჯელი, რომელიც შავკაციშვილს 1930 წელს ანალოგიური „დანაშაულის“ გამო შეეფარდა. საქართველოს სსრ პროკურატურის პროტესტის საფუძველზე მისი საქმე გადაისინჯა 1989 წლის 14 ნოემბერს და 1990 წლის 2 თებერვალს, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებით, განაჩენი გაუქმდა და შავკაციშვილი რეაბილიტირებულ იქნა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდება დაფუძნებული იყო მხოლოდ მასთან ერთად საკანში მყოფი პირების (ა. ხმალაძე, ინანიშვილი და ქოქრაშვილი) ჩვენებებზე. ვ. ს. შავკაციშვილმა არ ცნო თავი დამნაშავედ და განმარტა, რომ მოწმეთა ჩვენებები ყალბია, ვინაიდან მათ პირადი მტრობა ამოძრავებდათ. სავარაუდოა, რომ ერთ-ერთ მოწმედ გამოვიდა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე კოტე ინანიშვილი, რომელიც მოხსენიებულია ინტერვიუში.

3. ნოშრევან ივანეს ძე ნაჩხატაშვილი (1930-2014)

პენსიონერი, სოფელ ხაშმის მკვიდრი. მშობლები გლეხები იყვნენ: მამა – ივანე სანდროს ძე ნაჩხატაშვილი, სოფელ ხაშმის მკვიდრი. დედა – რახილ ნიკოლოზის ასული გიუნაშვილი, სოფელ პატარძეულიდან. მეუღლე – მედეა ვარძელაშვილი, სოფელ ხაშმის მკვიდრი.

- თქვენი სახელი და მამის სახელი.
- ნოშრევან ივანეს ძე.
- როდის დაიბადეთ?
- 1930 წელს.
- რა შეგიძლიათ გაიხსენოთ გადასახლებული თანასოფლელების შესახებ?
- უფროსების გადმოცემით ვიცი, რომ ხალხს აპატიმრებდნენ, გაჰყავდათ მინდორში, სართიჭალასთან ახლოს და ხვრეტდნენ.
- თუ იცით, ზუსტად სად მდებარეობს ეს მინდორი?
- ძეძვიანთხევში, იქ დახვრიტეს პატარძეულები. მახსოვს, რომ ოჯახის წევრებს

უკრძალავდნენ დაპატიმრებულთათვის წერილის მიწერას, რადგან ისინი პოლიტპატიმრები იყვნენ. ეუბნებოდნენ, რომ ისინი გადასახლეს შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ, სინამდვილეში, აქვე დახვრიტეს.

- თქვენი ოჯახიდან ვინმე წაიყვანეს?
- დიახ, მამა დააპატიმრეს. იგი დახვრიტეს 1938 წელს.
- რას საქმიანობდნენ თქვენი მშობლები?
- გლეხები იყვნენ, კოლმეურნეობაში მუშაობდნენ. მამაჩემი ბრიგადირი იყო, დედა - დიასახლისი, მაგრამ კოლმეურნეობაშიც მუშაობდა.
- რამდენი ადამიანი ექვემდებარებოდა მამათქვენს?
- დაახლოებით 16. სოფელში სულ ოთხი ბრიგადა იყო.
- რომელ კოლმეურნეობაში მუშაობდა მამათქვენი?
- სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.
- რამდენი ადამიანი მუშაობდა იქ?
- ზუსტად არ ვიცი, დაახლოებით რვაასი. წინათ ხუთი კოლმეურნეობა იყო, შემდეგ კი გააერთიანეს.
- თუ გახსოვთ, ვისი სახელობის იყო დანარჩენი კოლმეურნეობები?
- როგორც მახსოვს, მოლოტოვის, ჯუღელის, ჟდანოვის, რევოლუციონერების სახელობის.
- როდის გააერთიანეს ეს კოლმეურნეობები, თქვენს დაბადებამდე, თუ მერე?
- მერე, ომის დროს.
- თქვენს სოფელში იყვნენ უსახლკარონი?
- არა, სახლი თითქმის ყველას ჰქონდა, მაგრამ უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდნენ, არ ჰქონდათ მიწა, არ ჰყავდათ საქონელი... ვისაც მიწა არ ჰქონდა, აძლევდნენ 2500 კვ. მეტრ მიწას და მოჰყავდათ სიმინდი, ლობიო, აშენებდნენ ვენახს.
- რამდენი სული საქონელი წაართვეს თქვენს ოჯახს, როდესაც კოლექტივიზაცია დაიწყო?
- ჩემი ოჯახიდან არაფერი წაუღიათ, მაგრამ ვისაც ბევრი ჰყავდა, მათ წაართვეს. გვიკრძალავდნენ ეკლესიაში სიარულს და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნას. ტაძრებს ანგრევდნენ ან საწყობად იყენებდნენ.
- გქონდათ სურვილი, რომ ტაძარში გველოთ?
- რასაკვირველია, უფროსებსაც უნდოდათ და ჩვენ, ბავშვებსაც გვქონდა სურვილი, მაგრამ აკრძალული იყო. მაგრამ შემდეგ, როდესაც შეგვისრულდა 17-18 წელი, ვიკრიბებოდით და მაინც დავდიოდით ტაძარში, აღვნიშნავდით დღესასწაულებს.
- სახლში ხატები გქონდათ?
- ჩვენ არა, სულ რამდენიმე ოჯახს ჰქონდა, ისიც ცოტა.
- თქვენი ოჯახი რელიგიური იყო?
- ჩემი ბებია იყო მორწმუნე.
- რა ბედი ეწია მღვდელს, რომელიც თქვენი სოფლის ტაძარში მსახურობდა?
- ჩვენ დროს მღვდელი აღარ იყო, ვინც ადრე მსახურობდა, დააპატიმრეს და დახვრიტეს. „ჩორნას“ ეძახდნენ, სახელი არ მახსოვს, გვარად კი ეპიტაშვილი გახლდათ. მარტყოფიდან იყო, ობლობაში გაიზარდა. ჩვენს სოფელში სახლი არ ჰქონდა და ეკლესიაში ცხოვრობდა.
- როდის დაიკარგა?
- 1937 წელს. მისი გაუჩინარების შემდეგ ტაძარი საწყობად გამოიყენეს, ნავთის კასრებს ინახავდნენ. სასულიერო პირები დააპატიმრეს, გაპარსეს და ციხეში ჩასვეს.
- დაგრჩათ თქვენი მშობლების ფოტოსურათები?
- მხოლოდ ერთი სურათი მაქვს.
- ამბობენ, კოლმეურნეობა ცუდად მუშაობდაო, მართალია?

- გლესს ოლონდაც სამუშაო მიეცი და იმუშავებს, საქმე ისაა, რას იღებდა გლესი თავის შრომაში. ახლა გამახსენდა, ჩემი თანასოფლელი იოსებ ყირმილაშვილიც გადაასახლეს.
- რატომ დაიჭირეს?
- ყველას იჭერდნენ, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეებს, ქვეყნის მტრებად აცხადებდნენ. ყველამ იცოდა, რომ ისინი დამნაშავეები არ იყვნენ, მაგრამ... ყველას ერთი სახელი ჰქონდა – ხალხის მტერი!

დამატებითი ცნობები

რესპონდენტ ნ. ი. ნაჩხატაშვილის მამა, ვანო სანდროს ძე ნაჩხატაშვილი გაასამართლეს, როგორც მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, რომელიც ხაშში კონტრრევოლუციონერ სიმონ თომას ძე ქოქრაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედებდა. იგი შინსახკომის საგარეჯოს განყოფილებამ „გამოააშკარავა“. ხუთივე „ორგანიზაციის წევრი“ მოხსენიებულია ამ და მომდევნო ინტერვიუში. აქ, ვანო სანდროს ძე ნაჩხატაშვილსა და „მოთავე“ სიმონ თომას ძე ქოქრაშვილთან ერთად, საუბარია გიორგი სიმონის ძე მამულაშვილზე, დავით სოლომონის ძე ჯანიაშვილსა და იოსებ (სოსია) ივანეს ძე ყირმილაშვილზე. 1938 წლის 2 მარტს № 93 სხდომაზე, *სამეულმა* ყველა ბრალდებულს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, თუმცა ისინი თავს დამნაშავეებად არ აღიარებდნენ.⁴⁰⁷ მსჯავრდებულებს ჩამოართვეს პირადი ქონება. განსასჯელთა საბრალდებო დასკვნის მოკლე ამონარიდები, მათი ბიოგრაფიული მონაცემები და წარსულში ნასამართლეობის და დანაშაულის ჩამონათვალი სამეულის სხდომისთვის მოამზადა მომხსენებელმა და შინსახკომის საგარეჯოს რაიონული განყოფილების თანამშრომელმა ასლანიკაშვილმა. მენშევიკებად წოდებულებს ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა აგიტაცია კოლმეურნეთა შორის, კონტრრევოლუციური მენშევიკური ორგანიზაციის დავალებით, საკოლმეურნეო წყობის მოსპობისა და კერძო საკუთრების აღდგენის მიზნით.

განაჩენის დასაბუთების მიზნით სამეულის ოქმში, თითოეულის ბრალდებასთან ერთად, მოყვანილია მონაცემები წარსულში მათი ნასამართლეობისა და ჩადენილი დანაშაულების შესახებ. ნაჩხატაშვილის შემთხვევაში დამატებითი მაკომპრომეტირებელი მასალის სახით მოყვანილია არა მხოლოდ მისი მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრობა, არამედ ის ფაქტიც, რომ იგი ჯერ კიდევ 1930 წელს იყო დაპატიმრებული საყოველთაო კოლექტივიზაციის საწინააღმდეგო აჯანყებებში მონაწილეობისათვის. მის ბიოგრაფიულ მონაცემებში, ზემოხსენებულის გარდა, სამეულის ოქმში ჩაწერილია, რომ იგი ქართველია, საშუალო გლახების წრიდან, დაოჯახებულია და აქვს დაბალი განათლება.

მამულაშვილის წინააღმდეგ ბრალდებებს დამატებითი წონა შესძინა შინსახკომის რაიონული განყოფილების ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ მას 1936 წელს მიესაჯა იძულებითი სამუშაო პროკურორის მოსყიდვისთვის, რომ გაეთავისუფლებინა თავისი შვილი. სამეულის ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ იგი დაბადებულია 1871 წელს, აქვს მცირე განათლება და საშუალო გლახის წრიდანაა.

იოსებ ივანეს ძე ყირმილაშვილის მაკომპრომეტირებელი იყო მისი თეთრგვარდიული წარსული და დაპატიმრება 1930 წელს. მას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით ბრალად ედებოდა საკოლმეურნეო წყობის შერყევა. ყირმილაშვილი იყო ქართველი, 48 წლის, 1885 წელს დაბადებული, ხაშმის მკვიდრი, საშუალო გლახის ფენიდან, დაოჯახებული.

დავით სოლომონის ძე ჯანიაშვილი, რომელიც მოხსენიებულია მომდევნო, გიორგი

407. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1938 წლის 2 მარტის სხდომის ოქმი №93// საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება. ფ. 8. ს. 38447. ფ. 52. [ვ. ს. ნაჩხატაშვილი], 61 [გ. ს. მამულაშვილი], 63 [დ. ს. ჯანიაშვილი], 65 [ს. ი. ყირმილაშვილი].

ნიკოლოზის ძე ქოქრაშვილის ინტერვიუში, როგორც მისი თანაკლასელის მამა, პარტიიდან გარიცხეს 1937 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 და 58-11 მუხლებით (კონტრრევოლუციური საქმიანობა და ანტისაბჭოთა აგიტაცია). მას, როგორც კოლმეურნეობა „პირველი ცდის“ ყოფილ თავმჯდომარეს, ბრალად ედებოდა სისტემური მავნებლური საქმიანობა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით, კოლმეურნეობის ქონების დატაცება, საკოლმეურნეო წყობის მოშლის მიზნით შრომადღეების განზრახ შემცირება, რითიც იწვევდა უკმაყოფილებას კოლმეურნეებს შორის. დავით სოლომონის ძე ჯანიაშვილი დაიბადა 1897 წელს, ლატაკი გლეხის ოჯახში.

ნაჩხატაშვილის შვილმა თავის ინტერვიუში გვაცნობა არა მხოლოდ მენშევიკური ჯგუფის წევრების, არამედ ხაშმის ტაძრის მღვდლის დაპატიმრებისა და დახვრეტის შესახებაც. ეს ინფორმაცია დასტურდება „კულაკური“ სამეულის 1937 წლის 17 ნოემბრის სხდომის ოქმით. ამ სხდომაზე სამეულმა მღვდელ გიორგი ბესარიონის ძე ეპიტაშვილს – დაბადებულს 1894 წელს, თბილისის რაიონის სოფელ მარტყოფის მკვიდრს, გამოუტანა სიკვდილით დასჯის განაჩენი. საბრალდებო დასკვნის მოკლე რეზიუმეში, რომელიც მოყვანილია სამეულის სხდომის ოქმში, ეპიტაშვილს ასევე ბრალად ედებოდა, რომ იგი, იყო რა გადაბირებული საგარეჯოს რაიონის შინსახკომის მიერ, როგორც ინფორმაციის მიმწოდებელი და როგორც ხაშმში მენშევიკური ორგანიზაციის ყოფილი მომხრე, ორპირობდა, ეწეოდა ორმაგ თამაშს. გარდა ამისა, „სისტემურად გამოთქვამდა აზრს სკპ(ბ) და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ“. მას ასევე წაუყენეს ბრალი, რომ 1935 წელს გამოიყენა ხუთი წლის ბავშვის მკვლელობა „ანტისემიტური მიზნებისთვის, რითაც გამოიწვია მოსახლეობის აღშფოთება“.⁴⁰⁸

4. გიორგი ნიკოლოზის ძე ქოქრაშვილი (1928)

1928 წელს დაბადებული, პენსიონერი;

მშობლები გლეხები იყვნენ: მამა – ნიკოლოზ გიორგის ძე ქოქრაშვილი, სოფელ ხაშმის მკვიდრი; დედა – ალექსანდრა ოლ(გ)რაფიშვილი, სოფელ ხაშმის მკვიდრი.

- თქვენი სახელი, გვარი, მამის სახელი.
- გიორგი ნიკოლოზის ძე ქოქრაშვილი.
- როდის დაიბადეთ?
- 1928 წელს.
- რა ერქვათ თქვენს მშობლებს?
- მამას ნიკოლოზ გიორგის ძე ქოქრაშვილი, დედას – საშა ქოქრაშვილი.
- სად მუშაობდა მამათქვენი?
- კოლმეურნეობაში.
- გახსოვთ, რა ერქვა კოლმეურნეობას?
- არ მახსოვს. იმ დროს ხუთი კოლმეურნეობა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთის სახელი არ მახსოვს, მაშინ ორი წლის ვიყავი.
- რა შეემთხვა მამათქვენს?
- პირველად იგი 1930 წელს წაიყვანეს, მიუსაჯეს დახვრეტა, მაგრამ შემდეგ სასჯელის ზომა შეუცვალეს, გაგზავნეს ბანაკში 10 წლით და მუშაობდა მურმანსკის ოლქში, ქაღალდის კომბინატის მშენებლობაზე. იქ მუშაობის დროს რაღაც გამოიგონა, ამის გამო სტალინის

408. საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 17 ნოემბრის სხდომის ოქმი № 48// საქართველოს შსს არქივი. პირველი განყოფილება. ფ. 8. ს. 37408. ფ. 8.

ბრძანებით 14 თვის შემდეგ გაათავისუფლეს, სთხოვეს მურმანსკში დარჩენა. ამის შესახებ მან დედას მოწერა და ჰკითხა, ჩავიდოდა თუ არა მასთან საცხოვრებლად, მაგრამ დედამ უარი უთხრა და მამაც საქართველოში დაბრუნდა.

– რამდენი წლის შემდეგ დაბრუნდა?

– დაპატიმრებიდან ორი წლის შემდეგ, 1932 წელს. ის და დედა კოლმეურნეობაში მუშაობდნენ.

– შემდეგ ისევ დააპატიმრეს?

– დიახ, 1937 წელს.

– თუ გახსოვთ, რომელი თვე იყო?

– სექტემბერი.

– რა მოხდა მისი დაპატიმრების შემდეგ?

– გამოძიება ორი წელი გრძელდებოდა, რადგან მოწმეებს ვერ პოულობდნენ. ყველას ეშინოდა, რომ მათზეც ვინმეს რამე ამბავი არ მიეტანა. მამა ორი წლის შემდეგ გაასამართლეს და ურალში გადაასახლეს.

– რამდენი წელი მიუსაჯეს?

– ხუთი წელი. იქიდან თვეში ერთხელ გვიგზავნიდა 10 მანეთს, მეტის გამოგზავნის უფლება არ ჰქონდა, ისიც თვეში ერთხელ. მის დაბრუნებამდე ორი-სამი თვე რჩებოდა, როდესაც ომი დაიწყო. ამის შემდეგ მისგან მხოლოდ ორჯერ მივიღეთ ფული და ერთხელ – წერილი. შემდეგ არ ვიცი, ფრონტზე წაიყვანეს თუ...

– რომელ წელს დაიბადა მამათქვენი?

– 1899 წელს.

– დედა?

– 1903 წელს.

– შემოგრჩათ მამის წერილები?

– არა. დედამ ანდერძი დატოვა, მამის წერილები და სტალინის მადლობა საფლავში ჩამატანეთო. 1930 წელს მამამ გამოგონებისთვის სტალინისგან მადლობა მიიღო.

– როგორ ცხოვრობდით უმამოდ?

– ძალიან გვიჭირდა. 9 წლის ვიყავი და უკვე ფიზიკურად ვშრომობდი. შემდეგ ომი დაიწყო და ყველაფერი გაუარესდა.

– და-ძმა გყავთ?

– ძმაც მყავდა და დაც. და, სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა.

– და უფროსი იყო?

– დიახ, ჩემზე ორი წლით უფროსი იყო.

– დედას რაში ეხმარებოდით?

– ვეხმარებოდით საოჯახო საქმეებში, მინდორშიც, ბოსტანშიც.

– შემოგრჩათ მშობლების ფოტოსურათები?

– მე არა, ჩემს ძმას უნდა ჰქონდეს დედის სურათები. ჩემი ძმა ჩემზე უმცროსია, 1936 წელს დაბადებული.

– მამის ფოტოსურათებიც გაქვთ?

– გვექონდა ერთი სურათი, მაგრამ არ ვიცი, დას ჰქონდა, თუ ძმას.

– თქვენს მშობლებს ჰყავდათ ძროხები, ცხენები, მანქანა? მათ ჩამოართვეს რამე?

– მათ არაფერი ჰქონდათ. 1930 წელს აქ ე.წ. „კეტაობა“ მოხდა, ჩხუბი.

– რას ნიშნავს „კეტაობა“?

– ეს იყო ბრძოლა მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. ხალხმა კეტები აიღო და კომუნისტების საცემად წავიდა.

– გახსოვთ, როგორ დადიოდა ხალხი კეტებით?

– არა, ძალიან პატარა ვიყავი.

– ამის შესახებ მამამ გამბოთ, თუ სხვა წყაროდანაც იცით, რომ ასეთი შეხლა-შემოხლა იყო ხელისუფლებასთან?

– არა, მამაჩემისგან არ ვიცი, წარსულის შესახებ ახლა დაინყო ხალხმა თავისუფლად საუბარი, მაშინ ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა. არიან ადამიანები, რომლებსაც ჩემზე უკეთ ახსოვთ ეს.

– რას ყვებოდნენ სოფელში „კეტაობის“ შესახებ?

– თურმე ისეთი ჩხუბი ყოფილა, ვინ ვის ურტყამდა, არ ვიცოდითო. აქ იმყოფებოდნენ ხელისუფლებისა და მილიციის წარმომადგენლებიც, მათაც სცემეს. ამის შემდეგ დააპატიმრეს ისინიც კი, ვინც ამ არეულობაში არ მონაწილეობდა. ვისაც ვინ უნდოდა, იმას იჭერდა, ერთი სიტყვაც საკმარისი იყო, მონმეებიც კი ერიდებოდნენ სასამართლოში მისვლას, რადგან იქ ვინმეს მათზე რამე რომ ეთქვა, ეგრევე ციხეში უკრავდნენ თავს.

– რა ქონება ჰქონდა პაპათქვენს?

– მიწა, ვენახი.

– რამდენი მოსწავლე იყო თქვენს კლასში?

– 20-25, მაგრამ როდესაც ომი დაიწყო, შიმშილობის გამო ბევრი არ დადიოდა სკოლაში.

– თქვენი თანაკლასელების მამებიც დააპატიმრეს?

– დიახ, დააპატიმრეს ჩემი თანაკლასელის, ირაკლი ვარძელაშვილის მამა, შალიკო. დააკავეს ასევე სულიკო ჯანიაშვილის მამა, დავითი. სხვებიც იყვნენ, მაგრამ არ მახსოვს.

– ისინი მდიდრები იყვნენ?

– არა, ღარიბები იყვნენ.

– რატომ დააკავეს?

– არ ვიცი, ვისი ბრძანება იყო... ვისაც ვინმეს წყენა ჰქონდა გულში, აკავებდნენ. მაგალითად, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამომიტყდა, რომ პირადად უწყობდა ხელს მამაჩემისა და ბიძაჩემის, დედის ძმის დაპატიმრებას.

– გახსოვთ თავმჯდომარის გვარი?

– ნახუცრიშვილი.

– თუ გახსოვთ, ვინ იყვნენ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი?

– სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყო კოტე ინანიშვილი), მოადგილე არ ჰყავდა, ხოლო მდივანი ვინ იყო, არ მახსოვს.

– გვითხრეს, რომ აქ მღვდელიც იყო, გახსოვთ მისი გვარი?

– გიორგი ეპიტაშვილი, მეტსახელად „ჩორნა“.

– სხვა მღვდლებიც იყვნენ თქვენს სოფელში?

– არა, ეგ ერთი იყო.

– საც ცხოვრობდა, სახლი ჰქონდა?

– ტაძრის ეზოში სახლი იდგა და იქ ცხოვრობდა. ისიც დახვრიტეს.

– ეკლესიაში კლუბი მოაწყვეს?

– არა, კოლმეურნეობის საწყობი.

– რას ინახავდნენ საწყობში, სიმინდს, ღვინოს?

– არა, იქ ბენზინს, ნავთს ინახავდნენ. ორი სართული გააკეთეს, პირველზე ბენზინს ინახავდნენ, მეორეზე – ნავთს.

– მესმის, რომ ძნელია ამის შესახებ საუბარი, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, როგორ გეცვათ?

– ძალიან ღარიბულად, ზოგჯერ მხოლოდ პერანგი მეცვა და ქვემოდან ქინძისთავით ვიკრავდი. ეს იყო ჩემი შარვალიც და პერანგიც.

– ტანსაცმელს დედა გიკერავდათ და გიქსოვდათ?

- დიას.
- შეგიძლიათ კიდევ გაიხსენოთ, ვინ დააპატიმრეს?
- დიას. მახსოვს, რომ წაიყვანეს ლევან კომორიძე, გოდერძიშვილი, ყვარელაშვილი, კოტე ინანიშვილი. ეს იყო 1937 წელს.
- კოტე ინანიშვილი 1937 წელს დააპატიმრეს?
- დიას, გამოძიება მის საქმეზე ორი წელი გაგრძელდა, ვინაიდან მოწმეებს ვერ პოულობდნენ. ადვოკატი ამბობდა, ინანიშვილს 5 წელს მიუსჯიან, დანარჩენებს კი გაათავისუფლებენ და უდანაშაულოდ დაკავების ორი წლისათვის კომპენსაციასაც მისცემენ. შემდეგ სასამართლოს დარბაზში მოსამართლემ ჰკითხა ინანიშვილს: შენ რა, არ მოგწონს ეს სახელმწიფო? ამ სიტყვების შემდეგ ინანიშვილმა პერანგი აიწია, გამოაჩინა დალურჯებული ადგილები და უპასუხა: როგორ ფიქრობთ, შეიძლება ის მომწონდეს? ამ სიტყვების გამო სასჯელი დაუმატეს, 7 წელი მიუსაჯეს, დანარჩენებს – 5-5 წელი.
- თქვენ იყავით სასამართლოზე?
- დიას, ეს ყველაფერი საკუთარი ყურებით მოვისმინე.
- ეს რომელ წელს და სად მოხდა?
- 1939 წელს, საგარეჯოში.
- თქვენ სპეციალურად გაემგზავრეთ იქ?
- დიას, 15 კმ ფეხით ვიარე.
- როგორ განაჩენს ელოდით?
- ადვოკატი სერაპიონ კაკაბაძე გვაიმედებდა, რომ ჩვენებს გაამართლებდნენ და მხოლოდ ინანიშვილს მიუსჯიდნენ 5 წელს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა.
- ამ პროცესის შესახებ ხალხი რას ამბობდა სოფელში?
- არავინ არაფერს ამბობდა, ყველა დუმდა. ზოგი, აქტივისტები რომ იყვნენ, ჩვენ, ბავშვებს ტროცკისტების, მავნებლების და ხალხის მტრების შვილებს გვინოვებდნენ.
- ერთ შემთხვევას მოგიყვებით. მე და ბიძაჩემი გოგლა, რომელიც 5 წლით უფროსი იყო ჩემზე, ფერმის მახლობლად ვიმყოფებოდით, როდესაც ორი ცხენოსანი მოგვიახლოვდა. ერთს ლადო ერქვა, მეორეს სახელი არ მახსოვს. ლადომ გოგლას ჰკითხა: როგორ არის თქვენების საქმე, არ გამოუშვებენ? ამ დროს იმ მეორემ თქვა: რას ლაპარაკობ ამ მავნებლებზე, რატომ უნდა გამოუშვან, მათი ადგილი იქ არისო. ეს სიტყვები დღემდე მახსოვს. როდესაც ომი დამთავრდა, ცხოვრება რამდენადმე გაუმჯობესდა. 1948 წელს სკოლა დავამთავრე. შემდეგ უმაღლესში შევედი. ორი წელი ერთ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ერთი წელი – მეორეში. როდესაც დავამთავრე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გამანაწილეს და იქ ვმუშაობდი.
- როდესაც პატარა იყავით, მანქანა-ტრაქტორთა სადგური მაშინაც იყო?
- კი, იყო.
- ვინ იყო მისი უფროსი?
- როდის? იმ დროს, როდესაც ინსტიტუტი დავამთავრე?
- არა, უფრო ადრე.
- ადრე ვინ იყო, არ ვიცი, მაგრამ მუშაობა რომ დავიწყე, უფროსი შოთა კახაია იყო. მანქანა-ტრაქტორთა სადგურში 23 წელი ვიმუშავე, მერე თბილისში, მშენებლობის სამინისტროში, მექანიზაციის სამმართველოში გადავედი.
- თქვენი ბავშვობის დროს სოფელში იყო ქურდობა?
- იყო, რა თქმა უნდა.
- იცოდით, ვინც ქურდობდა?
- კანონიერი ქურდები არ იყვნენ, უბრალო ქურდბაცაცები იყვნენ, იპარავდნენ საკვებს, ღვინოს, საქონელს.

- თქვენც მოგპარეს საქონელი?
- არა, საქონელი არ გვყავდა, მაგრამ ღვინო კი მოგვპარეს.
- გახსოვთ შემთხვევა, როდესაც ვინმეს ძროხა ან ცხენი მოპარეს?
- ჩემს პაპას და ბიძას მოპარეს.
- კოლმეურნეობის დროს საკმარისი საკვები გქონდათ?
- გლეხები ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ, ფული არ ჰქონდათ. ზოგჯერ სამი დღე უპუროდ ვიყავით.
- დიდი შეძლების მქონე ოჯახები თუ იყო?
- ვილაც საშუალოდ ცხოვრობდა, არა უშავდა, მაგრამ იმ დროს შეძლებული ოჯახი თითქმის არ იყო.
- მღვდელი როგორ ცხოვრობდა?
- ისიც ღარიბულად.
- სახლში ხატები გქონდათ?
- არა.
- თუ გახსოვთ, ბებიათქვენი სააღდგომოდ კვერცხებს ღებავდა?
- არა, საშუალება არ იყო.
- პაპათქვენს მეტი ქონება ჰქონდა, ვიდრე მამათქვენს?
- არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ შეძლებული იყო და კარგად ცხოვრობდა. ხუთი და ჰყავდა და როცა ისინი გაათხოვა, რაც გააჩნდა, ყველაფერი მზითვად გაატანა. თავისთვის არაფერი დაიტოვა და გადასახლდა თიანეთში. ის მაშინ 18-19 წლის იყო. გაუნათლებელი, არც წერა იცოდა, არც კითხვა. ერთხელ სოფელ ხაშმის ხელმძღვანელობა თელავში ქეიფობდა და უკან თიანეთის გავლით ბრუნდებოდნენ. ზამთარი იყო. გზად პაპაჩემი ნახეს, ფეხშიშველი და ერთმა მათგანმა თქვა: ეს ხომ ჩვენი ლაზარეს შვილი არისო და წამოიყვანეს ხაშმში. ერთ მათგანს ვენახი ჰქონდა, იჯარით გასცემდა. ამ კაცმა უთხრა პაპაჩემს, რომ აელო ეს ვენახი და არავისთვის დაეთმო. ახლა ამ ადგილზე ჩემი ძმა ცხოვრობს.
- რა შეემთხვა პაპათქვენს კოლექტივიზაციის დროს?
- იმ ადგილებში არ იცოდნენ ჭაჭის გამოხდა, პაპაჩემმა კი იცოდა. ხალხი ყურძნის ნარჩენებს ყრიდა, პაპაჩემი კი აგროვებდა და არაყს ხდიდა. ამის წყალობით ისე მოძლიერდა და იმდენი მიწა იყიდა, ჩვენი სოფლის თითქმის ნახევარი მის მფლობელობაში იყო. აი, სართიჭალიდან რომ გადიხართ, მარჯვნივ წისქვილი იყო, იქვე ახლოს მას 4 ჰექტარი მიწა ჰქონდა, ვაზი გააშენა, გარშემო კი ხეხილის ბაღი ჰქონდა.
- ეს როდის იყო?
- საბჭოთა კავშირის შექმნამდე.
- რა რეაქცია ჰქონდა, როდესაც ეს ყველაფერი წაართვეს?
- როდესაც ისინი მოვიდნენ და მის ვენახში ცხენები შეუშვეს, პაპაჩემს გული გაუსკდა, მოკვდა. აი, ამ ამბიდან დაიწყო მამაჩემის ტრაგედია...

დამატებითი ცნობები

ამ და მომდევნო ინტერვიუში მოხსენიებული ხაშმის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე სოლომონ ზაქარიას ძე ნახუცრიშვილი, 1899 წელს დაბადებული, ხაშმის მკვიდრი, საბჭოთა სისტემის მომხრე იყო. მისი თანამდებობა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დაბალი იყო იმდროინდელი საბჭოთა ბიუროკრატის იერარქიაში, აძლევდა ფიქსირებული ხელფასის გარანტიას, გარკვეულ ძალაუფლებას და გავლენასაც ასობით კოლმეურნეზე. მაგრამ, იმავდროულად, კოლმეურნეობებში ახალი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების

წარმოქმნის შემთხვევაში, სოფლის საბჭოს თავმჯდომარეები პარტიული და საბჭოთა ორგანოების სამიზნე ხდებოდნენ.⁴⁰⁹ ნახუცრიშვილმა, თუმცა ვაჭრის შვილი იყო, თანამდებობა მიიღო, მან ეს ფაქტი არ დამალა 1932 წელს, პარტიაში შესვლის დროს. შეძლო დაემტკიცებინა „თავისი ერთგულება პარტიისადმი“ კოლმეურნეობა „პირველი ცდის“ თავმჯდომარედ მუშაობის დროს, 1930-1932 წლებში, „საკოლმეურნეო მშენებლობისას და კულაკების წინააღმდეგ“. 1932 წელს პარტიაში შესვლის შემდეგ, 1933 წელს, იგი გადაიყვანეს „ОСГД“-ს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, მისი გაძლიერების მიზნით. როგორც ჩანს, 1937 წელს ნახუცრიშვილი ხაშმის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე გახდა. პარტიული საქმეების შემონმებისას, 1935 წელს ნახუცრიშვილი დახასიათდა, როგორც „დისციპლინებული კომუნისტი“, მან შეინარჩუნა პარტიის წევრობა.⁴¹⁰ მიუხედავად ამისა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა მის კარიერაში უმაღლესი იყო. 1944 წელს იგი კვლავ მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მეზობელ სოფელ პატარძელში, მაგრამ აქ სახელი გაიტეხა კოლმეურნის ცემით. ამ შემთხვევამ, როგორც ჩანს, იმდენად მიიპყრო ყურადღება, რომ საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ბიურომ ს. ნახუცრიშვილს მკაცრი საყვედური გამოუტანა. საყვედური მხოლოდ 1947 წელს, კოლმეურნეობის კარგად ხელმძღვანელობის საფუძველზე მოეხსნა.⁴¹¹

5. ნოშრევან ალექსანდრეს ძე ქოქრაშვილი (1930)

დაბადებული 1930 წელს, სოფელ ხაშმის მკვიდრი. იყო სოფელ ხაშმის სკოლის დირექტორი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, პენსიონერი.

მამა – ალექსანდრე იაგორის ძე ქოქრაშვილი, დაბადებული 1900 წელს სოფელ ხაშმში, დაიბადა საშუალო შეძლების გლეხის ოჯახში. დედა – ელენე გრიგოლის ასული ბურდული, დაიბადა 1909 წელს სოფელ პატარძელში.

- თქვენი სახელი, გვარი, მამის სახელი.
- ნოშრევან ალექსანდრეს ძე ქოქრაშვილი.
- როდის დაიბადეთ?
- 1930 წელს.
- თქვენ აქ ცხოვრობდით, სოფელში?
- დიახ, აქ ვცხოვრობდი.
- და აქ დაიბადეთ?
- დიახ, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე და აქ მოვკვდები.
- ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?
- გლეხები იყვნენ.
- რა ერქვა მამათქვენს?
- ალექსანდრე იაგორის ძე.
- დედას?
- ელენე გრიგოლის ასული ბურდული.
- როდის დაიბადნენ თქვენი მშობლები?
- მამა დაიბადა 1900 წელს, დედა – 1909 წელს.

409. Merl St. Aufstieg im sowjetischen Kolchossystem der 30er Jahre? Über das Schicksal der bäuerlichen Parteimitglieder, Dorfsowjetvorsitzenden, Posteninhaber in Kolchosen, Mechanisatoren und Stachanowleute. Berlin, 1990.

410. საქართველოს კპ(ბ) საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის კომუნისტების პარტდოკუმენტების შემონმების მასალები 1935-1936 //საქართველოს შსს არქივი. მეორე განყოფილება. ფ. 14. აღწ. 9. ს. 124. ფ. 108.

411. საქართველოს კპ(ბ) ცკ ბიუროს 1947 წლის 24 დეკემბრის № 679 სხდომის ოქმი//საქართველოს შსს არქივი. მეორე განყოფილება. ფ. 14. აღწ. 21. ს. 141. ფ. 8.

- სად მუშაობდნენ?
- კოლმეურნეობაში.
- გახსოვთ, ვისი სახელობის იყო კოლმეურნეობა?
- ზოგი მახსოვს – სტალინის, ლენინის, მოლოტოვის, იყო ბერიას სახელობის.
- ჟდანოვის სახელობისაც იყო?
- დიახ, სხვა არ მახსოვს. შემდეგ ეს კოლმეურნეობები გააერთიანეს და დარჩა ერთი
- სტალინის სახელობის.
 - რომელ კოლმეურნეობაში მუშაობდნენ თქვენი მშობლები?
 - მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში.
 - რას საქმიანობდა მამათქვენი?
 - გლეხი იყო, მიწაზე მუშაობდა, ხნავდა, თესავდა და ასე შემდეგ.
 - დედათქვენი რაღას აკეთებდა?
 - როდესაც მამა ჩვენთან იყო, დედა არ მუშაობდა, დიასახლისობდა, მაგრამ მამა რომ დახვრიტეს, დედა კოლმეურნეობაში წავიდა სამუშაოდ.
 - ბებიათქვენი მაშინ ცოცხალი იყო?
 - დიახ, მამა რომ წაიყვანეს, ბებია ცოცხალი იყო. იგი 1939 წელს გარდაიცვალა.
 - რა ერქვა ბებიას?
 - ეფროსინე.
 - პაპათქვენი როდის გარდაიცვალა?
 - 1926 წელს.
 - რას საქმიანობდა?
 - გლეხი იყო.
 - როგორ ცხოვრობდა, მდიდარი იყო?
 - მდიდარი არა, საშუალო შეძლების გლეხი იყო.
 - 30-იანი წლების დასაწყისში რა ჩამოართვეს თქვენს ოჯახს?
 - ყველაფერი წაიღეს. როცა კოლმეურნეობა იქმნებოდა, ჩვენ წაგვართვეს 35 ძროხა, 25-30 ჰექტარი მიწა. 5 ცხენიდან 4 წაიყვანეს, ერთი დაგვიტოვეს. ურემი გვექონდა, წაიღეს. ეს, ფაქტობრივად, ოჯახის განადგურება იყო.
 - გახსოვთ, როგორ დააპატიმრეს მამათქვენი?
 - ყველაფერი მახსოვს. ეს იყო 1937 წლის 26 ივნისს. იმ დღეს მე და მამა ვიყავით სახლში, დედა და ძმა თბილისში იყვნენ. შუალამისას კარზე დააკაკუნეს და დაიძახეს: ალექსანდრე, გამოდი ბარგით!
 - გახსოვთ, ვინ დააკაკუნა?
 - დიახ, ესენი იყვნენ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ვანქეზ ხაჩატუროვი და რაიონის მილიციის წარმომადგენლები. როდესაც ისინი შემოვიდნენ, მამამ იყვირა: – ვაიმე, ღმერთო, შვილო! ის წაიყვანეს, მე დავრჩი ბებიასთან.
 - გყავდათ ძმა ან და?
 - სამი წლით უფროსი ძმა მყავდა, ავადმყოფი იყო.
 - მამათქვენი სამუდამოდ გაუჩინარდა, თუ მოგვიანებით დაბრუნდა?
 - სამუდამოდ. 1937 წელს დახვრიტეს.
 - იცით, რომელმა ორგანომ გაასამართლა?
 - სამეულმა.
 - მისი საგამომძიებო საქმე თუ გინახავთ?
 - დიახ.
 - სად ნახეთ?
 - სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში.
 - რომელ წელს?

- 1960 წელს ოფიციალურად გამოვითხოვე მამაჩემის საქმე.
- მოგვიყევით, რა ეწერა იქ? ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ხანძრის გამო საქართველოს ყოფილი უშიშროების კომიტეტის არქივში ბევრი საქმე დაინვა... ყველაზე კარგად დამამახსოვრდა ერთი აქაური პიროვნების დაკითხვის ოქმი, რის საფუძველზეც დახვრიტეს მამაჩემი.
- ვინ იყო ეს ადამიანი?
- ადამიანი, რომელმაც მამაჩემი დააბეზლა, იოსებ გოდერძიშვილია, მის შვილს, ალექსანდრეს, თქვენ უკვე ესაუბრეთ.
- და რა თქვა მან?
- როგორ ვთქვა ახლა ის, რაც მან თქვა...,
- პირდაპირ თქვით...
- მამაჩემი ძალიან თეატრალური, არტისტული ადამიანი იყო. წარმოიდგინეთ, კოლმეურნეობაში მუშაობდა და სამუშაოს შემდეგ 6 კილომეტრს გარბოდა, რომ რეპეტიციაზე დროზე მისულიყო. და აი, ეს იოსებ გოდერძიშვილი ეუბნება მას: „თქვენს კოლმეურნეობაში განევრიანება მინდაო“. და თითქოს მამაჩემს უპასუხია: – საჭირო არ არის, ჩვენ თვითონაც ვაპირებთ კოლმეურნეობიდან გამოსვლასო“.
- გაქვთ მამის ფოტოსურათი?
- არა, დაპატიმრების დროს ყველაფერი წაიღეს.
- მოგვიყევით, როგორ ცხოვრობდით მამის დაპატიმრების შემდეგ?
- ძალიან გვიჭირდა. დედამ მუშაობა დაიწყო მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მე პატარა ვიყავი, მაგრამ ვმუშაობდი შინაც და მინდორშიც.
- გქონდათ რამე კერძო საკუთრება?
- დიახ, 1 ჰექტრამდე მიწა დაგვიტოვეს, იქ ვენახი გვქონდა და ვუვლიდით.
- შიმშილობდით?
- დიახ, ვშიმშილობდით, საქმელი არ გვყოფნიდა, ზოგჯერ კვირა ისე გავიდოდა, პურიც არ გვქონდა.
- რძე გქონდათ?
- როდესაც ძროხები გვყავდა, რძე უხვად გვქონდა, მერე აღარ.
- სკოლაში დადიოდით? რამდენი მოსწავლე იყო თქვენს კლასში?
- სკოლაში დავდიოდი, ჩვენს კლასში 20-22 მოსწავლე იყო.
- სად დადიოდით სკოლაში?
- პატარძელში დავდიოდი, იქ ბებიჩემი ცხოვრობდა.
- რატომ ცხოვრობდით ბებიასთან?
- იქ საკვების მეტი საშუალება იყო, ვიდრე აქ, ამიტომ ბებია თავისთან წამიყვანა.
- თქვენს კლასში თუ იყვნენ ისეთები, რომელთაც ასევე დაუპატიმრეს მშობლები?
- ამის შესახებ ჩვენ არ ვლაპარაკობდით, პატარები ვიყავით.
- იმ სოფელში, სადაც თქვენ და ბებია ცხოვრობდით, თუ გახსოვთ, ვინმე დააპატიმრეს?
- დიახ, იმ სოფელშიც დააპატიმრეს, მაგრამ გვარები არ ვიცი. აქ აპატიმრებდნენ, სხვა ადგილას მიჰყავდათ და ხვრეტდნენ, პატარძელელები კი აქვე, გაღმა მინდორში გაჰყავდათ და იქ ხოცავდნენ.
- სად არის ეს მინდორი?
- აქედან 12 კილომეტრშია.
- ძეძვიანთხევში?
- დიახ.
- და იქ ხვრეტდნენ თქვენს თანასოფლელებსა და პატარძელელებს?
- არა, იქ მხოლოდ პატარძელის მოსახლეობას ხვრეტდნენ.
- რა მოხდა მას შემდეგ, რაც მამათქვენი დააპატიმრეს? გახსოვთ რამე?

– როდესაც იმ ღამეს ჩვენი სახლის კარზე დააკაკუნეს, მე და მამა ერთ სანოლში ვინექით. ყვირილმა გამალვიდა: – ალექსანდრე, ჩაიცვი და კარი გააღე. სამნი შემოვიდნენ, ეცნენ მამას, გაჩხრიკეს და ხელბორკილები დაადეს. გავშეშდი. ყველაფერი გაჩხრიკეს და გადააქოთეს, ფოტოსურათები მაგიდაზე დაყარეს. ახლაც თვალწინ მიდგას, ვინ რას აკეთებდა. შემდეგ სანოლს მოუახლოვდნენ, სადაც მე ვინექი, ლეიბის ამობრუნება უნდოდათ, რომ ენახათ, ქვეშ რამე ხომ არ იყო. როდესაც ერთმა მათგანმა აყვანა დამიპირა, წავიქეცი, მამამ კი მთელი ხმით დაიყვირა: – ბავშვს თავი დაანებეთ! ერთმა ხელში ამიყვანა, მეორემ ლეიბი ამოატრიალა. შვიდი წლის ვიყავი. მამაჩემი წაიყვანეს, ყველაფერი ტომარაში ჩაყარეს, გაიტანეს და დაწვეს. ისინი ათვალეირებდნენ წაღებულ ფოტოსურათებს და არკვევდნენ, ვისთან მეგობრობდი, რა ურთიერთობებში იყავი და სურათების მეშვეობით ერთი ადამიანიდან მეორეზე გადაიდნენ. როდესაც გარეთ გაიყვანეს, მამამ ბებიას გასძახა: – ბავშვი არ მიატოვო! ბებია მოთქმა დაიწყო.

– მეზობლები არ გამოვიდნენ?

– რას ამბობთ, ვინ გამოვიდოდა?! ფანჯარაშიც კი არ გამოუხედავთ. ყველას ეშინოდა, ნათესავებიც არ მოდიოდნენ. როგორც კი მამა წაიყვანეს, ბებია ხელში ამიყვანა და სოფლის საბჭოში წამიყვანა, სადაც ყველა დაპატიმრებული შეკრიბეს, შვიდნი იყვნენ. ბებია ამიყვანა და როგორც კი მანქანაში ჩასვეს, მამას კალთაში ჩამსვა: – ესეც წაიყვანეთ, თუ გინდათო! ამით მან პროტესტი გამოთქვა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

– მისგან წერილებს იღებდით?

– არა, ერთიც არ მიგვიღია.

– დახვრიტეს?

– დიახ, დახვრიტეს.

– იცით, სადაც დახვრიტეს?

– არ ვიცი. გვატყუებდნენ, ვითომ შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს, სინამდვილეში კი დახვრიტეს.

– თუ გახსოვთ მღვდელი, რომელიც ამ სოფელში იყო?

– დიახ, ეპიტაშვილი. ძალიან ლამაზი იყო, მაღალი.

– დადიოდით ეკლესიაში?

– არ გვიშვებდნენ, მაგრამ მაინც დავდიოდით.

– ბებიას სახლში ხატები ჰქონდა?

– დიახ, ჰქონდა, სამზარეულოში.

– საეკლესიო დღესასწაულებს აღნიშნავდა?

– არ მახსოვს.

– როგორ გექცევოდნენ მამის დაპატიმრების შემდეგ?

– ვინაიდან მე ვსწავლობდი და ვცხოვრობდი სხვა სოფელში, პატარძეულში, ცუდად არ მექცევოდნენ, მაგრამ როდესაც აქ ჩამოვდიოდი, ისე მიყურებდნენ, როგორც ხალხის მტრის შვილს. 14 წლამდე პატარძეულში ვიზრდებოდი.

– ინსტიტუტში შესვლის დროს ან როდესაც მუშაობა დაიწყეთ, ხელი ხომ არ შეგიშალათ იმ ფაქტმა, რომ მამათქვენნი დაპატიმრებული და დახვრეტილი იყო?

– კომპლექსი მქონდა, მაგრამ სხვებისგან არაფერს ვგრძნობდი, პირიქით, ჩემი რექტორი მუდამ მამხნეებდა. მინდა მოგითხროთ ერთი ისტორია. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, 70-80-იან წლებში, საგარეჯოს რაიკომის მდივანი იყო მედიკო მეზვრიშვილი, რომელიც ძალიან ახლოს იყო ე. ა. შევარდნაძესთან. მან გაიხსენა მამაჩემი. მე სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ ვმუშაობდი, ეს იყო 1975 წელს, იმ დროს, როდესაც აჭარლების ჩამოსახლება უნდოდათ და ჩვენი სოფლისთვის 200 ჰექტარი მიწის ჩამოჭრას აპირებდნენ, რათა მათთვის სოფელი გაეშენებინათ. მე წინააღმდეგი ვიყავი, დოკუმენტებს ხელს არ ვანერდი, ვთავაზობდი, რომ ისინი სათითაოდ ჩაგვესახლებინა სხვადასხვა სოფელში და

არა ცალკე აგვეშენებინა მათთვის სოფელი. ამ დროს მედიკო მეზვრიშვილი მეუბნება: – ეტყობა, მამაშენიც შენსავით ურჩი იყო და ამიტომაც დახვრიტესო!

– ამის შემდეგ მოაწერეთ დოკუმენტებს ხელი?

– არა და იცით, რა უპასუხე? მამაჩემი კი არა, მამათქვენი უნდა დაეხვრიტათ-მეთქი! და ოთახიდან გამოვედი. მან მილიციის უფროსი დამადევნა, რომ დავეკავებინე.

– 30-იან წლებში ქურდობა იყო სოფელში?

– ქურდობა ყოველთვისაა. 1930 წლის მარტში სახლიდან გამოგვიყვანეს, ნივთები ეზოში გამოყარეს და ორი დღე ქუჩაში გავატარეთ. მე თოთო ვიყავი და რომ არ გავცივებულიყავი, საბანში შემახვიეს და ლეიბი დამაფარეს. ორი დღის შემდეგ რაიკომიდან ვილაცამ გაიარა ჩვენ გვერდით და თქვა: „ბავშვი ცოდოაო“. ამის მერე დაგვრთეს ნება, სახლში შევსულიყავით.

– გახსოვთ, ვინ იყო სოფლის პარტიული ხელმძღვანელი?

– სოლომონ ნახუცრიშვილი. იმათ, ვინც ხელმძღვანელ თანამდებობაზე იყო, ვისი ჯინიც სჭირდათ, აკავებდნენ. იყო ერთი კაცი, დიმიტრი კოშორიძე, თბილისში მუშაობდა. ერთხელ იგი სოფელში ჩამოვიდა, ცოლმა უთხრა: – „ამალამ ხალხის დაპატიმრებას აპირებენ, თბილისში დაბრუნდი, თორემ შენც დაგიჭერენო“. მან უპასუხა, მე ხელს არ მახლე-ბენო და წავიდა სოლომონთან, რომელიც კოლმეურნეობის თუ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყო, გაახსენა მას რაღაც, რაც ადრე ერთად ჰქონდათ ჩადენილი. მან თქვა: – „ნუ გეშინია, დღეს შენ არავინ წაგიყვანს, ოღონდაც არავის არაფერი უთხრა“. შედეგად ის ამოშალეს დასაპატიმრებელთა სიიდან და ასე გადარჩა.

იმის შესახებაც მიაბებს, რომ მეორე ადამიანი, ვინც მამაჩემი დააბეზლა, ვანო ბოჭორიძე იყო. მოგვიანებით ისიც დააკავეს და ციხეში თითქმის 10 წელი იჯდა. მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიდა, შემთხვევით შევხვდი და ვუთხარი, შენი ფეხი არ ვნახო სოფელში-მეთქი! ამის შემდეგ აღარც გამოჩენილა.

– მამათქვენის საგამოძიებო საქმეში იყო მისი დაკითხვის ოქმი?

– დაკითხვის ოქმი არა, იქ მისი დასმენაა. იცით, მამაჩემი როგორ დახვრიტეს? ყველა პატიმარმა იცოდა, რომ მამაჩემი წესიერი, სამართლიანი კაცი იყო და არ უნდა დაეხვრიტათ. პატიმრებს არაადამიანურად აწამებდნენ, სცემდნენ. ერთ დღეს, როდესაც ის საკანში ნაცემი შეათრიეს და იატაკზე დააგდეს, გატანჯულმა თქვა: – რაც გინდათ, დაწერეთ, ხელს მოვანერო. როდესაც დააბრუნეს საპატიმრო ოთახში, თქვა, ყველაფერზე ხელი მოვანერეო; დანარჩენი პატიმრები, მათ შორის მისი ბიძაშვილები (მისი ორი ბიძაშვილიც დაპატიმრებული იყო) ეცნენ მას და ჰკითხეს, რატომო... მეორე თუ მესამე დღეს გაიყვანეს... ყველამ იცოდა, სადაც მიჰყავდათ...

– საიდან იცით ეს ყველაფერი?

– მისი ერთ-ერთი ბიძაშვილი, გიორგი ქოქრაშვილი 9 თვეში გაათავისუფლეს და ის მომიყვა.

6. მედიკო დავითის ასული ვარძელაშვილი-ნაჩხატაშვილი (1936)

მამა – დავით გიორგის ძე ვარძელაშვილი, სოფელ ხაშმის მკვიდრი, გლეხი.

დედა – დარუსია ლევანის ასული მარიდაშვილი, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინონ-მინდის მკვიდრი, გლეხი.

– თქვენი სახელი, გვარი, ასაკი?

– მედიკო დავითის ასული ვარძელაშვილი-ნაჩხატაშვილი, დავიბადე 1936 წელს.

– ვინ იყო რეპრესირებული თქვენი ნათესავებიდან?

– ბიძა – შალვა გიორგის ძე ვარძელაშვილი, დაბადებული 1905 წელს და პაპა – გიორგი

(გიგო) იასონის ძე ვარძელაშვილი, დაბადებული 1872 წელს. შალვა 1930 წელს დააპატიმრეს, მაგრამ გამოიქცა. მისი დაჭერა ჯერ ვერ შეძლეს, მაგრამ მერე დასმენის შედეგად მიაგნეს, დაჭრეს და 3 ივნისს დააპატიმრეს. დაჭრილი საავადმყოფოში დაანვინეს, განკურნეს და შემდეგ, 11 ნოემბერს დახვრიტეს. ეს ინფორმაცია ჩვენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაცული მასალებიდან გავიგეთ. დღეს ის რეაბილიტირებულია. პაპაჩემი ძალიან წიგნიერი იყო და პოლიტიკაში სხვებზე უკეთ ერკვეოდა, აგიტაცია-პროპაგანდაც კარგად გამოსდიოდა. იყო ქართველებს შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, რომელიც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ დააარსა. პაპა ყოველთვის წინააღმდეგი იყო საბჭოთა ხელისუფლების. გიგო პაპას მეგობარი იყო იოსებ იმედაშვილი, ის ხშირად მოდიოდა მასთან. ჩემი ბიძაშვილი, ირაკლი, შალვას შვილი, მიყვებოდა, რომ ბოლო დროს იმედაშვილი და გიგო პაპა სულ კამათობდნენ, რადგან იმედაშვილმა აზრი შეიცვალა და ბოლშევიკების, კომუნისტების მხარეს გადავიდა.

– ვინ იყო მამათქვენი?

– დავით გიორგის ძე ვარძელაშვილი, დაბადებული 1908 წელს. 1930 წელს ის წაიყვანეს, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა და დაიშალა.

– სულ რამდენი ადამიანი დააპატიმრეს?

– მთელი ოჯახი გაგვაკულაკეს, ხალხის მტრებად გამოგვაცხადეს და სოფლიდან გასახლებაც უნდოდათ. ეს იყო 1937 წელს. ბებიაჩემიც დააპატიმრეს. ის სართიჭალის ციხეში იჯდა. ლამე მოვიდნენ. ისეთი სასტიკი ზამთარი იყო, მდინარე იორს ყინულები მოჰქონდა. გიგო პაპა დააპატიმრეს, ორი დღის მერე ბებიაც წაიყვანეს.

– რა მოუვიდა პაპათქვენს დაპატიმრების შემდეგ?

– ყირიმში გადაასახლეს.

– შემოგრჩათ მისი წერილები?

– მქონდა გიგო პაპას წერილი, მაგრამ სად არის, არ ვიცი.

– გაკულაკებამდე რა ქონებას ფლობდით?

– საქონელი გვყავდა, ვენახი გვქონდა, ყველაფერი ჩამოგვართვეს, არაფერი დაგვიტოვეს, საქონელთან ერთად ღვინოც წაიღეს, ხორბალიც. წინა დღეს ამის შესახებ ჩვენმა მეზობელმა ყირმელაშვილმა შეიტყო და პაპას უთხრა: – ამაღამ შენგან ხორბლის წაღებას აპირებენ, მოდი, ნაწილს ჩემთან გადმოვიტან, შეგინახავ, მშივრები ხომ ვერ დარჩებითო. და მან თვითონ, თავისი ხელით გადაიტანა ხორბალი. მეორე დღეს, ვიდრე მამაჩემი თბილისში იყო, სარდაფიდან მთელი ღვინო წაიღეს.

– დაპატიმრებულ ბებიას რა მოუვიდა?

– თითქმის მთელი თვე იჯდა ციხეში, შვილის დაპატიმრების შემდეგ კი გაათავისუფლეს.

– თქვენი ახლობლები პირველად 1937 წელს დააკავეს, თუ უფრო ადრეც?

– პირველად 1924 წელს, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების დროს დააკავეს. პაპაჩემი, გიგო ვარძელაშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და მეგობარი იყო. ეხმარებოდა მის დაჯგუფება „შეფიცულებს“, მიჰქონდა საკვები და სხვ. შემდეგ ვილაცამ დაასმინა, რომ იგი იცნობდა ამბოხებულებს და დააკავეს.

– როცა წამოიზარდეთ, როგორ აგიხსნეს მშობლებმა, რატომ დააპატიმრეს ბებია, რატომ გადაასახლეს პაპა, რატომ დახვრიტეს ბიძა?

– მეუბნებოდნენ, ისინი რუსეთში არიან, აუცილებლად დაბრუნდებიან და საჩუქრებსაც ჩამოგიტანენო.

– სიმართლე როდის გაიგეთ?

– 16-17 წლის რომ ვიყავი. ეს ის პერიოდია, როდესაც სტალინი გარდაიცვალა.

– რა რეაქცია გქონდათ, როდესაც სტალინის გარდაცვალების შესახებ გაიგეთ? გიყვარდათ სტალინი?

- რა თქმა უნდა, მიყვარდა. სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ სტალინი ძალიან კეთილი ადამიანი იყო. ის მამაჩემსაც ძალიან უყვარდა. ყოველთვის გვეგონა, რომ ყველაფერი ცუდი, რაც ხდებოდა, სტალინმა არ იცოდა.
- ახლაც გიყვართ სტალინი?
- დიახ, ახლაც მიყვარს.
- სკოლაში როგორ გექცეოდნენ?
- ზურგს უკან ზოგჯერ მესმოდა, რომ ამბობდნენ, მტრის ოჯახიდან არისო, მაგრამ ცუდად არ მექცეოდნენ.

7. სოფიო მამულაშვილი (1963)

საბავშვო ბაღის გამგე, ისტორიკოსი. სოფელ ხაშმის მკვიდრი, ცხოვრობს ქ. თბილისში. მისი პაპის მამა – გიორგი მამულაშვილი (1868-1937) დახვრიტეს, ხოლო პაპა – შალვა მამულაშვილი (1906-1979) გადაასახლეს.

- თქვენი სახელი, მამის სახელი, გვარი.
- სოფიო ანზორის ასული მამულაშვილი.
- რომელ წელს დაიბადეთ?
- 1963 წლის 27 თებერვალს.
- შეეხო თუ არა თქვენს ოჯახს 30-იანი წლების რეპრესიები?
- დიახ. დააპატიმრეს ჩემი პაპის მამა – გიორგი სიმონის ძე მამულაშვილი და მისი შვილი, ე.ი. პაპაჩემი – შალვა მამულაშვილი.
- რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ ისინი?
- გიორგი მამულაშვილი გაკულაკებული გლეხი იყო, მისი მეუღლე – სოფიო გოგნიაშვილი – აზნაური.
- მათ ჩამოართვეს ქონება?
- დიახ. გიორგი მამულაშვილს სოფელ ხაშმში ორი დუქანი ჰქონდა, რომლებიც ჩამოართვეს.
- როდის დააპატიმრეს?
- 1937 წელს.
- დაბრუნდა გადასახლებიდან?
- ჯერ კიდევ დაპატიმრების დროს, პაპის მამას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა – ფილტვების ანთებით იყო ავად. თვითმხილველთა გადმოცემით, ოჯახმა გაიგო, რომ იგი ნავთლულთან ახლოს ჩამოაგდეს მატარებლიდან და იქვე დახვრიტეს. ჩემთვის უცნობია, ვინ იყო ეს თვითმხილველი. ოჯახს არ მიუღია რაიმე ცნობა მისი დახვრეტის შესახებ.
- რამდენი შვილი დარჩა თქვენი პაპის მამას?
- სამი: შალვა, რომელიც ასევე დააპატიმრეს 1937 წელს, ესტატე – ინვალიდი, არც გაინვიეს მეორე მსოფლიო ომის დროს და ქალიშვილი – თამარი, სოფელ ხაშმის კოლმეურნეობის თავმჯდომარის – კოტე ინანიშვილის მეუღლე.
- პაპათქვენს განათლება მიღებული ჰქონდა?
- დიახ. მან თბილისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა.
- იცოდა უცხოური ენები?
- სრულყოფილად ფლობდა რუსულს.
- რას საქმიანობდა დაპატიმრების დროს?
- კოლმეურნე იყო.
- კომკავშირელი იყო?
- დიახ, სოფელში ერთ-ერთი პირველი კომკავშირელი იყო.

- პაპათევენის დედა მაშინ ცოცხალი იყო?
- დიახ. ის შვილის გადასახლებიდან დაბრუნებას მოესწრო. ექიმბაში იყო – მოტეხილობებს მკურნალობდა. გარდაიცვალა 1960 წელს.
- თქვენთვის ცნობილია პაპათევენის – შალვა მამულაშვილის დაპატიმრების მოტივი?
- პაპა პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრეს. მიუსაჯეს 10 წლით გადასახლება ურალში, სადაც გზის მშენებლობაზე მუშაობდა.
- თქვენთვის ცნობილია, ვინ დააბეზლა პაპათევენი?
- ვანქეზ ხაჩატუროვმა, სოფლის კოლმეურნეობის წევრმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის – კოტე ინანიშვილის დაპატიმრების შემდეგ მისი თანამდებობა ვანქეზმა დაიკავა.
- პაპათევენი დაბრუნდა გადასახლებიდან?
- პაპა 1951 წელს დაბრუნდა. მას უფრო ადრე დაბრუნებაც შეეძლო, მაგრამ გადასახლების ადგილიდან გაქცევის მცდელობის გამო დამატებით მიუსაჯეს კიდევ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.
- როდის გაიქცა?
- კონკრეტული თარიღი უცნობია, მაგრამ გაქცევის დროს მდევნელმა ხიშტით დაჭრა და პაპას სიცოცხლის ბოლომდე აჩნდა სხეულზე საკმაოდ ღრმა ჭრილობის კვალი.
- როგორი იყო ოჯახის მატერიალური მდგომარეობა პაპის გადასახლების შემდეგ?
- ოჯახი გაჭირვებულად ცხოვრობდა.
- ბავშვებს როგორ ექცოდნენ მამის დაპატიმრების შემდეგ?
- ბავშვები დიდ მორალურ წნეხს განიცდიდნენ. მამა ყოველთვის ამბობდა, რომ მათ თანასოფელები „ხალხის მტრის“ შვილებს ეძახდნენ.
- რას საქმიანობდა ბებიათქვენი?
- როდესაც პაპა ოჯახში იყო, ბებია – მარიამ ნახუცრიშვილი – არ მუშაობდა, დიასახლისობდა, მაგრამ როდესაც პაპა გადასახლეს, იძულებული გახდა, კოლმეურნეობაში ემუშავა.
- რა ჩამოართვეს თქვენს ოჯახს?
- ყველაფერი. დატოვეს მხოლოდ ლენინისა და სტალინის თხზულებათა ტომები. სოფიო ბებიამ ღვთისმშობლის ხატის გადამალვა მოახერხა, რომელიც დღემდე ინახება ჩვენს ოჯახში.
- საეკლესიო დღესასწაულებს აღნიშნავდით?
- დიახ, ყოველთვის. გადასახლებაში ყოფნისას შალვა პაპამ ხისგან გამოთალა ტრიპტიქი, იესო ქრისტესა და მოციქულთა ფიგურები და როდესაც დაბრუნდა, თან ჩამოიტანა.
- წერილებს გწერდით?
- დიახ, ოჯახთან მიმონერა ჰქონდა.
- შემოგრჩათ მისი წერილები?
- საკმაოდ ბევრი წერილი გვაქვს შემონახული.
- რა ენაზეა დაწერილი?
- ნაწილი ქართულად, ნაწილი – რუსულად.
- წერილებზე მითითებულია მისამართი?
- დიახ. თავდაპირველად პერმის ოლქი იყო, შემდეგ – მოლოტოვის ოლქი, ქ. სოლიკამსკი, ნირობი, საფოსტო ყუთი № 244/2.
- პაპა წერილებში ასახელებდა თავისი დაპატიმრების მიზეზებს?
- წერილებში პაპა ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ის შემთხვევითობის, პირადი მტრების მსხვერპლი იყო, რომლებსაც მისი წარმატებები და მიღწევები შურდათ; მას არ ჩაუდენია არავითარი დანაშაული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1940 წლის 15 იანვრით დათარიღებულ წერილში წერს: „მე ბრალი დამდეს მენშევიკური ორგანიზაციის წევრობაში და ანტისაბჭოთა პროპაგანდაში და გამასამართლეს 58¹⁰⁻¹¹ მუხლებით. სპეცკო-

ლევიამ განიხილა ჩემი საქმე 1938 წლის 7 ივნისს და მომისაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით ბანაკში მოხდით და საარჩევნო ხმის ჩამორთმევა 5 წლით“. წერილიდან ირკვევა, რომ გამომძიებლად მის საქმეში ვინმე დავითულიანი იყო, ხოლო მოსამართლე – ლეჟავა. იგი აღნიშნავდა, რომ არაერთხელ მიმართა თხოვნით როგორც საქართველოს სსრ ხელისუფლების ორგანოებს, ისე საკავშირო ორგანოებს, პირადად ლავრენტი ბერიას საბრალდებო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

– საქართველოდან მას წერდნენ?

– დიახ, ოჯახის წევრები და მეგობრები სულ წერდნენ. თუმცა ზოგიერთი მეგობარი თავს იკავებდა მასთან მიმონერისგან, რის გამოც პაპა უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

– როდის იყო რეაბილიტირებული პაპათქვენი?

– 1956 წელს.

– გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ის კვლავ კოლმეურნეობაში მუშაობდა?

– პაპა იყო პარტიის საგარეჯოს რაიკომის მეორე მდივანი, შემდეგ, პენსიაზე გასვლამდე – გომბორის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. პენსიაზე გასვლის შემდეგ დაკავებული იყო საოჯახო მეურნეობით.

– თქვენ კოტე ინანიშვილი ახსენეთ, რომელიც თქვენი პაპის ქვისლი იყო. რა შეგიძლიათ თქვით ამ პიროვნების შესახებ?

– კოტე ინანიშვილი 1901 წელს დაიბადა. სოფელში ერთ-ერთი პირველი კომკავშირელი იყო, კოლექტივიზაციის აქტივისტი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე. 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. გადასახლებიდან იგი თავის შვილებს წერდა, რომ მან თავისი სიცოცხლე კომპარტიას მიუძღვნა. თავისი შვილებისგანაც ასევე მოითხოვდა კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებას. მას სამი შვილი დარჩა: კლარა, აკაკი და რეზო (რეზო ინანიშვილი – ქართული ლიტერატურის კლასიკოსი). 1942 წლიდან მასთან მიმონერა შეწყდა. ოჯახს არ მიუღია არავითარი დოკუმენტი. მხოლოდ 1956 წელს მიიღეს ცნობა მისი რეაბილიტაციის შესახებ.

რეზიუმე

მოგვეცით შესაძლებლობა, ჩამოვიდეთ კვარცხლბეკებიდან და მოვიხსნათ ეკლის გვირგვინი.

რადოსლავ სიკორსკი, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მასობრივი რეპრესიები საქართველოში

მარკ იუნგე, ბერნდ ბონვერი

1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიები, რომელთა შესახებაც პრაქტიკულად არაფერი იყო ცნობილი საბჭოთა კავშირის კრახამდე, ბოლო წლებში ინტენსიურ კვლევათა საგნად იქცა. დღეს გვაქვს გარკვეული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდებოდა შინსახკომის მასობრივი ოპერაციები რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო დონეებზე და როგორ იმართებოდა ისინი მოსკოვიდან. ყველაზე უკეთ სსრკ შინსახკომის № 00447 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული ე.წ. „კულაკური“ ოპერაციაა შესწავლილი. არ დადასტურდა თავდაპირველი ვარაუდი, რომ ადგილებზე ბრმად ასრულებდნენ ცენტრის ნებას და მოსკოვიდან ნაკარნახევი საკონტროლო ციფრების შესაბამისად,⁴¹² მორჩილად გამოჰქონდათ სიკვდილით დასჯის ან ბანაკში პატიმრობის შესახებ განაჩენები. რეპრესიების ლიმიტიმართლაც მტკიცდებოდა სკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს მიერ, მაგრამ მხოლოდ ადგილებიდან შესული წინადადებების საფუძველზე, ცენტრის მოთხოვნათა შესასრულებლად. და მაინც, ეს საკონტროლო ციფრები და გამოყოფილი ლიმიტების მკაცრად შესრულება არსებითი იყო მასობრივი სადამსჯელო აქციების დროს. მათი შემწეობით მოსკოვურმა ცენტრმა მიიღო ქმედითი საშუალება, რომ უზარმაზარი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე სულ მცირე რაოდენობრივი თვალსაზრისით ეკონტროლებინა „კულაკური“ ოპერაციის განხორციელება. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ცენტრმა დაუთმო, ან პრაქტიკული მიზეზების გამო იძულებული იყო, დაეთმო თავისი უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ახლო და შორეული პერიფერიის სადამსჯელო ინსტანციებისთვის.

დიდი ტერორის არსებითი განსხვავება ორდინალური სადამსჯელო აქციებისგან, მათ შორის ნაციონალ-სოციალიზმის მასობრივი დანაშაულებისგან, რომლებიც მიმართული იყო „მტრის“ გარკვეული რაოდენობის განადგურებისკენ ან მათ მოსასპობად გარკვეული ეროვნული ნიშნის მიხედვით, ხორციელდებოდა მასობრივი რეპრესიების საბჭოური მანქანების სპეციფიკით. ეს სპეციფიკა მდგომარეობდა იმაში, რომ თითოეულ მსხვერპლს წარედგინებოდა ბრალდება, რომელსაც მოსდევდა ინდივიდუალური განაჩენი, გამოტანილი „ნორმალური“ სასამართლო ინსტანციის, ან, როგორც ხშირად ხდებოდა, არასასამართლო სადამსჯელო ორგანოს მიერ, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა შესაბამისი უფლება. იმ დროს, როდესაც ძველი ბოლშევიკებისა და ახალი საბჭოთა ელიტის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული რეპრესიების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ, როგორც წესი, აუტანელ გამოძიებას, რომელიც მთავრდებოდა „ნორმალური“ სისხლის სამართლის სასამართლოს, ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან, განსაკუთრებულად „მძიმე“ შემთხვევებში, სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენით, ხოლო ბრალდების გროტესკი და განა-

412. დახვრეტა განხესის მიხედვით, ანუ როგორ აკეთებდნენ ამას ბოლშევიკები// „ტრუდი“. 1992 წ. 4 ივნისი. გვ. 1.

ჩენის სიმძიმე იპყრობდა მთელი მსოფლიოს ყურადღებას, შინსახკომის მასობრივი ოპერაციების შემთხვევაში, რომლებიც საიდუმლოდ მიმდინარეობდა, მთელი პროცედურა გაცილებით ხანმოკლე იყო, ხოლო ბრალდება არცთუ ისე სენსაციური.

მიუხედავად ამისა, განაჩენები, რომლებიც დაჩქარებული არასასამართლო წესით გამოჰქონდათ, კვლავ ისეთივე სიმძიმის იყო, თუმცა მათ აღარ უცხადებდნენ აღარც ბრალდებულებს და აღარც მათ ნათესავებს. გამოძიების მსვლელობის, ბრალდების წაყენების და მსჯავრის დადების ყველა ფორმალური მოთხოვნის თითქოსდა დაცვის მიუხედავად, დაპატიმრებიდან განაჩენამდე მთელი პროცედურა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების აბუჩად აგდებას წარმოადგენდა, რადგან არასასამართლო სადამსჯელო ორგანოები თუმცა კი მოქმედებდნენ როგორც სასამართლოები, მაგრამ რეალურად ასეთი ტიპის სასამართლოს არ გააჩნდა არც მოსამართლის და არც დამცველის ცნება. ყველაზე მთავარ როლს სასამართლო გარჩევის პროფანაციაში თამაშობდა ის, რომ მსხვერპლისადმი ბრალად შერაცხული დანაშაულები წარმოადგენდა წვრილმანი დარღვევების ნაზავსა და სტალინური რეჟიმის მიმართ ინდივიდუალური არალოიალობის გამოვლენას, რაც არ იყო დასჯადი დიდ ტერორამდე, აგრეთვე ძალზე გაზვიადებული და მთლიანად გამოგონილი ან კონსტრუირებული გადაცდომებისგან, რომელთაც ბრალდების დასამძიმებლად იყენებდნენ. გამოძიების მსვლელობისას, ისევე, როგორც განაჩენის დასაბუთებისას, ხშირად მოყავდათ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროინდელი, ყველას მიერ დიდი ხნის მივიწყებული პოლიტიკური და სოციალური დევიაციისა და ანტისაბჭოთა პოლიტიკური ორგანიზაციების რეალური თუ გამოგონილი რიგითი წევრობის შემთხვევები. მასობრივ რეპრესიათა ერთ-ერთ მიზნობრივ ჯგუფად იქცნენ ადგილობრივი და რეგიონალური ელიტის წარმომადგენლები, მაგრამ მთავარი დარტყმა მაინც უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანებს მიადგათ, რომელთა ბედიც მხოლოდ უახლოეს ნათესავებსა და მეგობრებს აინტერესებდათ.

ყოველივე ეს უკვე კარგადაა ცნობილი. რა მიზნით დაიწყო მასობრივ ოპერაციათა შესწავლა საქართველოში? წინამდებარე მონოგრაფიამ სრული სიცხადით დაადასტურა, რომ საქართველო, მიუხედავად მისი საკავშირო რეპრესიულ პროცესებში სრულად „ჩართვისა“, წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას და არა უკვე ცნობილისადმი მხოლოდ „რეგიონულ დამატებას“. ეს მით უფრო სარწმუნოა, განსაკუთრებით ტექნიკურ ასპექტში, რამდენადაც შინსახკომის მასობრივი ოპერაციები აქ პირველად განიხილება მათ ურთიერთკავშირში და ურთიერთქმედებაში. ავტორებმა ასევე შეძლეს მონაცემების გამოვლენა „მილიციის“ სამეულის საქმიანობის შესახებ და მათი მომზადება სამეცნიერო კვლევებისთვის. ეს არასასამართლო სადამსჯელო ინსტანცია, რომელმაც სსრკ-ში ასობით ათასი ადამიანი გაასამართლა, პირველ რიგში მარგინალურ ჯგუფთა წევრები, პრაქტიკულად დღემდე შეუსწავლელი იყო, ვინაიდან მისი დოკუმენტები მიუწვდომელი რჩებოდა.

წინამდებარე მონოგრაფიის ავტორები არ მალავენ იმ წყაროთა არსებით დეფიციტს, რამაც არ მისცა შესაძლებლობა, შეესწავლათ დევნათა და დაპატიმრებათა ინდივიდუალური მიზეზები, აგრეთვე დაენერათ რეპრესიათა ისტორია, რომელიც დაეყრდნობოდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ცოდნას და ინტერპრეტაციას. სამაგიეროდ, მათ მთლიანობაში შეძლეს, აღენერათ პროცედურული ფორმები და დაედგინათ რეპრესიათა სტატისტიკური მაჩვენებლები, რაზე დაყრდნობითაც განხორციელდა საქართველოში მასობრივ ოპერაციათა მიზნებისა და პირობების გაანალიზებისა და დასკვნების გამოტანის მცდელობა. ასეთი, უპირატესად სტატისტიკურ-პროსოპოგრაფიული მიდგომა ითხოვს მკითხველის მოთმინებას, სთავაზობს უამრავ ციფრს, პროცენტულ მონაცემებს და ცხრილებს. მხოლოდ ამ გზით შეძლეს ავტორებმა მათ განკარგულებაში არსებული მრავალი წყაროს დამუშავება და „ამეტყველება“ „კულაკური“ ოპერაციის, „ნაციონ-

ალური“ ოპერაციის, „მილიციის“ სამეულის სოციალური წმენდის, აგრეთვე ელიტის მიმართ განხორციელებული რეპრესიების („სტალინური სიები“) შესასწავლად. შედეგად მათ შექმნეს დიდი ტერორის სპეციფიკური სურათი საქართველოში. შესწავლილია რეპრესიათა ძირითადი სტრუქტურები და ტენდენციები, მაგრამ არა ინდივიდუალური მიზეზები. თავისი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული საზოგადოების მულტიეთნიკურობამ, რამაც გარკვეული გავლენა იქონია რეპრესიულ პრაქტიკაზე. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეს ასპექტი მხოლოდ ერთ-ერთი მრავალთავანი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მასობრივი ოპერაციის მიხედვით მოსკოვმა დაადგინა მოქმედების სფეროები და მკაფიო საზღვრები, ეს ოპერაციები პრაქტიკულად ხასიათდებოდა ურთიერთშელწევისა და კომპეტენციის გადაკვეთის დიდი ხარისხით, ამასთან ყურადღებას იპყრობს ის მრავალფუნქციურობა და დიდი მოქნილობა, რასაც მთავარი არასასამართლო სადამსჯელო ინსტანცია – „კულაკური“ სამეული ავლენდა. რეპრესიები „ნაციონალური“ ოპერაციის ფარგლებში შეიძლებოდა გარკვეულწილად ყოფილიყო რაციონალიზებული, როგორც საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის გამიზნული მოქმედებები. მაგრამ მათი განხორციელების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბრალდებულის ეროვნული/ეთნიკური კუთვნილება უფრო დაპატიმრების საბაზი იყო, მაშინ, როდესაც განაჩენის დასაბუთება პრინციპულად არ განსხვავდებოდა საქმეებისგან, რომლებიც განიხილებოდა „კულაკური“ სამეულის მიერ. მხოლოდ ნაციონალური ან ეთნიკური კუთვნილება, მასობრივი ოპერაციების დროს „კასტრირებული“ სამართლებრივი პროცედურების პირობებში, არ წარმოადგენდა საკმარის საფუძველს დანაშაულის კონკრეტული შემადგენლის გასაფორმებლად.

„მილიციის“ სამეულის მიზანს მხოლოდ უმნიშვნელო რეციდივული სოციალური დევიაციების ნებისმიერ გამოვლინებათა დასჯა წარმოადგენდა, ისეთების, როგორებიცაა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის და სამუშაოს არქონა, მათხოვრობა, საპასპორტო რეჟიმის დარღვევა, პროსტიტუცია, ხულიგნობა და სხვა წვრილმანი დანაშაულები. ავტორებმა დიდი ტერორის სწორედ ამ სფეროში ვერ შეძლეს საქართველოს რაიმე სპეციფიკის კონსტატაცია. აქ, ისევე როგორც ყველგან, „მილიციის“ სამეულის მეშვეობით, რომლის შემადგენლობაშიც, „კულაკური“ სამეულისგან განსხვავებით, შედიოდა არა მაღალი თანამდებობის პოლიტიკური მოხელე, არამედ მილიციის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, დაჩქარებული არასასამართლო წესით ხუთ წლამდე პატიმრობას უსჯიდნენ სხვადასხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებს, პირველ რიგში, ქალაქში მცხოვრებთ. გადამწყვეტი ხდებოდა გარემოება, რომ შეუძლებელი იყო ამ პერსონალური წრის აღნიშნული ვადით მსჯავრდება მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის და ნორმალური სამართალწარმოების ფარგლებში, ისევე, როგორც მათი დისციპლინირება საბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული აღმზრდელობითი ღონისძიებების დახმარებით. ახლა კი საზოგადოების სოციალური წმენდის პრობლემა სწრაფად და ადვილად გადაწყდა, თუმცა ხანმოკლე დროით, საგანგებო არასასამართლო ორგანოს – „მილიციის“ სამეულის დახმარებით, მიუხედავად მის შემადგენლობაში პროკურორის ყოფნისა.

უფრო სერიოზული სოციალური დევიაცია და პოლიტიკური ლოიალობის შედარებით წონადი დარღვევები დიდი ტერორის წლებში, როგორც წესი, „კულაკური“ სამეულის მეშვეობით ისჯებოდა. თუმცა საქართველოს პარტიულმა და სახელმწიფო ხელმძღვანელობამ, სსრკ-ის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, დაწყებული 1937 წლიდან, შეძლო ამ სადამსჯელო ინსტანციის არა მხოლოდ უბრალო მოსახლეობის მსჯავრდების ინსტრუმენტად, არამედ საბჭოთა ელიტის სხვადასხვა „სართულის“ მრავალი წარმომადგენლის სამსჯავროდ გადაქცევა, ამასთან, მათ მიმართ სამეულმა აქ გაცილებით მეტი განაჩენი

გამოიტანა, ვიდრე სსრკ-ის ყველა სხვა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში.

ასეთი გასაოცარი გამოწვევის მიზეზები, რამაც რეგიონულ სპეციფიკას დამატებითი სივრცე შეუქმნა, მდგომარეობს არა მხოლოდ სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადატვირთულობაში, რომელიც იძულებული იყო ადგილებზე სულ უფრო ხშირად ეგზავნა თავისი გამსვლელი სესიები. ამ შემთხვევაში ხომ აუცილებელი იქნებოდა სამხედრო კოლეგიის უფლებამოსილებათა ნაწილობრივი ან სრული გადაცემა ყველა დანარჩენი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო „კულაკური“ სამეულებსთვის, რაც არ მოხდა. საქართველოს კპ(ბ) ცკ პირველი მდივნის, და სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ეჟოვის მემკვიდრე ლავრენტი ბერიას კარგ კავშირებს, თავისთავად არ შეეძლო განსაკუთრებული ნებართვის მისაღებად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა. შესაძლოა, რესპუბლიკური „კულაკური“ სამეულის კონტინგენტის ასეთი ტრანსფორმაცია საქართველოს უჩვეულო „მენშევიკური“ წარსულის გამო მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის მენშევიკები და მათი მომხრეები უკვე დიდი ხნის წინ სრულად იყვნენ ელიმინირებულნი ამიერკავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, რჩება შთაბეჭდილება, რომ „მენშევიკურმა საფრთხემ“, ჯერ კიდევ არსებულმა, სულ მცირე კრემლის მბრძანებელთა თავებში, გააადვილა მსჯავრდების მიზით ელიტის სამეულისათვის გადაცემის პროცესი. როგორც ეს ნაჩვენებია იყო სადამსჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაციისადმი მიძღვნილ თავში, სწორედ ამ სახის არგუმენტები იყო წამოწეული ბერიას მიერ. თუმცა ჩვენ ვერ შევძელით სრულად აგვეხსნა საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთმა ვითარებამ საშუალება მისცა საქართველოს ხელმძღვანელობას, გაცილებით მეტად, ვიდრე სსრკ-ის სხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელისუფალთა ერთპიროვნულად გადაწყვიტა ადამიანების ბედი, რომლებიც, მნიშვნელობა არა აქვს რა მიზეზებით, განიხილებოდნენ მათ მიერ, როგორც სახიფათონი.

მასობრივი ოპერაციების სახით განხორციელებული სისტემატური ოპერაციები უცილობლად, თითქმის ავტომატურად ინვედნენ ცენტრის რეპრესიულ უფლებამოსილებათა შესაბამისი სადამსჯელო ინსტანციებისთვის ადგილებზე გადაცემას. ამის გარდაუვალ შედეგს წარმოადგენდა რეგიონული სპეციფიკის გავლენის გაძლიერება, დომინირება თუ არა, რეპრესიების ჩატარების მსვლელობაში. პარტიულმა ხელმძღვანელობამ ბერიას მეთაურობით, რომელსაც მტკიცედ ეპყრა საქართველო, შეძლო საკუთარი ძალის გამოყენება თავის სასარგებლოდ, რათა „გაენმინდა“ რესპუბლიკა წარმოსახვითი თუ აშკარა კონკურენტებისგან პოლიტიკის, ეკონომიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში. არასასამართლო განსჯის დაჩქარებულმა პროცედურამ, რაც დამახასიათებელი იყო „სამეულებისა“ და „ორეულებისთვის“, საშუალება მისცა მათ, გადაეწყვიტათ ეს ამოცანა ყველაზე შემჭიდროებულ ვადებში და ძალზე მკაცრი კონტროლის გარეშე მოსკოვის მხრიდან.

მეორეს მხრივ, შინსახკომის მასობრივი ოპერაციებისადმი მიძღვნილ და მკვლევართა მხედველობის არეში მოხვედრილ დოკუმენტებში ვერ მოიძებნა მინიშნებაც კი მოსკოვიდან მიღებული განკარგულებებისთვის წინააღმდეგობის განწვევის შესახებ საქართველოში. პირიქით, რეპრესიების მეშვეობით საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობამ, რომლებიც ცენტრის სადამსჯელო უფლებამოსილებათა ნაწილის რესპუბლიკისთვის გადაცემის შედეგად გაჩნდა, უფრო გააძლიერა თანამშრომლობა საქართველოსა და მოსკოვის შორის და, თავის მხრივ, ამ პრაქტიკას დამატებითი დინამიკა შესძინა. ამ თვალსაზრისით, მტკიცება, რომელიც გამოითქვა საქართველოს შიდა დებატების დროს, რომლის მიხედვითაც საქართველო, სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებთან, მხარეებთან და ოლქებთან შედარებით განსაკუთრებულად დაზარალდა მოსკოვის მიერ ინიცირებული მასობრივი რეპრესიების შედეგად, არ ხსნის ბრალს საქართველოს ხელისუფლებას. საქართველოს იმდროინდელი მთავრობა

არ იყო მასობრივ რეპრესიათა ინიციატორი, მაგრამ არ შეიძლება მისი როლის დავინწყება მათი ჩატარების დროს. მცდელობა, რომ საქართველოში განხორციელებული ტერორი „ჩაინეროს“ საერთო-საკავშირო კონტექსტში, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სწორედ საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო ელიტამ შეძლო მაქსიმალურად გამოეყენებინა საკუთარი ინტერესებისთვის მისთვის მინიჭებულ სადამსჯელო ქმედებათა თავისუფლება.

ამიტომ ციფრები საქართველოში რეპრესირებულთა და რეპრესიების ხარისხის შესახებ, ამ კავკასიურ რესპუბლიკაში იმ მომენტისათვის არსებული პირობების გათვალისწინებით, მაღალი იყო, მაგრამ, როგორც აჩვენა შეფარდებითა შედარებამ სსრკ-ის სხვა რეგიონებთან, ეს „რეპრესიული“ მაჩვენებლები არ იყო უკიდურესად მაღალი. შესაბამის სპეციფიკურ პირობებს შეეძლო ჰქონოდა დამლუპველი შედეგი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სსრკ-ის სხვა რეგიონებშიც.

გარდა ამისა, საქართველოს და მოსკოვის ანყობილმა ურთიერთობამ განაპირობა, რომ სტალინური ხელმძღვანელობის ინტერესები, რომლებიც მდგომარეობდა კოლექტივიზაციის შედეგების საბოლოოდ გამყარებაში, საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, სატიტულო ერების ნახალისების სულისკვეთებით ეროვნული პოლიტიკის ტრანსფორმირებაში და გარკვეულწილად, „მეხუთე კოლონიის“ ლიკვიდაციაში ომის წინა პერიოდში, პირდაპირ იყო ჩართული რეპრესიათა ადგილობრივ პრაქტიკაში, რამაც მათ კიდევ უფრო მეტი გაქანება შესძინა.

შინსახკომის მასობრივ ოპერაციათა და მათი სპეციფიკის განხილვამ საქართველოს თვალთახედვით შესაძლებელი გახადა ახალი დასკვნების გამოტანა, რომლებიც ეხება დიდი ტერორის ზოგად ორგანიზაციას, განსაკუთრებით მოსკოვური ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობათა ასპექტით.

ტერორის საკონტროლო მექანიზმების შესწავლით გაირკვა, რომ სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-8 (საალრიცხვო-სარეგისტრაციო) განყოფილება, რომელიც ატარებდა უსახურ და არასაშიშ სახელწოდებას (შემდგომში სახელმწიფო სასამართლო სსრკ-ის შინსახკომის I სპეცგანყოფილება), მრავალი კუთხით ასრულებდა ძირითად როლს, როგორც მასობრივი ოპერაციების მსხვერპლთა, ასევე „სტალინური სიებით“ განსაზღვრული ელიტის ბრალდების შემთხვევაში, რაც სამართლიანად აყენებს მას ერთ მწკრივში სასამართლო და არასასამართლო სადამსჯელო ორგანოებთან. ეს განყოფილება არა მხოლოდ უზრუნველყოფდა ყველა რეპრესიული აქციის კონტროლს, არამედ იმ ინსტანციას წარმოადგენდა, რომელსაც გადამწყვეტი გაუვლენა ჰქონდა განაჩენთა სიმძიმეზე, რომლებიც გამოჰქონდათ „ორეულის“, საგანგებო სათათბიროსა და სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის კონტინგენტთა მიმართ, ხოლო ზოგჯერ განაპირობებდა კიდევ ამ განაჩენებს, როგორც ეს მტკიცდება თავში „სადამსჯელო უფლებამოსილებათა რეგიონალიზაცია“. ეს „სტატისტიკური“ განყოფილება, შინსახკომის ადგილობრივი სამმართველოების მჭიდრო მხარდაჭერის პირობებში, იქცა რეპრესიათა ბიუროკრატიულ ძრავად, სსრკ-ის პარტიული ხელმძღვანელობის „გრძელ ხელად“. შედეგად, არც ერთი რეპრესიული ღონისძიება არ ტარდებოდა ადგილობრივი პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობის და სტალინისა და სკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს ხელმძღვანელობით ცენტრალურ სტრუქტურათა საქმის კურსში ყოფნის, მონონების და მონაწილეობის გარეშე. შედეგად, არც ერთი რეპრესიული ღონისძიება აღარ ტარდებოდა ადგილობრივი საბჭოთა-პარტიული ხელმძღვანელობის, აგრეთვე სტალინის მეთაურობით, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ნახალისებისა თუ უშუალო მონაწილეობის გარეშე.

მასობრივი ოპერაციები: სტატისტიკური მონაცემები

წინამდებარე თავში კომპაქტურადაა წარმოდგენილი აუცილებელი ცხრილები და დიაგრამები. ისინი ერთად ქვეყნდება, ვინაიდან, პირდაპირი დანიშნულების გარდა, საჭიროებს დამატებით განმარტებებს. ცხრილები და დიაგრამები დალაგებულია რაოდენობრივი (ცხრილები № 1-8) და თვისობრივი (ცხრილები № 9-42) პარამეტრების მიხედვით. ჩვეულებრივ, დიდი ტერორის სამივე მასობრივ ოპერაციასთან დაკავშირებით თანმიმდევრობითაა მოყვანილი მონაცემები განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. მაგალითად, ცხრილებში № 2-8 ჯერ „კულაკური“, შემდეგ „ნაციონალური“ და ბოლოს, „მილიციის“ სამეულების მიხედვითაა მოყვანილი მონაცემები, თუ რამდენს დაედო მსჯავრი შესაბამის სხდომებზე და რამდენად მაღალი იყო სასჯელის ზომა. მსგავსი წესი მოქმედებდა მსხვერპლთა სქესის, ასაკისა და სხვა მახასიათებლების შემთხვევაშიც. გარდა ამისა, მოყვანილია მრავალრიცხოვანი, სპეციალური ცხრილები, მაგალითად, „კულაკური“ სამეულისა და „სტალინური სიების“ მსხვერპლთა პარამეტრების შესადარებლად. ცხრილები ასახავენ საქმის მდგომარეობას 2015 წლის მარტის მდგომარეობით. მათში მოყვანილი მონაცემები შეიძლება იხრებოდნენ ამა თუ იმ მხარეს, რამდენადაც მონაცემთა ბაზები მუდმივად გადაამუშავდება და უმჯობესდება.

1. კრებსითი ცხრილი „კულაკური“ სამეულის საქმიანობის შესახებ ცხრილი № 1

კრებსითი ცხრილი 1 – საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული „კულაკური“ სამეულის საქმიანობის შესახებ – წარმოადგენს სსრკ შინსახკომის № 00447 ბრძანების („კულაკური“ ოპერაცია) თანახმად, საქართველოში 1937 წლის ივლისიდან 1938 წლის ოქტომბრის ჩათვლით დაგეგმილი და ჩატარებული მასობრივი ოპერაციების სტატისტიკური მონაცემების დღეისათვის ყველაზე სრულ განზოგადებას⁴¹³.

ცხრილი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

1. ოპერაციის მომზადების დროს დაგეგმილ რეპრესიებისადმი დაქვემდებარებულ კონტინგენტთა რიცხოვნობას;
2. 1937 წლის 30 ივლისს დამტკიცებული № 00447 ბრძანების ლიმიტებს;
3. მონაცემებს ლიმიტების გაზრდის შესახებ;

413. იხ. აგრეთვე: № 00447 ბრძანების გატარების და მისი შესრულების კრებსითი ცხრილი//მ. იუნგე, გ. ა. ბორდიუგოვი, რ. ბინერი. დიდი ტერორის ვერტიკალი. შინსახკომის № 00447 ბრძანების ოპერაციის ისტორია. მოსკოვი, 2008. გვ. 519-623. წინამდებარე გამოცემაში მონაცემები საქართველოს შესახებ შესწორებული და დამატებულია.

4. მონაცემებს დაპატიმრებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ.

სმირ შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემები დამატებით ნაწილდება ოპერაციის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით. შედარებითი სიდიდის სახით ცხრილში მოყვანილია მოსახლეობის შესაბამისი რიცხოვნობა და მსხვერპლის პროცენტული თანაფარდობა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს რეპრესიათა ინტენსიურობის ხარისხი. გრაფაში „სულ“ არსებული მონაცემები განზოგადებულია რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის მიხედვით.

პირველ რიგში, ცხრილში ასახულია სკპ (ბ) ცკ პოლიტიბუროს, სსრკ შინსახკომის ცენტრალური აპარატისა და საქართველოს რესპუბლიკური სტრუქტურების, მისი პარტიული და „ჩეკისტური“ ხელმძღვანელობის ურთიერთობა მსხვერპლთა კონტინგენტის რაოდენობის (ლიმიტების) დამტკიცების დროს, პირველი (სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვეცა) და მეორე (თავისუფლების აღკვეთა ბანაკში ან ციხეში 8-დან 10 წლამდე ვადით) კატეგორიების მიხედვით. რესპუბლიკური ხელმძღვანელობის რეპრესიული მისწრაფება, პროვოცირებული და ნაქეზებული სკკპ(ბ) ცკ პოლიტიბუროსა და სსრკ შინსახკომის მიერ, ასახულია მის დაჟინებულ მოთხოვნაში ლიმიტების გაზრდის შესახებ. მოსკოვური ცენტრისა და საქართველოს რესპუბლიკური ხელმძღვანელობის სადამსჯელო ინტერესები ასახულია, პირველ რიგში, დამტკიცებული ლიმიტების რიცხოვნობის შედარებისას პირველი და მეორე კატეგორიების მიხედვით. ამასთან, შეიძლება დადასტურდეს ერთმნიშვნელოვანი მიდრეკილება სასჯელის უმაღლესი ზომის პრევალირებისადმი. მთლიანობაში, ლიმიტის გამოთხოვისა და დამტკიცების გამოცდილება სხვა არაფერი იყო, თუ არა მართვისა და კონტროლის ბიუროკრატიულად რეგულირებადი მექანიზმი, რომელიც მნიშვნელოვან სივრცეს აძლევდა სკკპ(ბ)-ს და შინსახკომის ადგილობრივ ორგანოებს წინსწრებითი დაქვემდებარებისთვის. რეკვიზიტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს დაპატიმრებულთა და მსჯავრდებულთა შესახებ, არა იმდენად ურთიერთობას ცენტრსა და პერიფერიას შორის, რამდენადაც დევნის დინამიკას ასახავს. ეჭვები სსრკ შინსახკომის ცენტრალური აპარატის ანგარიშებში (იხ. რუბრიკები „არა უგვიანეს 01.01.1938“ და „არა უგვიანეს 01.03.1938“) მოყვანილი კრებსითი რიცხვების შესახებ იფანტება ცენტრალური სტატისტიკის მონაცემების შედარებით იმ მონაცემებთან, რომლებიც მიიღეს ავტორებმა დაპატიმრებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის თაობაზე საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულების ოქმების დამუშავებით. ამის მიუხედავად, გაურკვეველი რჩება მრავალი საკითხი, რომელიც ეხება საქართველოში სამეულების ოქმების შედგენის გამოცდილებას. ტერმინთა მნიშვნელობა და შემოკლებათა განმარტება მოყვანილია მათი პირველი მოხსენიების დროს.

2. სხდომების რიცხვი და რაოდენობა, მსჯავრდებულთა რაოდენობა და სასჯელის ზომა

ცხრილი № 2-8

ცხრილებში მოყვანილია მონაცემები სამეულის თითოეული, ცალკეული სხდომის შესახებ, კერძოდ, შინსახკომის მიერ განხორციელებული სამი მასობრივი ოპერაციიდან თითოეულისთვის: თავდაპირველად აღწერილია № 00447 ბრძანების მიხედვით ჩატარებული ოპერაცია („კულაკური“ სამეულის 122 ოქმი), შემდეგ „ნაციონალური ხაზით“ („ნაციონალური“ სამეულის 52 ოქმი) და ბოლოს, სოციალური წმენდით („მილიციის“ სამეულის 32 ოქმი) განხორციელებული ოპერაციები. თითოეულ შემთხვევაში მითითებულია ოქმის შედგენის თარიღი, რომელიც ემთხვევა შესაბამისი სამეულის სხდომის თარიღს. შემდეგ მოყვანილია მსხვერპლის რაოდენობა, რომელიც მსჯავრდებული იყო ამ

